ჯორჯოხი

ფრაგმენტი
მხატვარი გურამ ფუტკარაძე

2 2025

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
25002
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 67-ე წელი | მარტი-აპრილი | №2 | 2025 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2025

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ნატო ინგოროყვა – ლექსები 3
ქეთი გაგინაშვილი – მოთხრობები 13
შორენა დოლიძე – მინიატიურები 32
მაია მინდელი – ლექსები 35
გიზო თავაძე – მოთხრობები 41
პოეტ პოეტიშვილი – ლექსები 57
როინ რიჟვაძე – ლექსები 68
მარიამ ჩიხლაძე – მოთხრობები 71

თარგმანი

ვილჰელმ რააბე – სტუმრობა (გერმანულიდან თარგმნა **გიორგი ვარამაშვილმა**) 73

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ გვენეტაძე – ისტორიული დოქტორი იოჰანეს ფაუსტუსი – ლეგენდა და რეალობა 78
ნატო ბერძული – თამარ გეგეშიძის „ჩუმად უნდა იჯდე“ და პრობლემები, რომლებზეც ბევრი უნდა ვისაუბროთ 91
პაატა აროშიძე – რატომ არ უყვარს შოთა რუსთაველს ვაჭრები 94
ელენე ქილიფთარი – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ 96

ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა

მამია ფაღავა – სპერული ჩანაწერები (დასაწყისი) 103

წერილები

შორენა მახაჭაძე – ჩემი ნახევარსაუკუნოვანი სიყვარულის ისტორია... 122

პოეზია, პროზა

ნატო
ინგოროყვა

გზაჯვარედინები წერისათვის

წერა

თავიდან მოსაშორებელი ამბებისთვის გამოიგონეს.
სინამდვილესთან შესახვედრად
პირდაპირი გზა თითქმის ყოველთვის მოჭრილია.

მას აქვს თავისი ბნელი მოსახვევები და იცის ყველა შიში,
რომელთა გამოც დაიწყე ის, რაც გზადაგზა ჩააკერე.

წერას

ვერც ფეხისწვერებზე მოსიარულე მწერლები გადაურჩებიან.
შიშიც უფრთხილდება თავის ღირსებას და
შეიძლება თავი წაგართვას.

მოგონებები წარსულისაა, მაგრამ არ გიშვებს
და მთავრდება მაშინ,
როცა საკუთარი თავისთვის სულ ერთი ხდები.

რუპბ. საათები.

ეს ლექსი,
უფრო მკვეთრი კონტურებით
შემოსაზღვრულ ამბავზე უნდა დამეწერა –
თუნდაც – სამშობლოზე.

ეს ლექსი,
თავდაყირა ამბავზე უნდა დამეწერა.
როცა პირველად აღმოვაჩინე,
რომ სიტყვები წაღმა – უკუღმა
ერთნაირად იკითხება.

ეს ლექსი,
ფეხის წამოკვრაზე უნდა დამეწერა,
შეცდომების მელოდიით და რიტმით.
დაემსგავსებოდა გადახაზულ სიტყვას,
გადაგდებულ ფაილს,
დაჭმუჭნულ ფურცელს,

მაგრამ

სიფხიზლე ძილში გავცვალე,
მხოლოდ საათის ხმა მახსოვს,
რომელიც არ დაიღალა წრეზე სიარულით.

სირცხვილი. გამხელა.

სიკვდილი ნამყოფია ჩემს სახლში,
თვალებში შემოუხედავს,
სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში
კიდურებმომძვრალ სათამაშოს ჩავხედავდი.

ამდევნებია გზაშიც.

ნაბიჯს აუჩქარებ და
სახლში რომ დაიგულებ თავს,
თვალს არიდებ ფეხსაცმელებს,
რომლებმაც იციან შენი გულისცემის საიდუმლო
და არ გაგცემენ.

დაუფრთხია ძილიც.

მაგრამ ასეთ დროს
მოდის ჩემთან ბებია,
რომელიც, აქ ასზე მეტი წლისა,
იქ შესაძლოა ბავშვი იყოს.

მოდის და შეშინებულის შემილოცავს.
მის საფლავზე კი ჭკნება
მარად მოყვავილე ხელოვნური ყვავილები,
დიდი ხნის წინათ რომ დავუტოვე
და პირი დავიბანე სირცხვილთან.

ხელები. ხიდი.

ხელი ხიდია, – დავწერე და
თვალი ხელებისკენ გავაპარე.
ხელებია, ჩემი სხეულის ნაწილებიდან
ყველაზე ხშირად რომ ვხედავ.

ხელი ხიდია, – დავიჯერე,
რადგან დროის მდინარებას
ყველაზე უკეთ
მაინც საკუთარი კანით გრძნობ.

ხელი ხიდია, – ვამბობ,
რადგან მოგონებების გაცოცხლება
მხოლოდ სიტყვებს ან საგნებს კი არა,
ხელებსაც შეუძლიათ.

ისეთ მოგონებებს წამოშლიან,
არც შორი გზის მოვლა გჭირდება,
არც სიღრმეებში ძვრომა, –
უცებ ცოცხლდებიან.

ხელი ხიდია, – გავიფიქრე და
ხელისგულებზე ნულები დავიწერე,
მუშტები მაგრად შევკარი,
როგორც ბავშვობაში,
რომ მასწავლებელს დაფასთან არ გავეძახე.

თუმცა
ვინ იცის,
სწორედ ამ დროს
ღმერთიც მალავს ხელებს ზურგს უკან,
თითებს აჯვარედინებს,
რომ ტყუილში არ გამოიჭირონ.

სარეცხის და ბედისწერის

ჩემს ქალაქში სარეცხს
დღესაც თოკებზე ფენენ და
ქალაქის ბინადრებს
გვაქვს დღეები და ამინდები,
როცა სახლის კარს
ნებით ვაღებთ და გამოგვაქვს კაბები და პერანგები,
რომ მზემ თავისი წილი ამბავი ამოაშროს,
ზოგიც – გაახუნოს.

ჩემს ქალაქში
არის უიღბლო ამინდებიც სარეცხისათვის,
როცა უცაბედი ქარი
ტანსაცმლის სახელოებს ამოავსებს,
ჯერ ერთ სამაგრს გამოაცლის, მერე – მეორეს
და სხვის ეზოში გადააფენს.

ჩემი ქალაქის ბინადრებს
გვაქვს სარეცხიც,
რომელსაც არასდროს გამოვფენთ გარეთ
თუ შემთხვევით
ქარიან ამინდში ღიად დარჩენილი ფანჯრიდან
მუცელგამობერილმა ფარდამ
არ გამოიტანა ამბავი და

არ გაგვცა.

განწყობა. ფრაგმენტი

იწვიმოს მაინც.
ვთქვი და დავწერე.

სკამი მოვაბრუნე,
როგორც მატარებელში, წინ დავუჯექი.

დაიძრა ჩემი მოგონებები
პირისპირ მჯდომი კაცის თვალებში.

ვიღაცამ ზურგს უკან ახსენა სიტყვა „სიყვარული“.

გავიარეთ გვირაბი,
გავცდით გზებს და გამქრალ პეიზაჟებს.

სინათლეც გამოჩნდა.

ჩვენ ერთ გაჩერებაზე ჩამოვედით
და წავედით სხვადასხვა მხარეს.

ნისლს ჰგავდა ის სიყვარული.
ჯერ ჩამოწვა, მერე აიკრიფა.

დრო. მინაწერი.

დრო,
რომელიც აღარ გვექნება ერთმანეთისთვის,
როცა ჩვენი ტანსაცმლის კარადა
სხეულისგან დაცლილ ტანსაცმელს
გამოირიდებს.

როცა ჩვენ შორის
სიტყვებისგან თავისუფალი სივრცე ჩადგება
და
თვალები დახუჭავს
ქუთუთოს შიგნითა და ქუთუთოს გარეთა ამბებს.

როცა სიტყვა დაიბრალებს, რომ საშლელია
და წაშლის ყველა ამბავს,
რომლებსაც ველარ ვყვებით.
როცა ღიმილი
ქუჩაში შემთხვევით შეხების უხერხულობას გადაფარავს.

როცა აღარ ვიდარდებთ,
რომ მონათხრობი არ ემთხვევა სინამდვილეს
და
ვაპატიებთ სიტყვებს უზუსტობას.

როცა აღიარებ, რომ შენს შუბლს და კეფას,
რომლებსაც არასდროს უნახავთ ერთმანეთი –
საერთო ამბავი აქვთ.
და კეფას ხშირად უგრძნია ისიც,
რაც შუბლს გამოეპარა.

როცა დაიჯერებ, რომ
შენი წიგნის მერვე გვერდზე დაბეჭდილმა ლექსმა
არაფერი იცის მეცამეტე გვერდზე დაბეჭდილი შენივე ლექსის
და
შენც აღარ მოიხედავ უკან,
იქნები მშვიდი,
როგორც მზე ჩასვლისას,
რადგან იცის –
ისევ გათენდება.

სულ ერთია

საათი
მოპირდაპირე კედელზე
მშვიდად აჩვენებს დროს,
როცა ყველაფერი სულ ერთია.

მეხსიერებაც
არ ინახავს უსარგებლო დღეებს,
რომლებიც ფიფქებივით მიენდო ზღვას.

ჩვენც გულგრილები ვართ სულ ერთია დღეების მიმართ.

თუმცა ეს უბრალო დღეები
გვაახლოებენ საკუთარ თავთან,
გვამზადებენ შორი გზებისთვის
და ჩემოდნებს გვილაგებენ დაქანცულ მგზავრებს.

სიმშვიდის მხარეს

დგება ეს დროც – წონასწორობის.
ან უფრო სიმშვიდის,
მარტო ყოფნის უპირატესობით.

ეს გამოცდილების დროა.
როცა საკუთარ სხეულთან
პირისპირ დგომის შიში თითქმის დაძლეულია.

როცა შეგიძლია ისაუბრო
სადად, მარტივად,
საგულდაგულოდ გამომშრალი სიტყვებით

და

აღიარო, რომ ნანგრევებიდან აღარაფერი რჩება.
მზის ამოსვლისას ჩანს მხოლოდ მტვერი,
რომელიც ჰაერს შერევია.

მურმურაცია

ნუ დაუყრი საკენკს ბელურებს – მისაყვედურა მეზობელმა,
როცა პურის ნამცეცები
ჩვენს საერთო ღობეს გასცდა,
მის ეზოში დაცვივდა.

გინახავთ, როგორ ცეკვავენ ბელურები? –
სიტყვა ბანზე ავუგდე.

ვიცი, თბილ ქვეყნებში არ მიფრინავენ.
მიპასუხა და ფიქრი სადღაც გაექცა.

გუნდებად დაფრინავენ, –
ვთქვი ისე, თითქოს თავი ვიმართლე.

ფრენისას უცნაურ ფორმებს ქმნიან, დაუჯერებელს,
თავისებური წესრიგით, რომელსაც არასოდეს არღვევენ –

სინათლე ყველას თანაბრად ეფინება
ჩრდილში არავინ რჩება.

ასე გადარჩებიან, –
ვუთხარი და ფიქრი შემოვუბრუნე.

ძილ-ღვიძილის

ღილაკზე
თითის ერთი დაჭერა
და
იძინებს მონიტორი.

დაძინებამდე დავცალოთ სანაგვე ყუთი

თორემ დილით, გაღვიძებისას,
სარკმლის გახსნისას,
ჭირვეულობს –

წაშლილმა სიტყვებმა
შესაძლოა
თავის აღდგენა სცადონ,
ჩვენს ძილში შემოაღწიონ და დაგვაფრთხონ.

შესაძლოა
ყუთიდან გამოძვრნენ, სახლიც გააღვიძონ,
ერთ ადგილას ყოფნით თავმობეზრებული,
ჩვენი კედლების დამამშვენებელი ნახატები,
წიგნის თაროებიდან – რჩეული წიგნები,
საწერი მაგიდიდან – დაუსრულებელი ამბები
აიყოლიონ და გარეთ გაიტყუონ.

მინახავს ადრეც –
როგორ იღვიძებენ სახლები
და ჩვენგან მიიპარებიან.

ღამე – მათია.

შესაძლოა,
თან გაიყოლონ საკიდზე დატოვებული საწვიმარიც,
რომ თუკი ავედევნებით,
შემხვედრმა ქარმა,
ჩვენი კანის გავლით,
ჩვენი სისხლის გავლით,
იოლად მიაგნოს მას,
ვინც გვაცახცახებს,
რაც მყიფეა.

სახელცვლილება

ღმერთს უნდა შეუცვალო სახელი,
წერდა პოეტი შოთა ჩანტლაძე.
ადამიანებს უნდა მივცეთ ნება,
დაარქვან მას, რაც სურთ.

მე მიყვარს შოთა ჩანტლაძე,
რომელსაც გენერალი დაჰპირდა ქალაქიდან გასახლებას,
იმ ქალაქიდან, რომელიც ჩემი სამაგიდო წიგნია.

ამიტომაც
დაერქვას ღმერთს მისი სახელი.

ღმერთი მაღალია, ამბობდა ბებიაჩემი
და ცისკენ აიხედავდა.
მეც უნებურად მზერას ავაყოლებდი.

ცა მაშინაც ძალიან შორს იყო.

სახლის კედელზე ნახშირით მონიშნული ჩემი სიმაღლე
ჩემთან ერთად იზრდებოდა
ღმერთთან უფრო ახლოს ყოფნისთვის.

ბებიას ღმერთის ეშინოდა და მაინც სწამდა.

ამიტომაც
დაერქვას ღმერთს მისი სახელი.

ღმერთი კატალიზატორია,
მითხრა კაცმა, რომელსაც დავემგზავრე.
მითხრა: მოლეკულების ენა სიყვარულს ჰგავს.
და
გაიარა ღმერთმა ჩვენ შორისაც.

ამიტომაც
დაერქვას ღმერთს მისი სახელი

და
იყოს ეს ჩემი პირადი პრობლემა,
უაღრესად პირადი.

ლექსების გადარჩენა

ღრუბლებში შეინახე,
საიმედო საცავია,
ამბობს ჩემი მეგობარი –
ხშირი დანაკარგების მცოდნე.

მე ვფიქრობ მასზე,
ვინც დაწერს ბოლო ლექს
და იმ უკანასკნელ მკითხველზეც,
როცა მზე ჩაქრება.

ვფიქრობ მასზე,
ვინც შემთხვევით იპოვის გადარჩენილ ლექსებს,
საიმედოდ საქაღალდეში შენახულს,
რომელიც „Clouds“ მივანდეთ.

ვფიქრობ მასზე,
ვინც შემდეგ დაწერს პირველ ლექსს,
ვის ხმებს შეაგროვებს,
ვინ ეტყვის მას, რომ არ იმეორებს სხვას.

მე ვფიქრობ პოეზიაზე,
რომლისთვისაც ჩაირთვება ახალი დრო,
დაიწყება სხვა, თითქოს უსასრულო ამბავი,
ახალი რიტმით, მუსიკით, არქიტექტურით,
კალმით თუ კლავიატურით, ვინ იცის.

ან იქნებ –

აღარც დასჭირდეს ეს ყველაფერი ლექსს.

ან იქნებ –

აღარც დაიწეროს პოეზია.



ქეთი გაბინაშვილი

ზოოპარკის ავტობუსი

უკვე ოთხის ვარ და ბაღში მივდივარ. ბაღში ყველაფერი ფერადია, არაფრით გავს ჩვენს ჩამოღამებულ სახლს. მე ბაღი მომწონს. ბაღს მგონი, არ მოვწონვარ.

ვცდილობ, კუბიკებით კოშკი ავაშენო, მასწავლებელი მკლავში მკიდებს ხელს და მაბრუნებს:

– არ გესმის, ბიჭო? რამდენჯერ უნდა დაგიძახო?! – ძალიან არის გაბრაზებული. მე მისი გაბრაზება არ მინდოდა.

მეშინია, თუ მასწავლებელს არ მოვეწონები, ბაღში აღარ მომიშვებს. აქ ბევრი ბავშვი და ბევრი სათამაშოა, აქ იცინიან და მხიარულობენ. მე მომწონს ბაღი. ვჯდები გაუნძრევლად, დავყურებ საკუთარ ხელებს და ვცდილობ, არ ვიმოძრაო, რომ არ გავაბრაზო მასწავლებელი, მაგრამ ის მაინც მიწყრება.

– ამ ბავშვს რაღაც სჭირს, ასჯერ რომ დაუძახო, ზედაც არ გიყურებს, – ეუბნება მეორე მასწავლებელს. ის მიხსნის, რომ უზრდელობაა თუ პასუხს არ დავუბრუნებთ უფროსს. უზრდელი არ ვარ, უბრალოდ ჩემი სახელი ჯერ კარგად არ ვიცი.

სახელით არავინ მომმართავს. მე გარდაცვლილი ძმის სახელი მქვია. ის დაიღუპა და მე დავიბადე. თითქოს მისი ჩანაცვლება მეცადოს. დედა მიყურებს ისეთი დაღლილი და სევდიანი თვალებით, თითქოს ამ დაბადებას ვერ მპატიობს. როცა ასე მიყურებს, მგონია, რომ ჩემ გამო დაიღუპა, ვწუხვარ ამის გამო, წუხილი არაფერს ცვლის. როგორც კი ვინმეს შემთხვევით წამოსცდება ჩემი სახელი, დედა და ბებია ტირილს იწყებენ. ტირიან მოთქმით, არა კი არ ტირიან, ცას შეჰბღავიან, საიქიოში ჩემი ძმის კვნესას ვგრძნობ, მისი ყველა ძვლისა და სისხლის ყველა წვეთის ტკივილს.

ისინი ტირიან დიდი ტირილით და მერე მოდის ღამე. ჩემი ურჩხულები იღვიძებენ, საწოლის ქვეშიდან მოხოხავენ, თავიანთი გრძელი და დაღმეჭილი თითებით საბნის ქვეშ ძვრებიან და ფეხებზე მეჭიდებიან. მეჭიდებიან და მიმათრევენ შავ-ბნელ სამყაროში. იქ, სადაც მიწა შეჭამს ჩემს სხეულს, სადაც ჭია-ღუა ამომიხრავს თვალებს, სადაც მარტოობა შთანთქავს ჩემს სულს, სადაც დამაწვიმს და დამათოვს, მაგრამ არავინ იქნება, რომ საბანი დამაფაროს, სადაც არავინ დამიცავს, არავინ შემიფარებს.

ვხედავ ოთახის შუაგულში როგორ დგას პატარა ხის კუბო, როგორ მაწვენენ მასში და განაჩენივით აჭედებენ სახურავს. დახმარებას ვითხოვ, მინდა ვიყვირო ცოცხალი ვარ-მეთქი, მაგრამ ხმა არ მაქვს. მინდა სამყაროს გავაგებინო დამიცვას, მაგრამ ძალა არ შემწევს. ჩემი ძახილი არავის ესმის.

ვწევარ საწოლში და სხეული მეყინება, თითქოს სისხლი აღარ მოძრაობს. მინდა, საბანი გადავწიო და გავიქცე, მინდა, დავუძახო საშველად დედას, მაგრამ ვფიქრობ, აი ახლა გავმოძრავდები და

ამ ურჩხულებს კიდევ უფრო გავუღვიძებ მადას, ისინი წამოიშლებიან, რათა ნაწილებად დამგლიჯონ და ცოცხლად შემჭამონ. დიდია შიში. მაინც ვერევი საკუთარ თავს, საწოლიდან გადმოვდივარ. ცივ იატაკზე ფეხისგულების შეხებას ჟრჟოლვა მოაქვს, თითქოს უკვე მოვხვედრილიყავი მიცვალებულების საუფლოში. გავრბივარ. გავრბივარ და მომდევენ. აი, ცოტაც, კიდევ ათი ნაბიჯი, ცხრა, რვა, შვიდი... სულ ცოტაც და დედასთან და მამასთან ვიქნები და მაშინ, მაშინ ვეღარ მომეკარება ვერანაირი ურჩხული, მაშინ მე მექნება დამცავი გარსი, რომელსაც ვერავინ შემოარღვევს, ვერავინ, ვისაც ჩემთვის ზიანის მოტანა უნდა.

– ამხელა ბიჭი ხარ, რა გატირებს, არ გრცხვენია? – მსაყვედურობს ჯერ კიდევ ძილის ბურუსში მყოფი დედა. სირცხვილი ჩემს შიშს ვერ ჯაბნის, ეს შიში სხვა ყველაფერს შთანთქავს. ამიტომ ახლა მაგარი ბიჭობის დრო არაა:

– მეშინია, – ვამბობ და ახლაღა ვხვდები, რომ მთელი სახე სველი მაქვს ცრემლით.

– კარგი, მოდი, ნუღარ დგახარ, არ გაცივდე, – მეუბნება დედა და საწოლში ადგილს მითავისუფლებს. მინდა, საწოლში შევუწვე, გულში ჩამიკრას და ვიგრძნო, რომ მარტო არ ვარ. მეც ვიგრძნო და იმ ურჩხულებმაც, მოსვენებას რომ არ მაძლევენ.

– კიდევ მოხვედი? მე რა გითხარი, დროზე შენს საწოლში! – ყვირის ახლადგაღვიძებული მამა. მე ტირილს ვუმატებ. ძალიან ბრაზობს, – გაჩუმდი! გაჩუმდი-მეთქი! – საწოლზე წამოჯდება და ჩემკენ იწევა, რომ ისევ დამარტყას, მაგრამ დედა მეფარება და მას ხვდება ხელი. მე კიდევ უფრო მეშინია და ძალიან მინდა, აღარ ვტიროდე, მაგრამ ვერ ვჩუმდები.

– ქალაჩუნა გინდა გაიზრადოს?! კაცია თუ მთხლე?!

მე ისევ ჩემი საწოლისკენ მივდივარ და იქ ურჩხულები მელოდებიან, უკან მამას ხმა მომყვება, საშინელი სიტყვებით. ახლა ეს გზა აღარ არის მხოლოდ ათი ნაბიჯი, ეს გრძელი გზაა, ძალიან გრძელი გზა. ამ გზაზე მე უნდა მივხვდე, რომ ახლა მარტო ვარ, ირგვლივ კი ყველაფერი შავითაა დაფარული. ამ შავ სამყაროში ცხოვრობენ ურჩხულები, რომლებსაც ჩემი შეჭმა სურთ. მე მარტო ვარ, არავითარი ჯავშანი არ გამაჩნია, ჩემი მარტოობა ჩემი ფარია, მე უნდა ვიბრძლო და უნდა გადავრჩე.

უკვე რვა წლის ვარ და ისევ საწოლს ვისველებ. როცა თავს ვერ ვიკავებ და სველ ლეიბზე მეღვიძება, თვალებს მაგრად ვხუჭავ, ისე მაგრად, რომ ქუთუთოები მტკივა და ღმერთს ვეხვეწები, ნეტა ეს დილა არ გათენდეს. მინდა მზე არ ამოვიდეს, დედამიწამ ბრუნვა შეწყვიტოს, მაგრამ ზუსტად რვა საათზე დედაჩემის ზამთრის დილასავით ცივი ხმა მაღვიძებს და იძულებული ვარ, ავდგე. საბანს ვაფარებ სველ საწოლს, ძალიან ვცდილობ, კარგად იყოს გასწორებული და დედამ არ ნახოს, არ ნახოს, რომ წუხელ ისევ შევრცხვი. ღმერთს მთელი გულით შევთხოვ, რომ დედას სხვა საქმე გამოუჩნდეს და გადაავიწყდეს, მაგრამ მას არასდროს არაფერი ავიწყდება. შეპყრობილია, ყველაფერი იდეალურად იყოს, ყველაფერი ზუსტად ისე უნდა იყოს, როგორც წესია, როგორც საჭიროა. სულ ეშინია, რომ ერთხელაც ვიღაც მოვა, მოვა ზუსტად იმ დროს, როცა ეს სიკვდილივით მოსაწყენი წესრიგი დარღვეული იქნება, მოვა და იტყვის, რომ სარეცხი არაა სათანადოდ გაუთოებული, რომ თეთრეული კარგად არაა გაკრახმალებული, რომ საწოლი იდეალური სიმეტრიით არაა გასწორებული... დედა ადგომას არ მაცლის, თითქმის სირბილით მოდის საწოლისკენ, საბანს იღებს და ყველაფერი თავიდან იწყება:

– ამხელა ბიჭი ხარ და თავმოყვარეობა არ გაქვს. თავი კაცი გგონია და ქვეშ იფსამ, ფსიტიანო, სახლი ააყროლე, ლოგინი ჩამიოხრე...

მერე გაჭირვებით გააქვს ლეიბი აივანზე და მზეზე გასაშრობად ფენს. ჩვენი სახლი გაშლილ სივრცეზეა, ეზო ხელისგულივით ჩანს ზემო უბნიდან და მე ყოველ დილით ვფიქრობ, რომ ზემოუბნის უკლებლივ ყველა მცხოვრებმა იცის, რომ ჩავიფსი. იცის, რომ საწოლს ვისველებ და მთელი დღე

ეჭვიანი თვალით ვუყურებ ყველას, მგონია, რომ ყველა დამცინის. ამიტომ ვცდილობ დავასწრო და მე დავცინო, მე დავჩაგრო, მე ვატკინო.

ყველაფერი კიდევ უფრო ცუდადაა, როცა სტუმრად მივდივართ. და რადგან ჩვენს სოფელში ავტობუსი გვიან საღამოს არ დადის, გვიწევს ღამე ნათესავებთან გავატაროთ. დედა კი სტუმრობას იწყებს თავის მართლებით, რომ რატომ თავი არ მოუკვდება, როგორ უნდა დარჩეს, აქაც რომ შევარცხვინო, აქაც რომ ჩავუფსა, რომ თავად სულ გაუოხრდა საწოლი, ახლა აქაც... საღამოვდება, დედა ჩანთიდან იღებს ცელოფანს და ზეწრის ქვეშ მიფენს. თან მაფრთხილებს, არ შევარცხვინო. მე ვწვები ემბრიონის ფორმაში და ვცდილობ შევიკუმში, დავპატარავდე, რომ გავხდე უჩინარი, რომ ვერ შემამჩნიონ, არ დამინახონ, დამივიწყონ, ჩემზე არ იფიქრონ. ძალიან ვცდილობ არ დავიძინო, და რაც მეტად ვცდილობ, მით მეტად მერევა თვლემა. ქუთუთოებზე მეკიდება შიში და სირცხვილი. და მოდის ძილი. ჩემი სიზმრები შავ-ბნელია. ჩემს სიზმარში ცხოვრობენ ურჩხულები და ცოცხლად მჭამენ, მოდიან გველეშაპები და ყელზე მეხვევიან, მოდიან დემონები და ჩემს სულს ეპატრონებიან. მეშინია. მინდა გავიქცე, მაგრამ ვერ გავრბივარ. მეშინია და ისევ საწოლს ვისველებ.

მე და ჩემმა ძმამ ისევ ვიჩხუბეთ. იმან ჩემი ჯოისტიკი გატეხა, ძალით გატეხა, სულ ვუგებდი და მაგიტომ. ძალიან გავბრაზდი. გავბრაზდი და ხელი ვკარი. იმან კიდევ ფეხი ამომცხო. მე ჩვენი ზოოპარკის ავტობუსი ვისროლე, კედელს მოხვდა და გატყდა. ატირდა. ისეთი დიდი ხმა აქვს, მთელს სოფელს ესმის, როცა ტირის. ვეხვეწები გაჩუმდი, ავაწყობთ-მეთქი. არ სჯერა და ტირილს აგრძელებს. მეც მეტირება, მაგრამ თავს ვიკავებ, ეს ავტობუსი ძალიან მიყვარს. ჩვენი საყვარელი სათამაშოა. წინ კაბინა აქვს და კაცი ზის, მსუქანი, საყვარელი კაცი, დიდი ულვაშებით, წითელი ლოყებით და კეპკიანი ქუდით. ავტობუსი ყვითელია, მზისფერი ყვითელი და ფანჯრიდან ცხოველები მოჩანს. პირველ სავარძელზე მელია ზის, მეორეზე ჟირაფი, მესამე ფანჯრიდან ზებრა და ვირი იყურებიან, მე ვირი უფრო მომწონს, ძალიან ლამაზი თვალები აქვს, დიდი და სევდიანი. ავტობუსში არიან პანდა, თეთრი დათვი, ვეფხვი და მაიმუნები... ათას ამბავს ვიგონებთ მე და ჩემი ძმა. ხან ეს ცხოველები ზოოპარკიდან წამოიყვანა ამ კეთილმა კაცმა და ტყეში მიჰყავს თავიანთ ოჯახებთან, ხან ვითომ ჟირაფის ქორწილია და იქ მიდიან, ხან ბეწვი გაუცვდათ და ზამთრისთვის ახალი ქურქების საყიდლად წავიდნენ. კარგი ავტობუსია ეს ავტობუსი. ძალიან მიყვარს. ძალით არ გამიტეხია, რომ მცოდნოდა გატყდებოდა, სულაც არ ვისროდი.

დედას ჩემი ძმის ტირილი ესმის და ძალიან ბრაზობს. ამბობს, რომ მოვუკვდე უკეთესი იქნება, რომ ოჯახის შემარცხვენელი ვარ, რომ ამხელა ბიჭი ვარ და იმის მაგივრად ბავშვს მივხედო და ვუპატრონო, ვცემ.

– ტყუილია, არ მიცემია! – ვამბობ მე სანამ დედას ხელი მხვდება სახეში. ის ამბობს, რომ უტიფარი ვარ, უტიფარი და მატყუარა. მე არ ვტყუი. არ მიცემია, ჩვენ ხანდახან ვჩხუბობთ, მაგრამ მაშინვე ვრიგდებით. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ჩხუბიდან ხუთი წუთის შემდეგ, არც კი გვახსოვს რაზე ვკამათობდით, ისევ ერთად ვთამაშობთ. ხან ის მაბრაზებს, ხან – მე. შემთხვევით მოგვდის, ძალით არ გვინდა. დედას და მამას ეს არ ესმით, ისინი ამბობენ, რომ ადამიანის ცემა საშინელებაა და როცა გაიგებენ, რომ ძმასთან ვიჩხუბე, მსჯიან. მე მეტი მომეთხოვება, მე დიდი ვარ, ჩემი ძმა პატარაა.

მამა იმ დროს ბრუნდება სახლში, როცა დედა მეჩხუბება. ისევ მთვრალია. ასეთ დღეებში საწვიმრად გამზადებულ ცას ემსგავსება ჩვენი სახლი, კიდევ უფრო ჩამოღამებულია და ყოველ წუთას შეიძლება დაიგრგვინოს, მეხი გავარდეს და ყველაფერი გაანადგუროს. მამა ამბობს, რომ სახლში მოსვლა აღარ უნდა, რომ ან მოგვარჯულებს, ან საკუთარი ხელით დაგვახრჩობს. მე მისი მჯერა და რადგან ჩემი მორჯულება, საერთოდაც არავისი მორჯულება არ მოხერხდება, ვფიქრობ, რომ ერთ

დღეს ის მართლა დამახრჩობს. ქამარს იხსნის და მაიძულებს ბოდიში მოვიხადო. ბოდიშის მოხდა არაფერს შეცვლის, მაინც მომხვდება. ამიტომ ბოდიშს არ ვიხდი, რადგან მე არ ვარ ბოროტი, როგორც დედას ჰგონია და ძალით არ ვცდილობ ჩემი ძმის განაწყენებას. ბოდიშს არ ვიხდი, რადგან ნაწყენი ვარ, ძალიან ვარ ნაწყენი, მასზეც და დედაზეც და თან თითქოს ყელი გამიშრა და ყველა სიტყვა დააჭკნო გვალვამ, ვერც ერთ ბგერას ვერ ვამბობ. ვდგავარ, თვალებში შევყურებ მამას მრისხანე სახეს და ძალიან მინდა, ძალიან მინდა, სულ ერთი წამით გადაეცალოს ბინდი და დამინახოს, დამინახოს და გამიგოს, გამიგოს ცხოვრებაში ერთხელ მაინც, მინდა, გაიხსენოს, რომ თავადაც იყო ბავშვი, მაგრამ მის ავ სიტყვებს მიღმა ვხვდები, რომ მხრებზე დიდი ტკივილი ჰკიდია, რომ საკუთარ სატკივარს ველარ ერევა და ეს ბრაზი მხოლოდ ჩემ გამო არაა, თითქოს ახლა მთელ სამყაროს უბრაზდება. მაიძულებს დავიჩოქო. დავიჩოქო და მუხლისჩოქვით შემოვუარო მაგიდას და ვიარო ასე ჩოქვით, სანამ არ მივხვდები, რაც ჩავიდინე და ბოდიშს არ მოვიხდი, სანამ არ დავდებ პირობას რომ არასდროს, არასდროს აღარ დავჩაგრავ ჩემს პატარა ძმას.

ქამარს რკინის ბალთა აქვს, მხარზე მხვდება, იატკზე ვეცემი. მტკივა სხეულიც და სულიც. მიჭირს ადგომა. ვტირი. ჩემი ძმაც ტირის და ეხვეწება, რომ არ მომკლას, რადგან არაფერი დამიშავებია და სულაც არ უყვარდა ეს ზოოპარკის ავტობუსი, რომ მაინც გადაგდებას უპირებდა. რომ მე კი არა, მან გატეხა ეს ავტობუსი, აღარ მოსწონდა და მაგიტომ. დედაც ტირის. მე ჩოქვით ვურტყამ მაგიდას წრეს და მახსენდება:

პატარა ბატკანი გვყავს, თეთრი, კულულა მატყლით. ბატკანი ყოველ დღე გამოგვყავს ეზოში საბალახოდ, ვაჭმევთ და ყურადღებას ვაქცევთ, წყალი სულ რომ ჰქონდეს, ყელზე არ შემოეხვიოს ბაწარი და არ დაიხრჩოს, მზე რომ დააჭერს ჩრდილში გადავაბათ, ღამე გარეთ არ დაგვრჩეს... ბატკანი ჩვენი მეგობარი ხდება. იზრდება და სუქდება. ბატკანი გვიყვარს. ბატკანსაც ვუყვარვართ, ალბათ, რადგან როცა გვხედავს კუნტრუშს იწყებს და სასაცილოდ ბღავის. მერე იმავე ბაწრით მიგვყავს სალოცავში, პაპაჩემი რქებზე სანთელს ამაგრებს და საყდრის გარშემო დაატარებს. ბატკანს არ მოსწონს ეს მოგზაურობა, უჯიუტდება, მაგრამ მაინც უწევს სამჯერ შემოუაროს ეკლესიას, მერე კი ყელს ჭრიან, ტაძრის ეზოში ჰკიდებენ ფეხებით ხის ტოტზე და იმ თეთრ, რბილ, კულულა ტყავს აძრობენ... მაშინ როცა ჩვენი მეგობარი ბატკანი დიდი ალუმინის ქვაბში მოათავსეს და ცეცხლზე შემოდგეს, ღმერთს ვკითხე, სჭირდებოდა თუ არა ეს რამეში. იმ ღამეს მესიზმრა, რომ ღმერთი ჩემს გვერდით იჯდა და ჩემს კითხვაზე კითხვით მომიგო: როგორ, განა მე ვჭამ ხორცს? მერე მე მას თვალებში შევხედე და მომეჩვენა, რომ ისიც ჩემთან ერთად ტიროდა. და მიუხედავად იმისა, რომ ეს სახლი საყდარი არაა და არც მე ვარ ბატკანი, კიდევ ერთხელ მივმართავ ღმერთს: სჭირდება თუ არა ეს ყველაფერი? და მაშინ, დაჩოქილი ბოლოჯერ ვლოცულობ, მე თვალებს ვხუჭავ და ღმერთს ველაპარაკები, ღმერთს რომელიც შორი და უფორმო არაა, ის ჩემი მეგობარია და ვგრძნობ, რომ ჩემი ყველა სიტყვა ესმის. მე მას ვთხოვ, დამეხმაროს, რომ აღარავის მივცე უფლება, დამაჩოქოს. მე თერთმეტის ვარ, ჩემი უმცროსი ძმა – ცხრა წლისა და ორი თვის.

სკოლაში „მთის წყარო“ გვაქვს. ვაჟა ძალიან მიყვარს. დაფასთან გავდივარ და მოყოლას ვიწყებ. ვყვები, მაგრამ თითქოს მე ისევ ჩემს გაავდრებულ სახლში ვარ, ისევ თავზე მადგას მამა ტყავის გადაქლეტილი ქამრით, დიდი რკინის ბალთიანი ქამრით. მე კი დაჩოქილი წრეს ვურტყამ მაგიდას. აღარ მეშინია. ახლა მხოლოდ ბრაზს ვგრძნობ, საშინელ ბრაზს. თითქოს ისევ მიშრება ყელი, ისევ დგება დიდი გვალვა, ნაპრალები ჩნდება ჩემს სიტყვებში და ენა მებმევა. ბორძიკ-ბორძიკით ძლივს გასაგებად ვყვები გაკვეთის. მასწავლებელს ეცინება. ბავშვებიც იცინიან. მე კლასს ზურგს ვაქცევ და ხმაურით ვხურავ კარს.

დედაჩემს სკოლაში იბარებენ და ეუბნებიან, რომ გაუზრდელი ვარ. მისთვის ამაზე დიდი უბედურება, ისიც არ იქნებოდა, ჩემი სიკვდილის ცნობა მიეღო. ზის მთელი საღამო და ტირის. დასტირის

შელახულ თავმოყვარეობას. ყვირილით დაღლილი მამაც ზის და ახლა კაცური საუბრით ცდილობს, რაიმე შემაგნებინოს. არაფერი მესმის. საერთოდ არაფერი მესმის. მე დიდი ხანი ვტიროდი, ვლაპარაკობდი, ვევედრებოდი, შევთხოვდი... სამყაროს ყურებზე მაგრად მიეფარებინა ხელისგულები და ჩემი სიტყვები არ ესმოდა. ახლა მე აღარ შემწევს უნარი, ვინმეს გავუგო, რადგან ჩემი სხეული დაღლილია მარტო საუბრით, მარტო ლოცვით, მარტო ვედრებით... ამიტომ ვერ გამოიღო ამ საუბრებმა შედეგი. მე კარი კიდევ ბევრჯერ გავიჯახუნე და ბოლოს – საბოლოოდ.

მას შემდეგ რაც სასწავლებელიც მივატოვე და სამსახურის ძებნით თავი ერთი დღეც არ შემიწუხებია, სხვა სახლი ვნახე, სხვა ოჯახი – ქუჩა. აქ უფრო მეტად ესმით ერთმანეთის, ვისაც არ ესმის, აგებინებ. აქ წესრიგია. ჩემი მოხუცი მშობლები დღედაღამ დარდობენ, ხიფათს არ გადავეყარო. ყვირილი აღარ შეუძლიათ, ხვეწნითაც დაიღალნენ, ამიტომ ახლა ისინი დადუმდნენ. ლოცულობენ და ტირიან. იმ ღმერთს ეხვეწებიან დახმარებას, რომელთან მისვლაც დავასწარი, ორი ათწლეულის წინ და ვთხოვე დახმარება, აღარავისთვის მიმეცა უფლება, დავეჩოქებინე. მათ არ იციან ჩემი და ღმერთის მაშინდელი საუბრის შესახებ, ამიტომ ამაოდ შესტირიან.

ახლა ოცდათორმეტი წლის ვარ და დიდი ხანია აღარ ვიფსამ, აღარც ენა მებმის, ჩემი საწოლის ქვეშ კი ისევ ცხოვრობენ ურჩხულები, ისევ კოშმარებს ვხედავ, მაგრამ მე ამ კოშმარებში ცხოვრება ვისწავლე. ისევ მახსოვს და მიყვარს ზოოპარკის ავტობუსი, რომელიც ვერ ავაწყვე, მაგრამ ნამტვრევებს ჩემს უჯრაში ვმალავ. ვმალავ, რათა დროდადრო დავხედო და გავიხსენო... თუმცა არაფრის გახსენება არ მჭირდება, ყველაფერი ისედაც მახსოვს და ამ წლებში არაფერი შეცვლილა, არაფერი შეცვლილა ერთი რამის გარდა: ახლა უკვე ვიცი, რომ ეს დედააფეთებული ცხოვრება ნამდვილი ბრძოლაა და ამ ომში მარტო ხარ, არავის უნდა სთხოვო დახმარება, მარტომ უნდა იომო და არაფრის შეგეშინდეს, აბა რა, ბოლო-ბოლო კაცი ხარ, მთხლე ხომ არ ხარ!

მეშვიდე ანუ უკანასკნელი

პირველი პაპაა, მეორე – ბაბო, მესამე – მამა, მეოთხე – ძია დავითი, ბერლინში მცხოვრები აგერ უკვე ოცი წელია, მეხუთე – მარტა, დავითის (სავარაუდო) შვილი, მეექვსე – თოჯინა ლილე, მე მეშვიდე ვარ ანუ უკანასკნელი. ეს სია ზედმიწევნით აქვს დაზეპირებული, კარგად ნამეცადინები, მრავალჯერ გამეორებული, ერთი ამოსუნთქვით სათქმელი. ჩამოარაკრაკებს, როგორც იმ ლექსებს, მე რომ ძილისწინ ჯერ კიდევ მუცლად მყოფს ვუკითხავდი. სიის ბოლოში მე ვარ...

გაჭირვებით ვახელ თვალებს. სინათლის პირველ ჭრილში, რომელიც ჩემს მზერას ეგებება. შუახნის ქალის დამანამუსებელ სახეს ვხედავ. სასწრაფოს ექიმია. ადგომას ვცდილობ, ყველაფერი ტრიალდება, სამყარო იწყებს ბრუნვას და მე გული მერევა.

წრეში ვარ მოქცეული, ეს რამდენი მეზობელი მყოლია.

– რაღაცამ მაწყინა, ალბათ ვადაგასული იყო, – ძლივს ვამბობ.

ჩემი მეუღლის ძვირფასი დედიკო დიდი მზრუნველობით მკიდებს ხელს და აბაზანაში მივყავარ. მივხედავ-მეთქი თავს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვარწყევ და მერე გაჭირვებით ვიხდი მაისურს. ის კიდევ ცდილობს, დაბანაში დამეხმაროს. არ მსიამოვნებს ცივი წყალი. სიკვდილი მირჩევნია სირცხვილის კორიდორის გავლას, მაგრამ წასასვლელი არსად მაქვს. მინდა თვალები დავხუჭო და დავიძინო. მინდა, დავიჯერო, რომ ეს ცუდი სიზმარია, დღევანდელი დღე არ ყოფილა, არც გუშინდელი, არც გასული ცხრა წელი. არ უარსებია ჩემს ცხოვრებაში ამ წლებს, არც ამ სახლში ვყოფილვარ არასდორს, არც ეს ადამიანები მინახავს.

– საწყალი ბავშვი, გული ჰქონდა გახეთქილი, ამას მოუკვდეს ჩემი თავი, – ისეთი სასომიხდილი ამბობს, გეგონება ეს პირველი შემთხვევა იყოს, როცა შეეშინდა. თითქოს არასდროს უნახავს, როგორ სდიოდა დედამისს ტუჩებიდან სისხლი, არასდროს უნახავს, როგორ ტიროდა, როგორ ეგდო გონდაკარგული იატაკზე, როგორ კვდებოდა...

– ალკოჰოლური ინტოქსიკაცია! – როგორც იქნა ხმას იღებს ექიმი, – ხშირად გემართებათ ასე?

– წინა კვირასაც ძლივს მოვაბრუნეთ, მაგრამ ახლა ნამეტანი მოუვიდა. ბავშვი ისე იყო, შემეშინდა, სისხლი არ გაუთეთრდეს-მეთქი, – ისევ მასწრებს პასუხს.

– წინა კვირას წავიქეცი, – ძლივს ვიღებ ხმას. ირონიული ღიმილით შემომყურებენ.

წინა კვირას მართლა წავიქეცი. მაღაზიიდან ვბრუნდებოდი, ბავშვს ნაყინი ვუყიდე, კვერცხი ვიყიდე, დილით სკოლაში წასვლამდე შევუწვავ-მეთქი, ერთი ბოთლი ლუდი. ფეხი წამოვკარი რაღაცას. ეს გადაქლეტილი იდაყვი მაგისგან მაქვს. აი, ეს ბარძაყზე დალურჯებაც, ქვას დავცხე ისე მწარედ, ვერ იქნა და ვეღარ მომირჩა. გაშავებაშია უკვე წასული. ეს თვალი... არა, ეს თვალი იმ წაქცევის არაა. ეს ჩემი ქმრის მუშტის ამბავია. რაღა დაგიმალო და ქვაზე უფრო მწარე კია მისი დარტყმული.

– როდის დაიწყო? – კითხულობს ექიმი.

როდის დაიწყო? – ახლა მე ვეკითხები საკუთარ თავს, – ზუსტად არ მახსოვს. შეიძლება მაშინ, როცა პირველად დამარტყა, შეიძლება მანამდეც, რომ დალია და ეძებდა ვისთვის დაერტყა, შეიძლება ის ქალი რომ გაიცნო, იმ დროს დაიწყო... შეიძლება მაშინ, როცა მივხვდი, თითქოს ცოცხალი აღარ ვიყავი, ჩავიკირე, ჩავბეტონდი და საერთოდ აღარაფერს ვგრძნობდი. დიდი ძილი ჩამოდგა ჩემს გულსა და სხეულში, რადგან აღარც კი მახსოვს, როდის ვიგრძენი თავი ქალად, როდის ჩამეხუტა კაცი, რომელსაც შვილი გავუჩინე, რომელიც მიყვარდა.

ისე მიყვარდა, რომ მის გვერდით მსურდა ბოლო ამოსუნთქვამდე გაღვიძება. ახლა კი ის აღარ იყო ჩემი ადამიანი, უცხო და ავი კაცი იყო, ვეღარ ვთავსდებოდით კედლებში, რომელიც მუდამ ცივი და მდუმარე დარჩა და ვერასდროს მიმიღო, ვერასდროს მექცა სახლად. მოდიოდა და მოჰქონდა გულის ჯიბით ტკივილები, შიშები და ბრაზი, მერე ჩემს სხეულზე ალაგებდა ყველა რისხვას, და მე ვრჩებოდი ისეთი მარტო, საკუთარი თავიც კი აღარ მყავდა. ვრჩებოდი მარტო და ზუსტად ვიცოდი, არავინ იყო, ვინც გადამარჩენდა. ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი წაშლილიყო, რასაც ჩემგან ადამიანი უნდა გამოეძერწა, იქნებ ამიტომ გავმხდარიყავი ცემენტის ქალი, უსახო, უსახელო, უფორმო მასა, ცარიელი და ცივი, როგორც სიკვდილი.

იქნებ ამიტომ დავლიე იმ დღეს. უკონტროლოდ დავლიე, ბევრი აღარ მჭირდებოდა, ხანდახან მეჩვნებოდა, რომ სისხლი და წყალი, რომელსაც ჩემი სხეული ფლობდა, დიდი ხანია დამეკარგა ჭრილობებიდან წვეთ-წვეთად, ცრემლისა და სისხლის წვეთებად იმ გრძელ ღამეებში. ახლა მხოლოდ ალკოჰოლი დიოდა ჩემს ძარღვებში და ბევრი აღარაფერი მჭირდებოდა, სულ ორი ჭიქა, პირთამდე ავსებდა ჩემს მოთმინებას, თითქოს დაძაბუნებულ სულს სძენდა ძალას და მერე მე ვამტვრევდი, მე ვილანძღებოდი უშვერად, მე ვჩხუბობდი, მე ვყვიროდი, მე ვურტყამდი და ეს გაბუჟებული სხეული, საპასუხო დარტყმებს ვერ გრძნობდა. სასმელი დავიწყებაში მეხმარებოდა, სულ ცოტა ხნით, მაგრამ ესეც რაღაც იყო. აღმართზე თუ გივლიათ, პირის გაშრობამდე, სუნთქვის გახშირებამდე, შუა წელთან თუ შეჩერებულხარ და წამით ღრმად ამოგისუნთქავთ, ისინი მიმიხვდეთ იქნებ. ჩემთვის ეს წამიერი დავიწყებაც ამოსუნთქვა იყო, ღრმად ამოსუნთქვა, იმ აღმართზე გზის გაგრძელებამდე. მაგრამ ჩემი აღმართი თქვენს სავალს არ ჰგავს. ჩემი მწვერვალი ცასთან ვერ მაახლოებს, იქიდან არაფერი მოჩანს, არ გამოჩნდება არც ფართოდ გადაშლილი ველები, არც ვენებივით ამოყრალი

მდინარეები, იქიდან არც ზღვა ჩანს და ადამიანები ხომ სულ უფრო და უფრო მშორდებიან. ამ გზის ბოლოს მხოლოდ უკეთესი თავისდასაღუპი ხრამები მოჩანს, უეჭველ დასასრულს რომ გპირდება. და მაინც მივიწევდი წინ და ვსვამდი და სულ ცოტა ხნით მაინც მავიწყებს. ძალას და სითამამეს მმატებს, როცა მისი ფეხის ხმა მესმის, აღარ მეშინია. ღამეც აღარ არის ისეთი გრძელი, როცა გვერდით მიწვება, არ ვფიქრობ იმ ქალის სურნელზე, რომელიც მის სხეულს აჰყოლია, არ ვფიქრობ იმ შეურაცხყოფაზე, იმ დამცირებაზე, რასაც ყოველ დღე მაყენებს, არ ვფიქრობ... ვწვები და უსიზმროდ მეძინება. ძალიან კარგია ხანდახან უფიქრო ღამეები. მაგრამ დილა მოდის და მოაქვს ხსოვნა გასული დღეების. დილა მოდის და მე ჩემს ნაადრევად გაზრდილ შვილს თვალს ვერ ვუსწორებ, დილა მოდის და მინდა ყველა სარკე დავამსხვრიო და აღარ ვხედავდე ჩემს ნაიარევებს, ჩემს ამღვრეულ თვალებს, შესიებულ ქუთუთოებს, ჩემს ნაადრევ ჭაღარას... დილა მოდის და ძალიან დიდი ტკივილი მოაქვს და მე ვერ ვუძლებ. ვეღარ ვუძლებს საკუთარი გულის ხმას და ისევ ვცდილობ დავიწყებას.

ჩემი ყოველი დღე მოლოდინია, დასასრულის მოლოდინი. და ვერ მივდივარ, რადგან არსად არავინ მელის, არსად არავინ მიღებს კარს... როცა პირველად დამარტყა, ჩემი დედამთილი სერიალს უყურებდა და წამით არ მოუცილებია თვალი ეკრანისთვის. ჩემი მამათილი იჯდა და მშვიდად ჭამდა ლობიოს, ლუკმა არ გადასცდენია, იჯდა და თავაუწევლად აგრძელებდა ჭამას. ჩემი შვილი, ჩემი პატარა შვილი ტიროდა, მეზობლები კი ფარდის მიღმა იდგნენ წაგრძელებული ყურებით და ცდილობდნენ სიტყვა არ გამორჩენოდათ. მე დილითვე ჩავალაგე ნივთები, წავიყვანე ბავშვი და წავედი. დედაჩემმა კარგად მიკეტა კარი და მითხრა: კაცია და ეტყობა გაბრაზდა, შეიძლება სამსახურში ჰქონდა ცუდი დღე, ყველაფერი ხდება, ვის არ მოსვლია. მიდი, მშვიდად დაელაპარაკე, ამის გამო ვინ ანგრევს ოჯახს. ერთი ღამეც არ გამაჩერა სახლში, დაბინდებულზე ჩამსვა მანქანაში და თავად დამაბრუნა. ისევ რომ დამარტყა, ნერვიული შეტევა დამემართა. სასწრაფო გამოიძახეს. დედაჩემსაც დაურეკეს. განრისხებული იყო: გიჟს დაგიძახებს ხალხი, თავი შეირცხვინე, სულ გასწავლიდი, ოჯახის საქმე გარეთ არ უნდა გავიდეს. შენ კიდევ მთელი ქვეყანა შეყარე. რით ვერ ისწავლე შენი ქმრის ხასიათი, რომ არ გააღიზიანო. მისთვის აღარ მიმიმართავს. მივხვდი, მარტო ვიყავი, სრულიად მარტო.

პირობას კარგად ვასრულებდი. კარი მივკეტე და როცა მირტყამდა, აღარ ვყვიროდი. ტუჩებს ვიკვნეტდი და ვითმენდი. თავიდან ვრძნობდი ბრაზს, მერე დამცირებას, ბოლოს კი თითქოს დავიჯერე, რომ დავიმსახურე, თავი არარაობად ვიგრძენი. საკუთარი თავი შემძულდა. ჩუმად ვიყავი, როცა მირტყამდა, მერე კი დილით, კარს რომ გაიჯახუნებდა, მე ვყვიროდი, ვუყვიროდი შვილს, ვუყვიროდი და ვურტყამდი. ჯერ შიში შევნიშნე მის თვალებში, მერე ბრაზი და ბოლოს მომაკვდინებელი სიცივე. სიცარიელე შემომყურებდა, ისეთი სიცარიელე იდგა, მივხვდი, რომ დავიღუპე. შეიძლება ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ჩემი შვილის, ჩემს სხეულში მომწიფებულის, ჩემს არსებობას შეზრდილის, ჩემი საშოდან ტკივილითა და ტანჯვით შობილი შვილის დიდ თაფლისფერ თვალებში სიმშრალე დავინახე, სიცარიელე, შიშისგან ამოლოკვოდა მზერა.

არ ვიცოდი, როგორ მეშველა საკუთარი თავისთვის და მაშინ იყო მაგიდაზე დატოვებული გაზგასული ლუდი, რომ დავლიე. შვება მომგვარა, შვება და სიმსუბუქე.

– როდის დაიწყო?

პირველი პაპაა, მეორე – ბაბო, მესამე – მამა, მეოთხე – ძია დავითი, ბერლინში მცხოვრები აგერ უკვე ოცი წელია, მეხუთე – მარტა, დავითის (სავარაუდო) შვილი, მეექვსე – თოჯინა ლილე, მე მეშვიდე ვარ, ანუ უკანასკნელი. შეიძლება ამ სიით დაიწყო ყველაფერი. ამ სიით და ჩემი დიდი დუმილით, მარხვასავით რომ ვიცავდი და დაზეპირებული ლოცვასავით ვიმეორებდი ყოველ ცისკარზე.

თოთხმეტი დღე

დღეს აღარ გადააცილებენ. დღეს უეჭველად მოვლენ. ასე თქვეს, თოთხმეტი დღეო. აგერ ესეც თოთხმეტი დღე. ყველაფერი მზად არის. ან კი რას დატოვებდნენ მოუგვარებელს. ვინ გინდა რომ თავს არ დამტრიალებდეს. არ დარჩა არავინ, კაცი გინდა თუ ქალი, ყველა ფეხზეა. ეს ნათესავები ხომ დედაწულიანად, მეზობლები ხომ თავისთავად, მეგობრები გინდა, შინაური გინდა თუ გარეული. თოთხმეტი დღეა, თოთხმეტი დღეა თვალი არ მოგვიხუჭავს.

თოთხმეტი დღის წინ დარეკეს. თუმცა ყველაფერი ცოტა ადრე დაიწყო. რაღა ცოტა, აგერ უკვე თერთმეტი თვეა...

იმ საღამოს შემოვიდა თუ არა, კარის მიხურვის ხმაზევე მივხვდი, ნასვამი უნდა ყოფილიყო. ბოლო დროს ძალიან მოუხშირა. ადრეც სვამდა, მაგრამ ზომიერად, როგორც ყველა – ლხინსა და ჭირში. ამ ბოლო დროს კი, უმიზეზოდ. ღამე ისე არ გავა, რომ კარგად გადადაისებულზე არ მოვიდეს, სად დალიე-მეთქი, ვკითხავ და ბიჭებმა პური ვჭამეთო. ხან ასე ვუთხარი, ხან – ისე, ვერაფერი შევასმინე. ისედაც ძალიან გაღიზიანებულია. მოვა ნასვამი და ვიტყვი, ახლა დალეულია და რა უნდა ვუთხრა, გათენდება და დაველაპარაკები-მეთქი. დილა მოვა და ესეც ფეხდაფეხ აჰყვება მზეს და გამისხლტება ხელიდან. მეჩქარება, ჩემო ვარდოო, რაღაცას ველოდებითო, დღეს აუცილებლად იქნება რამეო. ამის დედა ვატირე, როგორი ნავსი დღეები მიეწყოო.

საღამოს ისევ მთვრალი რომ მოდის, ვიცი, არც იმ დღეს გამოვიდა არაფერი. ადრე კარგად შოულობდა, კარგად რა, საწუწუნოდ არ იყო საქმე, თავი გაგვქონდა. გაჭირვება იყო, მაგრამ ვის არ უჭირს. ეგრეა ეს ქვეყანა, გაღატაკებულია ხალხი. როგორც სხვები, ჩვენ რა მარაქაში არ ვერიეთ?! ჩვენც ასე მიგვერეკებოდა ცხოვრება. ბოლო დროს საქმე ცუდად წავიდა. ვინ დამწყევლაო. ვინა და დეპუტატმა რომ ჩაიგდო ხელში ყველაფერი და უმუშევარი დავრჩით, ახლა მაგას როგორ ვიკადრებდი მეთქვა და გულში კი ვფიქრობდი.

ერთი ხანობა ნისიაზე ვეზიდებოდი ცოტა რამეებს – ძირითადად, პურსა და კრუპეულს. მერე ნაზიკომ მითხრა, როდის უნდა მოიტანოო, მე ვუთხარი, მალე-მეთქი. რა მალე, ქალო, შენ არ მუშაობ და შენი ქმარი და ღმერთი დოლარებს ციდან ხომ არ ყრისო. დიდი ხათრი მაქვს, თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა მაქვს. ჩემი იყოს, ვინ მამაძაღლი, მეცა ქა, მუქთად ვინ რას მომცემს, ეს დისტრიბუტორები უკვე ცუდი თვალით მიყურებენ, არ გავუსტუმრებ ვალსა და დამტოვებენ ხახადაფჩენილსო. დღესღა და არ გეწყინოს, მეტად ვეღარ გაგიმართავ ხელსაო. არაფერი ვალი და დისტრიბუტორი არ იყო, მაგრამ მართალს ამბობდა, ჩვენ არ ვმუშაობდით და კაცმა არ იცის, როდის დავუბრუნებდით ფულს.

რომ გაიგო, საღამოხანი იყო, პურს ჭამდა და ნახევრადგაღეჭილი ლუკმა ერთხანს ასე ედო პირში და გადაყლაპვა კი დავიწყნოდა. მერე ისე გაფითრდა, ვიფიქრე ესაა და გული გაუსკდება-მეთქი. ძლივს-ძლივ ასწია სხეული. სიტყვა რა არი, სიტყვა არ დაუძრავს, ეგრევე ადგა, სანახევროდ შეჭმული კერძი მიატოვა და ტანსაცმლითვე მიწვა.

იმ საღამოს კიდე ცოტა ადრე მოვიდა, შემოვიდა, დაჯდა, მოდი, გოგო, ცოტა ხანს დამიჯექ, რაღაც მაქვს სათქმელიო. ეგეთები არ იცოდა და გულმა კი რაღაცნაირად გამკბინა, მაინც მივედი და მივუჯექი. ბეჭებში გამდიოდა ჭვალი, რაღაცას მიგრძნობდა სხეული. და მაშინ არ იყო რომ მითხრა, არა და არა-მეთქი. შენ თუ მაგას იზამ, დავავლებ ამ ბავშვებს ხელს და ახლავე წავალ-მეთქი. სად ვიყავი წამსვლელი, ორივემ კარგად ვიცოდით, არსად წასასვლელი მე არ მქონდა. მაშ რა ვქნაო, აღარ ვიცი, გადავხტე ხიდიდანო? ასეთი ცხოვრების დედაცო, აღარ შემიძლია ამ ბავშვების ასე ყურება,

ვერა ხედავ ყვითელი ფერი დაედოთ ამდენი შიმშილითა და სიცივითო. აღარა ვარ ცოდვითო, მეც ხომ კაცი ვარ, მეც ხომ ადამიანი ვარო. ის ღამე ორივემ თეთრად გავათენეთ. ვიწექით ზურგშექცევით, ფართოდ გახელილი თვალებით და პირდაფჩენილ ღამეს შევყურებდით. ამ ბებერ კედლებს თითქოს გაეღვიძათ, მათი დამარილებული სახსრები საწყალობლად ღრჭიალებდნენ და ეს ღამე ჩვენც თითქოს სათითაოდ გვიმსხვრევდა ძვლებს.

აზრი არ შემიცვლია, უბრალოდ სხვა გზა არ მქონდა, ჩემი უსუსურობის გამო მცხვენოდა. თვალებში არ შეგვიხედავს ერთმანეთისთვის. ისე ჩავულაგე დილით ნივთები, არც ბავშვებისთვის უკოცნია, ისე ვითომ შემთხვევით წამოადგა თავს მძინარეთ, ერთ ხანს დაჰყურებდა, თითქოს ხელიც გაიწვდინა, მაგრამ გეგონება რაღაც ძალამ არ მიუშვაო. კარში რომ გადიოდა, მე გულში ვითვლიდი, ერთი, ორი, სამი, ოთხი... ვითვლიდი, რომ მოთმინების ძაფი არ გამწყდარიყო და ყველა უთქმელ სიტყვას, ყველა გათენებულ ღამეს, ყველა ცრემლის მიზეზს ერთად არ ეფეთქა. კართან შედგა. მხრები ძლივსშესამჩნევად უთრთოდა, არ მობრუნებულა, უცხო ხმით თქვა, თითქოს სხვას ელაპარაკებოდა: თქვენზე არ ვნერვიულობო, ყოჩაღი გოგო ხარ და შენი იმედი ყოველთვის მაქვსო.

მე ყოჩაღობაში ვერ გამოვდექი. ის დღე კი ბოლომდე ვიმაგრებდი თავს, მაგრამ ბავშვები რომ მივაძინე და შუქი ჩავაქრე, იატაკზე მოვიკუნტე, საკუთარი თავი ჩავიკარი გულში და ძალიან დიდხანს ვტიროდი. ყველა დაუღვრელი ცრემლი დავღვარე, დავიშრიტე, დავცარიელდი. ყველა ემოცია წავიდა ჩემგან, ყველა ტკივილი დავაძინე. მას შემდეგ დავდივარ დაშრეტილი სისხლძარღვებით, გამოფიტული, გვალვიან მიწასავით დახეთქილი სულით.

ყველა სარკმელი დავხურე და მძიმე ფარდები ჩამოვუშვი. აღარც ხმა მინდოდა გამეგო და აღარც დანახვა მინდოდა იმ ზღვის, რომელსაც ჩემი ქმარი წაეყვანა. მეზღვაურების ცოლებს სხვა სამყარო აქვთ, არავის შეუძლია ჩვენი გაგება, არავის ესმის ჩვენს გულში რა მიქცევა და მოქცევაა. ლოდინს ვსწავლობთ, გაუთავებელი მოლოდინით ვსწავლობთ ცხოვრებას.

სამსახური რვაზე უმთავრდება. ცხრის ოც წუთზე უკვე მოწესრიგებელია, კაიუტაშია და უნდა დარეკოს. მალი-მალ დავყურებ ტელეფონს, დრო უსასრულოდ იწელება, ცხრის ოცდაერთ წუთზე უკვე ნერვიულობას ვიწყებ, ყველაფერზე ვფიქრობ, არც ერთ ფიქრში არაფერი ხდება კარგი. იმ საღამოსაც კარგა ხანს ვილაპარაკეთ. მეორე დილით რომ დარეკა, დიდხანს, დიდხანს დავყურებდი ტელეფონის ეკრანს და ვერ ვპოულობდი ძალას, მეპასუხა. მთელი სხეულით, თმის ყველა ღერით, სისხლის ყველა წვეთით ვგრძნობდი, რომ რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა. სამყარო კი თურმე არასდროს აცრუებს შენს მოლოდინს.

თოთხმეტი დღე დაგვჭირდებაო. მითხრა კაპიტანმა დაღლილი კაცის ხმით და დააყოვნა ყურმილის დადება. მერე უხერხულად ჩაახველა და კავშირი გაწყდა. მე კი ვიდექი, ჯერ ისევ პერანგისამარა, ერთი ფეხი ჩამეყო ჩუსტში, მეორე გაყინულ იატაკზე მედგა, ბავშვებს მშვიდად ეძინათ. ჩემში ვიღაც მთელი ხმით კიოდა, მე კი ვიდექი და ხმა საერთოდ აღარ მქონდა. მერე ბავშვები გავაღვიძე. საწოლები გავასწორე. შავი კაბა ვერ ვიპოვე და უფროსი ნათიასთან ჩავგზავნე, რამე მათხოვო-თქო იქნებ. ფარდები ჩამოვყარე. ნაჩქარევად ჩავრთე სარეცხის მანქანა. სკამი მივიდგი, ფანჯრის რაფაზე ავედი არყიან წყალში დასველებული გაზეთით, ასე კარგად პრიალდება მინები. ის იყო წმენდა დავიწყე და ზღვას მოვკარი თვალი. იწვა უსირცხვილოდ, მშვიდად. ისეთი გულმართალი ჩანდა, ისეთი უდანაშაულო. შემზარა მისმა სიმშვიდემ. ლურჯი იყო, ცასავით სუფთა, აუმღვრეველი. მე კი მთელი სხეული მემღვრეოდა, მიღელავდა გული, წალეკვას მიპირებდა, თითქოს ჩემი სული სხეულში ვეღარ ეტეოდა და მისგან გათავისუფლება სურდა. ზღვა დუმდა. მე კი ასე ფანჯრის რაფაზე შემომდგარმა მთელი ხმით ვიბღავლე. ეს მარტო ჩემი ტკივილი არ იყო, ყველა მეზღვაურის ცოლის ნაცვლად ვწყევლიდი ზღვას, ყველა ქალის ნაცვლად შევტიროდი, რომლისთვისაც საყვარელი კაცი მოუტაცნია.

ამოძრავდნენ კედლები, შედრკნენ მინები, შეირხა სამყარო თითქოს, ძლივს-ძლივობით ჩამომიყვანეს. მერე ჩემ ნაცვლად, წმენდნენ და აწესრიგებდენენ, ჩემ ნაცვლად დააცარიელეს მისაღები ოთახი, შემოარიგეს სკამები, მოამზადეს სანთელი და საკმეველი, უსმელი წყალი და ზეთი, ხორბალი და ძაძები. ჩემ ნაცვლად დატრიალდა სამეზობლო, ჩემ ნაცვლად მიდგნენ-მოდგნენ.

დღეს აღარ გადააცილებენ, ასე მითხრეს. დღესღაო და. ვზივარ და ვუცდი. ვერაფერზე ვფიქრობ. ფიქრი მერე მოვა, მერე როცა ისევ მარტო დავრჩები. ახლა კი სახლში ჩემი ადგილი აღარაა. აგერ წინ და უკან ოჯახის თავკაცივით დადის დეპუტატი და დავალებებს იძლევა. აგერ ვიღაცები სიას წერენ, ნაზიკოც მოსულა. ეს რამდენი მოკეთე და გულშემატკივარია, ეს რამდენი მეგობარი და მეზობელი შემოკრებილა... სახლს ვეღარ ვცნობ. ეს სახლი მარტოობას არის შეჩვეული. ამ სახლს ხალხი დავიწყებია. კედლები ყურებზე ხელს იფარებენ, რადგან არ არიან შეჩვეული ამდენ ხმაურს. ჩვენ მარტოობის პიმშოები ვართ. მარტოები ვიყავით თოთხმეტი დღის წინ. ესეც მეთოთხმეტე დღე. დღეს აღარ გადააცილებენ. ჩაივლის ეს ამბებიც. და ისევ დადგება მარტოობა. მერე ჩავხედავთ თვალებში ერთმანეთს მე და ეს დამშეული კედლები და ვეცდებით დავივიწყოთ სიტყვები, რადგან სამყარო ისევ აიფარებს ხელისგულებს ყურებზე და ვერავინ, ვერავინ გაიგებს ჩვენს ძახილს.

სად დაიკარგა ღმერთი?!

მამა ლოთია. სვამს განუწყვეტლივ. დედა მთელ დღეს წყევლის. მეზობლები მასხრად იგდებენ. მეგობრები აღარ ჰყავს. მამას ცუდი სუნი აქვს და მე მიჭირს მისი კოცნა. მამა ხშირად მოდის დასველებული შარვლით და მრცხვენია მის გამო. მამა ოჯახ-ოჯახ დადის და ფულს თხოულობს არყის საყიდლად და ამ დროს მე ის მეცოდება. მამას ექიმმა თქვა, ღვიძლი ეშლებაო, მაგრამ მე დავივიწყე ეს ამბავი. თუ არ მეცოდინება, არც არაფერი მოხდება, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარს და, მართალია, ვერ ვამართლებ დედასთან, რომელიც ჩვენს ყველა უბედურებას მას აბრალებს და ოჯახის შემარცხვენელს ეძახის, მაგრამ გულის სიღრმეში მე ვცდილობ, მის საქციელს ახსნა მოვუძებნო.

მამა ლოთია, დედა მაღაზიაში მუშაობს კონსულტანტად. 150 ლარი აქვს ხელფასი. დილით მიდის 8 საათზე და ღამით ბრუნდება, ხან საერთოდ არ ბრუნდება. ამბობს, აღწერა გვქონდაო. არ ვიცი, იქნებ მასეცაა, მაგრამ ამას წინათ თინიკოსთან რომ მივედი, გავიგე დედამისი როგორ ეუბნებოდა მეზობლის ქალს, სულ არ მინდა ეს ბავშვი ჩვენთან მოდიოდეს, მამა „ბრაძიაგა“ ჰყავს, დედა – ბოზიო. რაღაც მოვიმიზეზე და თინიკოს სასწრაფოდ დავემშვიდობე. მთელი საღამო ვტიროდი. არ ვიცი, როგორ გავაგრძელო ცხოვრება, ამის შემდეგ, რაც უნდა ვაკეთო, მე ვიქნები ლოთისა და ბოზის შვილი. სიკვდილი მინდოდა, წამლები მოვძებნე და დალევას ვაპირებდი, მაგრამ შემეშინდა. სიკვდილსაც ხომ გმირობა სჭირდება. მე კი გმირი არ ვარ, მე უბრალოდ ბავშვობის გარეშე დარჩენილი ბავშვი ვარ.

მე 13 წლის ვარ. ჩემი ძმა გიორგი – 7, პატარა დაიკოც გვყავს, 3 წლის ნიცა. ძალიან მგავს, ჩემსავით „რიჟაა“ და ჭორფლიანი, გაბერილია გასაფრენად გამზადებული ბუშტივით. მე მანჩო მქვია. უფროსი ვარ და და-ძმის მიხედვა მე მევალება. უნდა გავაღვიძო, ჩავაცვა, საჭმელი ვაჭამო, და ბაღში დავტოვო, ძმა სკოლამდე მივაცილო. მერე საღამოსაც მე გამომყავს ნიცა ბაღიდან, ვაჭმევ, ვეთამაშები და ვაძინებ. მოკლედ, პატარა დიასახლისი ვარ. ნელ-ნელა ყველაფერი ვისწავლე, ერთი დაუთოებას ვერ მივეჩვიე, ყოველთვის აქვს ნაკეცები ჩემს გაუთოებულ პერანგებს და კლასელები ამაზე ხშირად დამცინიან.

ძალიან გვიჭირს, არც მახსოვს ბოლოს ხორცი როდის ვჭამე, აა, კი, მახსოვს, მაიკო დეიდამ რამდენიმე თვის წინ ქათმის ჩახოხბილი შემოგვაწოდა. ერთი თეფში იყო, მაგრამ 5-ად გავყავი. ჩვენ

ვჭამეთ, საღამოს დედამაც ჭამა და მამას წილი ნიცას აჭამა. მაგას არაფერში სჭირდება, არყის მეტი არაფერი უნდაო. იმ ღამეს ვიტირე. მგონია, რომ მამა მსოფლიოში ყველაზე მეტად მიყვარს და მძულს, მეცოდება და ვბრაზობ. მამა რომ არ სვამდეს, ახლა ჩვენ სხვანირად ვიცხოვრებდით, დედაც სხვანირი იქნებოდა და ჩვენც.

დედა ფიქრობს რომ მამა მალე მოკვდება, ფიქრობს კი არა, მგონი, ეს უფრო მისი სურვილია. რამდენჯერმე გვითხრა, თუ სახლში მოხვედით და მამას ისე ღრმად ეძინა, რომ ვერ გააღვიძეთ, არ შეგეშინდეთ, სმამ იცისო. ჰგონია, რომ მძინარე და მკვდარ ადამიანს ვერ გავარჩევ, ვერ ხვდება, რომ გავიზარდე და ისე აღარ უნდა მელაპარაკოს, როგორც ბავშვს. მეშინია მამას გამო და ხშირად ჩუმად ვაყურადებ მის სუნთქვას.

მამას ძალიან ფხიზელი ძილი აქვს, ჩვენ მოსვლაზე ყოველთვის ეღვიძება. წამოჯდება, ნიცას კალთაში ჩაისვამს და კოცნის. მე და გიოს აღარ გვეფერება. დედა გვაფრთხილებს, მამამ თუ მოფერება გთხოვათ, გაიქეცითო. მას მამა ურჩხული ჰგონია. არა და ვხედავ, როგორ ზის და მიყურებს, როცა ვალაგებ ან ვაუთოებ.

– რამხელა გახდი, შე შობელძაღლოო, – მეუბნება ხანდახან და მე არ მწყინს, რადგან ვიცი, ასე გამოხატავს სიყვარულს.

შარშან ზამთარში, ძალიან ციოდა და ტანსაცმელს ვრეცხავდი. იმ დროს მოვიდა სახლში, სიცივისაგან დაწითლებულ ხელებს იღლიებში რომ ვითბობდი. თავზე დამადგა, მთვრალი იყო, არყისა და ჭუჭყის სუნი ასდიოდა. როცა დამინახა, როგორ ვცდილობდი საპნიანი წყლის გადაღვრას, მოხმარება სცადა, წაბარბაცდა და წყალი დაღვარა. მე ტილოს მოსატანად გავედი და როდესაც მოვედი, იატაკზე მჯდარი დამხვდა. იჯდა და ტიროდა.

– მაპატიე, მამა, – მითხრა და თავი ხელებში ჩარგო. ვიცი, ეს წყლის დაღვრის გამო არ უთქვამს. ისიც ვიგრძენი, იმ წუთას სიმთვრალე არ ალაპარაკებდა. მისი ყოფა ისეთი რთული იყო, მივხვდი თმის ყველა ღერი სტკიოდა. მომეჩვენა, საკუთარი თავი სძულდა. მაშინ გავიაზრე, აუცილებელი იყო მისთვის სმა, ვიცოდი, ასე თავის გადარჩენას ცდილობდა.

გიორგის და ნიცას მამა არ უყვართ. გიორგი პატარა იყო, როცა მამამ სმა დაიწყო და აღარც ახსოვს როგორი იყო მანამდე ჩვენი ცხოვრება. ნიცას მამასი ეშინია და, საერთოდ, ხანდახან მამიდას სიტყვები მახსენდება, არ მჯერა, ეგ რომ ჩემი ძმისშვილია. ჭირის დღესავით სძულს ცოლს ჩემი ძმა და შვილს გაუჩენდაო?!

არ ვიცი, ნიცას ამბავი მართალია თუ არა, მაგრამ დედას მამა რომ სძულს, ეს დანამდვილებით ვიცი. ამ ზამთარს ყინავდა, მამა მთვრალი მოვიდა და დედამ კარი არ გაუღო. შიგნიდან ჩაკეტა. რამდენჯერმე დააბრახუნა კარზე და მერე, ეტყობა, ჩხუბის თავი არ ჰქონდა, ერთი კი გავიგონე: მოგიტყან გამზრდელიო და იქვე აივანზე ჩაეძინა. საბანი მეფარა და ძალიან მციოდა, ფეხის თითები გაყინული მქონდა, წარმოვიდგინე როგორ შესცივდებოდა მამას. შემოვუშვათ, შესცივა-მეთქი, ვთხოვე, მაგრამ, დაეგდეო, – დამიყვირა. ნეტამც არ იქნება, გაიყინოს და მოკვდეს, დავისვენებთ, აღარ შეგვარცხვენს მაინცო. ძილი გამიფრთხა, ვიწექი და ველოდებოდი გათენებას, რომ მენახა, მამა ცოცხალი იყო თუ არა.

ხან დედას თვითონაც მოაქვს არაყი. არ ვიცი, ეცოდება თუ უბრალოდ არ უნდა, რომ გამოფხიზლდეს.

მახსოვს მამა ფხიზელი, მახსოვს როგორ ვუყვარდი, მაგრამ არ მახსოვს, დედას და მამასაც თუ უყვარდათ ერთმანეთი. ისინი სულ ჩხუბობდნენ და მე ამის გამო, სახლის უკან ბოსელში ვიმალებოდი. მამა ცდილობდა, ჩემი თანდასწრებით არ ეჩხუბა, მაგრამ ღამე, როცა ეგონათ, რომ მეძინა, საათობით ყვიროდნენ, მერე მამა ნაჩქარევად იღებდა ტანსაცმელს, კარს გაიჯახუნებდა და მიდოდა.

დედა ტიროდა და გამთენიისას ეძინებოდა, მე კი ჩამეძინებოდა თუ არა, კოშმარები მესიზმრებოდა და ტირილით ვიღვიძებდი. დილით დედა დგებოდა შესიებული ქუთუთოებით და ჯამების ბრახაბ-რუხით ამზადებდა სადილს. მამა ყოველ დილით ისე შემოდიოდა სახლში, თითქოს ამ წუთას გავიდა ეზოშიო. მოდიოდა, რათა სამსახურში წასვლამდე ბაღში მივეყვანე. საღამოსაც ის მაკითხავდა.

ერთ დღეს ბაღში არ მომაკითხეს და მასწავლებელმა თვითონ მომიყვანა სახლში. ეზოში ყვირილისა და მინების მსხვრევის ხმა ისმოდა. მაშინ მე უკვე მე-6 წელში ვიყავი, მივხვდი, ისევ ჩხუბობდნენ, ნუნუ მასწავლებელს ვთხოვე, აღარ მინდა, ახლა ჩემით შევალ-მეთქი, მაგრამ არ დამანება. მაინც სახლში შემაცილა. ოთხაში მაშინ შევედით, როცა მამას დედასთვის ყელში ჰქონდა ხელი წაჭერილი და კედელთან მიყუდებულს აგინებდა, წივილი ავტეხე. მამამ ხელი უშვა და სახლიდან გავარდა. ნუნუც უკან მიჰყვა. იმ ღამეს შიშზე კრუნჩხვა პირველად დამემართა. მეორე დილით ბაღში მეზობელმა წამიყვანა. როცა მივედი, დავინახე, როგორ იდგა ნუნუ მასწავლებელი ოთახის შუაგულში და უყვებოდა მშობლებს წინა დღეს ჩემს ოჯახში მომხდარ ამბავს.

და აი, იმ წამს დავკარგე ნდობა ადამიანების მიმართ. ნუნუ იყო პირველი ადამიანი, რომელიც შემძულდა. მთელი დღე ცუდად ვიყავი, სიცხემ ამიწია. მეორე დღიდან ბაღში აღარ წავსულვარ. გაზაფხული იყო, სამ თვეში ისედაც ვასრულებდი ბაღს, რადგან დედას დილით გამღვიძებელი და ბაღში წამყვანი აღარ ჰყავდა, ამიტომ ჩემი პროტესტი მისთვის ერთგვარი შვება აღმოჩნდა. არც ნუნუ მასწავლებელს მოვუკითხივარ, არც სხვა ბავშვების მშობლებს, ლაპარაკს კი ამ ამბავზე სოფელში წლების შემდეგაც არ წყვეტდნენ.

მამა შინ ორი დღის შემდეგ მოვიდა. ისეთი მთვრალი იყო, ფეხი ერეოდა და მაშინ პირველად შემეშინდა მისი, როცა დავინახე, ტირილი დავიწყე.

– ბავშვსაც კი შეაძულე თავი, – უთხრა დედამ და მამა ისე გაბრაზდა, კარი ჩაამტვრია და რამდენიმე თვე ზეწარი ასრულებდა მის ფუნქციას.

სმის დაწყებიდან რამდენიმე თვეში მამა სამსახურიდან გამოუშვეს და დავრჩით ფულის გარეშე. თავიდან მეზობლები გვეხმარებოდნენ, მერე ყველას მობეზრდა ჩვენი გამოკვება, არც გაემტყუნებათ, არავის ჰქონდა მოჭარბებული და დედამ სამსახურის ძებნა დაიწყო. სახლებს ალაგებდა და სადილს აძლევდნენ, მერე ერთი წელი ძიძად იმუშავა, შედარებით უკეთესად ვიყავით, როცა დედა ბავშვს უვლიდა, მაგრამ ოჯახური პრობლემებით ისე ჰქონდა ნერვები გაფუჭებული, თავი ვერ შეიკავა და ერთხელ პატარას სცემა, ამის გამო, ლამის დააპატიმრეს. ისევ ულუკმაპუროდ დავრჩით.

ყოფილა დღეები, როცა პურიც არ გვქონია სახლში. ფილტვები დამისუსტდა და ორი თვე საავადმყოფოში გავატარე. გამოვჯანმრთელდი, მაგრამ კლასელებს დიდხანს ახსოვდათ ეს ამბავი, გვერდით არავინ მიჯდებოდა, ჭლექიანს მეძახდნენ.

ბავშვებს რა გაემტყუნებათ, ყველაფერი შეუძლიათ გართობის საშუალებად აქციონ, აი, მასწავლებელი კი სულ სხვა თემაა. მადონა, ჩემი მათემატიკის მასწავლებელი, როდესაც დავალების შესამოწმებლად მერხს უახლოვდებოდა, პირზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული და არ მიახლოვდებოდა. შორს დადგებოდა და კისერწაგრძელებული ჩაჰყურებდა რვეულს, ჩემს ნივთებს არც კი ეხებოდა.

– გადაშალე, გოგო, – მესროდა ხოლმე სიტყვებს ძაღლისთვის მიგდებულ ლუკმასავით, როცა ერთ გვერდს ჩაამთავრებდა.

ეს ყველაფერი ჩემს, ისედაც ნაბადივით ფეხქვეშგათელილ, თავმოყვარეობას სულ უფრო მეტად სვრიდა ლაფში, ამიტომ გამოსავალი ვიპოვე და საერთოდ აღარ ვასრულებდი დავალებას, მადონა მასწავლებელი ასე შეძლებდა ჩემგან რაც შეიძლება, შორს ყოფილიყო. მე მასზე ვზრუნავდი, მაგრამ მათემატიკის წითელპომადიანი მასწავლებელი, ყოველ გაკვეთილზე, კომენტარზე – დავალება არ მაქვს, სალათაზე მოყრილი მარილივით აყოლებდა: უთავმოყვარეო, დებილი, განუვითარებელი.

ერთადერთი საგანი, რომელიც მიყვარდა, ვსწავლობდი და სკოლაში სიარულის ტანჯვას აბალანსებდა, ქართული ლიტერატურა იყო. შარშან შემოდგომით, ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ გვქონდა და მთელი საღამო ვსწავლობდი. ხელი ავწიე, ადექიო, მითხრა. მოყოლა სიხარულით დავიწყე, მიხარია, ერთ საკითხში მაინც რომ შემიძლია სხვაზე უკეთესი ვიყო, მაგრამ ნანა მასწავლებელმა, გაჩერდი და კლასის ცენტრში გამოდიო. უხერხულად გავედი დაფასთან, ვცდილობდი, ისე დამედგა ფეხები, დაკემსილი რეიტუზი არ შეემჩნიათ ბავშვებს, მაგრამ თურმე სხვა უბედურება მელოდა:

– დაილაპარაკე, – მითხრა და ტუჩებზე გველივით გაუსრიალდა ღიმილი.

გაოცებულმა შევხედე.

– თქვი რამე!

– რა ვთქვა? – ვიკითხე დაბნეულმა.

– ბავშვებო, თქვენც ამჩნევთ ტუჩები როგორ ებრიცება ლაპარაკისას? – იკითხა ნანა მასწავლებელმა და ირონიის დამალვა ვერ შეძლო.

მთელი კლასი ახარხარდა. მერე ვიღაცებმა ჩემი გამოჯავრება სცადეს.

– ყბაჩო, – დაიძახა უკანა მერხიდან ავთომ.

ვიდექი ისე, თითქოს ცივი წყალი გადაესხათ, ცრემლი თვალებს დაუკითხავი სტუმრებივით მოადგა.

– დამშვიდდით, რა გაცინებთ, ბავშვებო, როგორ შეიძლება ერთმანეთის დაცინვა? – „გაბრაზდა“ მასწავლებელი, – მანანა (იცის, ამ სახელს ვერ ვიტან, მანჩო მქვია საბუთებითაც, მაგრამ მაინც მანანას მეძახის, ახლა ამაზე აყაყანდნენ ბავშვები), რატომ გებრიცება ტუჩები? ძალიან ცუდად ჩანს გარედან, ამიტომ ეცადე, მასე აღარ გააკეთო. – დამარიგა მზრუნველი ხმით და დაჯექი ახლაო, ნებართვა მომცა.

მერხთან დავბრუნდი. 23 წყვილი თვალი ჩემს ტუჩებს შეჰყურებდა. სახე სისხლისფრად მიელავდა და ვგრძნობდი, ცეცხლი მეკიდა სხეულზე. ტირილი დავიწყე. არავის უცდია ჩემი დამშვიდება.

კეთილმა რჩევამ არ გაჭრა: ტუჩებს დროდადრო ისევ ვბრეცე, ნერვიულობაზე მემართება, სანერვიულოს კი ჩემს ოჯახში ღმერთიც ვეღარ გამოლევს. ასე რომ, პრობლემა ვერ მოგვარდა, მაგრამ სწავლის მიმართ ინტერესი საბოლოოდ დავკარგე.

სექტემბრიდან, ალბათ, სკოლაშიც აღარ ვივლი. დღეს ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. დილით თონიდან მოვდიოდი და ნათია შემხვდა. დედა თონის მეპატრონეს იცნობს და სთხოვა, ძველი პური გვაჩუქოს ხოლმე. ყოველ დილით მივდივარ და გამხმარი პური მომაქვს. მცხვენია, როცა სათხოვნელად მივდივარ, მაგრამ რას ვიზამ, ნიცა და გიორგი ჯერ ძალიან პატარები არიან და მშივრებს ვერ დავტოვებ. ამ დილას თონიდან მოვდივარ და ნაცნობი ხმა მესმის:

– მანჩოო!

ხმა ვიცანი და თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ გავიგე, ნაბიჯს ავუჩქარე, არავის ნახვა არ მინდა, მე მივდივარ დაუვარცხნელი, აწეწილი თმით, მიმაქვს პური და ჩემს პურს თონიდან ახლადამოღებული პურის ოხშივარი არ ასდის. მაგრამ ნათიამ სირბილით გადმოკვეთა ქუჩა და პირდაპირ ცხვირწინ ამესვეტა.

– მანჩო, როგორ ხარ? ისვენებ? საით ატარებ არდადეგებს? – მომაყარა კითხვები.

გაზრდილია, გალამაზებული, ჯინსის კომბინიზონი აცვია და ყურებზე გადაწეულ თმას აქეთ-იქით აქნევს მომხიბვლელად. ორი ბიჭი და სამი გოგო ახლავს. ჩვენზე დიდები ჩანან. ერთ ბიჭს სიგარეტი გაუჩრია გაფარჩხულ თითებში და სახეზე მაბოლებს, თან თავხედურად მათვალიერებს. თავიდან რომ ავირიდო ნათიას უხერხული კითხვები, საუბარი გადამაქვს:

– უი, ვერც დაგინახე, როგორ მომიახლოვდი.

– დაგინახე და ტანსაცმლით გიცანი, – ამბობს და თანმხლებებს უყურებს, ვითომ ეს რა სასაცილო რამე ვთქვიო. გოგოები იცინიან, ბიჭები ნათიას სიტყვებს ვერ ხვდებიან, მაგრამ გოგოებს რომ არ ჩამორჩნენ, ისინიც სიცილს მაყრიან.

არაფერი ვუპასუხე, ზურგი შევაქციე და წავედი. სიტყვებმა ჩემამდე ვერ მოაღწიეს, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი, როგორ უყვებოდა ნათია მეგობრებს, რომ მე უკვე ორი წელია ამ ჯინსით დავდივარ და ისიც სხვამ მაჩუქა.

ჩვენს სამყაროში თანასწორობა ყოვლად წარმოუდგენელია. მე ბავშვი ვარ ბავშვობის გარეშე და ზღაპრებით ჩემი გაბრუება შეუძლებელია. ვიცი, კონკიები მხოლოდ გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ, რეალობაში არიან ღარიბები და მდიდრები. უფულოდ დარჩენილი ადამიანები, ვერასდროს დაიმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში, რადგან თუ ახალი ტანსაცმელი არ გაცვია, არც მეგობრები გყავს და შეყვარებულზე ხომ საუბარი ზედმეტია. პური მივიტანე, ბავშვებს თბილ წყალში ჩავულბე, რომ კბილები არ დამტვრეოდათ, ვაჭამე და ტახტზე მივწექი: ტანსაცმლით გიცანი, ისე მესობოდა სიტყვები გულში, თითქოს სამსჭვალი ჩაერჭოთ მკერდში.

საღამოს კიდევ ერთხელ დამემართა კრუნჩხვა და როდესაც სასწრაფოს ექიმებმა დამამშვიდებლები გამიკეთეს და წავიდნენ, კედლისკენ შევბრუნდი და თვალები დავხუჭე, მინდოდა, დედას მძინარე ვგონებოდი და მისი წუწუნი არ მომესმინა სასწრაფოს ექიმებისათვის მიცემული 20 ლარის გამო, რომელსაც ერთი კვირა საჭმლის ფულად ვიმყოფინებდით. ალბათ, ძილის სცენა ბუნებრივად განვასახიერე, რადგან დედასაც და მაყვალა ძალოსაც მძინარე ვეგონე, ამიტომ თამამად საუბრობდნენ და მესმოდა ის, რაც ალბათ არ უნდა გამეგო:

– ექიმს ველაპარაკე, – სვენებ-სვენებით, შემპარავი ხმით დაიწყო მაყვალამ, – ავადმყოფიაო. საშველი არაა, დიდხანს ვეღარ გასტანსო.

დედამ თითქოს ამოიგმინა, მერე ცრემლი შეისრუტა და ვიგრძენი მაჯით, როგორ მოიწმინდა ცხვირი.

– ეეჰ. – ამოიოხრა მაყვალამაც.

ერთხანს ასე იყვნენ ჩუმად, კვნესა-ვაებაში, მერე უფრო თამამად და დამაჯერებლად ალაპარაკდა მაყვალა:

– დამიჯერე, მაინც აღარაფერი ეშველება, ტყუილად იწამებ თავს. რამდენი ხანია მე შენ ამას გელაპარაკები, ხომ ნახე ძლივს მოუსწრეს და ბრახ და რაღაც მომხდარიყო, მერე? ხომ რჩებოდი ასე არა?

ახლა ეს ფრაზები თითქოს ჩაქუჩები იყო, ისე მიბაგუნებდნენ თავზე. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა, რის მორჩენაზე, რა გამოსავალზე, რა გამორჩენაზე იყო საუბარი.

– ჩემზე ამბობენ? ვკვდები? თუ ცუდად ვარ, ექიმები რატომ წავიდნენ? დედა რატომ ზის ასე მშვიდად და ისმენს ამ სისულელეებს? იქნებ მძინავს და მესიზმრება?.. არა, აშკარად მღვიძავს, უბრალოდ, დახუჭული თვალებით ვუყურებ თვალებამოღამებულ სამყაროს, სადაც ჩემი განაჩენი იწერება. ღმერთო, შენ რა, მართლა არ აპირებ დამეხმარო? სად ხარ, ღმერთო? იქნებ ისევე დაიკარგე, როგორც ბავშვობაში ჩემი ცხვირგატეხილი თოჯინა სერგო, რომლისთვისაც 5 წლის იუბილეს აღნიშვნას ქვიშის ტორტით ვაპირებდი? ან იქნებ მოკვდი? ღმერთო, ნუთუ მართლა მოკვდი? – ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთია, ტანჯვა და ტკივილია, ბევრჯერ მინატრია მისი დასრულება, მაგრამ როცა ეს დღე მომიახლოვდა, რაღაც არ მომინდა მისი დათმობა. აქ ცუდად ვარ, მაგრამ იქ რა იქნება? ან იქნება კი რამე? ღმერთი? აღარ მჯერა ღმერთის სამართალის, რომ არსებობდეს, ჩემ დახმარებას ხომ ისურვებდა. რომ ვუყვარდე, ასეთ ტანჯვაში ხომ არ ჩამაგდებდა? ღმერთი მოკვდა, ან ის

აგრძელებს ცხოვრებას, ძალიან შორს და აღარც ახსოვს ჩემი არსებობა. არ მინდა მასთან, ისევ ეს სამყარო მირჩევნია.

შიშმა წელზე ხელები მომხვია და ფეხებში სიცივე ვიგრძენი. ახლა თავს ძალიან სუსტად ვგრძნობდი და სიტყვებიც ჰაერში მოფარფატე შემოდგომის ფოთლებივით ჩნდებოდნენ აქა-იქ. აზრი ვერ გამომქონდა, რას საუბრობდნენ, რაზე ლაპარაკობდნენ:

პატარებზეც ხომ უნდა იზრუნო, ცოდონი... შიმშილი... ფული... სასიკვდილე ქმარი... ახლა ეს სიტყვები დაპნეული გიშრის მძივები იყო და მე მათ აკრეფას და შეკოწიწებას ვეღარ ვახერხებდი.

– 15 000 ცოტაა? უნდა მოვასწროთ სანამ რამე დაემართება... განა რა, ბარში იქნება, ჩააცვამენ ლამაზ კაბებს, გამოპრანჭავენ, ბავშვმა იქნებ ნახოს რამე...

სადმე მიშვებენ? საბუთები მომეციო მაყვალა ეუბნებოდა, იმ დღესაც კი მოვკარი ყური, სამზარეულოში ჩურჩულებდნენ, ფულს დოლარებში გადმორიცხავენ და ცოტას ამოისუნთქებ, ამ ბავშვებს მშივრებს არ დახოცავო. ნეტა რას ამბობდნენ? სად მივდივარ? რატომ იხდიან ჩემი გამოპრანჭვის სანაცვლოდ დოლარებს?

კითხვები ქარში აწეწილი თმებივით მომებლანდა თვალებში. პასუხები გონების ფსკერზე ჩაყვინთულიყვნენ და მათი ამოყვანა ვერ მოვახერხე. ფიქრი ნელ-ნელა ნაცრისფერ ბინდს იფარებდა თავზე და წონასწორობა მეკარგებოდა. თითქოს ჯერ პატარა ვარდისფერი სამკუთხედები ახტუნავდნენ თვალებთან, მერე ეს სამკუთხედები უფრო მომიახლოვდნენ, გაიბერნენ, გასუქდნენ და მთელი სივრცე დაფარეს.

სხეულს ვეღარ ვგრძნობდი, დავბუჟდი, ვეღარ ვხვდებოდი საწოლზე ვიწექი თუ ჰაერში ვტივტივებდი.

– აქ ვარ, – ყურში ჩამესმა ხავერდივით რბილი ხმა, ასეთი ხმა არასდროს მომისმენია, დავინტერესდი ვინ იყო, მაგრამ თვალების გახელა გამიჭირდა, ქუთუთოები დამმძიმებოდა.

– ვინ ხარ? – მინდოდა მეკითხა, მაგრამ სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე და ხორხიდან რაღაც გაურკვევილი ბგერები ამომივიდა. ამ ბგერებს თითქოს სიმძიმე ამოჰყვა და სხეული სულ უფრო შორი და უწონო მომეჩვენა. სამკუთხედი ვარდისფერი სხეულები გაყვითლდა და სანამ ეს ყვითელი სვეტი ჩემკენ გადმოიხრებოდა, ყურში დედაჩემის განწირული კივილი ჩამესმა.

. . . . . .

მე მანჩო ვარ, ბავშვობა წართმეული ბავშვი. 13 წლის ვარ და ალბათ გაზრდა აღარც მოხერხდება, მომიწევს სულ 13 წლის დავრჩე.

კაკლის ხე

წყალი გრილი იყო, ესიამოვნა. ჯერ კოჭებამდე ჩადგა, სხეული მიაჩვია, დაიხარა და ცივი წყლით მკერდის დაზელვა დაიწყო. მამამ ასწავლა: არასდროს ჩახტე წყალში სწრაფად, შეიძლება, გულმა ვერ გაუძლოსო. დაუჯერა. დამჯერი ბავშვი იყო. მხრებზე მოისვა ხელი, ოფლიან სხეულს ეამა სიცივე. მუხლამდე შევიდა. ფეხისგულები ეტკინა ქვებზე, შეცურა. ივლისის მზე აჭერდა. ჩაყვინთა. წყალი იყო მწვანე და გრილი. მდინარის დინების საწინააღმდეგოდ წავიდა. ძლიერი მკლავები ჰქონდა, ღონივრად უსვამდა. მარჯვენას დაჰკრავდა წყალს და მკერდით მიაწვებოდა დინებას, ფეხებს თანაბრად და სწრაფად ამოძრავებდა. კლდის ქიმს ასცდა, მორევს გვერდი აუარა და მდორეში გულაღმა დაწვა. აატივტივა მდინარის ზედაპირმა. ყურები წყალში ჰქონდა, მზე თვალებს სტკენდა. მოჭუტული თვალებიდან ლურჯ ცაზე ნაცრისფერ ღრუბლებს ადევნებდა თვალს. ღრუბლებს

სხვადასხვა ფიგურებს ადარებდა, ზოგი პატარა სპილო იყო, ზოგი – ქალს მიჰგავდა, აგერ, იქით, მარცხნივ, ბაჭიას დაეცქვიტა ყურები.

მდინარემ საკმაოდ ქვემოთ ჩაიყვანა და მეგობრებს დასცილდა. გადაბრუნდა, პირქვე გაწვა წყალზე და მკლავურით მოუსვა, ისევ შეეჭიდა დინებას. მძიმე იყო წყალი, წინააღმდეგობას უწევდა. მორევს რომ მიუახლოვდა, მარცხნივ აიღო გეზი, გვერდის ავლას ცდილობდა. თინას მორევი ერქვა ამ კლდის ქიმის ქვეშ მბრუნავ წყალს. დიდი არაფერი, ჯიმშერი კარგად ცურავდა და თავს დააღწევდა, მაგრამ რაღაც ზარი ჰქონდა. აქ, წლების წინ, თინას თავი მოუკლავს, სიყვარულის სევდიანი ისტორიაა: ქიმზე ასულა 16 წლის თინა, ფეხსაცმელი კლდის ძირში დაუტოვებია, ფეხშიშველა, საქორწინო კაბით დამდგარა კიდეზე და ხელებგაშლილი, ფართოდ გახელილი თვალებით გადაშვებულა მორევში. ამბობენ, მხოლოდ ერთხელ ამოაგდო წყალმა, მაგრამ შველას არ ითხოვდაო, არ შეშინებია, სიკვდილს საკუთარი სურვილით შეუწვა გაყინულ სარეცელში... ამ ისტორიამ ბევრჯერ განიცადა სახეცვლილება, ბევრი ჭორი და მართალი ითქვა, მაგრამ ძირითადი არ შეცვლილა: ქორწილიდან გამოიქცა 16 წლის ულამაზესი პატარძალი და მორევში გადახტა...

ამ ადგილს ყველა თავს არიდებს. მეცხვარეებმა თქვეს, ღამით კლდეს თუ მიუახლოვდები, ქალის განწირული წივილი ისმისო. ეს ამბავი გაახსენდა ჯიმას და მორევისაკენ თვალი გააპარა, შიშმა აიტანა, უფრო ძლიერად მოუსვა მკლავი. ფეხზე რაღაც წამოედო, შეაცია, სხული გაეყინა შიშით, რამდენიმე წამი განძრევა ვერ შესძლო. მერე თავი დაიიმედა, ხავსი იქნებაო და წყალში გაიქნია ფეხი, ტერფის გათავისუფლება სცადა, მაგრამ სიმძიმე იგრძნო, ვერ მოიშორა ფეხებში გაბლანდული მცენარე. აკანაკალებული ხელი წყალში ჩაყო, ხელი წაავლო მცენარეს, რაღაც ეუცნაურა, ფეხის თითები გაითავისუფლა და ხელი, ნელა და მძიმედ ამოსწია. თავთუხისფერი თმა შერჩა ხელში. გაფითრებული ქალის თვალების გარეშე დარჩენილი სახე შემზარავად შეჰყურებდა. ყვირილი უნდოდა, მაგრამ ხმა სადღაც გამქრალიყო. შიშველი და შემზარავი იყო ქალი. ხელები გაუშეშდა, ეჭირა თავთუხისფერი თმა და უთვალო თვალებში ჩაჰყურებდა ქალს...

მილიციამ ნახევრად გახრწნილი გვამი ნაპირზე დაასვენა. ჯიმშერს მისი არც ასაკი გაუგია, არც სახელი, არც ის იცის, როგორ მოხვდა თავთუხისფერი ქალი თინას მორევთან. ვერ დაიძინა, თვალებს დახუჭავდა და ქალი ახსენდებოდა, თეთრი, გამჭვირვალე, არამიწიერი, შემზარავი, ნახევრად გახრწნილი მკერდითა და უთვალო სახით...

ჯერ ხასიათი შეეცვალა, მერე, ზაფხულის ხვატის მიუხედავად, ძალიან გაფითრებული ჩანდა და სისუტე რომ იგრძნო, უკვე დაგვიანებული აღმოჩდა. ლევკემია დაუდგინეს. 7 თვე იწვა საავადმყოფოში. თავს ადგა ახალგაზრდა დედა, წამით არ მოსცილებია, ცისფერ თვალებში სევდა ჩაჰბუდებოდა და არ იცოდა რა ექნა, ეს სამედიცინო ტერმინები მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო, ექიმის განმარტებები არაფერს ეუბნებოდა. მხოლოდ ის უნდოდა, სახლში წაეყვანა შვილი, იქ უკეთ მივხედავო. ჯიმამ ყველაფერი იცოდა... დარდი მიჰყვებოდა, აქაურების სევდა ედგა სხეულში მწუხარე ჯარივით.

ორი კიბე ჰქონდა საავადმყოფოს, ერთიდან ავადმყოფები ამოჰყავდათ, მეორეთი მიცვალებულები გაჰყავდათ, მე იმ კიბით მომიწევს სახლში წასვლაო, ერთხელ უთხრა დას. ვერ მიუხვდა ნაია ნათქვამს.

ბოლო დღეებში სოფლის წყაროს წყალი ინატრა, ჩაუტანეს, მერე სახლი გაიხსენა, ჩემმა კაკალმა რა ქნაო. იხარაო, – უთხრა მამამ. გაუხარდა, მიმიხედეთო.

შვიდი თვის უშედეგო მკურნალობის შემდეგ, შესთავაზეს, ოპერაცია ვცადოთო. ცდა წარუმატებლად დასრულდა. საკაცით წაიღეს დევივით მხარ-ბეჭი. დედამ თმა გაიწეწა. ერთ ღამეში გაკრთა ვერცხლი. დებმა იტირეს, ძმამ სამარესთან ჩაიჩოქა, ვეღარ ვდგები, ფრთა მომტყდაო. მხოლოდ მამა

იდგა ბებერ მუხასავით, არც არაფერი უთქვამს, არც ცრემლი ჩამოვარდნია, არავის გამხნევება არ დასჭირვებია. იდგა ფესვებგამდგარ ხესავით და მდუმარედ ადევნებდა თვალს პროცესიას. მერე დაკუნთულ სხეულზე ლილაში გავლებული პერანგი მოიცვა და ცხოვრება გააგრძელა. წარბიც არ შესტოკებია. ქვისა ყოფილაო, რა გული უნდა გქონდეს, ანგელოზივით შვილი ცივ მიწას მიაბარო და ერთი ცრემლი არ ჩამოგვარდესო, რამდენჯერმე საყვედურივით თქვეს მეზობლის კაცებმა.

...ჯიმშერის გარდაცვალებიდან 10 წელი იყო გასული. სტუმრად მივედი. არავინ ჩანდა ეზოში, ვენახისკენ წავედი, გაზაფხული იყო, ვიფიქრე, ბაღში ფუსფუსებენ-მეთქი, ალბათ. მოგუდული ხმა მომესმა, მივაყურადე, ქვითინებდა ვიღაც. ხმას მივყევი, ვხედავ, ალექსი კაკლის ხესთან ჩაჩოქილა, ხელები ხისთვის შემოუხვევია, თითქოს თოთო ბავშვს იკრავდეს გულშიო და ტირის.

მიწას მივეყინე, ვერ ვინძრევი, არ ვიცი, მივიდე ალექსისთან თუ ჩუმად მივბრუნდე უკან, ვითომ აქ არც ვყოფილვარ. ლურსმნებივით ჩაესო კეფაში ჩემი თვალები, ნელა ჩამოუშვა ხელები ალექსიმ, ლილაში გავლებული გახუნებული პერანგის სახელოთი მოიწმინდა ცრემლი და ისე შემობრუნდა, თითქოს სიკვდილმისჯილს უკანასკნელად უნდა ჩაეხედა თვალებში ჯალათისათვის.

ახლა უკვე მუხასავით ძლიერი აღარ ჩანდა, თითქოს ამ წუთას, ქარისაგან გადატეხილი ხმელი ხე ყოფილიყოს.

– ჯიმშერის დარგული კაკალია, დამიბარა მიმიხედეო, – თქვა და თვალები ახლადამოსულ ყლორტებს სიყვარულით მოავლო.

ვიდექი და ხან კაკალს შევყურებდი, ხან – ალექსის. ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, მომეჩვენა, ახლა აქ იდგა ჯიმშერიც, გაფითრებული, ჩამუქებული, კაკლისმურაბასავით თვალებით და მსაყვედურობდა, რატომ დამაშორე მამას, მისი მკლავები მათბობდაო.

– არავისთან თქვა! – ფიქრებიდან ალექსის ფოლადივით მტკიცე ხმამ დამაბრუნა.

– არა, არაფერი დამინახავს! – დავუფიცე და პირობა მის გარდაცვალებამდე შევინახე.

ალექსი გასული წლის თოვლიან ღამეში გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა. სამძიმრის მისაღებად კართან ჩამდგარი კაცები მასზე საუბრობდნენ, ცივ და უემოციო კაცად ახასიათებდნენ. მე კი თვალწინ მედგა კაკლის ხესთან ჩაჩოქილი, ბავშვივით ატირებული ალექსი და ვფიქრობდი, რომ გვტოვებდა დედამიწის ყველაზე სევდიანი ბინადარი.

ჩემი ჩინელი

მსახიობებს ცოტა აკლიათ. მეც მაკლდა. დავდიოდი აბნეული, გზაარეული. ხან ისე მჯეროდა, რომ მეფე-მთავარი ვიყავი, ვიწექი ხოლმე და ველოდებოდი, როდის მომართმევდნენ ოქროს სირმებიან ხალათს და მიმიპატიჟებდნენ სუფრასთან, რათა შემწვარი ხოხბებით გამმასპინძლებოდნენ, ხან კიდევ ჩამოდგებოდა მწუხრისფერი ბინდი და მე ვიყავი შვილმკვდარი დედა. მუცელზე მაგრად ვიჭერდი ხელებს და ვცდილობდი, ჩემი მოკვეთილი სხეული მომენელებინა. ნაწილებად ვიფლითებოდი, ტკივილს ველარ ვუძლებდი. ცრემლი მომადგებოდა, ტუჩები გამიფითრდებოდა, ერთიანად ვკანკალებდი. აი ესაა და სიკვდილის პირას ვიყავი თითქოს და მერე დამადგებოდა თავზე ცოლი. შემიჩნდებოდა, მოსვენებას არ მაძლევდა. აიჩემა, საყვარელი გყავსო, ამ ბოლო ხანს რას ჩამოგტირისო სახე. ვუხსნიდი შვილი მომიკვდა და ახლა ღამ-ღამობით მისი ლანდი არ მაძინებს, სულ მესიზმრება, როგორ სდის გამოღადრული ყელიდან სისხლი, იმას მოუკვდეს-მეთქი დედა. აბა რა დასაჯერებელი ეს ამბავი იყო, ჩვენ არც შვილი გვყავდა, რომ მომკვდარიყო და არც ქალი ვიყავი.

ჯერ იყო და გაგიჟდაო, ასტეხა განგაში, დაიბარა ჩემი მშობლები, თქვენია და დამეხმარეთ, მიმაყვანინეთ ექიმთანო.

– ეეჰო, ამას, შვილო, დაბადებიდან არეული აქვს, არეული კი არა და იქით არისო. – უთხრა მამაჩემმა.

– სადაო. – გაიოცა თამუნამ.

– აი, იქითო რა, შორსო, მაღლაო.

მოიღრუბლა. შეყარა წარბები. არა, საწვიმრად არა, უფრო ქარიშხლის მოახლოებას ჰგავდა. ხომ გითხარი შვილი ახალი დაღუპული მყავდა და ვიჯექი ფანჯარასთან. ვიხსენებდი მის ხმას, მის სუნს, მის ღიმილს, მასთან ბოლო შეხვედრას, საკუთარ თავს ვკიცხავდი, როდის შემეშალა, სად დავუშვი-მეთქი საბედისწერო შეცდომა. იქნება რამე მინიშნებაც მომცა ღმერთმა და ვერ მივუხვდი. კი მომცემდა აბა რა, სამყარო ხომ ნიშნებით არის სავსე, ჩვენ კიდევ დავბრმავებულვართ და დავყრუებულვართ. მონატრების ტკივილი ცალკე მკლავდა, ეს დანაშაულის შეგრძნება, ცალკე არ მაძლევდა მოსვენებას. ისე გულსგარეთ მესმოდა საუბარი, თითქოს ვხედავდი კიდევაც და არც ვხედავდი, არც ლაპარაკის თავი მქონდა, ჩემს გარსში მინდოდა მოვკუნტულიყავი, საკუთარ თავს ჩავკვროდი გულში, საკუთარი ტკივილი გამომეზამთრებინა, მაგრამ თამუნას შეყრილ წარბებს რომ შევხედე, მზერით შევეხვეწე მამას, თავს უშველეთ-მეთქი. მიმიხვდა. მამა სულაც ხვდებოდა ყველაფერს. ახლაც ესმოდა ჩემი შვილის ამბები, იზიარებდა, მითანაგრძნობდა. წამოდგა. მხარზე ხელი მომითათუნა, გამაგრდი, შვილო, რაც მეტად გტკივა, მით მეტად ძლიერდებიო. ოპლაააო, აი აქ კი წამოიშალა გაბოროტებული ტყესავით და შრიალით გაადევნა უკან, სულ გიჟები ხართ დედა-ბუდიანადაო.

მერე ის ხანი იყო და ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და ქუჩას მოედო ბრაზი ლუდის ბაკალზე მომდგარი ქაფივით. ახლა რევოლუციურმა იდეებმა შემიპყრო. რომ მახსენდებოდა ეს ქუჩაში დარჩენილი ხალხი, ჩვენი ფულით გაზულუქებული დეპუტატები, პარტიული ნიშნით დაწინაურებული უსახო ადამიანები, სავარძელზე მოთავსების შემდეგ ყურებსაც რომ ჰკარგავდნენ, რომ მახსენდებოდა გაუფასურებული ადამიანობა, დაკარგული ტერიტორიები, განათლების ჩამპალი სისტემა, სამართალთან განქორწინებული სამართალდამცველები, ქუჩაში მოკლული ბავშვები, ჩვენ შორის მოსიარულე მკვლელები, საარჩევნო ყუთებში ბღუჯა-ბღუჯა ჩაყრილი ბიულეტინები, ერთ ადგილს მიყინული ადამიანები, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდათ და ფეხადგმული ხეები, უჰაერობისაგან გულშეღონებული ქალაქები, რომ ვფიქრობდი ქვეყანაზე, სადაც ვაზელინი აღარ იშოვებოდა, ბრაზი სხეულს ისე ეძალებოდა, თითქოს გაყინული ალკოჰოლი გამთბარიყო სისხლში და ახლა არეული ნაბიჯით მიჰყვებოდა სხეულს და თავბრუს მახვევდა.

– თქვენი დედაც! – ვბღაოდი მთელი ხმით, – დამთავრდა თქვენი ბოგინი, რა გგონიათ-მეთქი, თქვე ნაბიჭვრებო, როგორც მოგიყვანეთ, ისევ ისე ვერ გაგიყენებთ წინამორბედების გზას?! მოეგეთ-მეთქი გონს, მე გიხდით ფულს, მე და ჩემნაირი გასაცოდავებული ხალხი-მეთქი. ჰოდა, ჩაუწიეთ თქვენი კომფორტული ჯიპების დაფერილ მინებს და შემოგვხედეთ, ქვები კი არა ადამიანები ვართ, ადამიანში კი ის დაფარული მხარე, ცხოველისაა. ზოგი ცბიერი მელაა, ზოგი მშვიდობის მტრედი, ზოგი გულზვიადი ავაზა, მაგრამ ყველაზე მეტნი მაინც მგლები ვართ და ისე ნუ იზამთ ერთ უმთვარო ღამეში ხროვამ წრე შემოგარტყათ და ნაფლეთებად გაქციოთ-მეთქი!

აღარც მახსოვს რამდენი ხანი ვიდექი მიკროფონთან, მაგრამ თამუნამ რომ გესლი მომცხო:

– შავები გაიხადე და ახლა თეთრი ჩოხით აპირებ ხალხს წინ წაუძღვეო?! – მე ხმა უკვე დაკარგული მქონდა და პასუხი ვერ გავეცი.

ხელი ჩაიქნია ჩემმა ცოლმა. თქვენი ჯიში და ჯილაგი ამოწყდა, სათქვენო გიჟები ხართ, მე უწინ გამისტუმრებთო საგიჟეში. ექიმთან მაინც წავედით. ჩემდა ბედად საგიჟეთები დაეხურათ, რათა, კაცო, ყველა დავჭკვიანდით-მეთქი? ვკითხე ხანშიშესულ ნევროლოგს, არა, შვილო, ყველა გავგიჟდით და აზრი დაეკარგა ვინმეს გამოკეტვასო.

– როდისო? – ჰკითხა თამუნამ, საგიჟეთების დახურვას გულისხმობდა. იმ ნევროლოგმა კიდევ, ზუსტად არ ვიცი, იქნებ უფრო ადრეც, მაგრამ მე მაშინ შევატყვე, მარჯვენა მკლავი რომ მოგვჭრეს და მარცხენაც ღიმილით გავუწოდეთო.

– რააო? – გადმოკარკლა ჩემმა ცოლმა ჩიყვისგან ისედაც გადიდებული თვალები.

ჩამავლო მაჯაში ხელი და სულ მუჯლუგუნებით გამომიყვანა ცენტრალური საავადმყოფოს დერეფანში. გასვლისას ექიმს თვალი ჩავუკარი, გამიღიმა, ისეთი თანაგრძნობის ღიმილით, მადლობა ღმერთს, თამუნამ ჩვენი უხმო დიალოგი ვერ შეამჩნია, თორემ, საგიჟეთი თუ არა, მორგვები ჯერ კიდევ მრავლად იყო და მოგვიწევდა მივწოლოდით ერთმანეთს.

მსახიობებს მთლად კარგად არ აქვთ ტვინში ყველაფერი, მაგრამ არის ხოლმე გამონათებებიც სიმშვიდის. მეც მსახიობი ვარ. დაცხრა ვნებები. მეძინა კარგად, ვჭამდი და დავყვებოდი ჩემს ცოლს საყიდლებზე. ახლა კიდევ უფრო გაუმძაფრდა ეჭვი. შენ მე შტერი ხომ არ გგონივარ, თქვი ახლა რას მალავო, ერთი დღე გიჟი ხარ და მეორე დღეს ჭკვიანიო, აქ რაღაც ვერაა მთლად ლოგიკურიო.

მე კიდევ მთელი ეს აურზაური მკლავდა. გახვრეტილ ქილას ვგავდი, ნელ-ნელა ვცარიელდებოდი და ის იყო ალბათ და ძირიც გამძვრებოდი, რომ ქუჩაში გადავაწყდი, ისეთი წვრილი თვალები ჰქონდა, ვიფიქრე, იქნება ვერც კი შემნიშნოს-მეთქი, მაგრამ გაგიკვირდებათ და ჩემს ჩინელს, არაჩვეულებრივი მხედველობა ჰქონდა, დახუჭული თვალებითაც კი მხედავდა.

სიყვარული მშვენიერი რამ აღმოჩნდა, ისევ ავივსე, ისევ გავმთელდი და გავმთლიანდი. ახლა თამუნა დაჯდა ფანჯარასთან, როგორც მე ვიჯექი მაშინ, მწუხარების დღეებში, ოთხად მოკუნტული, ჩამოღამებული სახით, დაჯდა და მიშველეთ, ხალხოოო. რათაააო, რა არ გავაკეთეო და მოჰყვა ისეთი მონოლოგი, ჩემს რეჟისორს ეს რომ მოესმინა, „ერთი მსახიობის თეატრიდან“ აღარ გამოახედებდა: შე უმადურო ღორო, გაჭმევდიო, გაცმევდიო, ჩემი უბედური თავი შემოგწირეო, რათაო, რისთვისაო, რატომ ის და არა მეო, რა აქვსო მას ჩემზე მეტი, შემომაბდღვრიალა ზღვასავით ლურჯი თვალები.

რათა და როცა მე თურქ-სელჩუკებს ვებრძოდი და ფერდში დავიჭერი, მოვიდა ჩემ გვერდით ჩაიჩოქა, კაბის კალთა შემოიხია და სისხლის შეკავებას ცდილობდა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ რომ შევხედე სევდის ისეთი ტალღები აზვირთებულიყვნენ თამუნას მზერაში, მის წინ მუხლებზე დავდექი და ხელები დავუკოცნე:

– მაპატიე-მეთქი, ჩემო თამუნია.

ძალიან მინდოდა, რომ არასოდეს ეპატიებინა, მაგრამ მე მიტევება ვთხოვე და მან შემინდო... ხომ გითხარით მე მსახიობი ვარ, ანუ ცოტა მაკლია, თამუნა კი უბრალოდ შეყვარებული იყო. რაც შეეხება ჩემს ჩინელს, აგერ უკვე 10 წელიც მიილია მას შემდეგ და დღემდე ვერ გამირკვევია, მართლა იყო თუ ეგეც ჩემი ყელგამოღადრული შვილივით გამოვიგონე, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, რომ დღემდე უშეღავათოდ მიყვარს.

მსახიობებს ტვინში მთლად კარგად არ აქვთ ყველაფერი. მეც მსახიობი ვარ.

ეკა
ბოლიძე

ბარათაშვილის ქუჩის არასტანდარტული ტიპოგრაფია

(ერთი ქუჩის ამბავი...)

ქუჩა ზღვიდან არ იწყება. არც მარინწკას ბულვარიდან, შესაბამისად, არც ნინოშვილის ქუჩიდან და არც რუსთაველის გამზირიდან. ბარათაშვილის ქუჩა ევროპის მოედნიდან იწყება. მერე სასტუმრო „ვინდჰემია“, კაზინო „პრინცესა“. მოპირდაპირედ – კაზინო „როიალი“. მაღაზია „ბაგოზა მილანი“. რესტორანი „ქარავანი“. ცირკი. ჩიხი. ჩიხში შესვლა იოლია, გამოსვლა კი, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი. ცირკის მოპირდაპირე სახლის ძველ, ფორთოხლისფერ კედელზე, რომელიც სხვა ქუჩას ეკუთვნის და ცირკს გადაჰყურებს, რამოდენიმე ბარელიეფია. ისინი გვამცნობენ, რომ ამ სახლში, ამა და ამ წლებში ცხოვრობდნენ: „...მწერალი და საზოგადო მოღვაწე პარმენ ლორია“, „...პოეტი და საზოგადო მოღვაწე მამია ვარშანიძე“, „...ინჟინერი, ცნობილი არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ერქომაიშვილი“, „...სახალხო არტისტი ნუნუ თეთრაძე“, „...ექიმი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ (ხესბი) დიასამიძე“, „...ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში“, „...კინორეჟისორი ზაზა ხალვაში“, „...სახალხო მთქმელი და ჭეშმარიტი ბათუმელი, პაპულა თალაკვაძე“, „...სახალხო არტისტი მირიან ჩხიკვიშვილი“. იქვე, უფუნქციო ბარის აბრა – „პეტროვსკაია-მენდელეევი“, როგორც „ველიკოძერჟავული“ ტკბობის ნაშთი. ჟურნალ-გაზეთების ჯიხური. მაღალპროცენტიანი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი – თქვენი კეთილდღეობის სალარო“. Café Alpaca. კოსმეტიკური მაღაზია. ბანკომატი. „PSP“. მშენებლობა. „ლიბერთი ბანკი“. მარკეტი. ინჰალატორების მაღაზია. „სწრაფი კვება“. „ავერსი“. ბარი „ბათუმი“. „ზენას ყვავილები“. მოპირდაპირედ, და ცოტა ზემოთ – „Turkish Airlines“. მშენებლობა... „Nike“. „ვისკის სახლი“, შოთი. ბინების ყიდვა-გაყიდვა, მშენებლობა, „ბაზის ბანკი“. მანქანების გაქირავების სააგენტო, კლინიკა „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი“. „სმარტსერვისი“, „ფსიხმობი“, ბანკომატი, „Hotel Meta“, „ნიუოპტიკა“, „სთორი“, „ხორცის გალერეა“, „ხაშის სახლი“, სასტუმრო „ალბატროსი“, თვალის კლინიკა, „თემელას დუქანი“, რესტორანი „ლიბანური“, ანტი კაფე „Muzic Point“, „iPhone Servise“, სავაჭრო ცენტრი, ელექტროობა, სანტექნიკა, მობილურების შეკეთება, თვალის კლინიკა, კლინიკის მოპირდაპრედ, ყოფილი დედათა და ბავშვთა პოლიკლინიკის საუკუნოვანი შენობის ადგილას მიმდინარე მშენებლობა, განათება „ბათუმი ეკო“, „წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა“, საბავშვო ლიტერატურის მაღაზია, საკათედრო ტაძრის მიმდებარე სკვერი, „შვების კუთხე“ (საზოგად. ტუალეტი), ჟურნალ-გაზეთების ჯიხური, ბურახი, წრიული და თბილისის მოედანი. საღამოობით, როცა წვიმს, აქა-იქ გაჩენილ გუბეებში თავდაყირა ირეკლება ღამის განათება და აბრებად გაწერილი ისტორია უკუღმა იკითხება.

ზღაპარი დიდებისთვის

(არასახდენი ამბავი)

ღვთის უკეთესი რა იქნებოდეს? ზრდასრულობის მოსაწყენ და უხმაურო დღეებში შემოიჭრებოდეს რაღაც მძაფრი განცდა, შეგრძნება ან უბრალოდ, ფიქრი. ეგონებოდეს ადამიანს, რომ ეს ფიქრი მეტაფიზიკური ფიქრია, დაიწყებდეს ჭვრეტას, ჩაიძირებოდეს საკუთარ თავში და საბოლოოდ, იპოვიდეს შთაგონებას, რომელიც საკუთარ თავს შეაცვლევინებდეს. რაც მანამდე ვერ გაემხილოს და ახლა ამოჰქონდეს არაცნობიერის ყოვლადსაიმედოდ დაგმანული ჭიდან. ყოველი ძილისას თუ ღვიძილისას იხსნებოდეს ზღვარი მესა და ყოფნას შორის. მაგრამ ეს სხვა ზღაპარი იქნებოდეს. აქ კი, გამოვიდოდეს ხოლმე ქალი დილაობით აივანზე, გაშლიდეს მზესავით ბრდღვიალა თმებს, დაიწყებდეს ვარცხნას, ალს დაემგვანებოდეს შეჩვენებული, მზერადამდორებულ მდინარეს. აკრეფდეს მერე ამ მზისფერ დალალებს. ჩამოვარდებოდეს სავარცხლიდან ერთი გრძელი ღერი, წითელი, ბრდღვიალა. გაიტაცებდეს საიდანღაც შემოხეტებული ნიავი, წაიღებდეს, გადაატარებდეს ცხრა მთას, ცხრა ზღვას, ცხრა მდინარეს და ტყის პირას, ასკილის გაკვირტულ ბუჩქთან ჩამოაგდებდეს. მოფრინდებოდეს საღაციდან ჩიორა, დასტაცებდეს ნისკარტს და იქვე, ასკილის ტოტზე ბუდის შენებას დაიწყებდეს. დადებდეს ოთხ ზურმუხტისფერ მძივს და გადაეფორთხებოდეს. გამოიჩეკებოდნენ პაწია ჩიორები, დღეში ვინ იცის მერამდენედ, გაფრინდებოდეს დედა ჩიტი ჭია-ღუის მოსანადირებლად. მის მოსვლამდე ბრდღვიალა თმის ღერი დალალებად გადმოიშლებოდეს ასკილიდან და ბუდეს ჩამოეფარებოდეს, აივნის ქალის მდორე ფიქრებივით. ვერც ბრახა-ბრუხით გავიდოდეს ოთახიდან ოთახში, ვერც – კაბას გაიხდიდეს შუაღამის ტყეში, ქმრისათვის თავქვეშ ამოსადებად. ჩიორას დაბრუნებამდე აიკრიფებოდეს დალალები. გაავდრდებოდეს. მერე გამოიდარებდეს. ააშრობდეს მზე უკანასკნელ წვეთსაც ასკილის ფოთლიდან. ჩამოაცხუნებდეს. საღამოს, საიდანღაც, ბარტყიპარია თრითინა მოცანცარდებოდეს. უყურებდეს, უყურებდეს ბუდეს და წაცანცარდებოდეს. არც ბარტყს ჩამოუგდებდეს ვინმე წალდუნას შიშით. დაფრთიანდებოდნენ ბარტყები, დამწიფდებოდეს ასკილი. ზღაპარში ყველაფერია შესაძლებელი. უზუსტობებიც კი, რომლებშიც რედაქტორები მაინც შეიტანენ ეჭვს, ლიტმცოდნეები გადაამოწმებენ ასკილის მწიფობის ხანა თუ ემთხვევა ჩიტების დაფრთიანების ხანას და რამდენად მართალია ტექსტი ან რამდენად ღრმაშინაარსიანი. შემოგედავებიან, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებით თამაში და პერსევერაციაა და ზღაპრის ფორმატში არ ეტევა, უფრო აბსურდული სინამდვილეა ვიდრე ლიტერატურული შინაარსის ტექსტი... მოკლედ, დამწიფდებოდეს ასკილი, ამოჩერჩეტდებოდეს ქვემოთ, სოფელში მარტო დარჩენილი ორი თავსაფრიანი ბებერი. ჩამოკაკლავდნენ, ჩამოკრეფდნენ. ცოტას ჩიტებს დაუტოვებდნენ და დაეშვებოდნენ თავდაღმა, ნელა, ცუხცუხით. გზაში ამბებს მოყვებოდნენ, იმ მთისას, ამ ბარისას, ქალაქისას, სოფლისას, სიყვარულისას, სიძულვილისას, დანდობისას, დაუნდობლობისას, პირველი მეორეს, მეორე თავისთვის, გულში ჩაიღიმებდეს. სახლში მიიტანდნენ, გარეცხავდნენ, გააშრობდნენ, გაახმობდნენ და შემოდგომის მიწურულს, ქალაქში, ბაზარში ჩასაბარებლად გააგზავნიდნენ. ჩაიბარებდეს პატარა ფუთა ასკილს გარემოვაჭრე, მერე გაშლიდეს დახლს რომელიმე ქუჩის დაღმართში და გოგრებთან და ჩურჩხელებთან ერთად დადებდეს. ჩამოივლიდეს ჯერ ისევ ახალგაზრდა, ოცდაჩვიდმეტ წლამდე კაცი, იყიდდეს ჩაისათვის ერთ ჭიქა ასკილს და შეაღებდეს ჭიშკარს. გამოხედავდეს აივანზე გამოსული ქალი, დაუშვებდეს ხელებს, გაეშლებოდეს მზისფერი დალალები. ალს დაემგვანებოდეს შეჩვენებული. აჩქარდებოდეს ის დამდორებული მდინარება, გული ყელში მიებჯინებოდეს. კაცი გახედავდეს. მიაწოდებდეს ასკილს. ასკილის ჩაის დააყენებდეს ქალი. მიუსხდებოდნენ

ერთმანეთს გვერდიგვერდ. არც ერთი ამოიღებდეს ხმას. მიადებდეს ცეცხლისფერ თავს კაცს მხარზე. შემოხვევდეს კაცი მკლავს. გარინდდებოდნენ.

გინდ ბუხრის წინ მსხდარიყვნენ ამ დროს, გინდ ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ, გადამხმარ კორდზე წოლილიყვნენ.

მოფრინდებოდეს საიდანღაც ჩიორა. დაუვარდებოდეს აივანზე პაწია ბუმბული. საიდანღაც შემოხეტებული ნიავი აიტაცებდეს და ღია სარკმლიდან სახლში შეაფრენდეს ბუდეში ჩასაფენად.

პიკის ტრანსცენდენტური განცდები

იყო და არა იყო რა.

იყო ერთი პაწია რეპტილია, სახელად პიკი. ყოველ დილით, როცა მზე ჰორიზონტს შეეხებოდა და ცას ლილისფერი შეერეოდა, ტერარიუმის კედელზე მიკრულ ქვაზე აცოცდებოდა და ოთახს მოავლებდა თვალს. მერე გადმოცოცდებოდა ტერარიუმიდან და გაემართებოდა მოპირდაპირე, უზარმაზარი ფანჯრისაკენ. აცოცდებოდა რაფაზე, ხმელი ტოტებისაგან შეწებებულ ირმის გამოსახულებაზე და მიიხედ-მოიხედავდა. ქალაქი იღვიძებდა, აივანზე ქოთნის ყვავილები იყო ჩამწკრივებული: ცისუსები, ვარდები, ფიკუსები, გვიმრები, ბეგონიები და სხვა. ტოტზე მოკალათდებოდა, კუდს სპირალისებურად დაიხვევდა და გაირინდებოდა. ამასობაში მზე აივანს მოადგებოდა. რაღაცნაირი, ფორთოხლისფერი მზე ჩამოიღვრებოდა აივანზე და პიკიც ნელ-ნელა ფორთოხლისფერი ხდებოდა.

საღამომდე იჯდებოდა ხმელ ტოტზე. მხოლოდ თვალებს აამოძრავებდა ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით. თავს ბედნიერად გრძნობდა.

ხანდახან, მეგობარი ესტუმრებოდა. მშფოთვარე და დიდსულოვანი. ხანდახან დამღლელიც კი. ააფორთხდებოდა ხოლმე მხარზე, დაწევდა თავს მეგობარი, მიადებდა ლოყას და გარინდდებოდნენ. მარტო დარჩენილი, ხმელ ტოტზე კუდით ჩამოკიდებული, თავადაც გრძნობდა დიდსულოვნებას და ბედნიერდებოდა... უყვარდა ყველაფერი: ოთახი, ტერარიუმი, ბუზიც კი, რომელიც დეკემბრის უჩვეულოდ თბილი დღეების გამო გამომძვრალიყო თავისი სამალავიდან და დაბნეული დაფრინავდა ფანჯარასთან.

პიკი, დროგამოშვებით რაღაცნაირ, ყრუ შფოთვას გრძნობდა და მოულოდნელად ჯერ წინა კიდურებს წაწევდა წინ, შემდეგ უკანას, გადადგამდა ერთადერთ ნაბიჯს და ისევ გაყუჩდებოდა. ეს იყო მისი სახეობისათვის დამახასიათებელი ის უიშვიათესი მოძრაობა, რისი ახსნაც არც მას შეეძლო და არც მეცნიერებას. მერე ისევ გარინდდებოდა და საათობით ეკიდა ხის ტოტს. მშფოთვარე და დიდსულოვანი მეგობარი სხვა ქალაქში წავიდა და პიკს ახალი მობინადრე გაუჩნდა, ქარაფშუტა ენი. ენი კეთილი იყო, მაგრამ ხმაურიანი და მტირალა. როცა ენი ტიროდა, პიკი ბრაზობდა. ჩამოცოცდებოდა ფანჯრის რაფიდან, გაივლიდა ნახევარ ოთახს, აცოცდებოდა მაგიდაზე და თვალებს აბრიალებდა.

მერე ენიც წავიდა.

პიკი აღარ იყო ხოლმე ბედნიერი, ფორთოხლისფერი და დიდსულოვანი. თებერვალში პიკის პატრონიც დაბრუნდა, რომელთანაც დიდი ემოციური ბმა არასოდეს ჰქონია, მაგრამ პატრონი იყო და პიკი ამას ვერ შეცვლიდა. პატრონმა მინის ყუთით პაწია მწერები მოუტანა. პიკს შეეძლო სიამოვნებით ეცქირა მათთვის. საუზმემდე სიცარიელეს გრძნობდა, რაღაც სევდისმაგვარს, საუზმის შემდეგ მოთენთილობასა და ბრაზს.

ღამდებოდა, თენდებოდა და ა. შ.

მაია მინდელი

აპრილი – 2024

დამძიმებული მავთულები,
შაშვები, წვიმით გართულები...
ვერდასრულების გართულებით
ისევ ავადობს ფიქრი.
დღისით რომ მიმწიფს თავთუხებად,
ღამით იმედის მარწუხებით
ეს ძველისძველი გაბრუება
არ მომირჩება, ვიცი.

იქნებ, საშველი მე ვიყავი?
ჩემი ქარებით მორიალე
როცა დუმილი მოიტყავე –
ეს ქარსაცავი ზოლი.
ცოდვასავით რომ დამიბრალე –
იქნებ, საშველი მეც ვიყავი?
საით გამიშვი უეცარი,
უკანასკნელი კოცნით?

ველარც ის კოცნა მოვირჩინე,
ველარც ადგილი მოგიჩინე,
მხრებჩამოყრილმა, მორჩილივით,
გადაგილოცე ქარებს.
მე – შენი სიზმრის აბორიგენს,
იასპის ქვებად ამომიღე,
გულის ქანიდან მაშობინე
გზები, ახლა რომ მკლავენ.

უკანასკნელი ტკივილი ხარ...
თვალისმომჭრელი ციმციმიდან

გავდივარ, მაგრამ ვერ მივდივარ,
შენი სიჩუმე მიშლის.
გული შიგნიდან აკაკუნებს.
იცის, წახვედი, არ გაუღებ,
გიცნობს ფრთხილსა და სავალმრუდეს,
ფეთქვას აგრძელებს შიშით.

ეს სიყვარულიც დაიღალა –
გსვას საწამლავად და სამსალად,
სიზმრებში მაინც გამეცალე,
იქიდან მაინც წადი.
მოსათმენია მახსოვრობაც –
ვერა და ვეღარ გადმოგთოვე
სახურავიდან მარტოობის
ურდულჩაკეტილ სახლის.
ეს, რანაირი აპრილია?
თითქოს ფერებად ჩაშლილია...
ჰორიზონტებიც წაშლილია,
სადღაც, მათ მიღმა დგეხარ.
ხელივით მიქნევ ბოლო ღიმილს,
წასვლების ყინვით გათოშილი,
რომ გაუყვები – ის გზაწვრილი –
მე ვარ...

* * *

გამოიგონე ღმერთი, თუკი შენი არ გყოფნის,
ის, ვინც უკვდავი იყო შენთვის, უკვე მკვდრადყოფილს
გამოუგონე ტყუპისცალი, ახლა მან ზიდოს,
შენი ლოცვები – გულის წყალი, შენი „სამზითვო“.
ყველა ცოდვისთვის ყულფში თავი რომ აღარ შერგო,
ცნობილ იუდას მოუგონე კლონი ასეთ დროს.

გამოიგონე კიდევ ერთი მაგდალინელი,
მას შემოაცვი შენი ვნება, დარჩი შიშველი,
რომ მიედარო ყრმა იესოს ყალბი სიწმინდით.
კედელზე ჯვარცმას მიუკიდე ჯვარცმა, ძილის წინ.
ერთი სიზმარი არ გეყოფა, ორი გენახოს,
იქნებ იქ მაინც აარიდო შეჭმა შენს ნაყოფს.

გამოიგონე შენი თავი, სუნთქვა, თვალები,
ისეთი, ვისაც უპირობოდ შეიყვარებდი.

გამოიგონე სიხარული, რომელსაც ნატრობ,
რადგან პირველი სიხარული სხვა იყო, სხვა დროს.
გამოიგონე სიყვარული, რომელიც გაქრა,
რაც მოიტანა და წაიღო ეროსის ქარმა.

მაგრამ არასდროს მოიგონო ომი მეორედ,
რადგან ის პირველს ვერასოდეს გაიმეორებს;
ახალი სისხლით, ახლებური ტყვიით, ჯალათით,
სულ სხვა ბილიკით მიგაცილებს მიწის კარამდე.
სხვა ნაბიჯებით ივლის, უცხო გზებიდან მოვა...
ომი მორჩება, მაგრამ ვეღარ მორჩება გლოვა.
გლოვა, რომელიც მარადიულს ადგენს სიშორეს
ომში, რომელიც ერთხელ უკვე გამოიგონე.

სიყვარული

გახდა ჩემი ბოლო ნასანგრალი,
ვადაგაუსვლელი ფათერაკი,
სიზმრის გამსერავი – გადამფრენ რიგივით, წეროთა.
სიყვარული იჯდა გალავანზე
წლებაოხრებული ცხოვრებისა
და ხმადაფლეთილი სისხლიან სიმღერებს მღეროდა.

როგორც მონადირე ან ჯალათი,
ბლაგვი და უტყვიო იარაღით,
დაეხეტებოდა დიდხანს, უსხეულოდ, ჩვენ შორის.
მერე, უდაბნოებგამოვლილებს,
ასე ამაოდ რომ გვალოდინა,
მარცხთან ერთად გვერდით ჩაგვიარა... მღეროდა.

ის ხმა სიზმრებს უკვე ვეღარ გვირბევს.
წვერიც არ ჰქონია მის აისბერგს,
მისი თოკით თურმე არ კეთდება სანდო მარყუჟი.
როგორც გალიიდან ზღაპრულ ფრინველს
ვერ გავუშვებდით და არც გაფრინდა,
ამიტომაც ჟანგმოდებულ ცრემლში გავუშვით.

თოთხმეტმარცვლიანში იზმორება
ჩრდილი მონატრების, ნამსხვრევები
ვერ ამოვიძახე, ისევ ფიქრში ვაკალაპოტე.
ჩვენს წყლებს გაუჩერდათ საათები –
რჩათ, დალაქული ნამზევებით,
ტალღებს კვალი, აზომილი მრუდე წამზომით.

მაინც ვერაფრით ვერ შევაჩერეთ,
როგორც უკაცრიელ ბილიკებით
ბაბუაწვერების სასოწარკვეთილი მსვლელობა.
ასგზის განდევნილს და შენაჩვენებს,
ნაპირი ვერაფრით ვერ ვაჩვენეთ...
ის კი, იხრჩობოდა ჩვენს წყლებში და მაინც მღეროდა.

დაბადება

გამომიგონე, მიგულისხმე, ხორცი შემასხი,
რადგან, მე თვითონ ვიბადები ახლად, ვერასგზით.
გინდ იჯადოქრე, გინდა სული შთამბერე ლოცვით,
გამომიგონე, მიგულისხმე, შემასხი ხორცი.

მანთე, მიბიძგე, შემაგუე ფსკერსაც და ცასაც,
რომ ვიყო შენი ანარეკლი – ყველგან და არსად,
იქ, სადაც ფიქრი მხოლოდ შენით დანაღმულია,
რადგან განაღმვა სხვას არავის არ შეუძლია –

აღმომაცენე, მასუნთქე და შენში გამიშვი –
მაგ თვალუწვდენელ მარტოობის სიდიადეში.
გადამეფარე, როგორც ტალღა, მერე გამრიყე
ნაპირისაკენ, იქვე დამხვდი – ჩემი ნატვრის ხე.

ამომთქვი, სული მომიბრუნე, შემმოსე, მავნე
აღიარების სინამდვილით, ახლა და აქვე
მექეცი ჭერად, გადამხურე, მაფხიზლე, მენდე,
სხვა, ვერავისში დავეტევი შენსავით, შენდენს...

ჩემს სისხლს დაარქვი უფრო მუქი, მძაფრი სახელი,
მის ცხელ სიჩქარეს ამაყოლე ფერის გამხელით.
შიშზე შემეხე, გამარიდე ჩემ თავს – მე, ასეთს,
გამომიგონე, მიგულისხმე, ხელი შემახე.

გამომიყვანე შენგან, როგორც პირველი სიტყვა,
პირველი ცრემლი, პირველი გზა, პირველი მირქმა.
მომეცი სივრცე, უწვდომელი დღემდე სხვათათვის,
ჩამიდგი ყელი, ჯერარსმენილ გალობათათვის.

შენ შეგიძლია, დამაბრუნო სიცილის ტევრში,
შენ შეგიძლია, მისალბუნო სიმღერით, შეშლილს,
შეშლილს წრებრუნვის გარდუვალი შეუძლებლობით...
მანდე სიყვარულს – გაიხსენე შენი ხელობა.

ამაყვავილე იმ ყვავილად, გარს რომ უვლიან,
რადგან, შენს გარდა, სხვას არავის არ შეუძლია,
გამომიგონოს, მიგულისხმოს, ხორცი შემასხას
და დამაბრუნოს სამუდამოდ ჩემში, ხელახლა.

დედა

დროს ჰქონდა ალღო მისნის,
რომ გიკაზმავდა ჰუნებს
ყველა საჩემო გზისთვის,
რომლითაც დამაბრუნე.

ჩემს მზეზე უფრო მზეს და
ვარსკვლავზე უფრო ვარსკვლავს –
სულ რომ გხედავდე, დედა,
დღეებს უკუღმა ვნასკვავ.

შენი დამსკდარი გული
თითქოს, მიჭირავს ხელით,
რომელსაც ვეღარ ვუვლი,
რომელსაც ვეღარ ვშველი.

შენი ფაფუკი ხელით
დღემდე სიყვარულს ჭედავ.
რაც კი შეგეძლო, ჩემთვის
ხომ გააკეთე, დედა?!

ასე უკვამლოდ წვისთვის
მადლიერებას ვბედავ,
რაც არ შეგეძლო, ისიც
რომ გააკეთე, დედა...

* * *

ჩვენ ორნი დავრჩით ამ ოთახში, შაქრის კედლებში,
ბრაზის კბილები ჩავისვით და ხორცი ვიგლიჯეთ.
სანამ ერთმანეთს ხელმეორედ გავიმთელებდით,
მანამ სისხლს ვსვამდით – ერთმანეთის ძარღვის ყირმიზებს.

ჭერში დავკიდეთ გამოვლილი ათასი ვერსი,
გავანდეთ საათს სუიციდის ზუსტი საათი.

ვამწარეთ ტკბილი. ბოლო სიტყვა არ ვთქვით თუ ვერ ვთქვით
და მოსანიშნი დაგვრჩა მხოლოდ ბოლო დაღმართი.

დავრჩით ჩვენ ორნი – ნაყოფები უნაყოფობის,
თითქოს ერთმანეთს ატონალურ ელდად დავჩემდით,
მერე გავნასკვეთ უხილავი ყულფი ბოლომდის,
სანამ გაგვყიდდა უნებური აფორაჯებით.

ჩვენი სინდისი, ჩვენს გარეშე რომ დაიბადა
და ერთმანეთში მალვით რომ ვერ გავაცვედანეთ,
რომ გადაიქცა მკვდრადშობილი მიზნის იმპლანტად...
ბოლოს ჩვენ ორნი შევრჩით მოკლულს – მხოლოდ მე და მე.

წაგვსკდა ბალღამად მოთმინება – დაღლილი მტერი,
ვერ დაიტია ნაგუბარი პირმა, ოცნება
და ველოდებით, ნალურსმევი სული თუ ხელი
ბოლომდე როდის შეგვიხორცდება.

ფერები

ვეძებდი წითელს – სისხლს და მოცხარს, დაისს და ძახველს,
ვიპოვე მწვანე – ბალახიდან მჟონი სიმშვიდე,
ვხედავდი ცისფერს – საიმედო ჩემს თანამზრახველს,
მშრალი ღრუბლები მივახატე ბოლოს მის კიდეს.
ვთესე მარჯანი მოლოდინის ფსკერზე რიფებად,
ნაცრისფერ ქვებსაც რუდუნებით ვაცალე ხავსი.
ახლა ისეთი პატარა და ისე მყიფე ვარ,
იქნებ ვერც შევძლო, მოგონების მოლურჯო ნავსი
გავტეხო ერთხელ, სანამ სხივად ღვივის ყვითელი
და ვარდისფერი ოცნებები მიაქვთ ქარიშხლებს.
სანამ გუგებში მოლივლივე სიზმრის ცირცელი
გამშრალი გულის კონტურების ფერს მიმანიშნებს.
დროა, გაჩერდეს დრო და წუთებს, როგორც მაგნიტებს
დასცვივდეს ჭრელი ნემსებივით ფერების შვავი
და წვიმიანმა ამინდებმა, შორს რომ წაიღეს –
ბუმერანგივით დააბრუნონ თეთრით და შავით
ის, რაც ვიცხოვრე.



გიზო თავაძე

ჭების ამბოხი

სოფელ ჭალისქედს ორი მდინარე ჩამოუდიოდა, მაგრამ არც ერთს არ იყენებდნენ.

სოფლის ყოველ მეორე მოსახლეს საკუთარი ჭა (ბევრი საზიარო იყო) ჰქონდა.

ხუთას კომლიან სოფელში, სამასამდე ჭა ამოეთხარათ ბაბუა-პეპერებს და ახალგაზრდებიც დიდად დახელოვნებულიყვნენ ამ საქმეში.

ერთ-ერთი განთქმული ჭისმთხრელი ჟორჟიკა ჩხარტიშვილიც იყო, რომელიც, ვიდრე გერმანელებთან საბრძოლველად გაეშურებოდა, – შუა სოფელში, გზის პირას ამოთხარა და ამოაშენა ოცმეტრიანი ჭა. თანატოლები და თანასოფლელები მოიმხრო: ბიჭებო, ჩვენ ყველას ომში გაგვრეკავენ და ეს ჩვენს სახელზე დარჩეს სოფელსო!..

ერთ თვეში მოილიეს საქმე და მცირე პურობაც გამართეს.

ჰო, არ დამავიწყდეს, ჯერ ჩვიდმეტისაც არ იყო და ომში ამიტომაც არ მიჰყავდათ, ამიტომ, ვიღაცასთან რომ ებრძოლა და ებურჯგლა, ადგა და შორიახლო სოფლიდან, საფერშლო ტექნიკუმის სტუდენტი ეფემია სანოძე გამოიტაცა.

წლისთავზე, ტყუპი ბიჭები გაუჩნდათ, ამასობაში სრულწლოვანიც გახდა და დაიბარა: ეფემია, ამ ბიჭებს მიმიხედე, მე მალე ჩამოვალ და ჰიტლერის თავს (მოდაში იყო ეს გამოთქმა) ჩამოვიტან საბურთაოდო...

თქვა და მხრების რხევით (წელი და ბეჭები, იმას ჰქონდა თუ ჰქონდა...) გაუყვა სოფლის შარაგზას.

* * *

ქვა და მიწა დუღდა სევასტოპოლთან. ცეცხლში იწვოდნენ – სხვის ომში, – უწვერულვაშო ქართველები. ჟორჟიკას თოფი შაშვზე და გადამფრენ იხვზე თუ დაემიზნებინა და ახლა, პირდაპირ, კაცი უნდა ამოეღო მიზანში, მასავით ახალწვერაშლილი გერმანელი ბიჭი, რომელიც ასიოდ მეტრში, მორღვეულ კედელს ეფარებოდა და ამას უმიზნებდა მაინცდამაინც. დაასწრო და დაინახა, როგორ მოწყვეტით დაასკდა ჩამოშლილ აგურებს მტერი; იქნებ, იმასაც ტყუპი ბიჭები ჰყავსო! – გაიფიქრა და ავტომატს მჭიდი შეუცვალა.

მერე სამი დღე ხემსი არ გადასვლია ყელში, წყალს რომ დალევდა, იქვე გული ერეოდა.

თანდათან შეეჩვია და აფრენილი მწყრებივით დათოფა და ჩამოყარა კედლის გალავნიდან მტრის ჯარისკაცები.

ერთხელაც დაასწრეს და, ჯერ გულ-მუცელი გამოუბუგა ნაღმის ნამსხვრევმა და სადღაც, ხერხემლის ბოლოს, კინკიხოსთან გაილურსა...

სამი დღე მკვდრებს შორის იწვა უგონოდ.

და როცა საძმო საფლავში უნდა ჩაეგდოთ, შორიდან ქალის ხმა მოესმა:

– ეტო, პამოემუ, ჟივოი!..

მერე თბილი ხელი იგრძნო გაყინულ სხეულზე და გულისჯიბიდან საბუთები ამოაცალეს.

– ჩტო ვი სკაზალი? – ახლა კაცის ჩახლეჩილი ხმა ჩაესმა.

– ჩხარტიშვილი ჟორჟიკა!.. – სამხედრო ბილეთს დაჰყურებდა მედდა.

მერე საკაცეზე დააწვინეს და საველე ჰოსპიტალში გაახილა თვალი.

– სადაური ქართველი ხარ? – თეთრხალათიანი ეკითხებოდა.

– ჩოხატაურიდან, ჭალისქედიდან...

– მეც გურული ვარ, სამხედრო ქირურგი, მაიორი ჩიგოგიძე.

– რა მჭირს ექიმო?

– სისხლი გაქვს ბევრი დაკარგული და ტყვიაც ხერხემალშია გაჩხერილი...

მერე ის ახსოვს, მთელი ლიტრი სპირტი რომ დაალევინეს, რადგან ბრეზენტით გადახურულ საველე ჰოსპიტალში, არავითარი საანესთეზიო საშუალება არ აღმოაჩნდათ...

ჟორჟიკას ბღავილი რუსეთისა და უკრაინის ტრამალებს წვდებოდა და შავ ზღვასაც ტალღებს უქოჩრავდა. ერთსაათიანი ოპერაციის შემდეგ ნაღმის ნამსხვრევი ამოუღეს, მაგრამ, ხერხემლის დეფორმაციამ სამუდამოდ გაუშეშა მარცხენა ხელი, ასევე საგრძნობლად მოეღრიცა ქვედა ყბა.

ომში წასვლიდან წლისთავზე ჭალისქედში დაბრუნდა.

ვერც ჰიტლერის თავი ჩამოიტანა და თავადაც ჰიტლერის ხასიათით მოევლინა ოჯახს.

* * *

ეფემია სოფლის ამბულატორიაში მუშაობდა და ჩაისაც კრეფდა კოლმეურნეობის პლანტაციებში; სხვაგვარად ოჯახსა და ორ პატარას, ვერაფრით გამოკვებავდა.

ბავშვების გაზრდაში შინაბერა მეზობელი, რუსულის მასწავლებელი, ელვირა დავიდოვნა (მამის სახელით რომ არ მიგემართათ, ეზოში არ შეგიშვებდათ) ეხმარებოდა.

ელვირა მასწავლებელი მხსნელად მოევლინა ეფემიას, რადგან უმეტესწილად სახლში ბრძანდებოდა და ბავშვებსაც იტოვებდა. თავად გაუთხოვარს და მარადიულ ქალწულს შვილები არ გაუზრდია, მაგრამ, ამათ, ცივ ნიავს არ აკარებდა. ზოგჯერ, ღამითაც კი ეფემიასთან რჩებოდა (თუმც ასიოდე მეტრში ცხოვრობდა).

ბევრი ლაპარაკი (მასწავლებელი არ იყო!..) და ჭორები უყვარდა ელვირას. მთელი სოფლის ამბები, ხუთი თითივით იცოდა და თავად პატიოსანს, ირგვლივ, ყველა ბოზი და მოღალატე ეგონა. უკვე ასაკოვანი, სკოლაში ორშაბათს და ხუთშაბათს დადიოდა, სხვა დღეები და საათები ახალგაზრდა ნათესავისთვის დაეთმო.

უკვირდა ეფემიას, საიდან იცოდა სოფლის და მსოფლიოს ამბები ელვირამ, მაგრამ ვერც ეკითხებოდა, ერიდებოდა, ასაკს სცემდა პატივს. ელაპარაკა იმასაც, მთავარია, რომ შვილების მოვლაში ეხმარებოდა და ასე მშვიდად მიდიოდა (ომს თუ მშვიდობა შეიძლება ეწოდოს!..) ეფემიას და ტყუპების საქმე, ვიდრე...

* * *

ჰალუცინაციები და ხერხემლის ტკივილი ბედისწერად ექცა ჟორჟიკას. სპირტს ვერა და ვერ გადაეჩვია. დალევდა და: – ის კაცი ვინ იყო კარებში რომ შემოიხედა?

– რომელი კაცი? – უკვირდა ეფემიას.

– რომელი და შენი საყვარელი, შენი დედა! – ხელს წამოავლებდა თავის გაჩორკნილ ჯორკოს.

მერე ბავშების ცემასაც მიჰყო ხელი.

სოფელი ომში იყო გახეკილი, სულ ორი კინკილა კაცი დააბიჯებდა (ისინიც ხეიბრები, მოხუცები), ზოგი რომ ბიძაშვილად თუ გარებიძაშვილად ერგებოდა და ყველა მტრად მოკიდა, ყველა ეფემიას საყვარელი ეგონა...

ბოლოს ელვირაც აითვალწუნა: ჩემს ცოლთან რატომ რჩება ღამღამობითო!..

ახლა პირიქით ხდებოდა, ეფემია გადადიოდა ელვირასთან ბავშვებიანად და იქ რჩებოდა, რადგან უკვე წამოზრდილ ბიჭებსაც თავზე ამტვრევდა ჯამ-ჭურჭელს ტკივილისაგან სახემოღრეცილი ჟორჟიკა.

ერთი ხანი, სხვა სოფლებში დადიოდა, სხვაგან სვამდა, რადგან ჭალისქედში, არავინ დარჩა ულანძღავ-უგინებელი და მასთან დალევასაც ყველა ერიდებოდა.

ზოგჯერ სახლშიც არ მოდიოდა. დაბრუნდებოდა და განაცხადებდა: ბჟოლისუბანში ჭა ამოვაღებინე ნაცნობსო. ეფემიას, გულისგულში უხაროდა კიდევ სხვაგან რომ რჩებოდა, რადგან ამ დროს, ოჯახში სიმშვიდე ისადგურებდა.

– ნეტავ სულ არ დაბრუნებულიყო ომიდან, იმ ლამაზი და კეთილი ჟორჟიკას სახებით ვიარსებებდი, ახლა გადაგვარებული მხეცია, ცივი, დაუნდობელი და ბოროტი!.. – უთხრა ელვირას ეფემიამ.

– რატომ შე ქალო, კაცია მაინც ოჯახში!..

– რომელი კაცი, მეათე კლასელ ბიჭებს რომ ტაფას ურტყამს და მათ დედას ბოზს ეძახის?!

– ხო, რა ვიცი, რა ვიცი, ისე, რამდენიმე დღეა, მაგის გინება არ გამიგონია, სად არის?

– რა ვიცი, დადის სადღაც და იძახის ჭებს ვთხრი სოფლებშიო, რას გაიგებ, ფული მაგას არ მოაქვს და ოქრო, ალბათ არაყს და სპირტს ასმევენ...

* * *

ერთ ქარიან ღამეს, გვიან ღამით, ელვირა მიადგა ჭიშკარს.

– ეფემია!

– შემოდი დავიდოვნა!

– გადმოდი ჩემთან!

შალი მოიხურა, მძინარე შვილებს დახედა და ჭიშკარი გაიხურა.

– ეფემია, იქნებ არ უნდა გეუბნებოდე, მარა, უკვე მთელი სოფელი ლაპარაკობს და დაგცინის...

ეფემიას ავად შეაჟრჟოლა ტანში.

– რა მოხდა, არ იტყვი ადამიანო?

– სოფლის ბოლოში რომ ქვრივი და კოჭლი ბუღალტერია, იმასთან ათევს ღამეებს შენი ჟორჟიკა!

– უი, რას ამბობ დავიდოვნა, იმისი საცოდავი ქმარი, ჟორჟიკას თანაკლასელი და მეგობარი იყო, მთლად მასე გათახსირებული კი არ არის!..

– მე ჩემი გითხარი და სოფელიც მაგას ლაპარაკობს...

ენაჩავარდნილ ეფემიას თვალები ჩაუსისხლიანდა, ავად აუცახცახდა ტუჩები.

– ეგიც მაკადრა, შემარცხვინა, თავს ლაფი დამასხა, მეგობრის ცოლთან დაწვა!..

– იქნებ ტყუილია!.. – დაიხია უკან შეშინებულმა ელვირამ.

– კისერიც უტეხია, აწი მაგი სახლში ველარ დაბრუნდება!..

ეფემიამ შალი მოისხა ბეჭებზე და ღამე ნებისა უსურვა რუსულის მასწავლებელს.

* * *

შუაღამე კაიხნის გადასული იქნებოდა, როცა კაცურად შემოსილი ეფემია სახლიდან გამოვიდა. ბიჭებს ღრმად ეძინათ. სოფელსაც... ბუღალტრის სახლთანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. ელვირამ ისიც უთხრა, გამთენიისას გამოდის იმ ქალის სახლიდან და გაღმა სოფელში მიდის სამუშაოდო.

უცებ, შუქი აინთო და კარი გაიღო. ჟორჟიკა ბუზღუნით გამოვიდა: რა დამალევინეს წუხელ ასეთი, რომ ვერ მოვინელეო!.. ეფემიას გასაკვირად, სახლისკენ აიღო გეზი, მიდიოდა, მიირწეოდა, ეტყობოდა, რომ ვერ გამოფხიზლებულიყო.

ავაზასავით მიყვებოდა კვალში ეფემია თავის გამაუბედურებელ და თავზე ლაფგადამსხმელ ქმარს, რომელმაც საქვეყნოდ დაამცირა და გაანადგურა იგი.

ჟორჟიკა ღობეს მიადგა და...

ეფემიამ მოზრდილი ქვები აიღო ხელში.

უცებ ჟორჟიკამ გეზი იცვალა და ჭისკენ გასწია:

„ჩემი ჭა, ჩვენი სოფლის ჭა, მე და ჩემმა კლასელებმა, რომ ამოვიყვანეთ ომში წასვლამდე, ყველაზე გემრიელი წყალი აქაა...“

შვილდივით მოზიდული ეფემია, ათიოდ მეტრში იდგა და ისმენდა სუნთქვაშეკრულად ჟორჟიკას მონოლოგს, რომელმაც დაჭყლეტილი სათლი მოზიდა, ჭის გვიმზე გადაიხარა და ჯაჭვი ჟრიალით ჩაუშვა სიღრმეში.

მხეცადქცეული ეფემია მგელივით მიეჭრა ზურგიდან, ფეხებში წვდა და კაცის განწირული კივილი ჭაში ჩაიქცა...

ლანდივით შეიძურწა სიმინდის ყანებში ეფემია. ათიოდ წუთში სახლში, სპილენძის ვარცლში იჯდა და მდუღარე წყალს ისხამდა თავზე.

ბიჭებს, ისევ ღრმა ძილით ეძინათ...

* * *

სამმა დღემ ისე ჩაიარა, თითქოსდა არაფერი...

სამი დღის შემდეგ ეფემიამ ჟორჟიკა მოიკითხა და შვილები მოსაზღვრე სოფლებში გააგზავნა.

იქიდან შემოთვალეს, რამდენიმე დღეა, არ გამოჩენილაო...

ერთი კვირის შემდეგ, ჭიდან შემაწუხებელი სუნი ამოვარდა.

იმავე საღამოს სახანძრო დახმარების ათეულმა, ჭიდან დასახიჩრებული გვამი ამოზიდა.

უბედური ჟორჟიკა ჩხარტიშილი, თავისივე ამოთხრილ ჭას ემსხვერპლა...

* * *

მიჯაყჯაყებდა წუთისოფლის მარადიული ეტლი. ბიჭებიც დაოჯახებულიყვნენ. ერთი ბათუმში დამკვიდრებულიყო, მეორე სამტრედიაში.

ელვირა ისე ღრმად მოხუცებულიყო, ეზოდან გასვლასაც ვერ ახერხებდა.

ხშირად იჯდა ეფემია ელვირასთან და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მოხუცს, თუმცა, თავადაც ავადმყოფობდა.

შვილებმა ექიმთან წაიყვანეს და გულდამძმებულები დაბრუნდნენ უკან; ექიმმა წყალ-მანკის დიაგნოზი დასვა.

უფრო და უფრო მძიმდებოდა ეფემიას მდგომარეობა. ყოველ მესამე დღეს მიყჰავდათ რაიონიდან ექიმი, რომელიც დიდი ნემსით იღებდა წყალს ფილტვებიდან.

ბოლო დღეებში რძლებიც ჩამოვიდნენ და ღამეებს უთევდნენ ავადმყოფს.

შუაღამისას, ელვირა დავიდოვნამ, რომელიც კარგა ხანია ეზოდან არ გადიოდა, შეაღო კარები.

– რას შვებით? – იკითხა მან.

– ცუდად არის! – თქვეეს რძლებმა.

– სოფელში, ჭებიდან წყალი გადმოდის, პირთამდეა სავსე ყველა ჭა, ასეთი რამ არავის ახსოვს!..

მალე გადაძახილ-გადმოძახილის ხმამაც მოაღწია, გაოცებული მეზობლები, ერთმანეთს უყვებოდნენ თავიანთი ჭების ავსების და გადმოსვლის ამბავს...

– ნეტა რა ხდება? – იკითხა ერთ-ერთმა რძალმა.

– მაგას ახლა წყალი დაახრჩობს და ჭებიც დაშიშმინდება!... – თქვა ელვირამ და კარი გაიხურა.

– დედა, დედა! – ჩასძახოდა, შვილი.

– მაინც არ მაპატია!.. – ბოლოჯერ ამოისუნთქა ეფემიამ.

გაკვირვებულმა შვილებმა ერთმანეთს გადახედეს...

* * *

მეორე დღეს ჭალისქედში ყველა ჭა დაშრა...

ჭოლა სერდუხის გაუჩინარება

ჭოლა სერდუხი ქართველი იყო.

ქართულის გარდა, არც ერთი ენა არ იცოდა. ირგვლივ სულ ქართველები ცხოვრობდნენ, ან კი საიდან ისწავლიდა სხვა ენას, მისი გვარის კაცი (არც ქალი) თელავში არ მოიძებნებოდა. მამაც ლანდად ახსოვდა, ხმელი, შავულვაშებიანი კაცი, რომელიც ყოველგვარ სეიფს წუთში ხსნიდა, გასაღებს არგებდა და იმ სეიფებს გადაყვა კიდეც. ბაქოში დიდი ბანკი „გაიტანეს“ ქურდებმა, მაგრამ ჩავარდნენ და... ერთ-ერთი გატეხეს, რომელმაც ხელი სეიფოლა სერდუხს დაადო, „ამან გაგვიკეთა გასაღებიო!“ თხუთმ-

ეტი წელი მიუსაჯეს, ციმბირში უკრეს თავი და არც დაბრუნებულა, იქვე მიაბარა სული უფალს; ამბობდნენ, ფული წააგო ტუსაღებთან და იმათ გაასაღესო. იქედან ცნობა ჩამოუვიდა ჭოლას დედას, მშვენიერ ქალბატონს, ერთადერთ იმედად ჭოლა რომ შერჩა, რომელიც იმჟამად ოთხი წლისა იყო და თელავის მესამე საბავშვო ბაღში სწავლობდა. ქალბატონი თინიკო უშიკიშვილი ტანვარჯიშის მწვრთნელად მუშაობდა სპორტულ სკოლაში და შვილს ხან ცურვაზე დაატარებდა, ხანაც კარატეზე, რაც შემდეგ ბევრჯერ გამოადგა ჭოლას. შვილის შეკითხვაზე, სადაური წარმომავლობის გვარია სერდუხიო, დედა პასუხობდა: „ქართულია შვილო, თუმცა მამაშენის წინაპრები, უძველესი საქრისტიანოდან, ასურეთიდან იყვნენო.“ ვიღაც სტუდენტს ძველისძველი დავთარი უჩვენებია, რის შემდეგაც დაიჩემა, გაქართველებული ყივჩაღები ვართო. დედასაც ხშირად ეუბნებოდა: „ადამიანო, რა ჯიშის კაცს მიყვებოდი ცოლად, როგორ ვერ გაიგეო...“ თინიკო იცინოდა: „სულით და გულით ქართველი იყო, სხვა რა უნდა გამეგოო“.

სამი ფაკულტეტი გამოიცვალა (უნივერსიტეტში უამრავ გოგონას უყვარდა) და, შვიდწლიანი სტუდენტობის შემდეგ, ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა მშობლიურ სკოლაში, იქაც რამდენიმე გასათხოვარი პედაგოგი უჟუჟუნებდა თვალებს. დედაც ეხვეწებოდა (ამ დროს 25 წლის იყო): „აირჩიე რომელიმე და შვილიშვილებს მომასწარი, ხომ იცი, სხვა სიხარული მე არ გამაჩნიაო“.

„დედი, ამათ ყველას ვუყვარვარ და მეც ყველანი მიყვარს, აბა, რომელ ერთს დავწყვიტო გული?!“ – ღლაბუცობდა ჭოლა და ორმოც წელსაც გვარიანად გადაცილდა ხუმრობა-ხუმრობაში.

ორმოცდასამისა იყო, დედა რომ გარდაეცვალა და მარტოდმარტო დარჩა. ქალები ამ ასაკშიც კისერზე ეკიდებოდნენ, მაგრამ გენეტიკა, სხვას კარნახობდა, აუცილებელი იყო, – ოჯახი და შთამომავლობა!

დედის წლისთავის შემდეგ დაოჯახდა. ორმოცდახუთისა კი მამა გახდა. ოჯახმა სხვა სული შთაბერა თითქოს, მაგრამ ჩვეულებას ვერ ღალატობდა, ხან სად ათევდა ღამეს და ხან სად. ცოლს, – რომელიც ხუთიოდ წლით იყო მასზე უმცროსი, – ამბავი მიუტანეს, გღალატობსო. ანიკოს (ლიქოკელი გახლდათ გვარით), რომელიც უკვე მეორე ბავშვს ელოდა, ეგონა, ვიღაც ქალი ურევს თავ-გზასო (არადა, ბლომად იყვნენ) და ჭოლა გააფრთხილა: „კიდევ გავიგებ ამგვარ რაიმეს და ჩემებთან დავბრუნდებიო“. რაღა უნდა ექნა, აღარ რჩებოდა ღამით სხვაგან, შუაღამეც რომ ყოფილიყო, შინ ბრუნდებოდა, უმეტესად ნასვამი, რადგან იცოდა ცოლის ეჭვიანობის ამბავი. „გასკდი დღესაც!..“ ეტყოდა ანიკო და გადაბრუნდებოდა კედლისკენ, ზურგს შეაქცევდა. ეს კიდევ ზურგზე მოეფერებოდა, აკოცებდა, გადმოაბრუნებდა, რაც ქალს მოალბობდა, აღაგზნებდა და რაგინდ ყელში ამოსული ჰქონოდა ქალის ალერსი, უნდა აღესრულებინა კაცის ვალი. მადლობას სწირავდა გამჩენს შეძლებისათვის, რომ არ შეძლებოდა, ხომ დაიღუპებოდა. ქალს შენ გამოაპარებ რამეს!..

ბავშვებიც წამოიზარდნენ; ბაღში მიაბარეს ორივე და ანიკომაც იშოვა სამსახური. ამასობაში ჭოლა ორმოცდაათი წლის გახდა. სამეგობრომ ყვარლის ტბაზე აღუნიშნა იუბილე. თითქოს ცხოვრება დალაგდა და თავისი გზით მიედინებოდა, როცა სკოლაში (ამ დროს ჭოლა სერდუხი სკოლის დირექტორი გახლდათ) ის გამოჩნდა, სრულიად ნორჩი...

* * *

ანგელაც ქართველი იყო.

რა ბიოგრაფია ექნებოდა, ოცდაშვიდი წელი ახლახან შესრულებოდა. იზრდებოდა საშუალო შეძლების ოჯახში, იმერეთში, ხარაგაულში. სტუდენტობისას გათხოვდა, დედაც სტუდენტი გახდა. მერე კიდევ ორი შვილი გააჩინა და როგორც კი პატარები წამოიჩიტნენ, ბაღში მიაბარა. უფროსი სკოლაში დადიოდა უკვე. ოჯახში დათათბირების შემდეგ გადაწყდა, რომ სკოლაში დაეწყო მუშაობა (თუნდაც რამდენიმე საათი მიეცათ).

ბედმა (თუ ბედის ირონიამ) იმ სკოლაში მიიყვანა, სადაც დირექტორი ჭოლა სერდუხი გახლდათ. მორიდებით დააკაკუნა კარზე, საიდანაც „მობძანდითო“, – გამოეხმაურნენ. კარი შეაღო თუ არა, წამსვე გამობრუნება დააპირა, მაგრამ დირექტორმა დაასწრო:

– დაბრძანდით, გისმენთ.

ანგელა დაბნეული დაჯდა, „ნამდვილად ისაა, რამდენიმეჯერ შევამჩნიე, გასტრონომიდან გამოსულმა, როგორ მათვალიერებდა მანქანის ღია ფანჯრიდან, მგონი „ფორდია“, შავი ფერის...“

– გისმენთ ქალბატონო, ხომ მშვიდობა გაქვთ? – შეატყო ქალს დაბნეულობა ჭოლამ.

– ბოდიშით, არაფერი, კითხვა მინდოდა...

– მშობელი ბრძანდებით? – ჭოლასაც ეცნო ქალი.

– არა, მშობელი არა, უბრალოდ სამსახური მინდოდა და ინგლისური ენის რამდენიმე საათი თუ...

– მომაწოდეთ თქვენი საბუთები!

„მგონი აქვე, ახლო უნდა ცხოვრობდეს, სკოლის გვერდით რომ გასტრონომია, იქ შევნიშნე საშინაოდ ჩაცმული, ოთახის წაღები ეცვა, ნამდვილად ის არის“. – იჭყლეტდა გონებას ჭოლა.

– ინებეთ ბატონო.

– კურტანიძე ანგელა. – ხმამაღლა წაიკითხა დირექტორმა.

– დიახ, ბატონო ჭოლა.

– ზემო იმერული გვარია, კახეთში საიდან?

– მეუღლე მყავს აქაური.

– თქვენ აქვე ხომ არ ცხოვრობთ?

– კი, აქვე ვცხოვრობთ, მესამე კორპუსში. – გაწითლდა ანგელა.

– აბა, მე ქალაქის ბოლოში ვცხოვრობ, თუმცა რა დიდი თელავია, ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ.

– თქვენ ყველა გიცნობთ, ბატონო ჭოლა.

– ახლა ბევრს ვერაფერს შემოგთავაზებთ, სადეკრეტო საათებს მოგცემთ, მერე კი... თუმცა ვნახოთ, როგორ მომაწონებთ თავს, მოკლედ, ყველაფერი თქვენზე და თქვენს ქალურ ალღოზეა დამოკიდებული.

ანგელა კიდევ უფრო გაწითლდა, ასეთი რამ არასოდეს განეცადა, სახე უხურდა, წინ მამის ტოლა კაცი იდგა, რომელსაც მისი ხელი ხელში მოექცია და არ უშვებდა.

– გმადლობთ, როდის მოვიდე? – მოკრძალებით გამოართვა ხელი.

– ხვალვე გელოდებით.

დირექტორის კაბინეტიდან გამოსული ანგელა კარგა ხანს არაბუნებრივად იქცეოდა. ჯერ იყო და სულ სხვა მხარეს წავიდა, სადაც წყლით სავსე ორმოებში იარა, ფეხები დაუსველდა და ცოტა შეფხიზლდა კიდეც, მაგრამ ვერც ამან გამოარკვია ბოლომდე, რადგან ტყიდან მომავალი, მორებით სავსე სატვირთო ლამის დაეჯახა, მანქანის გამაყრუებელმა ხმამ და ტალახიანმა წყალმა ისე დააფრთხო, რომ ხმამაღლა შეჰკივლა.

– გიჟი ხარ, ქალო! – გადმოსძახა მძღოლმა და გზა განაგრძო.

„აქეთ რა მინდა, ან საით მიდის ეს გზა?“ – შემობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით აუყვა აღმართს. „ახლა, ასეთი გაწუწული და მოთხვრილი რომ დამინახოს ბატონმა ჭოლამ, მაინც მიმიღებს სამსახურში?“ – ფიქრობდა და სკოლის ეზოსკენ აპარებდა მზერას, რომელიც კარგა შორს ჩანდა. „რამოდენა გზა გამივლია, რა მიქნა, ნამდვილი ტელეპატია, გველივით არ მომნუსხა!.. არადა, რა მისი ბრალია, მე არ მივადექი დასაკლავ ბოჩოლასავით, მან კი... როგორი თვალები აქვს, ხელები... ახლაც ჟრუანტელი მივლის... პატარა ბავშვს რომ მოეფერებიან, ისე მომეფერა, ხვალვე მოდიო, მეგონა უარს მეტყოდა, არაა სამსახური დღეს ადვილი საშოვი, თან როგორ მითხრა, „შენს ქალურ ალღოზეა დამოკიდებული შენი მომავალიო!..“ ნეტავ იქვე გამოვბრუნებულიყავ, ხომ დავაპირე... ვინ გაგიშვა, მაშინვე ვიცანი, ქორივით მზვერავდა... მამაჩემის ტოლია, იქნებ მელანდება ყოველი, ვაზვიადებ და ვფანტაზიორობ...“

– ანგელა, ასე რამ გაგწუწა? – მეზობლის ქალი იდგა წინ.

– მანქანამ დამასველა.

მეზობელმა გაკვირვებით შეხედა და სკოლის ეზოში შევიდა. „ამის ბავშვი აქ სწავლობს, ნეტავ

რა იფიქრა“. – ნაბიჯს აუჩქარა, პატარა ხიდზე შეაბიჯა, რომლის ქვეშაც უსახელო მდინარე (რუ ან წყარო) მიედინებოდა. სახლიც გამოჩნდა. საკუთარ ფანჯრებს ახედა. „ხომ არ ვთქვა სახლში, შტატი არ აქვთ და არ მიმიღეს-მეთქი?“.

ეზოში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ, მათ არც ანგელას მიახლოება გაუგიათ და არც მისი სადარბაზოში შესვლა, „კიდევ კარგი, დიდები რომ არ იდგნენ ეზოში!“ პირდაპირ აბაზანაში შეაბიჯა. როცა მარჯვენა ხელი შიშველ მკერდზე ჩამოისვა, გააჟრჟოლა, ცხვირთან მიიტანა და მაძებარივით დაყნოსა, „ჩვენი დირექტორის სუნი აქვს, მგონი ავიჭერი...“

დილით ადრიანად ადგა, ისევ აბაზანას მიაშურა. ხელი ისევ ეუცხოვა... მთელი საათი სარკესთან იტრიალა. არც ერთი ვარცხნილობა (რაც იცოდა) არ მოეწონა. „ნეტავ, გუშინ მივსულიყავ სალონში, მზიასთან, ახლა ვეღარ მოვასწრებ, ისე, ისიც არ ვიცი, რომელ ჯგუფში უნდა შევიდე, პირველი გაკვეთილი მაქვს თუ მესამე, მაინც ცხრაზე უნდა ვიყო სკოლაში, დღეს ხომ პირველი დღეა და...“

– გოგო, კინოში ხომ არ გიღებენ, მთელი საათი რომ სარკესთან ტრიალებ?! – გამოსძახა მეუღლემ.

– ჩემთვის კინოც არის და თეატრიც, პირველად მივდივარ.

კიდევ ერთხელ შეათვალიერა (ზომიერად მოკლე) კაბა და კარი გამოიხურა.

უსახელო მდინარეზე გადადიოდა, როცა ჭოლას მანქანას მოკრა თვალი და ხიდის მოაჯირს წაეტანა. მანქანამ გაიარა, დირექტორს არ შეუნიშნავს, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა მაინც უჭირდა. ჭუჭყიანმა მოაჯირმა ხელი დაუსვარა, შინ მიბრუნება გადაწყვიტა, რაც იმწამსვე გადაიფიქრა, რა უნდა ეთქვა ოჯახის წევრებისათვის? ხელსახოცი ამოიღო, ხელი გაიწმინდა და სკოლის ჭიშკარი შეაღო.

– კეთილი იყოს თქვენი ფეხი! – დირექტორი უღიმოდა.

არც ახლა გაუშვა ჭოლამ გამოწვდილი მარჯვენა. ცეცხლი მოედო მთელს ტანზე ანგელას, ხელი ზრდილობიანად ჩამოართვა და ბავშვივით იკითხა:

– დღეს რამდენი გაკვეთილი გვაქვს?

– ზემოთ ადით და სასწავლო ნაწილი გეტყვით ყველაფერს, უკვე ვესაუბრე ქალბატონ როენას.

სასწავლო ნაწილი პომადით შეღებილი, დიდმკერდიანი, ბალზაკის ასაკის ქალი აღმოჩნდა, თამამი დეკოლტეთი და მოკლე კაბით.

„ამას ჩემზე მოკლე კაბა აცვია, დირექტორს ეპრანჭება ალბათ, შეიძლება საყვარელიც არის...“

– მეხუთე კლასში შეხვალთ! – ყელი მოიღერა როენამ.

„მგონი მეც მეკეკლუცება“. – გაიფიქრა ანგელამ და მითითებული ჯგუფის საკლასო ოთახისაკენ გაემართა.

მეტი გაკვეთილი აღარც ჰქონია, სამაგიეროდ რამდენიმე მასწავლებელი გაიცნო. ამათგან ერთი (ფიზიკოსი), ანგელას თანატოლი აღმოჩნდა, რამაც ორთავე გაახარა, თუმცა ნინო ჯერ გაუთხოვარი იყო და ასაკიც არ ეტყობოდა.

ჭოლა აღარ გამოჩენილა. არც მანქანა იდგა სკოლის ჭიშკართან. პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. პირველი კვირაც მშვიდობიანად მიილია. ანგელას ისე ცოტა ჰქონდა საათები, დრო როგორ გაეყვანა (ჭორაობა არ უყვარდა) ამაზე იტეხდა თავს. ჯერ პატარა წიგნი (ჯემალ თოფურიძის მოთხრობები) წაიღო შინიდან, მერე საქსოვი ჩხირები, მაგრამ არც ერთი არ გამოადგა. ხან ერთი კოლეგა ესაუბრებოდა, ხან მეორე და ასე გრძელდებოდა დღის ბოლომდე. თანდათან შეეჩვია გარემოს, ყველა პედაგოგი გაიცნო. დირექტორის მიმართ გაჩენილი ეჭვებიც თანდათან გაუქრა. „რა სისულელეებს ვფიქრობდი იმ კაცზე, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გავხსენებივარ, იქნებ მე მსურდა ასე რომ ყოფილიყო...“ – ფიქრობდა ანგელა და ყოველ დილით სარკესთან კოპწიაობდა. ქმარიც დაარწმუნა იმაში, რომ მასწავლებელი ყოველმხრივ მოწესრიგებული უნდა შედიოდეს გაკვეთილზე, თორემ მოსწავლეების დასაცინი გახდება. საღამოობით, ბეჯით მოწაფესავით იმეორებდა სამეორდღეოდ ასახსნელ გაკვეთილს.

ამასობაში ერთი თვეც მიილია. მესამე გაკვეთილის შემდეგ როენამ იხმო:

– გაკვეთილების შემდეგ ბატონი ჭოლა გიბარებს.

– რა მოხდა? – შეშფოთდა ანგელა.

– არაფერი, გაგესაუბრება, გაიგებს, თუ როგორ შეეჩვიე სკოლას.

– როდის უნდა შევხვდე?

– ხომ გითხარი, დღის ბოლოს-მეთქი, არ მისმენდი! – გაიბრაზა თავი როენამ.

ანგელა დერეფანში გამოვიდა. ფანჯრიდან ეზო მოათვალიერა. „წინ კიდევ სამი გაკვეთილია, დირექტორმა დღის ბოლოს დამიბარა, სახლში მისვლასაც მოვასწრებ და...“ ჩქარი ნაბიჯით ჩამოირბინა კიბეები, შინ აქოშინებული მივიდა. კაბები გადმოალაგა, შეარჩია. გადაიცვა და სარკესთან დატრიალდა. დეკოლტემ სავსე მკერდი გამოამზეურა. „ძაან გამომწვევი ხომ არ იქნება?“ – ჰკითხა საკუთარ თავს. „არა უშავს, როენაზე ნაკლები ძუძუები მაქვს! იმას თუ აცვია, მე ვინ რას მეტყვის?“ კაბა კვლავ გადაიძრო და აბაზანაში შევიდა. მერე აზღუდის შერჩევა დაიწყო. ორი თუ სამი, იქვე, საწოლზე მოისროლა, ახალი გამოიღო, ცისფერი, რატომღაც ტრუსიც ცისფერი მოუნდა და... „რავა საყვარელთან წამსვლელივით ვიქცევი!..“ – გაუელვა გონებაში და სახეზე გაწითლდა. „თუმცა ყოველთვის აგრე არ ვშვები, ქალი მუდამ წესრიგიანად უნდა დადიოდეს“, – დაიმშვიდა თავი. სკოლაში დაბრუნდა. კიბეებზე მაინცდამაინც როენა შეხვდა.

– რავარი მორთულხარ, სადედოფლოდ ემზადები?! – დაგესლა ქალურად.

– გამომივლიან და თეატრში წავალთ პირდაპირ.

– თეატრი რვაზე იწყება ჩიტუნია...

მიხვდა რომ ჩაიჭრა, სისულელე წამოროშა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

– მანამდე ახლობელთან უნდა შევიაროთ, უცხოეთიდან ჩამოვიდა გუშინ.

– შეიარე, შეიარე, რა ჩემი საქმეა. – კიბეებს ჩაუყვა როენა.

„ნამდვილად ჭოლას საყვარელი იქნება ეგ როენა, აბა, ვინ ეკითხება ჩემს ასავალ-დასავალს“.

ბოლო გაკვეთილი გამოვიდა თუ არა, ხელჩანთა აიღო და დირექტორის კაბინეტისკენ გაემართა. მორიდებულად დააკაკუნა.

– შემოდით.

– შეიძლება, ბატონო ჭოლა?

– მოდი, გეთაყვა, მოდი! – ჭოლა ფეხზე წამოდგა, ხელი მოხვია და მაგიდასთან მიიყვანა, – აბა, მიამბე, როგორ მიდის შენი საქმეები, როგორ შეეჩვიე ჩვენებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს, ვინმე ხომ არ გაბრაზებს და ა. შ. – სკამი მიუჩოჩა და იქვე ჩამოჯდა თავად.

– ყველაფერი კარგადაა, დიდებული კოლექტივია, ყველანი თავს მევლებიან, მასწავლიან და ვსწავლობ, ასე, რომ თქვენი მადლიერი ვიქნები მთელი სიცოცხლე! – აალმურდა ანგელა.

– ძალიანაც კარგი! – ხელები მოიფშვნიტა ჭოლამ.

ანგელა ცდილობდა, გამოეცნო, რომელი ბრენდის სურნელი ახვევდა თავბრუს, რომელ სუნამოს ხმარობდა დირექტორი და ბავშვურად წასცდა.

– ბატონო ჭოლა, რომელი „ოდეკალონი“ მოგწონთ?

დირექტორმა გადაიხარხარა და სახე ახლოს მიუტანა.

– გამოიცანი!

ანგელას თავბრუ დაესხა და ლამის სკამიდან გადმოვარდა.

– ისე გკითხეთ, უნებურად, მინდოდა მეჩუქებინა...

– არ არის საჭირო, საჩუქრებს არ ვიღებ, ჩემთვის საჩუქარი შენი მეგობრობა იქნება.

თავზე აკოცა (პატარებს რომ კოცნიან იმდაგვარად) ანგელას და თავის ადგილს დაუბრუნდა. ვიდრე დაჯდებოდა, პატრიარქის სურათს ახედა.

ანგელა წამოდგა, დირექტორს გამოემშვიდობა და დერეფანში გავიდა. ღია ფანჯრებიდან ნიავი უბერავდა. გააჟრჟოლა, შეცივდა კიდეც და მიხვდა, რომ სულ მთლად სველი იყო. „რა

მემართება, ასე თონეში არ გავიოფლებოდი, ნამდვილად ჯადოქარია. თავზე რომ მაკოცა, მეგონა თავის ქალა დამიდნებოდა“. შინისკენ აიჩქარა. ისევ აბაზანაში ჰპოვა შვება. ივახშმა თუ არა, „თავი მტკივაო“ – უთხრა დედამთილს და ლოგინს მიაშურა.

კეფა უხურდა. ვერც ჭოლას სუნამოს სურნელი მოიშორა, არც უცდია. ვერაფრით მოახერხა დაძინება. წათვლემდა თუ არა, ჭოლა წამოადგებოდა თავზე... „არა, როგორ შეიძლება, კაცი ჩემზე ორჯერ უფროსია!..“ სიგარეტი მოუნდა. ქმართან არასდროს მოუწევია (დაქალებში თუ მოწევდა ზოგჯერ), ადგა, ტუალეტში შევიდა, მოუკიდა, ღრმად ჩაისუნთქა, გაიმეორა და ნამწვი ჩარეცხა. ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან. მეუღლეს გაუხდელად ეძინა დივანზე. „ისევ გამტყვრალია, ეგ უპატრონო!“ საბანი თავზე გადაიფარა. „ნეტავ ჭოლას თუ იცნობს, ეცოდინება, აქ ხომ ყველანი ცნობენ ერთმანეთს, თანაც სერდუხი ყველაფრით გამოირჩეოდა ამ ქალაქში, რად ამეკვიატა მისი გვარი, ან რად არ მაძინებს!.. იქნებ პირიქით, მე არ ვაძინებ, მე ავიჩემე და ჭოლას ვაბრალებ, უკვე შენობითაც კი მოვიხსენიებ მამისტოლა კაცს, დაფასებულს, პატივცემულს, დირექტორს, რა მისი ბრალია თუ ასეთი გაჩნდა, მომხიბვლელი, ნიჭიერი და... რავა, მომთხოვა რამე თუ... აბა, რას ვერჩი!..“

დილით ჩაეძინა.

იმ ღამით არც ჭოლა სერდუხს უძინია.

მის მრავალფეროვან, „ათას ერთ ღამეებში“, ათას „შურთხში“ თუ „ზუთხში“ ანუ ლამაზმანებში, ეს პატარა გოგო, საოცარი აურით, ველით, კარმით თუ... ჯანდაბით შეიჭრა და თავგზა აურია საქვეყნოდ ცნობილ მექალთანეს, დონ ჟუანს, კაზანოვას თუ გრიშკა რასპუტინს. ერთხანს, სიყმაწვილეში, ალი ფაშასაც კი ეძახდნენ მეგობრები, ჰარამხანების ტრფიალს.

ახლა რაც მის თავს ხდებოდა, არასოდეს განეცადა. თუ ადრე (ვიდრე დაოჯახდებოდა) თავდავიწყებით გადაეშვებოდა ამურის ტალღებში, ბოლოს, აშკარად ეკრძალვოდა ამდგვარ ქმედებებს (მით უფრო, რაც ცოლთან დააბეზღეს).

მთელი თვე ებრძოდა თავს, რომ არ ენახა და არ დალაპარაკებოდა ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც უყოყმანოდ მიიღო სკოლაში. მაინც ვერ მოერია თავს, როენას დაუძახა და უთხრა: „გაკვეთილების შემდეგ კურტანიძე შემოვიდესო“.

– ინტერვიუსთვის მზად იყოს, ბატონო ჭოლა!.. – გაუღიმა როენამ.

– რაც გითხარი, ის გააკეთე! – ხმა გაიმკაცრა დირექტორმა.

ის სამი გაკვეთილი, სამ საუკუნედ მოეჩვენა სერდუხს.

„ძველი ნაბოზარია როენა, ახლა დაბერდა და იეჭვიანა, ქმარიც რავარი მწყერჩიტა ჰყავს, მომიყვანდა და მივდიოდით ერთად ხან გრიგოლეთში, ხან კვარიათში. იქ მგონი როენას ბოზ დაქალს ჰქონდა საკუთარი ბინა და სამი დღით იქ ვჩერდებოდით. ქმარს კი ეგონა, თბილისში, ზოგჯერ ბათუმში, პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე უშვებდა ცოლს. ჩემთან იმაღლებდა კვალიფიკაციას როენა და დაუფასდა კიდეც, სასწავლო დარგში ჩემი მოადგილეა.

ერთი ქალი კი გამიქცია, ამ ოხერმა, რუსულის მასწავლებელი, მარწყვივით გოგო, ერთი თვის გათხოვილი იყო, ჩვენთან რომ მოვიდა. ოთახში შემოგვისწრო (გასაღები ჰქონდა) მაგიდაზე რომ მყავდა ფეხებაშვერილი. სკანდალი მოაწყო; საწყალმა გოგომ, მეორე დღეს დაწერა განცხადება. მგონი ნახევრად რუსი იყო. დღეს რა მითხრა, „ინტერვიუსთვის მზად იყოსო?“ ესეც არ გამიქციოს, ან ჩემს ცოლთან არ დაარეკინოს ვინმეს, მე შენ გეტყვი და გაუჭირდება, ან ნამუსი შეაწუხებს.

ანგელას (ვინ ოხერმა დაარქვა) ქმარიც კაი მწყერჩიტა ჩანს, სულ გამობრუჟული დადის...“

კარზე დააკაკუნეს.

ანგელა შერჩა ხელთ.

მთელი საღამო მთვარეულივით დადიოდა, ძილქუში თენთავდა.

„ჩემი სუნამო მოეწონა თუ მართლა უნდა პატივი მცეს, თან ჩემი დაბადების დღეც ახლოვდება. გაიგებდა აუცილებლად. თანამშრომლ-

ები ხომ უპირველესად „შეფის“ დაბადების დღეს იმახსოვრებენ, რათა ყველასგან გამორჩეული რამ აჩუქონ, ამით მზის ქვეშ ადგილს იმკვიდრებენ. ზოგი ამ დროს საკუთარ თავს თავაზობს „შეფს“ ზვარაკად; როენამაც მაგრე არ გააკეთა. ნეტა იმ დროს, რა თავისუფალი ვიყავი...“

ასეთ ფიქრებში ჩაეძინა და ესიზმრა ანგელა. თმებს ჭრიდა და ჭაღარებს ითვლიდა. მაკრატელს მოუხერხებლად ხმარობდა, ყურსაც კი შეახო ერთი-ორჯერ, თუმც უსისხლოდ მორჩა ყოველივე, მერე აბაზანაში ეპატიჟებოდა, თავი უნდა დაგბანოო. შეშინებული წამოვარდა ჭოლა, რისი თმები, რა აბანო, ეგ მინდოდა, ჩაილაპარაკა თავისთვის.

– რა იყო ჭოლა, რატომ ბორგავ? – ჰკითხა ცოლმა.

– რაღაც სიბითურე მესიზმრა.

– ქალები?

– არა, დალაქი, თითქოს თმას მკრეჭდა და ყურიც მიაყოლა.

– დაიძინე, ხვალ ანეტას ვკითხავ, რას ნიშნავს ეგ სიზმარი.

ჭოლამ გვერდი იცვალა. „ეგ ქალები მოცლილები არიან, ანეტა ბითურს რა უნდა კითხოს ადამიანმა. ისე, ანეტა მგონი ანგელას მოპირდაპირე ბინაში ცხოვრობს. ნეტავ, ანგელას თუ სძინავს ახლა მშვიდად, საღამური პერანგი აცვია თუ...“

მეორე ღამესაც იგივე განმეორდა. შუაღამისას ადგა და მეგობრის მოკითხული ნახევარი ლიტრი თუთის არაყი სულმოუთქმელად დალია. 20-30 წუთის მერე უგონო მთვრალი იყო. ისე ღრმად ჩაეძინა, დილით ცოლმაც კი, რის ვაი-ვაგლახით გააღვიძა. თავი ვერ ასწია, ისევ მთვრალი იყო. როენას გადაურეკა, „წნევა მაქვს და მოგვიანებით მოვალო“. შუადღე გადასული იქნებოდა, რომ გაიღვიძა. გრილი წყლით დაიბანა და სკოლისკენ წავიდა. მაღაზიასთან მანქანა შეაჩერა და მინერალური წყლის შესაძენად საფულე გახსნა.

– გამარჯობათ ბატონო ჭოლა. – გაუღიმა ანგელამ.

– აქ საიდან, გაკვეთილები დამთავრდა? – იკითხა დაბნეულმა.

– მე აქვე ვცხოვრობ, ხოლო გაკვეთილები ერთი საათის უკან დამთავრდა.

– ახლა შინ მიდიხარ?

– დიახ, პური და მაწონი უნდა ავუტანო დედამთილს.

– აიტანე და ჩამოდი, მინდა მოგეთათბირო!

– ახლავე ბატონო ჭოლა?!

– ხო, ადი სახლში და თქვი, სკოლაში თათბირია და უნდა დავბრუნდე-თქო.

– კარგი, სად მოვიდე?

– სკოლის გვერდით რომ ძველი აფთიაქია, იქ დაგელოდები.

ანგელა სწრაფი ნაბიჯით გავიდა მაღაზიიდან.

ჭოლამ, ნაბეღლავთან ერთად, კონიაკი „სარაჯიშვილი“, შოკოლადი და მიწის თხილი იყიდა. მანქანაში ჩაჯდა, დაძრა და გაუქმებულ აფთიაქთან შეჩერდა. ანგელა მალე მოვიდა, სახე თონიდან ამოღებულ, შებრაწულ გოჭივით გაწითლებოდა.

– რა მოხდა, ბატონო ჭოლა?

– რატომ არ მაძინებ ღამით და ამ ბატონოსაც მოვეშვათ!

– რას ამბობთ, ბატონო ჭოლა!

ჭოლამ არაფერი უპასუხა, მანქანა დაქოქა და აღმართს შეუყვა. კარგა ხანს უბრად იარეს, ვიდრე მთის მწვერვალზე მონასტერი არ გამოჩნდა.

– ჯვარი ხომ არ დაგვეწერა... – მანქანა შეაჩერა ჭოლამ.

– აქ რომ ვინმემ დამინახოს, ბატონო ჭოლა!..

– მანქანაში ვერ დაგინახავენ, მუქი მინებია.

– ბატონო ჭოლა, რატომ ამომიყვანეთ აქ?

– იმიტომ, რომ ღამე არ მაძინებთ!..

– არც თქვენ მაძინებთ, ბატონო ჭოლა... – ენაზე იკბინა ანგელამ.

გვიანღა იყო. ჭოლა კვლავ საჭეს მიუჯდა, მანქანა მონასტერს გასცდა და ფიჭვნარში გაჩერდა.

ჭოლამ ანგელას მუხლებზე დაადო ხელი. ქალს ხმა არ ამოუღია. კაცის ხელმა მკერდი აიარა და ყელთან შეჩერდა. ქალი კვლავ გასუს-

ული იჯდა, სახე წინანდელზე მეტად ავარდისფრებოდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა, ჭოლამ თავი გადაუწია და ყელზე აკოცა. ანგელას ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა. ჭოლამ მანქანა მოაბრუნა და ქალაქისაკენ დაეშვა. გზაში სიტყვა არ დასცდენიათ. მანქანა ისევ აფთიაქთან გაჩერდა.

ანგელა მოწყვეტით გადმოვიდა მანქანიდან.

– ბატონო ჭოლა, მე ქმარი მყავს!..

– მე – ცოლი!..

* * *

„ყველაფერი ჩემი ბრალია, როგორ ვუთხარი ამ ხნის ადამიანს, არც თქვენ მაძინებთ, ბატონო ჭოლა-თქო!... ჩემი ტოლია, ჩემი ამხანაგია, ჩემი განათლებისა, თუ რა! კაცს მთელი ქალაქი იცნობს, პატივს სცემს, აფასებს, მერე რა, რომ მოარშიყეა, გამეხუმრა რატომ არ მაძინებო და მე რა ვუპასუხე!.. ნაცვლად იმისა, თავი დამეხარა, პირიქით, გამოვიწვიე, გავაღიზიანე და მივიღე კიდეც საკადრისი!.. აბა, ისე არავითარ კოცნას და მოფერებას არ აპირებდა, სულაც მანქანიდან გადასული იყო, ჩემი ბრალია, ჩემი, მე მინდოდა ეკოცნა და მომფერებოდა... ანდა რატომ არ დავუშალე, როცა მეფერებოდა, თავი რომ გადამაწევინა და მკოცნიდა, მგონი, ყელი თავად მივუშვირე, უკეთ რომ ეკოცნა... სულ ჩემი ბრალია, ჩემი!.. ხვალ სკოლაში როგორ მივიდე, ვაითუ ვინმემ დაგვინახა და როენას ენა მიურბენინა... მისი სუნამოს სურნელი ამდის ყელზე, თმებზე, ხელებზე...“

დილით დააგვიანდა გაკვეთილზე შესვლა. გამთენიისას ჩაეძინა და ვერ მოასწრო მოწესრიგება. როენასგანაც საყვედური მიიღო:

– მეორედ დააგვიანებ და დირექტორთან გექნება საქმე!

„შენს გარეშეც მექნება დირექტორთან საქმე!..“ – გაიფიქრა და ტელეფონმაც დარეკა.

– როგორ ხარ ანგელა, წუხელ გეძინა?

– არა, არ მეძინა და დილით გაკვეთილზეც დამაგვიანდა.

– ნუ იჯავრებ, ეგ ყველას ემართება, მათ შორის, როენასაც!

– როენამ დამტუქსა და დამემუქრა, მეორედ დირექტორთან გექნებათ საქმეო!

– ეგრე გითხრათ?

– კი, სიტყვასიტყვით.

– მაგარი შებერტყილია! ახლა ეგ მითხარი, შაბათს შუამთაში რომ ავიდეთ, ხომ არ გაგვიწყრებიან?

– თუ გაიგებენ, გაგვიწყრებიან, ისე კი, კარგი იქნება!

– ჰოდა, ავწონ-დავწონოთ იუველირივით და მოვემზადოთ!

შაბათამდე ორი დღე და ორი უძინარი ღამე იყო.

კვლავ აფთიაქთან შეხვდნენ ერთმანეთს. ჭოლას კონიაკი და ტკბილეული ეყიდა. ძველ შუამთაში ავიდნენ. მანქანა დააყენეს და ფეხით გააგრძელეს გზა. ანგელას ტილოს შარვალი და სპორტული ფეხსაცმელი ჩაედო ხელჩანთაში. იქვე, დიდ ხეს ამოეფარა და ბიჭურად მოკაზმული გამოეცხადა ჭოლას.

– ყოჩაღ ანგელა, მე ვერ მოვიფიქრე სპორტულად ჩაცმა.

– ამ გადაჭრილ ხეზე ხომ არ გაგვეწყო სუფრა?

– კარგი, აგრე ვქნათ, მეც მომშივდა.

კონიაკი მალე შემოელიათ, „მეტი უნდა წამომეღოო“, – წუხდა ჭოლა, რომელიც მდელოზე წამოწოლილი, თეთრ ღრუბლებს ასცქეროდა.

ანგელამ ნარჩენები აალაგა, ქაღალდის პარკში ჩააწყო და თავი მოუკრა.

– მოდი ჩემთან! – მოუხმო ჭოლამ.

ანგელა ჭოლას ფეხებთან დაჯდა.

– ჩემკენ მოიწი!

დიდხანს ეფერებოდნენ ერთმანეთს. ანგელა თავიდან მორცხვობდა, მაგრამ ვნებამ და ალკოჰოლმა თავისი გაიტანეს, ხან თვალებში კოცნიდა სერდუხს, ხან ხელებს უკოცნიდა.

გვარიანად შებინდებულიყო.

– კიდევ კარგი, ექსკურსიაზე მივდივართთქო, რომ დავიბარე, თორემ ცხრაასჯერ დამირეკავდა მეუღლე.

– კარგია, სიფრთხილე მუდამ საჭიროა. რაღაც უნდა მოვიფიქრო, თორემ...

ერთმანეთს ვეღარ ელეოდნენ. ორთავე გრძნობდა, რომ რაღაც ამოუხსნელი, უკიდეგანო და უმძაფრესი გრძნობა დაატყდათ თავს, რომლისგან განკურნება შეუძლებელია უსიკვდილოდ; სიკვდილს კი, ვინ მოგაშავებს შენს ნებაზე...

* * *

წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა ეს ყოვლისმომცველი ტრფიალება. ქალაქის შემოგარენის ყველა კუთხე-კუნჭული დაიზეპირეს. ხშირად ამორჩეულ კაკლის ხესთან მიდიოდნენ, იქვე პატარა წყარო მორაკრაკებდა. ხეზე მიყრდნობილ ჭოლას, ანგელაც მკერდზე აკვროდა. რაზე არ საუბრობდნენ, რას არ იხსენებდნენ, ხანაც გულიანად იცინოდნენ. ლიტერატურა და მწერლობა ზოგჯერ დავის საგანიც ხდებოდა. ჭოლა, – რომელსაც გემოვნებიან მკითხველად იცნობდნენ, – ხშირად ურჩევდა საინტერესო წიგნებს. ერთხელაც, კარგი მწერლის (სამწუხაროდ ნაადრევად გარდაცვლილი) სოსო პაიჭაძის მოთხრობა „ბაქანი ბოტანიკური ბაღი“ მიუტანა. ამის შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა...

ივლიტა (მოთხრობის მთავარი გმირი) ვარო, დაიჟინა ანგელამ. ივლიტას საქციელსაც სიწრფოებით ამართლებდა, რაც ჩაიდინა, სიწრფელით მოუვიდა და ამადაც ღირს წუთისოფელში ყოფნაო. ჭოლა ზრდილობის გამო ეთანხმებოდა, თუმც ალაგისე გაკენწლავდა მშვენიერ ივლიტას. მას აშინებდა ანგელას ივლიტობა. ეს გოგო სხვანაირად უყვარდა, არა ხორციელად, არა სარეცელისათვის, არა ქალობისათვის... ქალებით ჭოლას ვინ გააკვირვებდა, ამან კი, სხვა განცდა, სხვა ჟრჟოლა, სხვა აღმაფრენა მოიტანა; სულიერება უყვარდა ანგელაში და ხორციელებისათვს აღარ ემეტებოდა. „ხომ არ დავბერდიო!..“ ჩაჰკითხავდა ზოგჯერ თავისთავს და პასუხიც ხელისგაწვდენაზე ჰქონდა. ნინა, ყოფილი ბალერინა, დღე-დღეზე რომ იტალიაში წასასვლელად ემზადებოდა. ღამით ვერ რჩებოდა მასთან, თორე შუადღიდან, საღამომდე გაგიხარია...

ნინა, ათი წლით უმცროსი იყო, რის გამოც, მოფერებით ძია ჭოლას ეძახდა. „გინდ ბაბუა დამიძახე, მთავარია ხვნა და ფარცხვა შემეძლოსო!..“ ექილიკებოდა ჭოლა. აბა, რა დაბერებაზე შეეძლო ფიქრი, უბრალოდ, ანგელა მისთვის არამიწიერი ქალი იყო, უხორცო და ზოგჯერ თუ კოცნიდა და ეფერებოდა, ეგონა სიზმარში ვარო... ამიტომ არ უნდოდა იმისი ივლიტობა, არადა ანგელას დაეჩემებინა: „იქნებ მოვახერხოთ ერთი დღით ზღვაზე გაპარვა, სველ ქვიშაში ჩაფლვა და მერე თუნდაც მოვკვდებიო!..“

– დაივიწყე ახლა ეგ ივლიტა და უკეთეს წიგნს მოგიტან.

– აბა რომელს? – დაინტერესდა ივლიტა.

– ვლადიმერ სიხარულიძის „მეათე მოწმე“ ან შოთა ჩანტლაძის „პროხორ“, დიდებული მოთხრობებია.

მეორე დღესვე მიუტანა სკოლაში წიგნები.

– ორ დღეში დაგიბრუნებ ამათ, მერე კი მარკესის „მარტოობის ასი წელი“ მათხოვე, კარგი?“

– ნუ იჩქარებ, მე ათი დღით ბალტიისპირეთში მივდივარ მივლინებით, იქიდან კი კარგ საჩუქარს ჩამოგიტან.

– აბა გინავარდია ლამაზმანებში, ჭოლა ბატონო!..

– არ იჯავრო, დავამთავრე მაგ საქმე უკვე!..

– რაღაც არ მჯერა!

– შენს სიცოცხლეს ვფიცავ!

* * *

ჭოლა ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. როენამ თათბირი მოიწვია და სულ კაკალ-კაკალ მოახსენა დირექტორს ყოველივე, რაც მის არყოფნაში მომხდარიყო. ანგელა თვალს არ აცილებდა ჭოლას, რომელიც ლიტვურ დღიურს აცნობდა კოლეგებს. ჭოლა, როგორც ჩვეოდა, დინჯად ყვებოდა იმ მიღწევებზე, რასაც ლიტვამ (ლატვია, ესტონეთთან ერთად) ბოლო ათწლეულში მიაღწია. საუბრის დროს მისი ტელეფონი რამდენჯერმე აინთო. მიხვდა, რომ შეტყობინებებს უგზავნიდნენ. დაჯდა თუ არა, ბარათები

დაათვალიერა. სუყველა ანგელას გამოგზავნილი იყო. მანაც მიწერა: „საღამოს ჭადართან გამოდი, გრემში ავისეირნოთო!“

გრემში ნაცნობები დაინახეს და სვლა გააგრძელეს. ალაზნის პირას მწვანე მოლზე გააჩერეს მანქანა. ორკვირიანმა სიშორემ ერთმანეთი მოაწყურათ. კარგა ხანს იდგნენ და ერთმანეთის გულისფეთქვას უსმენდნენ.

– წავიდეთ, ბავშვებს წესიერად არ მოვფერებივარ.

– არც ცოლს?

– ნუ იკბინები, არ გშვენის...

– მეც მყავს მეუღლე და ბავშვები, მაგრამ...

– ანგელა, მეჩხუბები?

– არა, ჯობს წავიდეთ, ჩემებიც ინერვიულებენ.

ჭოლა ბავშვებს ეთამაშებოდა, რომლებიც ბოლო დროს, მამას იშვიათად ხედავდნენ შინ. როცა ჭოლა სახლში ბრუნდებოდა, ბავშვებს ეძინათ. ცოლიც ებუზღუნებოდა, „ღამის სკოლად ხომ არ გადაკეთდითო!“ ბავშვები თავიანთ ოთახში გავიდნენ. ჭოლა კი აბაზანაში შევიდა. მალევე გამობრუნდა და ტელეფონი შეიტანა (სიფრთხილეს თავი არ სტკივა). ერთმანეთის მიყოლებით ორი შეტყობინება მოუვიდა.

„მაგთიკომი მადლობას გიხდით ერთგულებისათვის“.

გაჭირვებით წაიკითხა უსათვალოდ.

„ერთ ღამეს შენთან სიამოვნებით გავატარებდი, ივლიტა...“

აბაზანიდანვე მისწერა:

„ანგელა, ხვალვე მიგავლენთ განათლების სამინისტროში...“

სკოლაში მისვლისთანავე, საქმეთა მმართველს დაუძახა და დაავალა ერთდღიანი სამივლინებო ფურცლის მომზადება ანგელა კურტანიძის სახელზე.

მზა საბუთი ათ წუთში შეუტანეს ხელმოსაწერად.

– უთხარით ქალბატონ ანგელას, რომ არ დაგვიანოს, ტრენინგი თორმეტ საათზე იწყება. – გააფრთხილა საქმეთა მმართველი.

ხოლო ანგელას შეტყობინება გაუგზავნა: „ექვს საათზე მეც თბილისში ვიქნები, გაკვეთილების შემდეგ წამოვალ, დიდუბის მეტროსთან დაგელოდები“.

ანგელამ ოცი წუთი დააგვიანა. ჭოლა ადგილს ვერ პოულობდა. რამდენიმეჯერ დაურეკა. „საცობში მოვხვდით, ტაქსით მოვდივარ“. – უპასუხა ანგელამ.

ოც წუთში, ოცი ნაცნობი შეეფეთა, თანაკლასელი თუ თანაკურსელი, მეგობარი მუსიკოსიც ნახა, რომელმაც ვახშამზე მიიწვია. „სხვა დროს, ახლა საქმეზე მივდივარ“, – ჩამოიცილა მუსიკოსი.

ანგელაც გამოჩნდა.

– საით მივდივართ? – იკითხა მანქანაში ჩაჯდომისთანავე.

– მცხეთაში, ჩემს ძმაკაცს სასტუმრო აქვს.

– იქ დაგხვდება? – შეშფოთდა ანგელა.

– გაგიჟდი, მგონი მცხეთაში არც არის ამჟამად.

სასტუმროს ადმინისტრატორმა ოთახის გასაღები გაუწოდა.

– მეორე სართული, №5, ვახშამს ბარში ინებებთ თუ ნომერში მოგართვათ?

– გმადლობთ, ნომერში ამომიტანეთ!

ათიოდ წუთში სუფრა გაიწყო. სასმელებიდან კონიაკი აირჩია ჭოლამ, რომელსაც გვარიანად მოშიებოდა. სადღეგრძელოებს ჭოლა ამბობდა. ანგელა ცოტას სვამდა, ხმასაც იშვიათად თუ ამოიღებდა. ჭოლა მიხვდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ქალის გულში, რომელიც პირველად დგამდა ასეთ ნაბიჯს.

– მეორე ბოთლი ხომ არ მოვატანინო? – იკითხა ჭოლამ.

– არა, არ გინდა, მე ვერ დავლევ, არც შენ დალიო!

ანგელაზე მეტად ჭოლა განიცდიდა ამ მდგომარეობას, არადა, მეასედ მაინც ათევდა ღამეს აქ. შეეძლო მთელი ღამე არ დაეძინა, აივანზე დამჯდარიყო და ლექსები ეკითხა ანგელასათვის. არ ემეტებოდა ეს ქალი საწოლისათვის, ეგონა ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. მთელი

წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კოცნის იქით არ გაუხედავთ, არ უფიქრიათ... ჭოლას არ უფიქრია, თორემ, რომ ეფიქრა, რა შეუშლიდა ხელს?.. ეს ივლიტობა ხომ ანგელამ აიჩემა: „ერთი ღამე შენთან ვიქნებოდიო!..“

უარი როგორ ეთქვა, გული როგორ დაეწყვიტა, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი, თავს თავაზობდა, რას იფიქრებდა ან რას იტყოდა, თუმცა თქმით ვის ეტყოდა, საკუთარი თავის გარდა, ჰოდა დათანხმდა ანგელა – ივლიტას და არის ახლა ამ ოთხ კედელში, გარედან მტკვრის დუდუნი ისმის, სავსე მთვარე ანათებს არმაზის ხევს.

ტელეფონმა დარეკა.

– ჭოლა, რაიმე ხომ არ გინდა, სასმელი ან ხილი?

– მადლობა ვამეხ, გადამეხადოს!

მეგობარი და სასტუმროს მეპატრონე ურეკავდა.

– ჭოლა, მე დავიძინებ.

– დაიძინე, მე წყალს გადავივლებ.

გრილმა წყალმა გამოაფხიზლა. პირსახოცი მოიხვია და ფანჯრიდან მთვარეს მოეფერა. „ძმობილი მთვარე...“ აეკვიატა რატომღაც. ანგელას გახედა, საღამურის გარეშე რომ იწვა თხელი ზეწარის ქვეშ. ქალს არ ეძინა. უღიმოდა. ჭოლა გვერდით მიუწვა. ანგელამ ხელები გაშალა და გულში ჩაიკრა. ყველაფერი ჩვეულებრივად ხდებოდა, როგორც ყველა ქალთან, სისხლი აჩქეფდა, ანგელა კიდევ უფრო მეტად მიეწება, სხეული მიუშვირა და... ჭოლა სხვა განზომილებაში გადავიდა, სადაც ხორცი აღარ ხორცობდა, აღარ იზიდავდა ანგელას ცხელი სხეული, მისი სიშიშვლე და სიქათქათე, ყოველგვარი ლტოლვა და ჟინი გამქრალიყო... აივანზე გასასვლელი კარი გააღო, მტკვარს ჩახედა, რომელშიც მთვარე ბანაობდა. გაღმიდან მამლის ყივილი ისმოდა. ოთახში შებრუნდა. ზეწარშემოხვეული ანგელა საწოლზე იჯდა. შეცბუნება, წყენა და ტკივილი სახეზე აღბეჭდვოდა. ჭოლამ თავი მკერდზე მიადო, ყელი დაუკოცნა. ანგელამ ჭოლას ჭაღარა თავი ჩაიხუტა, ჭოლას ტირილი მოუნდა და ატირდა.

– ჭოლა რა ხდება, ნუთუ ანგელა კურტანიძე ქალად არ ვარგა, ამას ვინ დაიჯერებს, ანგელა გყავდა საწოლში და...

– ხდება ხოლმე, სხვა დროსაც, მაგრამ... შენ ხომ ჩემთვის ქალი არ ხარ, მე შენ სარეცელისთვის არ მინდიხარ, არც ეგ სურვილი მქონია ოდესმე, ეგაა სულ...

ინათელა.

ჭოლა აბაზანაში შევიდა. ანგელაც იქვე გაჩნდა.

– მე უნდა დაგბანო!..

შხაპის ქვეშ იდგნენ, ვნებაც ბუნებრივად გაჩნდა...

* * *

ჭოლამ მეგობარ სექსოლოგს მიაკითხა. საკუთარი მარნიდან წამოღებული ხუთლიტრიანი ბოცა საბარგულიდან ამოიღო.

– ალაზანზე ხომ არ ჩავსულიყავით? – ჰკითხა კახამ.

– ჯანი გავარდეს, წავიდეთ.

ყველი, კიტრი პომიდორი და ლავაში წაიყოლეს.

კარგად რომ შეზარხოშდნენ, ჭოლამ მცხეთური „ოდისეა“ მოუყვა ბავშვობის მეგობარს.

– რას იტყვი, ექიმო?

კახა ჩაფიქრდა, სიგარეტს მოუკიდა.

– თავად რას ფიქრობ?

– რას უნდა ვფიქრობდე, ორი დღეა ფროიდს და იუნგს ვკითხულობ, სამედიცინო ლიტერატურაც გადავქექე...

– მერე?

– რა მერე, ეგ შეიძლება დაგემართოს კაცს, მაგრამ ქალთან, რომელიც თავს გირჩევნია, მაინცდამაინც მასთან...

– ეგ არი, რა!

– რა ეგ არი? ვერაფერი გავიგე!

– თავს, რომ გირჩევნია, სულიერება, უფრო მაღლა დგას, ვიდრე...

– ხელი დაჰკა! მეც მაგ დასკვნამდე მივედი, მეც ეგრე ვფიქრობ, ლამის ორჯერ პატარაა, ჩე-

მი დაისის მანათობელია, ბოლო მიზანი... მის ხორცთან არაფერი მესაქმება, სხვანაირად მიყვარს...

– ჩვენს ასაკში ყველაფერი მოსულა, ჩემო ჭოლა, ექიმთან ვიზიტიც არ გაწყენდა, თუმცა შენს ჰარამხანას კიდევ კარგა ხანს ანუგეშებ!..

ბოცა თანდათან დაცარიელდა.

ალაზანიც მეტად ამღერდა...

* * *

ჭოლას უცნაურობები დასჩემდა. მთელი დღე კაბინეტში იჯდა. ზოგჯერ როენა თუ შეაკითხავდა და გამოელეპარაკებოდა. როენასაც უხასიათოდ პასუხობდა. ანგელა ზოგჯერ ტელეფონით ეხმიანებოდა, შეტყობინებებს უგზავნიდა (საუბარს ერიდებოდნენ, იცოდნენ რომ საუბრები ისმინებოდა), თუმცა პასუხებს ვერც ის იღებდა.

ცოლმაც შეატყო უცნაური გარინდებები. ბავშვებთანაც აღარ თამაშობდა ძველი სიხალისით. სამაგიეროდ ყოველი ღამე სექსით მთავრდებოდა. ეხუმრებოდა გახალისებული ცოლი, „ახალი სუნთქვა გაგეხსნაო!..“ თავს ცდიდა. ცოლთან ისეთივე ბობოქარი იყო, როგორაც ადრე, თუნდაც ხუთიოდ წლის წინათ. „გამოდის, რომ მცხეთური ფიასკო ანგელას ბრალია, უფრო სწორად, მისდამი უსაზომო სიყვარულისა, აგრე ხომ, არც ერთი, სხვა ქალი არ მყვარებია... ყოველთვის უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალბატონები მეგობრობდნენ ჩემთან, დახვეწილი ინტელექტუალები, მაგრამ... არა, ანგელა ზეციურად მიყვარს, ვიდრე იმ ნაბიჯს გადავდგამ, ერთი ღამე, როგორმე, მასთან უნდა დავრჩე, ვნახოთ...“

მეგობარ ნოტარიუსს დაურეკა.

– ანდრო, თუ ჩემი ძმა ხარ, ყველაფერი რაც ჩემს სახელზეა, სახლი, მანქანა, ავტოფარეხი, სააგარაკო ნაკვეთი, ჩემი ცოლის სახელზე გადამაფორმებინე!

– რა იყო, იუპიტერზე მიფრინავ?

– ვენერაზე, ქალია მაინც...

– კარგი, გამოდით, საბუთები წამოიღეთ!

ცოლს დაურეკა, „ეზოში ჩამოდი და გამოგივლიო“.

– რა იყო, ომში მიდიხარ?

– ჯერ არა, მაგრამ... იყოს შენს სახელზე, რა შავდება.

ერთ საათში მორჩნენ ყოველივეს. მეუღლე შინ დატოვა და სკოლაში დაბრუნდა. ანგელას დაურეკა: „ვიცი გაკვეთილზე ხარ, რომ მორჩები ჩემთან შემოდი, საკლასო ჟურნალი იქონიე, ყოველი შემთხვევისათვის“.

ისევ გაირინდა. ფანჯრიდან ერეკლეს სასახლის ფრაგმენტი მოსჩანდა. „ნეტავ, ქალების მიმართ როგორი იყო მეფე, შვილები კი ჰყავდა ჭერეხივით... მრავალშვილიანობამ გადაარჩინა იმ დროს საქართველო, ჩემი წინაპრებიც...“ ანგელას შესვლა არ გაუგია, ისევ სივრცეს გაჰყურებდა.

– ბატონო ჭოლა!

– ისევ ბატონო გავხდი?

– აქ, სხვაგვარად როგორ მოგმართო?

– შენიანები იმერეთში ცხოვრობენ მგონი?

– კი, იქ ცხოვრობენ.

– მერე მშობლები არ მოგენატრა?

ანგელა ძველებურად გაწითლდა, რაღაც იგუმანა და პასუხი თავის დაქნევით გასცა.

– მეუღლე მუშაობს?

– თუ აქვთ სამუშაო, არ ზარმაცობს.

– დედა მომენატრა-თქო, რომ უთხრა, გაგიშვებს თუ თავადაც გამოგყვება?

– ყოველთვის ერთად მივდიოდით...

კარგა ხანს დუმდნენ. ჭოლა ისევ გაირინდა. ანგელა წამოდგა.

– გავალ, გაკვეთილი მეწყება.

– კარგი, რაღაცას მოვიფიქრებ.

ანგელას გასვლისთანავე მეგობრებს გადაურეკა. ათიოდე ახლობელი მოაქუჩა და რესტორანში დაპატიჟა. უმეტესობა საზღვარგარეთ გადახვეწილიყო. მეუღლეც გააფრთხილა, ვქეიფობთო. თავად ითამადა. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ, სერდუხი ყოველთვის ნადიმობდა, სუფრასთან ლაღობდა, თუ შეთვრებოდა, ცეკვავდა და მღეროდა. სევდიანი ეჩვენათ. „დავიღალე ამათ ხელში, ყველას კოჭი უნდა უგორო, ამათთან

არც დირექტორობა ღირს და არც მეკურტნეობაო! – მთავრობას გადააბრალა თავისი უხასიათობა. იქვე შეტყობინება მოუვიდა. სათვალე მოძებნა და წაიკითხა. „მეუღლემ მითხრა, მშობლებთან მე წაგიყვანო, რა ვქნა, სხვანაირად არ გამოდის“. სასწრაფოდ წაშალა შეტყობინება. „ეს „მესიჯები“, უამრავ ოჯახს ღუპავს“, გაიფიქრა ჭოლამ და ახალი სადღეგრძელო წარმოთქვა. შუაღამემდე იქეიფეს, ერთმანეთს მოეფერნენ.

დილით სკოლაში ადრიანად მივიდა. ეს დღეები სულ ჩქარობდა, თითქოს რაღაც უნდა მოესწრო. რომ გეკითხათ, თავადაც ვერ გეტყოდათ, სად ეჩქარებოდა, რა უნდოდა. ანგელას შეტყობინება გაუგზავნა: „როცა სკოლაში მოხვალ, განცხადება დაწერე, თავი გაითავისუფლე, როენას დაუტოვე და ჭადართან მოდი“.

– ირბინე? – შეეგება გულამოვარდნილ ანგელას.

– ჭოლა, ასე არ შეიძლება, ხალხი გვიყურებს, ერთხელაც ქვეყანა გაიგებს ჩვენს ამბავს!..

ჭოლამ მაღალსართულიან კორპუსთან გააჩერა მანქანა. ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

– მე ოთახს გავაღებ, პირველი სართულია, მარცხნივ, პირველივე კარი. ხუთ წუთში შემოდი.

ანგელა ოთახს ათვალიერებდა. მაგიდაზე ფილა შოკოლადი და „ენისელის“ ბოთლი იდგა. ჭოლამ კარები ჩარაზა.

– საღამომდე შეგვიძლია აქ ვიყოთ.

– ეს ვისი ოთახია?

– უფალმა გვაჩუქა ერთი დღით!.. – გაიცინა ჭოლამ და კონიაკის სირჩები შეავსო.

– ჭოლა, რატომღაც შეცვლილი მეჩვენები, რატომ დამიძახე აქ?

– დასამშვიდობებლად!..

– სად მიდიხარ ადამიანო, – შეშფოთდა ანგელა, – ჯერ გამაგიჟე, თავი შემაყვარე და...

– ნუ ტირი, გეხუმრე!

ხელი მოხვია, მიიკრა და საკინძე გაუხსნა.

– მოიცა, კაბა დამეკუჭება, თავად გავიხდი...

ანგელას არასოდეს განეცადა ასეთი რამ, ჭოლაში ერთბაშად ამოხეთქა ვულკანმა... არაქათგამოცლილი ანგელა ევედრებოდა:

– ჭოლა შეჩერდი, დაისვენე, პატარა ხომ არა ხარ!..

საღამომდე ერთმანეთით ტკბებოდნენ.

– დარჩენა რომ შეგეძლოს!.. – დასცდა ჭოლას.

– გავგიჟდი, ასეთი არაფერი გამიგია, აღარ დაიღალე ჭოლა!..

– შენთან რა დამღლის!

სახლამდე მიაცილა ანგელა. მანქანა მოშორებით გაუჩერა. აკოცა, ჯვარი მოიხსნა და ყელზე დაკიდა.

ცოტა ხანში შეტყობინება მოუვიდა ჭოლას: „არ ვიბან, შენი სურნელით უნდა დავიძინო...“

იმ ღამის შემდეგ ჭოლა აღარავის უნახავს: არც სკოლაში, არც ოჯახში, არც თელავში და არც საქართველოში.

რამდენიმე წლის შემდეგ, ერაყელ მეამბოხეთა სურათი გავრცელდა ინტერნეტში. მეამბოხეთა მეთაური, ჭაღარა, წვერულვაშიანი, იარაღასხმული ვაჟკაცი, ბევრს ეცნო.

ჭოლას ოჯახსაც უმალვე შეატყობინეს.

კი, ის იყო, ძველი ასურეთის, შუამდინარეთის მზით სახედამწვარი (გულდამწვარიც...) ჭოლა სერდუხი.

პოეტ
პოეტიშვილი

რემარკად ტრიუმფალურ თაღზე

პარიზში სადაც ამურული ხიდია ალმას,
ნოემბრის მთვარემ შეგვახვედრა და ეშხის ალმა,
ფენიქსის გული ქვანახშირად ქცეული, ქალმა
დამწვარი თოვლით დაამსგავსე ბრილიანტს, ალმასს.
წამო დავლიოთ კალვადოსი, არმანიაკი,
ცოტაც მოვწიოთ, გავაბოლოთ „ცისფერ ლორანით“
მე სიყვარულით შეპყრობილი ვარ მანიაკი,
ჩემს ცრემლებს მოსავს ბრილიანტით „ივ სენ ლორანი“.
გაუტეხელი ალმასგულით რომ ვკრისტალდები,
როგორც ფაუსტი ქალქიმიით აფინაჟურად.
მე მივალ შენგან და არასდროს მოვტრიალდები,
რომ შენს ლურჯ ზღვებში გადაიქცეს ქაფი ნაჟურად.
ბარათს გიტოვებ მიბნედილი გონით რავიკი,
მიყვარდი მადუ, აგონიით, მგონი, რავი, კი.

რემარკის რემარკა

რემარკად ვაკრავ საარაკო ფრაზას რემარკის:
„ქალი ან უნდა გააღმერთო, ან მიატოვო,
სხვა ყველაფერი სიყალბეა“ თანაც ზემარკის.
იქნებ, ღმერთმა ჰქნას, M+P მან მიატოლოს...
ისრების ჩრდილით შავად არის მზე შენამური,
მზერა მზერაში მზერამზეობ მზიურალური,
ცეცხლი მომტაცე თვალებიდან მე შენ ამურის,
ცრემლით აგინთე სიყვარული ტრიუმფალური.
ცრემლების სარკით ირეკლება ლურჯი მზე არკით,
ეგოცენტრული სიყვარულით მდუმარია „მე“.

არ შევიცვალე სიყვარულის რჯული შენ არ-კით,
შენ მარხულ ბაგით პასუხს ველი უმარიამეს.
პარიზის თოვლზე შეწყვილებულ მუჯნურ მალურას[1]
მნახავ გაყინულს და გარიყულს ტრიუმფალურად.

ტრიუმფალური დაცემა

პარიზისაკენ გამოვექეც რეიხს, არმიას,
სადაც დავყავარ ალტერ ეგოდ ერიხ მარიას
და რას მპირდება „ოზირისი“ ხეირს მარიამ,
როდესაც ყველა უწმინდური მერის ქმარია.
შეჰერაზადა გასართობად სეირბარია
და ღმერთმა უწყის, უწყინარი ვინ ვარ ვლინდები.
გული რომელიც ისრულ ბჯენით ხეიბარია,
ვაგებ სასახლეს ვენერამურ ინვალიდების.
შეიბ ფრანგულიც ჩემს გულს ზემოთ შეიბამს რიალს,
სინათლის კოშკშიც დააბნელეს და მოკლეს მახვში.
ხორცის საფლავში სულით ვწევარ ჩემი ბრალია,
დღემოკლეობით ვიდღეგრძელებ დამოკლეს მახვილს.
დიდ ფრანგულ ომში დამამარცხე ციურქალურად
თუმც, მეც დაცემით გავიმარჯვე ტრიუმფალურად.

ქრისტესავით

ხელოვნების რეფორმერით,
ქარვის ქარი ქრის ტესავით.
დავუკოცნი ტერფს ორ მერის,
ფეხებს განვბან ქრისტესავით.
პურს და ღვინოს ვეტრფი ყვარლურს,
მწიფე სიტყვებს მკის, მთესავი.
რა აზრი აქვს შენს სიყვარულს,
თუ არ გიყვარს ქრისტესავით.
როცა ეშმაკს ეტყვი არულს,
გულქვა გულის ქვის მტესტავი.
სხვას გადასდებ მეტ სიყვარულს,
თუ მტერს ეტრფი ქრისტესავით.
ცამ მირონი მაცხო ბევრად,
თოვლის მტრედი თრთის მზესავით.

[1] მალურა – ფრინველი რომელიც სიყვარულის პერიოდში ფერს იცვლის და ლურჯდება.

რა აზრი აქვს, ამ ცხოვრებას
თუ არ ცხოვრობ ქრისტესავით.
ველარც თოვლმა გადაფარა,
შავი დღე დგას მკვდრის დღესავით,
მგლურ სამშობლოს სადაც „ფარა“,
ჯვარს აცვამენ ქრისტესავით.
ახლა ჯვრის მხარს მიბამს ძელი,
თოვლი ჩვენს სულს გადმოაფენს.
მე ვარ ქრისტეს მიმბაძველი,
პოეტ პირმშო და მოწაფე.
სულში ქარი ჰქრის ტეობით,
მომაქვს ჯვარი, მხრის, ტესებრი.
პოეზიის ქრისტეობით,
მე მყავს მუზა ქრისტესებრი.
დგას კაპელა სიქსტესავით...
მქოლავს, სიტყვის ქვით მსეტყვავი.
თუ არ გიყვარს ქრისტესავით,
ვერ აღსდგები ქრისტესავით.

ნინონ

მღვდელს ნათლავ ცოდვილ აბატად ნინონ,
გახადე როგორც დეჟუაენი.
მშრალ ღვინოში რომ ქალად ტანინობ,
აცდენ ალფონსებს დონჟუან ენის.
არაფერს ნაღვლობ, არაფერს ნანობ
ყველას იმონებ წუთით შერთვობით.
აძლევ მისამართს აღასფერს, ნაცნობს,
ცხოვრობ ფრან-გული ურთიერთობით!
ნოემბრის მთვარეს წამწამებ ახრილს,
ათბობ მარტის მზე ამ აისებით.
შენი სხეული აწამებს აპრილს,
ვარდის რომანის ამაისებით.
ფრთებს შლიდა გედის მარაო ნინონ,
ვით თეთრი გედი სენის აუზის,
მონპარნასი რომ ამარონინონ,
ამ სულს ცხრა მუზით შენი ცა უზის.
მოდი მანონის ძუძუმტევ ნებით,
არ გამისტუმრო ნინონ უარით,
რომ დაგიწურო ძუძუმტევნებით
მკერდის ფუჟერში პინო ნუარი.

არც მუნჯ მიჯნურებს არ მიჯნავ ნინონ,
წერ ვნების დღიურს ცის კაბადონად.
მე შენში ვხედავ პარმიჯანინოს
გედისკისერა წმინდა მადონას.
აგიჟებ ჭკვიან პოეტს მე მგონი,
ვერტერის ვნებით დააქვს ვალტერი.
მის სულელ ფიქრში კვდება მემნონი
და იბადება ახლა ვოლტერი.
ჩვენი ცხოვრება კინო თუ არის,
გედის რაინდიც ექსტრა გედია
და შვილსაც სწირავს ნინონ უარი
ოიდიპოსის ლექსტრაგედია.
ცამდე მაფეთქებ ნინონ ურანით
ჩემთვის ვოცნებობ პედანტ უნარით,
რომ შენ გაგხადო ღვინო noir,
გველის პერანგი და პენუარი.
სამსხვერპლო გული ცას შევალიე...
ო, როგორ მინდა, ამაოდ, ნინონ,
აბატმა გრეიმ და შევალიემ,
ეს სიყვარული ამანონინონ.

სიყვარულის აჰასფერი

სიყვარულის აჰასფერო
გული რად გაქვს დაწყვეტილი?!
ჰა, ბურთი და აჰა, სფერო
და იარე დაწყევლილი.
გზებზე სულსაც დავლევ ვლილი,
ვმღერი სისხლის ფასად ჰერის...
პოეტი ვარ დაწყევლილი,
სიყვარულის აჰასფერი.
მზე წვიმისგან დაწრეტილი,
ცას შევმატებ რაღას ფერით,
ვივლი მარად დაწყევლილი
სიყვარულის აღასფერი.
აყვავილდა სიტყვა გულზე,
რასაც ცისკენ არფა მღერის
მარადიულ სიყვარულზე
პოეზიის აღასფერით.
მირაჟები მაფინია
მიყეფს ძაღლი და ფინია,

გეძებ ქართა ქარავნებით,
ჩამდგარ სულში მქარავ ნებით.
ტიტის ღვინის გრაფინია,
ეს ჟენშენიც შენ შეგშვენის.
მე ვარ გრაფი სენ-ჟერმენი,
როცა გეძებ გრაფინიას.
ვენერასთვის საგარსებო
და მარსისთვის საარსებო,
ჰა, გული და აჰა, სფერო,
და იარე აჰასფერო.
ცვლის ცისკართან ზიარება
შავ ხარხარით ჰაჰას ფერობს,
დაწყევლილი იარება
და თავის ჯვარს აჰასფერობს
მოვალ სენად, სუსტად, მდორედ,
მომაქვს გულთა სახარელი.
ისე მხატავს გუსტავ დორე,
გეგონებით აჰასფერი.
ისრის წვერზე იარს ყული...
ცა გაიხსნა სხვა ჰაერით,
თვლემდა გზების სია რულით,
ამ მტანჯველი სიარულით,
ამ დალოცვილ სიყვარულით
და დაწყევლილ აჰასფერით.
დროსივრცული მივლინებით
გზები მოსჩანს ვაჰ, ასფერად
და მე ყველგან ვივლი (ვ)ნებით
სიყვარულის აჰასფერად.

ლირიკული ტრაგედია

სულის თვალში art-გედია,
ვკვდები მეფე ლირი კულისს.
ლირის მეფის ტრაგედია
სიმღერაა ლირიკული.
მოგიკვდებით არტისტულად
და ცხრა გედი იგრიკულად
დამიტირებს ტრაგიკულად
და ქალტიტა ლირიკულად.
გედიც გოდებს აგრერიგად,
იქ ცა იქცა დიდო პერად.

ლირიკული ტრაგედია
გადაიქცა დიდ ოპერად.
გადმოგცემდა გრანპრს ორერა,
რომ პიეტას დაგეტირა.
მალე დადგამს გრანდ ოპერა,
დიდ პოეტურ ტრაგედიას.

სიყვარულის კოსმოგონია

ცა ატომგულის სოკო მგონია,
ცის ქაფში მიყვარს გარიყვა სულის.
ჩვენ ვართ ვენერას კოსმოგონია:
ბგერა, სინათლე და სიყვარული.
ფეერიული ფერთა ფერებით
მღერის ისიდას დასი სასულით.
მოვალთ კოსმიურ ეფემერებით,
ბგერით, სინათლით და სიყვარულით.
შეგვაჩვენებენ დღეს აქ მეებით,
რომ არაკები არის კარმული.
სულებს ჰფენს სიტყვის შესაქმეები:
ბგერა, სინათლე და სიყვარული.
შენით დაკარგულ ღმერთს ვპოვულობდი,
ჩემს სულში სიტყვა ჰყვავის დარული,
როცა ჩემში შვი ერთდროულობით:
ბგერა, სინათლე და სიყვარული.
იხსნება ზეცა კაცის კარედით,
სჩანს პეგასების დასის მარულა.
მწუხრჟამს ვარსკვლავად აცისკარდები:
ბგერად, სინათლედ და სიყვარულად.
სულს მეცხრე ცამდე აიხრი ზონით:
ბგერად, სინათლედ და სინერგიად.
კოსმოსურ გულში აიხრიზონი –
სიყვარულის ხედ დამინერგია.

ატმის ყვავილობის მოყვარული

ატმის ყვავილობის მოყვარული
ტრფობის ორატორის რიტორია.
გულის მარტვილობით მოარული,
ვყვები სიყვარულის ისტორიას.

მე ვარ სიყვარულის ჰემატრია
და ვგრძნობ ტრფიალებას მისტერიით.
სულში ქარი ჩადგა მემარტია:
სტრესით, არტისტული ისტერიით.
ყველა არაკი და იდიომი
არის ხელთუქმნელი, ტროპარული.
პარიზს წინ აქვს მუზის დიდი ომი,
პოეტ პარისისგან მოპარული.
წამით, არც გულისთვალს მოყვა, რული...
ნისლი მთებში ჩაწვა მარტის ტულად.
ატმის ყვავილობის მოყვარული,
ვკვდები მარტოობით არტისტულად.

გულქვა ფორმის კავაკები

ატომგულში ურანია
ფეთქებადი პლანეტებით:
ვენერა და ურანია
სააღლუმოდ სანეტები.
ეიფელთან მეტირება
გაისრული გარსი სველი.
გულტიტრებით მეტიტრება,
სიყვარულით მარსის ველი.
ვშლი სილფიუმს ხმოვან გულად,
ისრულ გზების გავაკებით,
რომ გავზარდო ტროვანტულად
გულქვა ფორმის კავაკები.

გარიყული

მე ვარ ზღვასთან მდგარი ყული,
სადაც კუბოს ნამორი ყარს.
მუზისაგან გარიყული,
პოეტს ლექსი გამორიყავს.
ამ ვარდის გულს სილავ დარდით,
ამ სულს თოვლის ამორი ჰყავს,
ამ სიყვარულს სილაჟვარდით
ცის ტიტრები გამორიყავს.
ვისაც გულში უზი ეროს,
ცისფერ ტრფობით შორს ეტვიფრე.

სხვა ფერს აძლევ მუზისფერო
ლექსს და ამურს პოეტისფერს.
ნუ მკლავ ყვითელ პრესის ხელით.
საზვარაკე ვერმი, შველი
ვკვდები როგორც პერსი შელი,
გვიან მოხვალ? ვერ მიშველი.

წმინდა სიყვარულის ქორწინება

მანამ დაქვრივდი სანამ ქმარზე იქორწინებდი.
ცისფერ სივრცეზე მზის დიდ ბეჭდით დრო იწინდება,
ჩვენც, ამ შორეულ სიახლოვეს შორით ვივნებდით,
წმინდათა წმინდა სიყვარულით რომ მობრწყინდება.
ლექსელექსირით რეფლექსიურ ქსოვილს გიქსოვებ,
ამურის ფრთებზე ცისკრისფერი ქარი ამება.
ვენის მოსმენით ბეთჰოვენის როლი ვითხოვე,
ქარი სამება – ჰქრის არიად, მარიამებად.
პარნასის მთაზე უკვდავების იქორს მივნებდით,
ჯვარცმის რომანში გვაგვირგვინებს ვარდაწვერილი.
შენ „პოეტ ქმარზე“ მუზის სახით იქორწინებდი,
აპოთეოზურ პოეზიით ჯვარდაწერილი.
ცეცხლს „ელ-ნინიო“ მატერიკზე გვიქრობს დინებით,
მთვარის აკვანში დავინიშნეთ ცის ქორწინებით.

ცის ტორიები

სიყვარულის გზა მისი ტურია
ცისკარს უხსნიან ცის ტორიებით.
მასში ყოველი მისტიურია,
ტრფობის ძიების ისტორიებით.
რა პატარაა არე პატიოს,
იქ აღარ სუფევს არსი მაყრულად,
პოეტს რომ ტრფობა არ ეპატიოს
და ჩაუთვალონ არსიყვარულად.
ცა დაიხურა უამურ ობით,
მწუხარი ღამით უცისკარულოდ.
ის ვერ იცოცხლებს უამურობით
და ვერ იცხოვრებს უსიყვარულოდ.
გულის კარიბჭე – ისრის ტორია...
სული უჭირავს ახლა ხელებში,
ჰყვება ყვავილთა სრის ისტორიას,
ვენერამურულ სასახლეებში.

ოდასახლი

თქვენ, თავს ახალ მოდას ახლით,
ლექსის სტილს ვქმნი, სრას ახლიდან.
პოეტი ვარ ოდასახლის,
მუზა მომდის სასახლიდან.
ღმერთო ჩემში დო, დაბადე...
სულმა სული სულს აკალმა,
ვარღვევ სივრცის დროს და ბადეს,
ხელში ვიჭერ სულა კალმახს.
პირველ სიტყვის დამბადებლით
ღერა-ღერა სიმს ვეღვრები.
ლექსი ისმის აბა, დელით,
ღმერთქართული სიმღერებით.
მწერლის სახლი – სრა ცაარის
რას გაიგებს ოდას ახლა.
თუ გრძნობთ სულში რა ცა არის,
რაც აგიგეთ ოდასახლად.
იმედი აქვს ზეცას ახლის,
სისადავეც სადას ახლდა.
მთვარის მეფე-მზე სასახლის,
ოდასახლში გადასახლდა.
მიდიმოდის მოდა ბადენს,
ახალ პოეტს ოდა ბადებს.
ლურჯი სივრცის დრო დაბადე –
თეთრგოლგოთით ოდაბადე.
ძველ სტილს ვუცვლი ოდას ახლით,
ვწევარ მთვარის სასახლეში
და ამ ლექსის ოდასახლით,
ვცხოვრობ გალას სასახლეში.
ხედავთ ციურ მეს, აქ მეში,
თოვლს დებს ლურჯი დაბა დებით.
სიყვარულის შესაქმეში,
დავიბადე დაბადებით.
პოეზიის დაბნელებას,
მზის პოეტი თხოთთან ველი,
ლექსმოქცევაც გაძნელდება,
ახალ აღთქმის ოთხ თაველით.
ოთხთავს იცავს ადიშელი,
სადაც ღვინოს აძველებენ.
ლექსის მამა ბადიშს ელის,
პოეზიის გამგრძელებელს.

სასახლიდან განსახლდება,
ოდა სახლად შენივთდება.
ძველი სტილიც განახლდება,
სულ ახალიც შეიქმნება.
სული ლექსით მიბერია,
მესვრის ღმერთის ოდა, ბადეს,
მიჭერს, როგორც იბერიას
პოეზიის ოდაბადეს.

ნოემბრის ტირისკონი

მტანჯველ სიყვარულის რჯული შორით მელის,
სიტყვის ყვავილები ერთხმად ტირის კონად.
თეთრი ღრიანკალი, ლურჯი მორიელი,
ვიშვით მზისქვეშეთში ცრემლთა ტირისკონად.

სიონსიოებით მწინდავს ქარი, ამინ.
გულზე პანაღიად მღვიმელ შიოს ები,
შენში რომ მიყვარდა წმინდა მარიამი,
შენი შვილიც ვარ და შენი იოსებიც.

სიტყვა აგდებული ეგდო, დიდო ბანზე
ვტირი ტირისკონი, ქშენდა ნოემბერი.
წარღვნის დადგომამდე გედო კიდობანზე
უნდა აგვიყვანოთ შენ და ნოემ, ბერით.

დანტეს ჯოჯოხეთში გვიშვებს, გვცნობს ცერბერი.
გვიგებს მიწისქვეშებს შემდეგ შნო ემბერის.
დროზე გამეფებულ პოეტს მონებს ერი,
გულზე ისრის ქუსლით შემდექ ნოემბერი.

ეშმას კერძი მოაქვთ ლანგრით, პორციებით,
სულის წაწყმედამდე ვუძლებ ხორციელი.
სული მეყინება მზისგან შორციებით,
მარცვლის მუმიიდან მაღდგენს ჰორციერი.

წილი ნაყარია ჩვენი მარტწყვილობის,
ყვითელ ქრისტესავით სდუმდა ნოემბერი.
ჯვარცმულ წერტილებით მოვალ მარტვილობით
ცის მეუდაბნოე, უსათნოეს რებით.

მიდგას პერიოდი მძევალს ომ შემდგომი,
მომდგამს გულმომდგარი გრძნობა ზემო მოდგმის.
ცაზე შემოდგომით მზე ვარ შემოდგომის.

მომკლავს „ამ-ორ ფატით“ მერის ნევერ-mori,
ტირის ტირისკონი, მოთქვამს ნოემბერი,
ყვავიც ნერვიულად მღერის „ნევერმორით“.

ცრემლი წამწამების საცრით გაფილტრული,
ყელში ამოვიდა გედად არფის სული.
მთვრალი პოეზიით მეტად არტისტული,
ქარში შეშლილივით ვივლი მარტის ტურით.

უკრავს მემენტო მორს მორგის მორიკონე,
ყორნის ნევერმორი ბედმა პოეტი შვი.
როცა მოგიკვდები მერე მომიგონებ
მუზა მუზაშვილი – პოეტ პოეტიშვილს.

ისრულ->გულ-ქვა ფრესკას გულზე მომიკონებ...
სიკვდილს შემატოვე ხელში სამ არესთან.
წვიმით რომ ატირებს სულმზეს მორიკონე,
მოხვალ დამიტირებ ეშხით სამარესთან.



ROIN RIJVAZE

სამშობლო

შემოღამების ზარის ხმა მესმის, ვაზის სიმღერაც განსხვავებული,
სად არის ფესვი საქართველოსი, ნაყოფი მისი მუდამ ქებული.
შენ ხომ მიწა ხარ, რჩეულთრჩეული და გაფარია ღვთისმშობლის კალთა,
დარდს არ მიეცე და ეს დროებაც, როგორც მარადჟამს, ჩაივლის ალბათ.

შემოღამების რეკენ ზარები... არგინეთიდან დავყურებ სხალთას,
კავკასიონის ღმუილი მესმის და ზღვის ტალღების მშფოთვარედ ტანჯვა.
სამშობლოვ ჩემო, ღმერთით ქებულო და მისგან მუდამ შეწყალებულო,
ეს შენი ერი, მიწა და წყალი, მუდამ იქნება სიცოცხლის დარი.

შენი სული ხომ მუდამ ბრძენია – სვეტიცხოველი, სხალთა და ზარზმა,
ნეტავ დღეს ეშმა რად შესჩენიათ, ალათს რად ფარავს ბოროტის ფარდა.
დუმილის წყარო დაულევიათ ჭოროხს, ფსოუს და მქუხარე არაგვს,
მზეც მორიდებით გვიგზავნის სითბოს, თითქოს რცხვენია დროების, ალბათ.

კაენთა მოდგმის რისხვამ დაგვფარა, უხილავ შიშის სიმწრის სუნი დგას.
შეგვინდე, ღმერთო, გაგვიღე კარი და მოგვიტევე ნამოქმედარი.
სამშობლოს ცაზე ისევ ინათებს, მის სხივებზე რომ ჯვარით დგას ქალი,
ენა, მამული, სარწმუნოება, გენის სიბრძნეა და ერის ქნარი.

მიაღწევს ლოცვა უფლის სარკმლებთან და განათდება ცა ზეციური,
სიმართლის სხივი ვაზს ააყვავებს და გაბრწყინდება კვართი ღვთიური.
შენც ხვთიური ხარ, შეიშრე ცრემლი, ნაყოფიც შენი იბერიული,
სიყვარულს შეგთხოვს მოწყალე ერი, ენა ქართული, ზეცისეული.

კაცი

ადექით ფეხზე, კაცი რომ მოდის და თანაც მოაქვს დიდგორის გონი,
და ღმერთი კაცად განკაცებული, უფლის მახვილით, მესის მქონი.
და ზანზარებენ არემარენი, გული ძგერს რწმენის ფრთებით შესხმული,
ცეცხლის ხაზებმა დასერეს ზეცა, უთვალავია საქმე ქებული.

ნისლს შეუბურავს მაღალი მთები, მოხეტიალე მეხი გრიალებს,
ქარტეხილებში ელავს მახვილი, ბედის ბორბალი ისევ ტრიალებს.
ცხოვრებას შეცვლის კვლავ მომავალი, დრო მიაქროლებს მას სიმართლისა,
რომ განათებულ ახალ რიჟრაჟში, დაუბრკოლველად იაროს შვილმა.

შემზარავი და გულდარდიანი, თოფის ომები განმეორდება,
ვიღაც დაღლილი გზაში დარჩება, ვიღაც კედელთან დაიმალება.
ყური მიუგდე, სანთელს მდუმარეს, ღაღადი მისი ცაში ვრცელდება,
მუდმივი ფარი, იმედის სხივი, უსამართლობას არ ემონება.

დააბიჯებენ ჯარისკაცები, მღელვარე ზღვაში ტალღის რაშები,
ექო გაისმის, აზრი ფეთქდება, ხმალთა ჟღარუნში გული ძგერდება.
მხედართმთავარი არის კაცი ქალის მოყვასი და მებრძოლია შეუპოვარი,
გულმაგარი და სულით წარმტაცი, სიტყვით მდუმარი და გულის განძი.

სევდიანი და დაუღალავი, მზრუნველი კაცი, სულის ნათება.
ღვინოს დალევს და გულს გადააყოლებს, არსი ცხოვრების გამონათდება.
ღალატის მგმობი, ერთგულის მცველი, შვილის იმედი უკიდეგანო,
დაგიცავს მარად მამის თვალები, სამყარო ფერად რომ დაინახო.

ქალი

დასაბამიდან ბედის ვარსკლავზე, ქალი დედაა მიწის და ღვთისა,
ადამის ნეკნსაც პირველს ერგუნა კეთილისა და ბოროტის ცდისა.
მზერით ფხიზელით, გრძნობის სადავე ხელში უპყრია მას შემდეგ მუდამ,
რომ გადაარჩინოს მთელი სამყარო და სიყვარულის სუფევდეს მუზა.

სილამაზესთან ჭიდილი უყვარს, მოსწონს მას მისი ზნე და გუნება,
მოავლენს ქებას სიყვარულისთვის, რადგან სიცოცხლე ქვეყნად ბრუნდება.
კვლავ ის იქნება რაც იყო მუდამ და ბნელი ღამეც გარიჟრაჟდება,
ჩვილის ტირილი სიხარულს მოჰგვრის, ერის სიცოცხლეც განავარდდება.

არ მიიღებს ზამთარს უდროოდ მოსულს, დროს გააჩერებს ვით მბრძანებელი,
ვარდებს და იებს დაუწყებს ჩურჩულს, ოქროს კოშკებზე ნატვრის მპყრობელი.
ჟამთა სრბოლასაც არ შეუდრკება, ოღონდ ცხოვრობდეს მშვიდად ყოველი,
და მის კაშკაშა ოცნების აზრებს, ვერ ეცილება განძის მფლობელი.

მზეს ამოიყვანს უკუნეთ ღამით, ფიქრებს გაატანს მღელვარე ტალღებს,
მდინარის დუდუნს ჩურჩულს დაუწყებს, შორს გადარეკავს სევდას და ნაღველს.
ხან წარბს შეიკრავს, ხან ათრთოლდება, ვით გაზაფხულზე მარტის ამინდი,
ენა ბასრი აქვს, როგორც კატანა, თუ დასჭირდება მწველიც აქვს იგი.

ჯოკონდასავით იცვლება იდუმალ, სულის და ფიქრის სხივი ნათელი,
წყრომასაც დათმობს მიჯნურისათვის, ლოდინი შვენის ქალს სანატრელი,
მუდამ ღია აქვს სულის სარკმელი, უფლისწულისთვის მას აქვს სათქმელი,
ქალი – ცხოვრების ზურგი და მცველი, მარად უნთია ლოცვის სანთელი.

მზესავით თბილი ქალი, – მეუღლე, ქალი დედა და სიცოცხლის წყარო,
მარადიულად, ლოცვა და მადლი, მათ სადიდებლად ზეცაშიც გალობს,
ამ სასწაულის სამყოფი მონა, ფარით და ყალმით მღელვარებს, ნატრობს,
გრძნობების კონა, ტრფიალის ცეცხლი, უსასრულობის იმედით ხარობს.

მარიამ ჩიხლაძე

დაგვიანებული სინანული

აგვისტოს ცხელი ზაფხული იდგა!

დილიდანვე ისე დაცხა, რომ სუნთქვა გაჭირდა. ქალაქის შეძლებული მოსახლეობა აგარაკებზე გაკრეფილიყვნენ. ზოგმა ზღვას მიაშურა, ზოგმა – მთას... ქალაქში მხოლოდ მოსამსახურეებს და ლუკმაპურისთვის მებრძოლ ადამიანებს შეხვდებოდი.

დიახ, ღარიბი კაცისთვის შეუძლებელი იყო, თუნდაც ერთი დღით, მოწყვეტოდა თავის საქმიანობას, ქალაქს გასცლოდა და მთების სურნელი ჩაესუნთქა.

თუმცა მოხუცთა თავშესაფრის ბინადარნი სიცხეს არაფრად დაგიდევდათ: მათ სხვა საზრუნავი ჰქონდათ – გიორგი კალანდია დღეს 80 წლის გახდა! ათი წელია რაც ამ თავშესაფარში ცხოვრობს, რძლის გადამკიდე მოხდა აქ... რძალი ისე ექცეოდა, როგორც ჭკუიდან გადასულ მოხუცს.

როცა მოსაღამოვდა, სასადილოში უხმეს. გიორგი გაჭირვებით წამოდგა ლოგინიდან, მხარზე დაეყრდნო მეზობელ ტარიელს და ასე ერთად სასადილოსკენ გაეშურნენ. მეგობრები მხიარულად მიეგებენ, მაგიდის თავში დასვეს, დაბადების დღე მიულოცეს, სადღესასწაულო ტორტი მიართვეს, სადაც 80 სანთელი ბრწყინავდა. მოხუცი ბავშვივით ატირდა.

იგი თავდახრილი მადლობას უხდიდა ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთის მიმართ ნუგეშის მეტი არაფერი დარჩენოდათ. როცა ბინდი ჩამოწვა ყველანი თავისი ოთახებისკენ გაიკრიფნენ დასაძინებლად. გიორგი გაუხდელი წამოწვა თავის რკინის ლოგინზე და ფიქრს მისცა თავი. გაახსენდა შვილი, რომ ესტუმრა ერთხელ თავშესაფარში და ცალყბად სახლში დაბრუნება სთხოვა. მერე თეონა გაახსენდა, გოგონა, რომელიც უყვარდა და ორსული მიატოვა, პროფესორის ქალიშვილის გამო, ვისზეც დაქორწინდა კიდეც...

– ტარიელ. – მიმართა მან მეზობელ ლოგინზე მწოლიარეს, რომელსაც ასევე არ ეძინა შეზარხოშებულს.

– გისმენ. – გაეპასუხა ტარიელი.

– თეონა მინდა მოვინახულო, თუ წამყვები?

მეზობლის დასტური მიიღო და ჩათვლიმა.

გათენდა და თავშესაფრის ორი მოხუცი ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ქუჩას.

თეონას სახლი არცთუ შორს იყო.

კარი ახალგაზრდამ გაუღო.

„თეონა მამისაშვილი აქ ცხოვრობს?“ – იკითხა გიორგიმ.

ახალგაზრდას კითხვაზე არ უპასუხია, სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

შემდეგ გაირკვა, რომ თეონა მომკვდარიყო, ხოლო მათ თეონას შვილიშვილი ელაპარაკებოდათ. გიორგიმ კედელზე გაკრულ სურათს დააკვირდა, სადაც ის და თეონა იყვნენ გამოსახულნი.

მოხუცი ფეხზე იდგა და წაიქცა... სასწრაფო დახმარება დროზე მოსულიყო, მაგრამ ვერ გადაარჩინეს, გულმა უმტყუნა.

მერაბის ეზოსკენ

გათენდა 1993 წლის მაისის დილა!

საქართველო შევარდნაძით იწყებდა არსებობას... რასაც ეროვნული იდეალების მსხვრევა, გამსახურდიას სიკვდილი, ქაოსი, საშინელი სიღატაკე, გაუტანლობა, უმუშევრება და 8-ლარიანი პენსია მოჰყვა!

რუსთაველზე, მთავრობის სასახლესთან საპროტესტო მიტინგები იმართებოდა, რომელთაც არბევდნენ და ხშირ შემთხვევაში ხვრეტდნენ... ამ დღეს, მწერალთა კავშირის შენობიდან ქალი გამოვიდა, რომელსაც ხელში ლექსების ხელნაწერი ეჭირა. მან „რუსთაველის“ მეტროსთან ხალხი შენიშნა და მათკენ წავიდა. ეს ხალხი რეჟიმის მოწინააღმდეგენი იყვნენ, მიტინგს მართავდნენ. მათ დაშლას პოლიცია ცდილობდა, ხოლო ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ... ერთმა პოლიციელმა ყურადღება მიაპყრო ამ ქალის მოძრაობას, წინ გადაუდგა და ნაწერები ხელიდან გამოგლიჯა.

– პროკლამაციებს ავრცელებ? – მიმართა მკაცრი ტონით...

როცა მიხვდა ლექსების რვეული ეჭირა ხელში, ცოტა არ იყოს დაიბნა, ლექსები პატრონს დაუბრუნა და სთხოვა, დაეტოვებინა ეს ადგილი, რათა, შემთხვევით ბრმა ტყიას არ ემსხვერპლა იგი.

„პოეტი სასიკვდილოდ არ მემეტება“, – თქვა მან და ქალს გაუღიმა.

ქალმა ხალხს გადახედა.

„თქვენ გინდათ არ მოვკვდე, რადგან პოეტი ვარ?..“ – აღმოხდა ქალს და მერაბ კოსტავას ეზოსკენ მიმავალ გზას დაადგა.



ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛ ᲠᲐᲐᲑᲔ

ვილჰელმ რააბე (8 სექტემბერი, 1831, ეშერსჰაუზენი – 15 ნოემბერი, 1910, ბრაუნშვაიგი) — გერმანელი მწერალი. რეალისტურად ასახა XIX საუკუნის გერმანიის პროვინციათა და ბერლინის გარეუბნელ ღარიბთა ცხოვრება.

ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ

ბნელოდა, როცა სტუმარი მოვიდა; ისე ბნელოდა, რომ ჩვენთვის შეუძლებელია იმის თქმა, თუ როგორ გამოიყურებოდა ის. უფრო სწორად, ზუსტად ვერ აღგიწერთ. თქვენ, მკითხველები, იმედი მაქვს, დაგვეხმარებით, თუ არა და, ძალიან ცოტა გვექნება დასაწერი.

– კიდევ ერთი დღე იოჰან, მარტოსულად და არაფრის მომტანი საქმის კეთებაში და ამ საქმის გამო სევდიანი ფიქრები; ერთმანეთში ყბედობით წუხილს ვერ მოგაშორებ; მე დები მყავს, ეს მათ შეუძლიათ. მუდმივ ჭმუნვა მგონი თვალებზე გეტყობა, ხომ მართალი ვარ? ეგ ჭმუნვა უნდა მოიშორო, ამაში მსურს რომ დაგეხმარო. მე შემიძლია შენთან ერთად სხვადასხვა ადგილას ერთი საათით დრო გავატარო და ეს შვებას მოგიტანს. თანახმა ხარ, რომ გამოხვიდე და ერთად დრო ვატაროთ? თუ დამთანხმდები, მეც გამოვალ. დაძალება არ მიყვარს. პასუხზე გთხოვ ბევრი არ იფიქრო, რადგან ჩემმა ყველა ნაცნობმა იცით, რომ ძალიან დაკავებული ვარ.

– თქვენ აქ ზეიმობთ, მაგრამ მე მერიდებოდა მოსვლა. სახლის წინ გზაზე და ჩიხში უამრავი მანქანა, მათ მოძრაობისგან გამოწვეული ხმაური, აქ მხიარულმა შეძახილებმა გაადაფარა. მესმის რომ სისულელეებს ვამბობ, მაგრამ მე ყველაფრით უკმაყოფილომ, უბედურმა და ცხოვრებით გამწარებულმა ეს მხიარული შეძახილები რომ გავიგონე, ბევრი ყოყმანის შემდეგ ჩემმა ფანტაზიამ მომიყვანა ჩემ ახალგაზრდა, მდიდარ, ბედნიერ დიასახლისთან. ახლა თითქოს ყველაფერი დამავიწყდა, მაგრამ რაღაც მინდა გითხრა გულწრფელად: მთელი დღე წყენისგან, შურისგან და ეჭვიანობისგან თქვენზე გაბოროტებული ვიყავი. ეს უსამართლობა იყო.

– მართალია შენ ღარიბი ხარ, შენი დიასახლისი კი მდიდარი, შენ მოხუცდი, ის კიდევ ჯერ ახალგაზრდა. შენთან არავინ მოვა სხვადასხვა დროს, სხვები ძალიან აქტიურ ცხოვრებას მივსდევთ. ამის შეცვლა არ შემიძლია. ვერც ერთ კენჭს ვერ მოგაშორებ, რომელიც ხელს გიშლის ჩვენნაირი რომ გახდე, მაგრამ რას იტყვი, მიუხედავად ამისა ჩემთან ერთად რომ იარო?

ქალბატონმა იოჰანემ გაიღიმა. ის რომ აქ მოვიდა, ეს უკვე თანხმობას ნიშნავდა. ამ უცნაურ სტუმარს ბევრი ლაპარაკი არ ჩვევია და პასუხის სანაცვლოდ ხელს, ან საჩვენებელ თითს მაღლა სწევს. ახალ ამბებს არ უყურებს, შესაბამისად ქვეყნიერებაზე რა ხდება არ იცის.

ქალბატონმა იოჰანმა თვალები დახუჭა და ისე თქვა: „კარგი“. უარი რომ ეთქვა, ეს არაფრის მომცემი უსამართლობა იქნებოდა, რომელიც სტუმრის უბადრუკ ცხოვრებას ვერანაირად ვერ წა-

ადგებოდა. დრო სწრაფად მიდის და ყველაფერი იცვლება. გადაწყვეტილების მიღებისას სიჩქარეა საჭირო!

– ყველაფერი ისე არ არის, როგორც გუშინ? ისე, როგორც ჩემი ახალგაზრდა მეზობლის ტოლი რომ ვიყავი და იატაკზე ლამაზი ნოხი მეფარა, როცა ჩემი სახლის წინ მანქანები ჩერდებოდნენ და სტუმრები მოდიოდნენ, ყველაფერი ისე არ არის ახლაც? როცა სარკეში საზეიმო კაბაში გამოწყობილი ჩემი თავი მიღიმოდა და რიჩარდი ჩემ მხარზე დაყრდნობილი რაღაცას მეჩურჩულებოდა, მაშინ სარკე რამეს მეუბნებოდა?

– მაშინ, ახალგაზრდობაში ერთი გაზაფხულის დილას ვფიქრობდი მეზობლებზე, რომლებიც ჩემ ზემოთ, ქვემოთ, მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდნენ? ან რომ უფრო ნაკლებად ახალგაზრდები იყვნენ, შესაბამისად უფრო მეტი პრობლემები ჰქონდათ და უბედურები იყვნენ?

– ხედავ რომ იცვლები? თქვა სტუმარმა. სწორ გზაზე დგახარ და არ შეწყვიტო. უფრო და უფრო მეტი დამანახე.

– ეს მხოლოდ იმიტომ არის, რომ როცა გულისწყრომის ჟამს ადამიანი ვერ ახერხებს სწორად იაზროვნოს, ამ დროს ის ფერად წვიმებს ხედავს, ღამეებს მუქს და ვარსკვლავების გარეშე.

ქალბატონმა იოჰანმა ქვემოთ დაშვებული თავი მაღლა ასწია და შუბლზე ხელი მიიდო. ის თითქოს ისევ თავის უზარმაზარი სარკის წინ იჯდა, რომლის უკანა მხარე ფანჯარას უყურებდა და გაბზარული შუშით და ძველი, ადვილად მოცილებადი ფოლიეთი ჯადოსნურ სარკეს ჰგავდა, საიდანაც, იმედი, ნუგეში გადმოდიოდა, მიუხედავად იმისა რომ იოჰანე ასაკოვანი, ქვრივი და უშვილო იყო.

ილუზიიდან გამოსვლისას რეალობას ჩახედა პირდაპირ თვალებში, რომელიც სრულიად განსხვავდება წარმოსახვისგან, რადგან არარეალურ სამყაროში ავეჯი, კედლები, სურათები, ხალიჩები და ფარდები სულ სხვანაირი არის – ეს არის ამ ჩიხში მეზობლად მდებარე სახლის მსგავსი, რომელიც ოდესღაც დიდებული იყო და ერთ მყუდრო სახლად ითვლებოდა. იმ სახლისგან და იმ დიდებული დღეებისგან მხოლოდ ერთადერთი რამ – უზარმაზარი სარკე დარჩენილიყო, რომლის ფოლიე იქერცლებოდა და შუშა გაბზარული ჰქონდა.

– ვფიქრობ, კიდევ ერთხელ გავრისკოთ, მივყვეთ ჩვენს სურვილს და ვესტუმროთ უცნობ მეზობელს. რას ფიქრობ ამაზე, იოჰანე?

– სურვილს? ჩაილუღლუღა ქალბატონმა იოჰანმა. სიმართლე რომ ვთქვა, უცნაური სურვილია. un concetto, una fantasia strana[1], როგორც იტალიელები იტყვიან. რიჩარდთან ერთად იტალიაში დიდი ხანი ვიცხოვრე და ენაც იქ ვისწავლე, იქ ხალხი უფრო კარგად ცხოვრობს, ვიდრე აქ. ჩიხში მეზობელთან იქაც გადადიან, მაგრამ ვისაც ფანჯრიდან, ან სარკიდან დიდი ხანია რაც იცნობენ.

– ერთხელ ქმარმა თქვა: ლურჯ კაბაში ლამაზი პატარა ქალის ქმარი ჩვენი საუკეთესო, უნიჭიერესი მუშაკია, იოჰანე! პატარა ქალი თავის შვილებთან ერთად ყველაზე საყვარელია! ძალიან ვწუხვარ რომ ჩვენნაირად არ აზროვნებთ, შესაბამისად ჩვენ წრეს არ ეკუთვნი.

– მაშინ რა არის თქვენი გიჟური წრე, თუ არ ვეკუთვნი და არავის არ გადარდებთ? სიზმრებში მაინც თუ მნახულობთ? მეზობელი არ ცხოვრობს ელეგანტურ სახლში, კიბეები, რომელიც მასთან ადის, არის ციცაბო და გარეთ განათებაც არ არის.

– რა დარწმუნებული ხარ? ვინ მოგახსენა? ციცაბო კიბეებს ვგულისხმობ. ოდესმე მისულხარ და დალაპარაკებიხარ? ან ვინმესთვის გიკითხავს აზრი?

– ძალიან კარგად ვიცი, რომ უსაფუძვლოდ არაფერი უნდა ვთქვა, – თქვა იოჰანემ. – ცინიკოსებო! როდესაც კურკიდან ხეს ვზრდიდი, ნაპერწკლიდან ცეცხლს ვაჩენდი და ამონასუნთქს ქარიშხლად გარდავქმნიდი, სად იყავით?

[1] un concetto, una fantasia strana – (იტალ.) ფაქტია, უცნაური ფანტაზია.

– შენი სისხლი სხვადასხვა თავგადასავლების ნდომით მოუსვენარი იყო. ალბათ წარსულში ბევრი რამ გინახავს. მიუხედავად იმისა რომ ახალგაზრდა, მდიდარი და ლამაზი იყავი, იოჰან, დამალვას აზრი არ აქვს, გაცვეთილი და ერთფეროვანი ყოველდღიურობა გქონდა და ღამე არაქათგამოცლილი ლოგინში რომ წვებოდი, მიუხედავად ირგვლივ მყუდროებისა, ყველაფრით უკმაყოფილო იყავი.

– ერთ დროს ვიცნობდი მაგ ოჯახს. მისი ქმარი ჩვენთან მუშაობდა. ერთხელ რიჩარდმა მაცნობა მისი ქმრის გარდაცვალების ამბავი, რაც ძალიან სამწუხარო ამბავი იყო ჩვენთვის, რადგან ეგეთი გამრჯე მუშა ადვილი მოსაძებნი არაა. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ჩვენ აქ არ ვიყავით. ეს ამბავი რომ შევიტყვე, ფანჯრიდან ვხედავდი მაგ ქალს ფერმკრთალს და სევდიანს ლურჯი და ვარდისფერის ნაცვლად შავ კაბაში. ხელში ეჭირა ბავშვი, რომელსაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სრულიად დაობლებული იყო. მე ამ ქალს ფანჯრიდან თავს ვუქნევდი... მასთან მივდიოდი...

– და ახლა ის ისევ აქ არის და შეგვიძლია ვნახოთ, მოკლედ რომ ვთქვა, წარსულის მეგობარს ისევ შეუძლია მეგობრის მონახულება. აქედან მეზობელთან უნდა გადავიდეთ. ტკბილ-მელანქოლიურ მზის ჩასვლის ოცნებაში დრო – საათები, დღეები და წლები საოცრად ირევა ერთმანეთში და ფრთებს შეისხამს, როცა მას ვესტუმრებით. ხოდა რას ველოდებით? ვესტუმროთ. მე მგონი, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

– ოცნება. აღარ ვოცნებობ, ახლა მხოლოდ სიზმრებში ვხედავ ერთსა და იმავეს: მოხუც ქალს ჩაეძინა სკამში დამქანცველი დღის შემდეგ. თქვენ არ ფიქრობთ, რომ ჩვენი მეგობრობა წარსულს ჩაბარდა; ოცნებაში ისევ იქ ხართ ჩარჩენილი, როცა სიტკბოება და სიმშვიდე იყო და გგონიათ ეს სტუმრობა ისევ ძველებური იქნება.

– თქვენი საუკეთესო მეგობარი სადაც ცხოვრობს, ის სივრცე აღარ არის შეზღუდული და დაბალი, ახლა ნივთები აღარ არის ღარიბი და ძველმოდური; რადგან ახალგაზრდობის პერიოდში თავის ყოფაზე ზრუნავდა. ის ჩუმად აღწევდა თავის მიზნებს და სააბოლოდ ფუფუნებაში ცხოვრობს. ახლა ის სახლი ისეთია, როგორზეც ოცნებობენ ადამიანები. ამდენი ხანი თვალდახუჭული ჰყოფნა არ შეიძლება! ეს ცხოვრება ცვალებადია! შეიძლება საკუთარ სახლში უცბად ჭმუნვამ და შიშმა შეგიპყროს. რაღა დარჩა იმისგან რაც წარსულში იყო? სად არის უზარმაზარი სარკეები, მეწამული ფარდები, რბილი ხალიჩები, ან თქვენი ახალგაზრდობის მეგობრები, ან ნაცნობები? თქვენი საკუთარი ქმარი და შვილები მკვდრები არიან; თქვენს ძალიან ახლო მეგობარს, უკვე დიდი ხანია, ბორცვის ქვემოთ სძინავს; სიზმრებში და მოგონებებში ჩნდება ღიმილით, ნუგეშის მომცემად და მრჩევლად ჩნდება ხოლმე სიზმრებში და მოგონებებში, უმეტესად კი, როცა სტუმრობას ეხება საქმე, ჰოდა, ცხოვრებით დაღლილო ქალბატონო იოჰანე – ბებერო დედაკაცო, შენ გამწარებულ ცხოვრებაში, როგორც ბნელში ნათელი, არ გინდა კარგი რაღაცები მოხდეს?

– ყველა კეთილი მეგობრის, საყვარელი ნაცნობისგან, არავინ დამრჩა. დარჩა მხოლოდ ბავშვი, რომელმაც სიცოცხლით სავსე და მბრწყინავი მეოცნებე ახალგაზრდიდან, შავ კაბიან გამწარებულ მეზობელ ქალის მოგონებებში გადაინაცვლა. ეს გოგონა გათხოვდა და სადღაც შორს...

– ყური დაუდგე, კიბეებზე ნაბიჯების ხმა ისმის.

ეს ალბათ იმ ადამიანის ნაბიჯების ხმა იყო, ვისი ხმაც ქალბატონ იოჰანეს სიზმარში ჩაესმოდა: ახლა მივდივარ და სიმართლეს მინდა ჩახედო თვალებში. ალბათ, ყველას გგონიათ, რომ ვისაც რამე აწუხებდა, მათ შორის შენ ამქვეყნიურ გაჭირვების დროს, ყველასთან მოვდიოდი და გეხმარებოდით, ისე როგორც შემეძლო, რომ უზრუნველი ცხოვრება გქონოდათ. მაშინაც კი, როცა უწინ კარი დაკეტილი ჰყოფილა! წიგნებში ჩემზე წერენ, როგორც სულიერად ამაღლებულ ქალზე; ეს ქალი მასზე მეტად კეთილშობილი ვაჟების და ქალიშვილების ამალით უკვდაყოფილია და საუკუნეების

განმავლობაში არავის დაავიწყდება, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მე ვეხმარები მხოლოდ ბავშვებს, ღარიბებს და შეუძლოდ მყოფებს. მე მსიამოვნებს იმ ადამიანებთან მისვლა, ვინც ჩემს შესახებ წიგნებიდან მხოლოდ ცოტა ან არაფერი იცის. კარგად იყავი, შეშლილო მოხუცო ქალბატონო, იცინე და იტირე შენი ნეტარების აწმყოში და სინამდვილეში, კარებთან რომ მოვალ, დიდხანს არ მალოდინო; მე არ მიყვარს დიდხანს ამაოდ კაკუნი და ლოდინი.

ვისი ნაბიჯების ხმაც ისმოდა, ფოსტალიონი აღმოჩნდა, რომელმაც ქალბატონ იოჰანეს წერილი მიაწოდა, მიუხედავად იმ მთელი, სრული სიმართლისა, რომელსაც ის აცნობდა, მაინც ჟღერდა, როგორც პოეტური ზარების რეკა და სიხარულის ყიჟინა.

„ჩემო ძვირფასო მეორე დედავ, ისე ბედნიერი ვარ – ფრანცი სახლშია! ჯანმრთელია და წვერები ისე მოუშვია, როგორც დათვს, და ისეა მზისგან დამწვარი – საშინლად! მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთი წყალობს, რადგან ჯანმრთელობა არ შერყევია და მე ძალიან ბედნიერი ვარ, შეიძლება ითქვას, უბედნიერესი! გუშინ მოვიდნენ და მე მათ შორის საუკეთესო ადგილი მქონდა დაკავებული – ეს საოცრება იყო. იმედია, ვინც დაგვინახა, შურით ლაპარაკობდნენ რომ იქ რამდენიმე აღლუმის მონაწილეს, მათ შორის ჩემ ქმარს, ხელში ატაცებული ვყავდი, უწინ ჩემსავით ასობით და ათასობით სხვა გოგო ჰყოფილა ასეთ მდგომარეობაში და ამით თითქოს პროცესიას თავის პეწს ვუკარგავთ, მაგრამ ბუნებრივად ასე უნდა იყოს და ვერც ფელდმარშალი, რომელიმე სხვა გენერალი, ან პრინცი ამას ვერ დაგვიშლის. დოლების და საყვირების ხმა აყრუებდა იქაურობას. ჩემი ქმარი ცხენზე იჯდა, ერთი ხელით შუბი ეჭირა, მეორეთი მე. სიხარულისგან გული კინაღამ რომ არ გამისკდა და სახლში როგორ მივედი მთელი, არ ვიცი, მაგრამ, ფაქტია, ახლა საღ-ლასამათი სახლში ვარ და წერილს გწერ. ახლა როგორც ჯანმრთელი და ბედნიერი ვარ, ეგრე კარგად გამყოფათ მუდამ თქვენ ყველა: იმპერატორი, ჩემი ქმარი, ჩემი შვილი და შენ – ჩემი მეორე დედიკუნა! იცოდე, რვა დღეში შენთან ვართ – მე, ფრანცი, ანუ ჩემი მეუღლე, რომელსაც რკინის ჯვარი მოაქვს, რომ გაჩვენოს და ჩვენი ვაჟი. მე პირადად ჩემ ბიჭებს – ქმარს და ჩვენ შვილს გაგაცნობ. ფრანცი ქვეყნის უსაფრთხოების დამცველი მამაცი რაინდია, რომელიც მოულოდნელად შარშან შუა ზაფხულში თავის სახატავ დაფას, ჩემ სამკერვალო მაგიდას და რაც მთავარია მე მომაცილეს და მამულის დასაცავად ზარბაზნების ყველაზე საშინელ ცეცხლის ალში მებრძოლად დააყენეს. ომის პერიოდში ჩვენ ბევრი ცუდი რაღაც გადავიტანეთ და ერთმანეთის თანადგომა მხოლოდ მცირედით შევძელით. ფრონტის ხაზიდან სადაც სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ, და არავინ ჰფიქრობდა საერთოდ გამდარჩენაზე, ფრანცის მოწერილ წერილებში ნათლად ჩანდა მომავლის იმედი, ის იწერებოდა რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ღმერთს მადლობა, რომ ჩვენი ვაჟი ძალიან პატარა და სულელი იყო, რომ ვერ გაეგო თუ რას ნიშნავს ამ ქვეყნიერებაზე ომი, თან ამას ხელი იმან შეუწყო, რომ შუა ომის პერიოდში ეს სახლი ვიშოვნეთ და იმ საშინელი საცხოვრისიდან აქ გადმოვედით საცხოვრებლად, ბავშვმა იგრძნო უფრო კომფორტული პირობები და გარკვეული დროის შემდეგ მამამისი ფრონტის ხაზიდან ცოცხალი დაბრუნდა. იმ დროს რომ ვიხსენებ, მღელვარება მიტევს, ყურებში ათასობით ზარის ხმა მესმის და ყველა კიდურზე ჭიანჭველები დამდიან! კერძო ინჟინრებს ფასი მოემატა და როგორც იქნა ჩვენი ჯეჯილი აბიბინდა. შენ საყვარელ ქოხში რვა დღეში ყველაფერს მოგიყვებით; ასე მარტოსული აღარ იქნები, ახლა კარგად ვართ და, იმედია, ღმერთი მოწყალე იქნება ჩვენდამი – სიავე რომ არ შეგხვდეს მაგიდის ქვეშ სამჯერ დავაკაკუნე! ფრანცი ამბობს, რომ ეს ზავი დროებითია და უსაშინლეს ქალაქ მეცს[2] აუცილებლად შემოარტყამს ალყას, თუ ჩვენ ჯარისკაცებს დამარცხება უწერიათ და მტერი ჩვენ მშობლიურ მიწებს დაიპყრობს, მაგ დროს ურჩევნია ცივ სამარეში იწვეს.

[2] მეცი (ფრანგ. Metz, ლათ. Mettis, Divodurum Mediomatricorum) – ქალაქი საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლოთარგინიის დედაქალაქი 1944 წლიდან.

რომ ვეუბნები აღარ წავიდეს საომრად, საშინლად გაჯიუტებულია და მუდამ ომის საშინელ ამბებს მიყვება ხოლმე. საბედნიეროდ, შენზე როცა ვიწყებ საუბარს, ძველ ამბების მოყოლას წყვეტს და ამბობს, რომ შენ წამოგიყვანს ჩვენთან საცხოვრებლად, ჩვენთან ერთად იქნები, მაგრამ ეს ათასჯერ უფრო მცირე რამ არის იმასთან შედარებით, შენ ჩემთვის რაც კი გაგიკეთებია.

მე, რა თქმა უნდა, ჩემს ქმარს ვენდობი სიტყვაზე და მჯერა მართლაც ჩვენთან იქნები, მაგრამ როდესაც ის ამბობს, რომ შენ ჩვენთან გადმოხვალ საცხოვრებლად, მის გადაწყვეტილებას ვეთანხმები, რადგან ჩვენ შვილს არ ენდომება მაქ გადმოსვლა და ვერ მივატოვებ. ბავშვი რომ სირბილს დაიწყებს, ყურადღება არ უნდა მივაქციო? ან საწყალი ბავშვი ბებიკუნას გარეშე წარმოგიდგენია? შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ ეკუთვნი ჩვენ რიჩარდს ისე, როგორც გერმანიას ქალაქი მეცი. მე ახლა სხვა შედარებას ვერ გავაკეთებ, რადგან ჩემი გონება დაკავებულია.

მომავალში გვინდა გადასვლა და, რა თქმა უნდა, უფრო დიდი სახლის ქირაობა. ფრანცი ამბობს, რომ ჩვენ ვიცხოვრებთ საფრანგეთში, მაგრამ ის ხუმრობს, რადგან ბოლო პერიოდში საფრანგეთში ცხოვრება გაფუჭდა და თან ჩვენ გერმანიის მიწაზე გვინდა ცხოვრება. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მაგარი იქნება და გთხოვ შენც დაფიქრდე ამაზე. ამ წერილს რომ მიიღებ, შეიძლება ჩამოსული ვიყო უკვე და შენთან ერთად მომავლის გეგმებისთვის ვემზადებოდე. შენ ჩვენთან ყოველთის უსაფრთხოდ იქნები და არასოდეს არაფრის არ შეგეშინდეს! თუ რამე გაურკვეველი მოგწერე, არ გაგიკვირდეს, რადგან ახლა თან შვილი მყავს კალთაში და 💣 ეს მელნის ლაქა მის ანგარიშზეა – თმების წვალება მოსწყინდა, ახლა კალამს მოკიდა ხელი და არ მაცლის წერას.

სხვა აღარაფერი დამრჩა დასაწერი გარდა იმისა რომ გულის ფანცქალით ვუცდი რვა დღის გასვლას, მინდა რომ ხვალვე იყოს, რომ თვალებით და პირით ცოცხლად დაგინახო. სიკვდილამდე მუდამ შენი მადლიერი გოგონა ვიქნები, ჩემო მეორე დედიკო!

ქალბატონმა იოჰანამ ცხოვრებაში ბევრი უბედურება განიცადა. საკუთარი ოჯახი აღარ ჰყავს – ქმარი მოკვდა, მისი შვილები პატარაობიდანვე მოწყვიტეს, შესაბამისად ცხოვრება გამწარებული ჰქონდა, თუმცა ამ წუთას მასზე ბედნიერი ქალი არავინ იყო და სიხარულისგან ცრემლები ცვიოდა. მასთან სტუმრად არავინ მოსულა. კარები დაიკეტა და ქალბატონი იოჰანი ოცნებებში წასული სახლის გზას გაუდგა, მას ახლა არ სურდა რეალობას დაბრუნებოდა, მანამ სანამ მის კარებზე კაკუნის ხმა არ გაისმოდა, შესაბამისად არ დავიწყების და წარსულში კეთილმეზობლური დამოკიდებულების მწიფე ნაყოფით არ დატკბებოდა.

გერმანულიდან თარგმნა **გიორგი ვარამაშვილმა**

თამაზ გვენეტაძე

ისტორიული დოქტორი იოჰანეს ფაუსტუსი – ლეგენდა და რეალობა

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ფაუსტოლოგიაში აქცენტი უმეტესად გოეთეს ინტერპრეტაციაზე კეთდება, ისტორიული ფაუსტი მაინც რჩება იმ კარიბჭედ, ფაუსტის წარმოშობის ფონურ ფიგურად, რომელიც ფაქტიურად საფუძვლად უდევს ფაუსტური ფენომენის კულტურულ გააზრებას.

ქართულ ფაუსტოლოგიაში ფაუსტური იდეის გენეზისის სრულყოფილი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, რის გამოც არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს აქამდე არსებული, ფრიად საყურადებო გამოკვლევები და ნაშრომები, რომელთა ღირებულება განუზომლად გაიზრდებოდა ისტორიული ასპექტის გათვალისწინების შემთხვევაში. ამიტომ, იმედს ვიტოვებ, რომ წინამდებარი ნარკვევით, სულ მალე კი ისტორიული ფაუსტუსის სრულყოფილი თარგმანით, გარკვეულწილად შევავსებ აქამდე არსებულ დანაკლისს.

წინასწარ მსურს გაცნობოთ, რომ ისტორიული ფაუსტუსი საფუძვლად უდევს, ხშირ შემთხვევებში ცალკეული დეტალებითა და პასაჟებითაც კი კვებავს, ისეთ ცნობილ ფაუსტურ სახეებს, რომლებიც გოეთემ და თომას მანმა შექმნეს.

იდეის გენეზისი

ისტორიული იოჰან ფაუსტუსის შესახებ სხვადასხვა დროს შედგენილი რამოდენიმე ისტორიული დოკუმენტი არსებობს, რომლებიც თქმულებების სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ფაუსტუსის რეალური სახე კიდევ უფრო მეტი ბურუსით დაფარა. სავარაუდოდ სწორედ ამიტომაც გახდა ის მრავალი დიდი შემოქმედის შთაგონების წყარო. საკმარისია დავასახელოთ – იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ვოლფგანგ ეფრაიმ ლესინგი, თომას მანი, გეორგ ბუხნერი, ფრანკ ვედეკინდი, კომპოზიტორები: შარლ გუნო, ქრისტოფერ მარლოვე, ლუის შპორი, ჰექტორ ბერლიოზი, ფრანც ლისტი, არიჯო ბოიტო, ჯაკომო მანცონი, მხატვრები: ოიგენ დელაკრუზი, ვილიამ თორნერი, ფრანც ფონ შტუკი, ჰენრი ფუზელი, მაქს ბეკმანი და მრავალი სხვა.

მათ ვერ გაუძლეს ცდუნებას და მწირე ისტორიული მონაცემები საკუთარი ფანტაზიით შეავსეს!

ფაუსტოლოგიის მთავარი თემებია ადამიანის სიცოცხლის აზრი, ცოდნის ძიება და ის მორალური გამოცდა, რომლის წინაშეც დგება ადამიანი დიდი სურვილების დაკმაყოფილებისას. მისი ძირითადი ელემენტებია:

– ცოდნის წყურვილი და მისი ფასი: ფაუსტუსი, როგორც გმირი, ყიდის თავის სულს ცოდნისა და ძალაუფლებისთვის, რაც ბადებს კითხვას, რამდენად მართებულია ასეთი რამ ღირსეული ადამიანისთვის.

– თანამშრომლობა ბოროტ ძალასთან და ადამიანის მორალური პასუხისმგებლობა: ეს არასოდეს სრულდება კარგად!

– სიყვარული და მისი დაკარგვა: „ფაუსტუსის“ თითქმის ყველა ნაწარმოებში დომინირებს ქალი, როგორც უნიკალური სიყვარულის წყარო! სიყვარულის ნაყოფი კი, პირმშო აუცილებლად უნდა დაიღუპოს.

ეს თემები განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენენ დღევანდელ ეპოქაში. მათ ვხვდებით ცხოვრების ყველა სფეროში...

დავუბრუნდეთ ისტორიულ ფაუსტს. „ფაუსტუსი“ გავრცელებული სახელი იყო რენესანსში და ლათინურად „ბედნიერს“ ნიშნავს (ლათინური: faustus – „კეთილგონივრული“, „ნეტარი“), ეტიმოლოგიური კავშირი არა აქვს გერმანულ Faust-თან (მუშტი). ლეგენდებში ასევე გვხვდება სახელები ფაუსტი და ფაუსტენ.

რაც შეეხება მეფისტოფელს, მისი ეტიმოლოგიის დადგენა რთულდება ერთი ადვილად გასაგები მიზეზის გამო. ისტორიული ფაუსტის პირველ, 1587 წლის, გამოცემაში გვხვდება სახელის ფორმები: Mephostophiles, Mephistophilis, Mephistopheles, Mephistophi.

„მეფისტოფელი“ სავარაუდოდ გოეთემ შეარჩია კეთილხმოვნების გამო, თუმცა საწყისი, უძველესი ფორმაა Mephostophiles, რომლის შემდეგ ეტიმოლოგიურ ახსნას ექვემდებარება:

Me – ბერძნული უარყოფითი პრეფიქსი *(μη = არა)*

phos / phost → ბერძნული *φῶς* = სინათლე

philos / philes → *φίλος* = მოყვარული, მეგობარი

ამგვარად Mephostophiles ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა: „არ-სინათლის-მოყვარული“, ანუ „ის, ვისაც არ უყვარს სინათლე“.

ფაუსტუსის დაბადების ადგილად სახელდება როდა (დღევანდელი ილმენაუ), ჰელმშტატი (ჰაიდელბერგის ახლოს), ზიმერნი, ზალცვედელი (საქსონია-ანჰალტი). ორთოდოქსი ფაუსტიანელები მისი დაბადების ადგილად კნიტლინგენს (ბადენ-ვიურტემბერგი) მიიჩნევენ და იქ დიდი მუზეუმი და არქივიც კი გაუხსნეს მას. ამ ქალაქის 1546-1566 წლებში ჯარში გასაწვევთა სიაში ფაუსტუსიც მოიხსენიება.[1]

ფაუსტუსის დაბადების თარიღად 1480 ან 1481 წლები სახელდებოდა. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ჰაიდელბერგის არქივებში ნაპოვნი წერილების საფუძველზე სავარაუდოა, რომ ის 1466 წელს ჰელმშტეტში (ქვედა საქსონია) დაიბადა. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი მოგვითხრობს „ფაუსტუს გეორგიუს ჰელმშტეტის“ შესახებ, რომელიც 1483 წელს გადმოსულა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, 1484 წელს ბაკალავრის, 1487 წელს კი ლიცენციატის (Licentia docendi – სწავლების უფლება) და მაგისტრის წოდება მიუღია და 1489 წლის გაზაფხულამდე ჰაიდელბერგში უცხოვრია.[2]

წყაროებით დასტურდება, რომ ფაუსტუსი მოხეტიალე ექიმი, ფილოსოფოსი, ალქიმიკოსი, ჯადოქარი, ასტროლოგი და წინასწარმეტყველი ყოფილა. 1506 წელს მას ისეთი ჯადოქრული ოინები ჩაუტარებია გელნჰაუზენში (აღმოსავლეთ ჰესენი) და ისეთი ჰოროსკოპები შეუდგენია, რომ

[1] Konstantin Huber, Jürgen H. Staps, Manfred Metzger, Horst Naumann, Gerhard Fritz (Hrsg.): Die Musterungslisten des württembergischen Amtes Maulbronn 1523-1608. Edition mit Beiträgen zur Namenkunde, Militär-und Regionalgeschichte. Pforzheim, 1999.

[2] Badische Historische Kommission: Zeitschrift für die Geschichte des Oberrheins. Band 85, 1933, S. 232.

სასიკვდილოდ გადაიმტერა მაღალი სასულიერო პირები, ხოლო ხალხმა ცრუპანტელად და თვალთმაქცად მონათლა და ქალაქიდან მიაბრძანა. ამას მოგვითხრობს აბატ იოჰან ტრიტემიუსის წიგნი, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ წარუდგინა საკუთარი თავი ფაუსტმა საზოგადოებას: „Magister Georgius Sabellicus, Faustus iunior. fons necromanticorum, astrologus, magus secundus, chiromanticus, agromanticus, pyromanticus, in hydra arte secundus“.[3]

აი, რას მოგვითხრობს მასზე აბატი ტრიტერმიუსი[4]**:**

„გასულ წელს... ფაუსტს ქალაქ გელნჰაუზენთან გადავეყარე. სასტუმროში გამანდეს, რომ ის საშინლად თავხედი და მოლაყბე იყო... ამ ქალაქში, მღვდლების თანდასწრებით უთქვამს, რომ დიდი ცოდნა შეიძინა და ისეთი ბრძენი გახდა, რომ თუ პლატონთან და არისტოტელესთან ერთად ყველა ფილოსოფიური ნაწარმოები კაცობრიობის მეხსიერებიდან სრულიად გაქრება, ის საკუთარი გენიით მათ სრულყოფილად აღადგენს, ისევე როგორც მეორე ებრაელი ეზრა[5]. მას ვურცბურგში იმავე თავხედობით განუცხადებია, რომ ქრისტეს ქმედებებში არაფერია საკვირველი, რომ მასაც შეუძლია ყველაფერი გაიმეოროს... რაც ქრისტემ გააკეთა. ამა წლის მარხვაზე (იგულისხმება 1507 წელი – თ. გ.) ის მიადგა კროიცნახს[6], სადაც ასეთივე ბოღმით დაიტრაბახა, რომ კაცობრიობის ისტორია არ იცნობს მასზე უკეთეს, სრულყოფილ ალქიმიკოსს, რომ იცის და შეუძლია კიდეც ხალხს ყველა სურვილი შეუსრულოს. ამ პერიოდში ქალაქის სკოლაში უფროსი მასწავლებლის ადგილი გათავისუფლდა, და ფრანც ფონ ზიკინგენმა, კურფიურსტის მოურავმა და რაინდმა, რომელიც მისტიკური თემებით იყო გატაცებული, ფაუსტუსი ამ თანამდებობაზე დანიშნა. მალე ცნობილი გახდა მისი აღვირახსნილი საქციელი და მას სასჯელი ემუქრება“.

ჰუმანისტი მუციანუს რუფუსი 1513 წელს შეხვედრია ფაუსტსს ერფურტის სასტუმროში: „რვა დღის წინ ერთი ქირომანტი ჩამოვიდა ერფურტში, სახელად გეორგიუს ფაუსტუს ჰელმიტოის ჰედელბერგენზისი, ნამდვილი მკვეხარა და ტვინშერყეული. მისი ყველა წინასწარმეტყველება ფუჭია, სიფათი კი წყლის ობობას მიუგავს“.[7]

ერთი ისტორიული წყაროს თანახმად[8] ფაუსტუსი 1516 წელს მაულბრონის მონასტერში მიუწვევია მშენებლობის მოყვარულ აბატ ენტენფუსს, რომელსაც ფული შემოლევია მშენებლობის გასაგრძელებლად. თურმე სწორედ ამიტომ უმასპინძლა „ჯადოქრის კოლეგას დოქტორი ფაუსტუსს“, რათა მას, როგორც ალქიმიკოსს, ოქროს ზოდები გაეჩინა. ალქიმიის შედეგი უცნობია, მაგრამ დღეს ამ მონასტრის სამხრეთ სამრეკლო დოქტორ ფაუსტუსის სახელს ატარებს...

კნიტლინგენის არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა ფაუსტუსის ცხოვრების და „მოღვაწეობის“ დეტალები**:**[9]

1520 წელი: ფაუსტუსს ბამბერგში შეუდგენია ადგილობრივი ეპისკოპოსის ჰოროსკოპი და ამისათვის 10 გულდენი მიუღია.

---

[3] ლათ.: „მაგისტრ გეორგიუს საბელიკუსი, ფაუსტუს უმცროსი. ნეკრომანტიკოსთა წყარო, ასტროლოგი, მაგიაში მეორე, ქირომანტიკოსი, აგრომანტიკოსი, პირომანტიკოსი, ჰიდრა ხელოვნებაში მეორე“ (თ. გ.).

[4] Joannes Trithemius: Epistolae familiares. Haganoae 1536, S. 312-314.

[5] იგულისხმება მეორე მოსედ ცნობილი ესრა, ერთ-ერთი მთავარი გმირი ებრაელთა ბაბილონიდან გამოსაყვანად, დაწერა 94 ებრაული წმინდა წიგნი (თ. გ.).

[6] 1507 წელს ის კროიცნახში ადგილობრივი ლათინური სკოლის რექტორად მოუწვევიათ. დღეს აქ არსებობს Magister-Faust-Gasse და Faust-Weinstube.

[7] Günther Mahal, Brigitte Bruns, Ottmar Maier (Hrsg.): Faust-Museum Knittlingen. Exponate, Materialien, Kommentare. Daxer, Stuttgart 1980, S. 19.

[8] Georg Schwedt: UNESCO-Tag im UNESCO-Weltkulturerbe Kloster Maulbronn „Die Alchimistenküche des Doktor Faust“. Berufskolleg für Chemie, Pharmazie, Biotechnologie und Umwelt, 7. Juni 2009, abgerufen am 31. Juli 2020.

[9] Günther Mahal, Brigitte Bruns, Ottmar Maier (Hrsg.): Faust-Museum Knittlingen. Exponate, Materialien, Kommentare. Daxer, Stuttgart 1980, S. 20.

1528 წლის 5 ივნისს ფაუსტუსი რებდორფის მონასტერში ყოფილა და განუცხადებია: როდესაც მზე და იუპიტერი ერთმანეთს და ადამიანის ზოდიაქოს გაუსწორდებიან, ამ დღეს დაიბადებიან წინასწარმეტყველები – ფაუსტუსიც მათი ერთ-ერთი წარმომადგენელია. ის ყოფილა კერნტენის იოჰანიტერთა სკოლის მენტორი. იმავე თვეს ფაუსტუსი ინგოლშტატში ჩასულა და ისეთი მარჩიელობა დაუწყია, რომ მაშინვე ქალაქიდან გაუძევებიათ.[10]

1532 წელს ფაუსტუსი ნიურნბეგიდან გაუძევებიათ სოდომიისა და ნეკრომანიის გამო.

1536 წელს ფაუსტუსი მოიხსენიება როგორც ვარსკვლავთმრიცხველი – ამ დღეს „მთვარე თევზების თანავარსკვლავედში მარსის საპირისპიროდ“ ყოფილა. ფაუსტუსის წინასწარმეტყველება ყოფილა „ცრურწმენის ქარით გაბერილი ხელოვნება“ და არავინ იცის რისი თქმა სურს.[11]

1539 წელს ვორმსის მთავარმა ექიმმა ფაუსტუსის მკურნალობის მეთოდები გააკრიტიკა: „ის რამდენიმე წელია დაეხეტება აღმა-დაღმა, სამთავროებსა და სამეფოებში, და ყველგან თავს წარადგენს როგორც არა მხოლოდ მედიცინის, არამედ ქირომანტიის, ნეკრომანტიის, ფიზიონომიის, ბროლზე მკითხაობის და მსგავსი ხელოვნებების დიდოსტატად... თავად აღიარა და არ უარყო, რომ ის იყო ფაუსტუსი, Philosophum Philosophorum და ა. შ. მალე უამრავი საჩივარი შემოვიდა მისგან მოტყუებული ადამიანებისაგან... მისი დაპირებები ისევე ფუჭი აღმოჩნდა, როგორც ტესალოსი (მოხეტიალე მკურნალი ძველ საბერძნეთში), ხოლო საკუთარი თავის განდიდების უნარი – როგორც თეოფრასტესი (იგივე პარაცელსუსი, 1493-1541). თუმცა ფულის აღებაში უბადლო იყო...“[12]

ფაუსტუსის პიროვნება მთლიანად წყალწაღებული რომ არ ყოფილა, ამაზე მოწმობს მის შესახებ არსებული ბოლო დოკუმენტი, რომელშიც ფილიპ ფონ ჰუტენი (გერმანელი მოგზაური და დამპყრობელი) 1540 წლის 15 იანვარს გაცემულ სარეკომენდაციო წერილში ქებით მოიხსენიებს ფაუსტუსის მიერ შედგენილ ჰოროსკოპებს: „ჩვენ აქ, ვენესუელაში დავრჩით და გზა არ განვაგრძეთ, ამით დიდ უბედურებას ავცდით, ჩვენს ნაცვლად იქ წასული მთელი არმადა დაღუპულა... უნდა ვაღიარო, რომ ფილოსოფოსმა ფაუსტუსმა ეს ზუსტად გამოიცნო და ღმერთს დიდება, ცუდი წლის მიუხედავად, ჩვენ ყველაზე მეტად გაგვიმართლა და მისი წყალობით ცოცხლები დავრჩით“.[13]

მართალია ეკლესიამ ფაუსტუსი შერაცხა და მწვალებელი, ეშმაკის ფეხი უწოდა, მაგრამ ცნობილი გერმანელი ჰუმანისტი იოახიმ კამერიუსი მას „ყურადსაღებ წინასწარმეტყველად“ მიიჩნევდა.

ფაუსტუსის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა ახალი მითები და წერილობითი მასალები, რომლებშიც ისტორიულად დადგენილ, ისედაც იდუმალებით მოსულ ფაქტებს კიდევ უფრო დაუჯერებელი ამბები დაემატა და ასე მომზადდა ნიადაგი ლეგენდების შესაკრებად და წიგნად გამოსაცემად.

ფაუსტუსის გარდაცვალების შემდეგ ეკლესიის მამამთავრებმა და მეცნიერებმა შვებით ამოისუნთქეს – ფაუსტუსი აქამდე ყველას წარმატებულად უწევდა კონკურენციას! ამდენად მისი ისტორია კიდევ უფრო ახალი ფანტაზიებით შეიმოსა.

ამიტომ 1587 წელს იოჰან შპისის მიერ გამოცემული „დოქტორ ფაუსტუსის ისტორია“, რომლის თარგმანსაც ახლა ვამზადებ, შეიცავს მრავალ ზღაპრულ, დაუჯერებელ ელემენტს. საოცარია, და ამავე დროს გასაგებიც, რომ ლეგენდის წიგნად გამოცემამ გარკვეულწილად ხელი შეუშალა ფაუსტუსის არსის ობიექტურ კვლევას. მან იმდენად დააკმაყოფილა საზოგადოების ინტერესი ფაუ-

[10] Günther Mahal: Faust. Die Spuren eines geheimnisvollen Lebens. 1. Aufl. Scherz, Bern 1980, S. 235.

[11] Joachim Camerarius: Libellus Novus, Epistolas Et Alia Qvaedam Monvmenta Doctorvm superioris et huius aetatis complectens. Lipsiae 1568, B. 161b-162a.

[12] Philipp Begardi: Index Sanitatis, 1539 (verfügbar in der Bayerischen Staatsbibliothek: BSB 2 Med.g. 23.

[13] Frank Baron: Faustus. 1982, S. 41.

სტუსისადმი, რომ წიგნის გამოცემის შემდეგ ფაქტიურად აღარ გაგვაჩნია ისტორიული წერილობითი წყაროები მასზე.

წიგნის გამოცემამდე კი, 1568 წელს, კიდევ ერთი ისტორიული ნაშრომი გამოქვეყნდა: იოჰან ვაიერსის De praestigiis daemonum[14], რომელიც მოგვითხრობს ფაუსტუსის დაპატიმრების შესახებ ბატენბურგში (ჰოლანდია), ოცდაათიან წლებში. მასთან დაახლოვებულა კაპლანი დორსტენიუსი, იმ იმედით, რომ ფაუსტუსისაგან მაგიის ხელოვნება შეესწავლა, ამისათვის ხშირად უმასპინძლდებოდა მას ღვინით. სამაგიეროდ ფაუსტსს მისთვის „უსწავლებია“, თუ როგორ შეიძლება წვერის გაპარსვა სამართებლის გარეშე და მისთვის მიუცია დარიშხანი. კაპლანმა დარიშხანით გაიქაფა წვერი და მართლაც: თმები ჩამოცვივდა, მაგრამ თმებთან ერთად მთელი სახის კანი გაქრა...[15]

ჯადოქარ ფაუსტუსის სიკვდილი

არსებული მონაცემებით ფაუსტუსი გარდაცვლილა 1540 ან 1541 წელს შტაუფენში (ბრაიზგაუ), სასტუმროში „Hotel zum Löwen“, სადაც ქიმიურ ცდებს ატარებდა ოქროს მისაღებად. ქიმიური რეაქციის შედეგად მომხდარა აფეთქება, მისი სხეული ისე „საშინლად დეფორმირებული“ ყოფილა, რომ უთქვამთ, ალბად ეშმაკმა მიიბარა მისი სულიო.

1564 წელს გამოქვეყნებული ფონ ციმერნის ქრონიკები გვამცნობენ: „1541 წელს... ფაუსტუსი გარდაიცვალა შტაუფენთან ახლოს, ბრაისგაუში მდებარე პატარა ქალაქში. თავის დროზე ის საოცარი ნეკრომანტი იყო, როგორიც იმ დროისთვის გერმანიის მიწებზე არ მოიძებნებოდა. მას იმდენი უცნაური ამბავი გადახდა თავს, რომ მისი დავიწყება ადვილი არ იქნება მრავალი საუკუნის განმავლობაში. ის მოხუცებულობაში, მეტად უცნაურად გარდაიცვალა. ბევრი ვარაუდობს, რომ იგი მოკლა ბოროტმა სულმა, რომელსაც სიცოცხლეში მხოლოდ „ცოლის ძმას“ ეძახდა... წიგნები, რომლებიც მან დატოვა, შტაუფენის მმართველს ჩაუვარდა ხელში, ვინაიდან მისი მმართველობის დროს გარდაიცვალა. ბევრი ადამიანი ცდილობდა მათ მოპოვებას, ვფიქრობ, ისინი ამით ცდილობდნენ, ჩასწვდომოდნენ საშიშ და უბედურების მომტან ნიჭს. ფაუსტუსმა სიკვდილის შემდეგ ლუქსჰაიმის ბერებს მონასტერში შეუსახლა მოჩვენება, რომელიც დიდხანს უმწარებდა მათ სიცოცხლეს – და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ერთი ღამის გათევის უფლება არ მისცეს ფაუსტუსს... მან იმდენი საოცრება ჩაიდინა, რომ ამის შესახებ ცალკე ტრაქტატიც კი შეიძლება დაიწეროს...“[16]

ლეგენდა დოქტორ ფაუსტუსზე

იოჰან ფაუსტუსი იყო ფერმერის ვაჟი, რომელიც სწავლობდა თეოლოგიას ვიტენბერგში და მოიპოვა მაგისტრის, შემდეგ დოქტორის ხარისხი. მოგვიანებით მას ასევე შეუსწავლია „მედიცინა, ასტროლოგია და რაც არის დაკავშირებული მაგიასთან“. ის ბიძისაგან დიდ მემკვიდრეობას იღებს, მაგრამ სწრაფად ხარჯავს მთელ ქონებას, ვინაიდან „ცოდნის შეუზღუდავი წყურვილი“ სტანჯავს. ამის გამო ის ვიტენბერგის მახლობლად მდებარე ტყეში ეშმაკს ხვდება, რომელიც ბერის სახით ევლინება მას. ბერი პირდება, რომ მეორე დღესაც შეხვდება მას. მეორე დღეს ფაუსტს გამოეცხადება ეშმაკი, როგორც აჩრდილი „ღუმელის უკან და შემდეგ, როგორც ადამიანის თავიანი დათვი“.

---

[14] (ლათ.) დემონთა ოინების შესახებ.

[15] Vgl. dazu Günther Mahal, Hasso Böhme: Doktor Faust und Struwwelpeter. Eine Suche nach haarigen Verbindungen. 1998, S. 12.

[16] Froben Christoph von Zimmern, Zimmerische Chronik, Band 3, Seite 529 f.

ფაუსტუსი ეშმაკთან დებს შეთანხმებას. ეშმაკი მას 24 წლის განმავლობაში უნდა ემსახუროს, მაგრამ მან ამისათვის უნდა მიიღოს ფაუსტუსის სული. ხელშეკრულება გაფორმებულია ფაუსტუსის სისხლით. ეშმაკს „უნდა მიეცეს უფლება, რომ მისი სული 24 წლის შემდეგ ჩაიბაროს, სამაგიეროდ ყველა მისი სურვილი უნდა შეასრულოს. ეშმაკის სახელია მეფოსტოფელი, ის მართლაც ემსახურება ფაუსტსს ხელშეკრულების შესაბამისად. პირველ რიგში მას დამხმარედ მოუვლენს სტუდენტ კრისტოფ ვაგნერს და საოცრად განსწავლულ პუდელს სახელად პრესტიგიარი“. ამას შემდეგ, ფაუსტუსი სიამოვნების მორევში გადაეშვება და იწყებს მოგზაურობას, საჯაროდ აჩვენებს „მის ჯადოსნურ ხელოვნებას“. ლაიფციგში, აუერბახის სარდაფში ის ცხენივით შემოახტება ღვინის კასრს და „დაჯირითობს“, ერფურტში ხის მაგიდის კუთხიდან წრუპავს ღვინოს, შემდეგ სტუმრობს რომში პაპის კარმიდამოს, კონსტანტინოპოლის სულთანს, ინსბრუკის იმპერატორს და ანჰალტის გრაფს.

16 წლის შემდეგ იგი ნანობს საქციელს და სურს გააუქმოს ხელშეკრულება, მაგრამ ეშმაკი მასთან ახალ ხელშეკრულებას დებს და მას მოუვლენს ჰელენას საბერძნეთიდან. მათ შეეძინებათ ვაჟი, სახელად იუსტუსი. ხელშეკრულების თანახმად დედა-შვილი ფაუსტუსთან ერთად უნდა დაიღუპოს. ამიტომ, ფაუსტუსი მის მემკვიდრედ ვაგნერს ასახელებს, რომელიც ხალხური ნაწარმოების ერთ-ერთ ვერსიაში ასევე იღუპება. 24 წლის ბოლო დღეს, „უზენაესი სატანა“ საშინელი ფორმით გამოეცხადება მას და უბრძანებს, რომ მომავალ ღამეს სიკვდილისათვის მოემზადოს. სასოწარკვეთილი ფაუსტუსი ორჯერ ცდილობს თვითმკვლელობას, მაგრამ მეფისტოფელი ამის ნებას არ აძლევს. ფაუსტუსი სიცოცხლის ბოლო საღამოს სოფელში ატარებს თავისი მეგობრების საზოგადოებაში. ის მათ მასპინძლობს, „მოუწოდებს მათ სინანულისა და ღვთისმოსაობისკენ“ და ემშვიდობება მათ. შუაღამესა და პირველ საათს შორის ძლიერი ქარიშხალი ამოვარდება. ფაუსტუსის ოთახში ატყდება „ჯოჯოხეთური ხმაური“. მეორე დილით მეგობრები პოულობენ ოთახში კედლებს, რომლებიც სისხლითა და ტვინის მასითაა გაჟღენთილი, ფაუსტუსის თვალები იატაკზე ყრია, მისი სხეული კი ეზოში „ნეხვის გროვაზეა“ მიგდებული. ფაუსტსს მალულად ასაფლავებენ.

ფაუსტური იდეის ისტორიული ფესვები

ეშმაკთან თანამშრომლობის იდეა სავარაუდოდ წარმოიშვა კიშუფში, იუდაიზმის შავ მაგიაში, რომელიც არსებობდა ქრისტეს დაბადების წინა და პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში – მაგიის განსაკუთრებულად აღზევების პერიოდში, როცა კაბალასა და თალმუდთან ერთად პირველი ჯადოსნური წიგნებიც ჩნდებოდა. კიშუფში არსებობდა სისხლის მაგიის ელემენტი, როგორც ის ფაუსტის ლეგენდაში გვხვდება: ფაუსტი თავის პაქტს საკუთარი სისხლით აწერს ხელს – ისევე როგორც საუკუნეების წინ იდონიმები – ძველი ებრაელი ჯადოქრები, როცა ისინი ღმერთისგან განდგომილ სამყაროს, შედიმსა და სატანიმს უერთდებოდნენ.

ქრისტიანული ხანის ანტიკურ პერიოდში (ჩვ. წ. აღ. მეხუთე საუკუნემდე) ეშმაკთან პირველად კავშირი დაამყარა კესარიის სენატორ პროტერიუსის მსახურმა, რათა თავისი ბატონის ლამაზი ქალიშვილი ცოლად მოეყვანა. ამავე დროის ყველაზე ცნობილი პირი, რომელიც ეშმაკს შეეკრა, იყო თეოფილე, კილიკიის ადანის ეკლესიის წინამძღოლი. ამაში მას შუამდგომლობა გაუწია გამოცდილმა ებრაელმა ჯადოქარმა.

მოგვიანებით, ეშმაკის პაქტის შესახებ გადმოცემებში ებრაელების როლი უკვე კათოლიკე სასულიერო პირებს გადაეცათ. ვენსან ბოვესმა თავის Speculationes Historicae-ში აღწერა ლეგენდა ჯადოსნური ცოდნით აღჭურვილი მღვდლის, პალუმბუსის შესახებ, რომელსაც, თითქოსდა, ჯოჯოხეთთან ჰქონდა კავშირი, მიუხედავად ამისა, ის ეშმაკმა აკუწა.

ყველა იმ გადმოცემას, რაც ეშმაკთან პაქტს შეეხება, ერთი რამ აქვთ საერთო – ეს ისტორიები მხოლოდ ამ პირების გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი.

მაგრამ XVI და XVII საუკუნეებში სიტუაცია შეიცვალა და უამრავ ცოცხალ ადამიანს „ეშმაკთან კავშირში“ დასდეს ბრალი – ამიტომ ამოქმედდა ხელისუფლება და ინკვიზიცია! ასე დაიწყო ჯადოქრების დევნა – ყველაზე ბნელი პერიოდი ევროპულ ისტორიაში, რომელიც გვიან შუა საუკუნეებიდან ადრეულ ახალ პერიოდამდე გაგრძელდა. მას ახასიათებდა მასობრივი ისტერია, რელიგიური ფანატიზმი, სოციალური კონფლიქტები და იურიდიული შეცდომები.

ჯადოქრების დევნამ მე-16 და მე-17 საუკუნეებში პიკს მიაღწია, განსაკუთრებით რეფორმაციისა და კონტრრეფორმაციის პერიოდში. ამ არეულ – ომებით, შიმშილობითა და ჭირის ეპიდემიებით აღსავსე პერიოდში ხალხმა უბედურების მიზეზად ეშმაკებთან დამეგობრებული ადამიანები მიიჩნია. განსაკუთრებით გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და ნიდერლანდებში ჩატარდა უამრავი სასამართლო პროცესი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში „კუდიანების“ კოცონზე დაწვით სრულდებოდა, რადგანაც ცეცხლი განმწმედ ელემენტად ითვლებოდა.

ამ იდეის ძალა გერმანიაში უკანასკნელად ფაუსტის ფიგურაში გამოვლინდა. ადვილი ასახსნელია, თუ რატომ მაინცდამაინც ამ რთულ პერიოდში შეძლო მოხეტიალე შარლატანმა და თაღლითმა ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო სიმბოლოდ ქცევა – იქ, სადაც გაჭირვების გამო ეცემა მორალი, ძლიერდება როგორც დემონური ასევე ანტიდემონური ძალები!

ისტორიული ფაუსტუსის პირველი გამოცემა

1587 წელს ფრანკფურტელმა წიგნების მბეჭდავმა იოჰანეს შპისმა პირველად გამოაქვეყნა მცირე მოცულობის, მარტივად გაფორმებული, უცნობი ავტორის წიგნი „დოქტორ ფაუსტენის ისტორია“. ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამით დაიბადა ევროპული აზროვნების ერთ-ერთი გრანდიოზული ლიტერატურული სახე. წიგნის წინასიტყვაობაში გამომცემელი ერთგვარ წინდახედულობას იჩენს და წიგნს უძღვნის იმ დროისათვის სავარაუდოდ გავლენიან პირებს, კასპარ კოლნს, მაინცის კურფიურსტის სამეურნეო საქმეთა მდივანს, იერონიმუს ჰოფს, კონიგშტაინის საგრაფოს შემოსავლების მმართველს, ასევე მისდამი „განსაკუთრებულად კეთილგანწყობილ ბატონებსა და მეგობრებს“. წინასიტყვაობაში ის ერთგვარად თავს იმართლებს იმის გამო, რომ გამოსცა წიგნი ჯადოქრისა და შავი მაგიის წარმომადგენლის შესახებ, და წიგნის გამოცემას ასაბუთებს იმით, რომ ხალხი ამ ისტორიის მიმართ განუზომლად დიდ ინტერესს იჩენს. პირადად მას, როგორც ქრისტიანს, სრულიადაც არ აინტერესებს ეს თემატიკა და ალტრუისტულად, მხოლოდ მკითხველისათვის გაისარჯა.

მალე ცნობილი გახდა მისი ასეთი თავმდაბლობის მიზეზი: 1588 წლის იანვარში ტიუბიგენში, ჰოკის გამომცემლობამ დაბეჭდა ფაუსტუსის ახალი, ორი სტუდენტის მიერ გარითმული ვერსია, რომელიც ჰერცოგის კომისიამ პლაგიატად მიიჩნია და აკრძალა. ასეთმა მხარდაჭერამ იოჰან შპისი ისე აღაფრთოვანა, რომ 1588 წლის ბოლოს წიგნი მეორედ გამოსცა და ახალი ისტორიებით შეავსო.

მხოლოდ 1599 წელს გამოიცა ფაუსტუსის მეორე, უფრო სრულყოფილი ვერსია გეორგ ვიდმანის ვრცელი კომენტარებით. ყოველი თავის დასასრულს გ. ვიდმანი კრიტიკულად განიხილავს გადმოცემულ შინაარსს და მოუწოდებს მკითხველს არ დაივიწყონ მორალი და ცდუნებაში არ შევიდნენ.

მე-16 მე-18 საუკუნეებში გამოიცა ფაუსტუსის თემატიკისადმი მიძღვნილი უამრავი წიგნი, მათ შორის:

Das Wagnerbuch (1593);

Dr. Fausts großer und gewaltiger Höllenzwang (ფრანკფურტი, 1609);

Dr. Johannes Faust, Magia naturalis et innaturalis (პასაუ, 1612);

Das Pfitzer'sche Faustbuch (1674);

Dr. Fausts großer und gewaltiger Meergeist (ამსტერდამი, 1692);

Das Wagnerbuch (1714);

Faustbuch des Christlich Meynenden (1725).

ფაუსტუსის მესამე ვარიანტი, 1725 წელს გამოიცა, ქრისტიან მაინენდენის ფსევდონიმით. სავარაუდოა, რომ გოეთემ სწორედ ეს გამოცემა დაუდო საფუძვლად მის ლეგენდარულ ფაუსტს, რომლითაც მან კიდევ უფრო გააღვივა ინტერესი ფაუსტუსის თემატიკის მიმართ.

მე-19 საუკუნეში, მცირედი შესვენების შემდეგ, მასიურად იქმნება ფაუსტუსის თქმულების ახალი, მცირე ზომის გამოცემები – სატირული, გოთურ სტილში შექმნილი ილუსტრაციებით.

ყველა გამოცემა ვრცელდებოდა როგორც „ხალხური წიგნი – Volksbuch", რაც ცოტა პარადოქსულია, ვინაიდან ხალხის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და თქმულება ზეპირი სახით განაგრძობდა არსებობას.

ფაუსტუსის მრავალ გამოცემას შორის სათარგმნად შევარჩიე პირველი, 1587 წლის გამოცემა. წიგნის ავტორი უცნობია, ალბათ იფიქრა, მკრეხელობაში არ ჩამომართვანო. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად გამომცემელი და ანონიმი ავტორი წინასიტყვაობაში ხშირად იმეორებენ, რომ წიგნი სატანის თავგადასავლის პოპულარიზაციას კი არ ემსახურება, არამედ ის ქრისტიანმა ადამიანმა უნდა მიიღოს როგორც გაფრთხილება, რომ ცნობისმოყვარეობამ არ სძლიოს და არ დაუახლოვდეს სატანას. მეც ვუერთდები ამ განწყობას როგორც მთარგმნელი.

წიგნის სავარაუდო ავტორებს შორის ასახელებენ სამ პიროვნებას. „ეჭვმიტანილი" უპირველეს ყოვლისა თვით გამომცემელი იოჰან შპისია. მეორე სავარაუდო ავტორია ვიტენბერგელი თეოლოგი ქრისტოფ როსჰირტი, რომელიც ცნობილია როგორც ფაუსტის თქმულებების და თავგადასავლების შემგროვებელი. უმრო მისაღებია ის მოსაზრება, რომ წიგნის ავტორი უნდა ყოფილიყო ღრმად განსწავლული უცნობი თეოლოგი – წიგნში ისეთი თეოლოგიური ნიუანსები და ლათინური ციტატები გვხვდება, რომ მისი ავტორი ეკლესიის წიაღში მოღვაწე პიროვნება უნდა ყოფილიყო. გამორიცხული არაა, რომ ის დაწერა ფილიპ მელანქტონმა (1497-1560, თეოლოგი, რეფორმატორი, მარტინ ლუთერის თანამებრძოლი), რომელიც სტუდენტებს ფაუსტის ისტორიას მოუთხრობდა ჯერ კიდევ წიგნის გამოცემამდე.

წიგნი დაწერილია ადრეული ლიტერატურული გერმანულით (Frühneuhochdeutsch), რომელიც სწორედ იმ ხანებში იდგამდა ფეხს მარტინ ლუთერის (1483-1546) შემოქმედების, უპირველის ყოვლისა, ბიბლიის თარგმანების საფუძველზე. ენის განვითარების ეს პერიოდი მნიშვნელოვნად განსხვდება თანამედროვე გერმანული ენისაგან, როგორც ორთოგრაფიულად, ასევე – ფონეტიკურად, რის გამოც თარგმნისას პირველ გამოცემასთან ერთად ვისარგებლე 1980 წელს ჰ. ვიმკეს მიერ გამოცემული „Doctor Fausti Weheklag. Die Volksbücher von D. Johann Faust und Christoph Wagner".

თარგმნის პროცესში ჩემთვის წინა პლანზე იდგა მკითხველის ფაქტორი – შეძლებისდაგვარად უფრო მარტივად გადმოვეცი სიურეალისტური და ღრმა თეოლოგიური პასაჟები. Mea culpa!

გოეთეს და თომას მანის ფაუსტები ძირითადად იმეორებენ ისტორიული ფაუსტუსის სიუჟეტს. ისტორიულ ფაუსტს საშინელ სამსჯავროს უწყობენ სააქაოში, მის ცხედარს ნეხვის გროვაზე დაგდებულ პოულობენ. გოეთეს ფაუსტუსიც, რასაკვირველია, ვერ იმარჯვებს, მაგრამ მას შეუნდეს, ანგელოზებმა მეფისტოფელს ფაუსტუსის სული ხელიდან გამოგლიჯეს და ზეცაში აამაღლეს, ვინაიდან „ვინც წინ ისწრაფვის, ქმედითად ცხოვრობს, ის, შეგვიძლია ვიხსნათ". გოეთე ფაუსტუსის ცოდვების საპატიებლად მის დაუცხრომელ ცხოვრებას მიიჩნევს. მის ხსნაში დიდი წვლილი მიუ-

ძღვის გრეტხენისადმი სიყვარულს, „ცად მხოლოდ სიყვარული აღგვამაღლებს“. საბოლოო სცენაში ფაუსტუსის სული გაივლის სამოთხისკენ მიმავალ გზას და მივა ღმერთთან.

თომას მანის დოქტორი ფაუსტუსის სიუჟეტი მეოცე საუკუნეში ვითარდება და განასახიერებს გერმანიის ისტორიის ერთ-ერთ დაუჯერებელ, ძნელად ასახსნელ პერიოდს – ნაციზმისკენ მიმავალ გზას. ამ ნაწარმოებში უნიჭიერესი კომპოზიტორი ანდრეას ლევერკიუნი, რომელიც სიმბოლურად, სავარაუდოდ, გერმანელ ერს განასახიერებს, ვენერიული დაავადებით ინფიცირების შემდეგ, დებს შეთანხმებას თანამედროვე მეფისტოფელთან, რომელიც მას აძლევს 24 წლის განმავლობაში წარმატებული შემოქმედების გარანტიას – ისევე როგორც ისტორიულ ფაუსტს. ის ქმნის ნაწარმოებებს, რომელთა დონე ადამიანის შესაძლებლობას აღემატება და საერთო აღიარებას იწვევს – სწორედ ამ პერიოდში ვენერიული დაავადება მის მთელს ორგანიზმს იპყრობს. 1930 წელს, როდესაც ის წარადგენს საბოლოო შედევრს (დოქტორ ფაუსტუსის გოდება), ის აღიარებს სატანასთან დადებულ შეთანხმებას. ამ შეთანხმებას ის საბოლოოდ მიჰყავს სიგიჟემდე და ის კარგავს საღად აზროვნების უნარს, ამიტომ სიცოცხლის ბოლო წლებს ატარებს სიბნელეში, 1940 წლამდე. ლევერკიუნის სულიერი, მენტალური და ფიზიკური კოლაფსი და დეგრადაცია არის ნაცისტების აღზევების პერიოდი გერმანიაში და ლევერკიუნის ბედი განასახიერებს გერმანიის სულს. რომანი სრულდება ადრიან ლევერკიუნის გარდაცვალებით და მისი მეგობრისა, რომანის მთხრობელის სერენუს ცაიტბლომის პირქუში რეფლექსიით მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ბედზე. ცაიტბლომი ლევერკიუნის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ხედავს გერმანიის დაცემისა და მორალური კატასტროფის ალეგორიას ნაციონალ-სოციალიზმის მმართველობის ქვეშ. რომანი სრულდება შესაძლო მომავალი ხსნის იმედით, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობა უიმედოდ გამოიყურება. ტრაგედიის დასასრული არის როგორც ლევერკიუნის პირადი ტრაგედია, ასევე გერმანიის კოლექტიური მარცხისა და დანაშაულის მეტაფორა.

საინტერესოა ფაუსტის თემის ინტერპრეტაცია სხვა ქვეყნებში. ლეგენდის პოლონური ვერსია მოგვითრობს ჯადოქარ ტვარდოვსკიზე, რომელიც, ისევე როგორც მისი გერმანელი კოლეგა, ჯადოქრობით გატაცებული ექიმი იყო. სასიამოვნო ცხოვრების უზრუნველსაყოფად მან ეშმაკთან ხელშეკრულება გააფორმა, რომელმაც იგი შავი მაგიის საიდუმლოებებში გაანათლა. ამ ხალხურ ლეგენდაზეა დაფუძნებული ადამ მიცკევიჩის პოემა „პანი ტვარდოვსკა“, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პოეტი საბოლოოდ თავის გმირს დასაღუპად ვერ იმეტებს. აქ ტვარდოვსკი ცდილობს ეშმაკისგან თავის დახსნას თავისი მკაცრი ცოლის მეშვეობით და პანი ტვარდოვსკას უხმობს საშველად. ის კი ისეთი მკაცრი და მბრძანებელი ქალია, რომ ეშმაკიც კი შეშინდება და თავს გაქცევით შველის. ბალადა ეროვნული იუმორისა და ფოლკლორული ელემენტების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია პოლონურ ლიტერატურაში.

ესპანეთში ეშმაკთან დადებული პაქტის მითმა ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუა ხანებში შეაღწია თეატრალურ სცენებზე. „El esclavo del demonio“ *(ეშმაკის მონა)* არის ესპანელი დრამატურგის ანტონიო მირა დე ამესკუას (1574-1644) მიერ დაწერილი ბაროკოს პერიოდის რელიგიური დრამა, რომელიც პირველად 1612 წელს შესრულდა. აქ მთავარი პერსონაჟი ცოდვიანი ცხოვრების გამო ეშმაკს ემორჩილება და მის მონად იქცევა. თუმცა, ღვთის წყალობა სასწაულებრივად იხსნის მას, რითაც პიესა გამოხატავს ქრისტიანულ იდეას, რომ ყველა ცოდვილს ხსნის შესაძლებლობა აქვს, თუ მონანიებას მოინდომებს.

პიესა „El Burlador de Sevilla y convidado de piedra“ *(სევილიელი ცინიკოსი და ქვის სტუმარი)* დაწერა ესპანელმა დრამატურგმა ტირსო დე მოლინამ დაახლოებით 1630 წელს. ეს არის პირველი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც წარმოდგენილია დონ ჟუანის პერსონაჟი –

ცნობილი მაცდუნებელი და უღვთო ადამიანი, რომელიც ეშმაკთან პაქტს არ დებს, მაგრამ ბოროტად იყენებს ქალების ნდობას და საბოლოოდ ღვთის სასჯელს იმსახურებს.

უფრო მნიშვნელოვანია ლეგენდა სასწაულმოქმედი ჯადოქრის, კიპრიანეს შესახებ, რომელმაც პედრო კალდერონს შთააგონა თავისი ღრმად მოაზროვნე დრამა „El mágico prodigioso“ (სასწაულმოქმედი ჯადოქარი). თუ დონ ჟუანის ლეგენდაში ეშმაკთან პაქტის მთავარი მოტივი ხორციელი სიყვარული იყო, კიპრიანეს შემთხვევაში ეს არის ცოდნისა და შემეცნების წყურვილი. კიპრიანე არის სწავლული, რომელიც ცდილობს ღმერთის არსის წვდომას, თუმცა, გერმანელი ფაუსტისაგან განსხვავებით, მისი სწრაფვა უფრო მკაცრად თეოლოგიური საკითხებისკენაა მიმართული. ეშმაკი ცდუნების სახით მას ლამაზ ჟუსტინას მიუვლენს, მაგრამ კიპრიანო, აქაც ღვთის წყალობით, სასწაულებრივად გადარჩება (კიპრიანოს და ჟუსტინას წამების წინ რწმენა უბრუნდებათ და ღმერთი მიუტევებს მათ ცოდვებს...)

...მთელი ეს ევროპული ფაუსტოლოგია ლექსის ერთი კუპლეტით („დამსეტყვე ცაო“) თავდაყირა დააყენა ვაჟა-ფშაველამ:

რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..

ეს სიტყვები მკვეთრად ეწინააღმდეგება ტრადიციული ფაუსტის შინაგან განწყობას, ვაჟა-ფშაველას ლირიკული „მე“ ეწინააღმდეგება ბოროტს, რომელიც გამოვლინდება ჭირში, ბილწობაში, მწუხარებასა და ავში. ის აცხადებს, რომ არანაირ გარე უბედურებას – თუნდაც ის „მოზღვავებული“ იყოს – არ ძალუძს შიგნიდან მორალური ორიენტირის მოშლა. „ცნება“ რჩება მტკიცედ და შეურყევლად.

ფაუსტი კი ეთანხმება ხელშეკრულებას ეშმაკთან, რადგან ის იტანჯება ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების საზღვრებით. ის არღვევს მორალურ საზღვრებს არ ბოროტებით, არამედ შიმშილითა და ძიებით. ისტორიული ფაუსტი მზად არის, დაარღვიოს მცნება, თუკი ეს მას მისცემს შეცნობის, ძალაუფლების ან აზრის მიღწევის საშუალებას.

ფშაველას პოზიცია უფრო ჰგავს ქრისტიანულ-ასკეტურ წამებულს, არქაულ გმირს, რომელიც არ უშინდება ბოროტს, თუნდაც ყველაფერი დაინგრეს. ეს მორალური სიწრფელე ფაუსტს აკლია – ყოველ შემთხვევაში, მისი განვითარების პირველ ნახევარში. „ორი სული ცოცხლობს ჩემში, ერთს სურს, რომ მეორისგან გათავისუფლდეს...“, ამბობს ფაუსტი. ასეთი შინაგანი გახლეჩილობა ფშაველას ლირიკულ „მეს“ არ ახასიათებს – ის ერთი სულია, ერთი ნება, მტკიცე, როგორც ქვა.

ვაჟა-ფშაველას ეს სტროფები ისტორიული ფაუსტის პერსპექტივიდან ანტითეზას ქმნის. ფაუსტი საზღვარს სცდება, რათა გააფართოოს ადამიანის შესაძლებლობანი (მიუხედავად ცოდვისა), ფშაველას გმირი კი ყოველგვარ ზეწოლასაც კი ეწინააღმდეგება, რათა საზღვარი არ დაირღვეს.

ამიტომ, ფშაველას გმირი არის მორალურად სრულყოფილი ანტიპოდი ფაუსტის ტრაგიკულ სწრაფვასთან.

სრულიად განსხვავებული სახეა მინდია – მიუხედავად იმისა, რომ მან ზებუნებრივი ძალა „ქაჯებისგან“ მიიღო, ის გახდა ტრაგიკული მჭვრეტელის სახე და ქაჯებისგან მიღებული ძალის წყალობით ხედავს ჭეშმარიტებას, სამაგიეროდ ცილდება ადამიანის საზღვრებს და იკარგება ამ საზღვრებს მიღმა. მისი ბედი შეგვახსენებს, რომ ცოდნა, რომელიც არ მოდის შინაგანი სიმწიფით, ბოლოს წამლად კი არა – წილხვედრად იქცევა. მინდიამ, რომელმაც ბოროტ სულებთან კავშირით მოიპოვა ძალა და სწორედ ამ ძალით მენტალურად ებრძვის მათ!

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში „ეშმაკი“ ბოროტი სული წარმოადგენს ბიბლიურ სატანას, რომელიც ცდილობს შეეწინააღმდეგოს იესოს და ხელი შეუშალოს მის მისიას. ეს პერსონაჟი სიმბოლურად ასახავს ბოროტების ძალას, რომელიც ებრძვის სიკეთესა და სიმართლეს. ბოროტი სული ცდილობს ადამიანებში გააძლიეროს ეგოიზმი, დაუნდობლობა და უსამართლობა, რათა დაამყაროს თავისი გავლენა სამყაროზე. ეს კონფლიქტი ასახავს მარადიულ ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას შორის, სადაც იესო წარმოადგენს სიყვარულისა და მოწყალების სიმბოლოს, ხოლო ბოროტი სული – სიძულვილისა და უსამართლობის განსახიერებას.

ვაჟამდე კი ნიკოლოზ ბარათაშვილი შეებრძოლა ბოროტს სულს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?...
...განვედი ჩემგან, ჰოჲ, მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო.
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „სულო ბოროტო“ ვხვდებით ფაუსტური პრობლემის სრულიად სხვაგვარ ინტერპრეტაციას – აქ ბოროტი სული სიმბოლურად ასახავს იმ შინაგან ხმას ან ძალას, რომელიც პოეტს ახალგაზრდობაში კეთილ სულად ეჩვენებოდა და მას თავისუფლებას, ამქვეყნიურ სიამოვნებებსა და ჯოჯოხეთის სამოთხედ გადაქცევას ჰპირდებოდა. თუმცა, მოგვიანებით, პოეტი აცნობიერებს, რომ ეს დაპირებები ცრუ აღმოჩნდა და რომ ბოროტი სული მისი სიმშვიდის დამრღვევი გახდა. ამ ლექსში ბარათაშვილი ებრძვის ამ შინაგან კონფლიქტს, ცდილობს გათავისუფლდეს იმ მაცდური ძალისგან, რომელმაც მისი „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“ მოჰკლა და ცხოვრების გზაზე შეცდომაში შეიყვანა.

პოეტი ეგზისტენციალურად გაყოფილა, ისევე როგორც ფაუსტი. მასში არსებობს ორი თვითშეგნება: ერთი, რომელიც ხედავს, რომ სული ბოროტია, და მეორე, რომელიც ცდილობს, განეშოროს ამ სულს! პრობლემა იმაშია, რომ ეს მისი საკუთარი ბოროტი ყოფიერებაა.

ეს შინაგანი დანაწევრება ქმნის ტრაგიკულ დაძაბულობას: სუბიექტი აღარ იდენტიფიცირდება სრულად საკუთარ სულთან, რადგან ის აღიქმება როგორც მაცდური, დამღუპველი ძალა.

ქართულ ლიტერატურაში ბოროტი სულის (ავად-მყოფი, დემონური, ან ანტაგონისტური სულის) სახე მრავალი სახით გვხვდება – ფოლკლორში, შუა საუკუნეების რელიგიურ ტექსტებში, აგრეთვე თანამედროვე მწერლობაში, მაგ.:

ავსული – ქართული ზეპირსიტყვიერება სავსეა „ავსულის“ (ანუ ბოროტი სულის) სახეებით. იგი ხშირად გვხვდება ზღაპრებში, თქმულებებსა და ლექსებში.

დევები და კერპები – ხშირად აღიწერებიან, როგორც ბოროტი ზებუნებრივი ძალები, რომლებიც ადამიანს ებრძვიან.

ქაჯები – „ქაჯი“ ქართული ეპოსისა და ფანტასტიკის კლასიკური ანტაგონისტია. ისინი ბოროტი ძალების მატარებლები არიან და ხშირად წარმოადგენენ დაბრკოლებას გმირისთვის.

ამრიგად, ფაუსტის ფენომენი ზოგადსაკაცობრიოა და გარკვეული ფორმით არსებობს სხვადასხვა ერის ფოლკლორში.

ბოროტთან თანამშრომლობის ფენომენი მრავალ ქვეყანაში გვხვდება, ისტორიული ფაუსტუსი ამ თანამშრომლობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა, ის ერთგვარად წარმოადგენს მე-20 საუკუნის ევროპული ტრაგედიის წინასწარმეტყველებას.

გოეთეს, თომას მანის, ადამ მიცკევიჩის და სხვათა ამავე თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები ისტორიული ფაუსტის სიუჟეტის გამეორებაა.

გთავაზობთ მოკლე ნაწყვეტს 1587 წელს ი. შპისის მიერ გამოცემული წიგნიდან „დოქტორი იოჰან ფაუსტუსი – უბადლო ჯადოქარი და მაგიის დიდოსტატი“:

თავი 6 – ხელშეკრულების გაფორმება მეფოსტოფელთან

დოქტორი ფაუსტუსი საკუთარ სისხლს პატარა თასში ღვრის, ნაკვერჩხალზე დგამს და სისხლით წერს:

„მე, იოჰანეს ფაუსტუსი, დოქტორი, ვაღიარებ საკუთარი ხელით საჯაროდ, და ხელს ვაწერ ამ ფიცს, რომელიც უკვე ძალაშია შესული:

– რადგანაც ვესწრაფვი შევიცნო სამყაროს არსი და რადგან ვერ ვპოვე ჩემში შესაბამისი უნარი ზეცისგან დაბედებულ წყალობებს შორის, რადგან ეს ცოდნა ადამიანთაგან ვერ შევისწავლე, ამიტომ ვემონები ამჟამად ჩემთან მოვლინებულ სულს, რომელიც საკუთარ თავს მეფოსტოფილეს უწოდებს, ჯოჯოხეთის პრინცის მსახურს აღმოსავლეთიდან.

მე ეს სული გამოვარჩიე, რათა მან გამიმჟღავნოს და შემასწავლოს ეს საიდუმლო ცოდნა. ის დამპირდა, რომ ყოველ ჩემს ნება-სურვილს დაემორჩილება და შემისრულებს. ამ პირობის სანაცვლოდ, მე ვპირდები და თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ამ წერილის თარიღიდან 24 წლის გასვლის შემდეგ მას ექნება სრული უფლება ჩემზე, რათა თავისი სურვილისამებრ იმოქმედოს, მმართოს, მმართოს და მბრძანებლობდეს – ჩემს სხეულზე, სულზე, ხორცზე, სისხლსა და ქონებაზე – სამარადჟამოდ. ამის საფუძველზე, უარს ვაცხადებ, და ეს ასეც უნდა იყოს, ყველა ცოცხალზე, ყველა ზეციერ ძალასა და ადამიანზე. ამის დასამოწმებლად და დასამტკიცებლად ჩემი სისხლით, საკუთარი ხელით დავწერე ეს ხელშეკრულება, და მას დავურთე ჩემი გონება, სული, აზრი და ნება, მოვაწერე ხელი და დავადასტურე.

ხელმოწერა: იოჰანეს ფაუსტუსი – ელემენტთა მცოდნე და სულიერი მეცნიერებათა დოქტორი“.

თავი 27 – სამოთხის შესახებ

...ექიმმა ფაუსტმა ეშმაკთან ხელშეკრულების დადებიდან მე-16 წელს გადაწყვიტა სამოგზაუროდ წასვლა და თავის სულს, მეფისტოფელს, უბრძანა, მთელი ქვეყანა ეჩვენებინა. მეფისტოფელი ფრთებიან დრომედარად გადაიქცა და ფაუსტი სხვადასხვა ქვეყნისკენ გააქანა.

ასე იხილა ფაუსტმა პანონია, ავსტრია, გერმანია, ბოჰემია, შლეზია, საქსონია, მაისენი, თიურინგია, ფრანკონია, შვაბია, ბავარია, ლიტვა, ლივონია, პრუსია, მოსკოვის სამეფო, ფრიზია, ჰოლანდია, ვესტფალია, ზელანდია, ბრაბანტი, ფლანდრია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, პოლონეთი და უნგრეთი.

მოგზაურობა 25 დღე გაგრძელდა, მაგრამ ნანახმა ვერ დააკმაყოფილა მისი მოლოდინი, ვერ შეძლო ყველაფრის ნახვა, რისი სურვილიც ჰქონდა, ამიტომ ახალი მოგზაურობა წამოიწყო...

...ერთხელ, როდესაც ეგვიპტეში იმყოფებოდა და ქალაქ ალ-კაირს ათვალიერებდა, დროში პარალელურად სხვა უამრავი ქვეყანაც მოიარა, მათ შორის ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, პოლონეთი, დანია, ინდოეთი, აფრიკა, სპარსეთი და სხვ.

მოგზაურობისას იგი ხშირად მაღალ მთებზე, კლდეებსა და კუნძულებზე ჩერდებოდა. განსაკუთრებით დიდხანს გაჩერდა ბრიტანეთის კუნძულზე, სადაც მრავალი მდინარე, თბილი წყარო, უამ-

რავი წიაღისეული და ძვირფასი ქვა მოინახულა. აქ მან აღმოაჩინა „ღვთის ქვა“ და სხვა საინტერესო ქვები, რომლებიც თან წაიღო.

ორკნეის კუნძულები, რომლებიც ბრიტანეთის მახლობლად მდებარეობს, 23 კუნძულისგან შედგება, საიდანაც 10 დაუსახლებელია, ხოლო 13 დასახლებული.

კავკასიის მთები, რომლებიც ინდოეთსა და სკვითიას შორის მდებარეობს, იმ დროისთვის ცნობილი იყო, როგორც მსოფლიოში უმაღლესი მთა. აქედან ფაუსტმა დაინახა მრავალი ქვეყანა და ზღვის მიმდებარე ადგილები.

კრეტა, ბერძნული კუნძული, რომელიც ვენეციელთა მფლობელობაში იყო, ცნობილია თავისი მალვაზიის ღვინით.

ამ კუნძულებზე მოგზაურობის შემდეგ ფაუსტმა გადაწყვიტა სამოთხის დანახვა, რადგან სჯეროდა, რომ ზოგიერთი მთის მწვერვალი საკმარისად მაღალი უნდა ყოფილიყო, რათა მას იქიდან სამოთხის ხედი ჰქონოდა.

კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალიდან მან დაინახა გასაოცარი ნათება, რომელიც ჰგავდა ცეცხლოვან მდინარეს, ამომავალ მზესა და ცეცხლის კოშკს, რომელიც ზეცამდე აღწევდა.

ასევე დაინახა ოთხი დიდი მდინარე, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიედინებოდა: ერთი – ინდოეთისკენ, მეორე – ეგვიპტისკენ, მესამე – სომხეთისკენ და მეოთხე – სხვა მიმართულებით. ფაუსტმა, რასაკვირველია, მოისურვა გაეგო, თუ რა იყო ყოველივე ამის საფუძველი. მეფისტოფელმა უპასუხა:

„ეს არის სამოთხე, რომელიც აღმოსავლეთით მდებარეობს, ეს არის ბაღი, რომელიც ღმერთმა თავად დარგო, სადაც ყველა სიხარულია. ეს ცეცხლოვანი მდინარეები კი არის ბარიერი, რომელიც ღმერთმა დაამყარა სამოთხის დასაცავად“.

შემდეგ მან განაგრძო:

„ის მანათობელი ნათება, რომელსაც ხედავ, არის ანგელოზის ცეცხლოვანი მახვილი, რომლითაც იგი იცავს სამოთხეს. მაგრამ იცოდე, რომ მანძილი, რომელიც ჯერ კიდევ უნდა გაიარო, ისეთივე დიდია, როგორც აქამდე გამოვლილი გზა. ეს წყლები კი, რომლებიც ოთხ ნაწილად იყოფა, არის განგესი (ფისონი), ნილოსი (გიონი), ტიგროსი და ევფრატი“.

„ჩვენ ვერასდროს შევძლებთ აქ შესვლას, არც მე და არც შენ. ეს გზა კაცისთვის სამუდამოდ დაკეტილია“.



ნატო ბერძენიშვილი

თამარ გეგეშიძის „ჩუმად უნდა იჯდე“ და პრობლემები, რომლებზეც ბევრი უნდა ვისაუბროთ

თანამედროვე მწერლობა ბევრ აქტუალურ და საინტერესო პრობლემას შეეხო. სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი ავტორები გამოჩნდნენ. ლიტერატურული პროცესი რაღაცნაირად ერთ კალაპოტს მიუყვება. თითქოს ყველაფერი ასე უნდა იყოს და არის კიდეც, მაგრამ როგორ რელებზეც არ უნდა შედგეს „ლიტერატურის მატარებელი“ ის მაინც კვლავბრუნვაა ზოგადსაკაცობრიო და მსოფლმასშტაბური, მარადიული საკითხების გამხატვრულებისა.

მოზარდის პრობლემები, მოზარდთა ფსიქოლოგია, მასწავლებლის როლი, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, მშობლობა, ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებზეც ბევრი დაწერილა, დაიწერება კიდევაც, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ავტორის, თამარ გეგეშიძის წიგნმა „ჩუმად უნდა იჯდე“.



რა რთული ამბავია ამოიცნო იმ მოზარდის ფიქრები, რომელიც დივანზე წევს, თვალებით ერთ წერტილს მიშტერებია, თითქოს სამყაროს არ ეკუთვნის. სუნთქავს თუ არა იმასაც ვერ ამჩნევს. განა შეიძლება გამოიცნო ეს ფიქრი: „მოასწრებს თუ არა ობობა, რომელიც წუთის წინ დავინახე ოთახის კუთხეში, ჩემს ფეხებზე გადარბენას ისე, რომ ვერ დავიჭირო?“

რა სურთ მოზარდებს?

არ ვიცი, ყველა ადამიანი დაფიქრებულა თუ არა ამ კითხვის შინაარსის სიღრმეზე, მაგრამ მე ნამდვილად მიფიქრია ამ ყველაფერზე. კიდევ ერთხელ ამ ფიქრისკენ ზემოთ მოხსენებულმა ავტორმა ამ წიგნის მეშვეობით მიბიძგა და გამაცნო პერსონაჟი, რომელიც ყველა მოზარდს რაღაცით ჰგავს. შექმნა ახალი მხატვრული სახე – „თანამედროვე მოზარდების ნაკრები“ და დაარქვა შიო.

ასეთი ფიქრი ამ პერსონაჟში დანახულმა ხასიათის თვისებებმა, ფიქრებმა, უფროსებთან დამოკიდებულებამ, სხვადასხვა გარემოში განსხვავებულმა მოქცევამ გამიჩინა. შიო ჩემთვის წარმოადგენს ამოუცნობსა და ამავდროულად ყველაზე ნაცნობ პიროვნებას. ასეთ მოზარდებთან ურთიერთობაში, ვფიქრობ, ძალიან დაგვეხმარება ამ წიგნის ავტორის მთავარი გზავნილების გააზრება.

ჩემი დაკვირვებით, მოზარდების ორი ტიპი არსებობს სამყაროში. ერთნი ყოველთვის გეწინააღმდეგებიან, ჯიბრში გიდგანან, სამაგიეროს

გიხდიან, წყობიდან გამოჰყავხარ და ამ ყველაფრით, ასე რომ ვთქვათ, იკვებებიან. მეორენი ფიქრობენ, რომ ხმის ამოღებით არაფერი შეიცვლება. ყველაფერი მაინც ისე იქნება, როგორც უფროსებს უნდათ და ბედს ეგუებიან. შიოც ასეთი მოზარდის პროტოტიპია: „მე თორმეტი წლის ვიყავი, ახალგადაწყვეტილი მქონდა აღარ შევწინააღმდეგებოდი მშობლებს, მორჩილად დავთანხმებოდი ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც ჩემთან დაკავშირებით მიიღებდნენ და მხოლოდ ჩემი დუმილით თუ გულგრილობით მეძია შური“.

ამ ყველაფრის გააზრებით, მშობელს და მასწავლებელს უდიდესი როლი და პასუხისმგებლობა აკისრია. როგორ უნდა შეძლო და საერთო ენა გამონახო ასეთ მოზარდთან? ეს ბეწვის ხიდზე გავლას უტოლდება. ერთი პატარა შეცდომაც და ორივე ხრამში აღმოჩნდება.

მოზარდობაში ბავშვები გაცილებით მგრძნობიარენი არიან, ვიდრე ჩვენ, უფროსები. ავტორის მთავარი ჩანაფიქრიც სწორედ ეს მგონია: მოზარდის შეცვლა კი არ უნდა იყოს ჩვენი, უფროსების მიზანი, არამედ როგორ შევცვალოთ ჩვენ, უფროსებმა, მათდამი დამოკიდებულება.

სამსახურით გადაღლა, მარტო შვილის აღზრდა, სკოლაში შვილის ცუდი ნიშნებით გაღიზიანება, გამუდმებული კრიტიკა შვილის მიმართ, და რაც მთავარია, იმ პრობლემების უგულებელყოფა, რომლებიც ამ ასაკის მოზარდებს დიდ, გამოუსწორებელ ტრაგედიად ეჩვენებათ, შიოს მშობლებს უფრო აშორებს საკუთარ შვილთან. იმის გაუაზრებლობა, რომ შენი პრობლემები, მართალია, არ არის მარტივად გასამკლავებელი, მაგრამ მოზარდსაც აქვს რთული დღეები, მისი პრობლემები მისი ასაკის გათვალისწინებით იმავე სირთულის გახლავთ, როგორც დიდების პრობლემებია. აი, რა შეცდომას ვუშვებთ მშობლები. აი, რისი თქმა სურს ავტორს.

ეს წიგნი არა მარტო მოზარდების, მშობლების, უფროსი თაობის ადამიანებისთვის, არამედ მასწავლებლებისთვისაც ძალიან საინტერესო საფიქრალს წარმოადგენს.

მასწავლებლებზე წერა ძალიან რთული საკითხია. ვფიქრობ, სიფრთხილესაც საჭიროებს. ზოგადად, მასწავლებლობაც ხომ ყველას არ შეუძლია. ეს ისეთი პროფესიაა, როცა ბეწვის ხიდზე მარტო მასწავლებელი და ერთი მოსწავლე კი არ დგას, არამედ მასწავლებელი და მთელი სამყაროს მომავალი.

ავტორი ცდილობს მკითხველს დაანახოს ამ პროფესიის სირთულეცა და ხიბლიც. მოზარდებს დააფიქრებს მასწავლებლის ცხოვრებაზე. ისინიც ხომ ისეთივე ადამიანები არიან, როგორც სხვები. მათაც ჰყავთ მეგობრები, მაგალითად ციცი, რომელიც ურჩევს: „– თუ გინდა გადარჩე, ერთადერთი გამოსავალი არსებობს – ბავშვი უნდა შეიყვარო! თავისი ნაკლით, წუწუნით, თავხედობით, ბრაზით, ლუღლუღით, გაუგებარი დამოკიდებულებით შენს მიმართ, როცა არ გესმის, მოსწონხარ თუ სასიკვდილოდ გადაგემტერა“..., შორს მყოფი მშობლები, რომლებსაც უნდათ რომ შვილებს ახსოვდეთ: „– მამა, მართლა გაგახსენდა ის კაცი? – ვეკითხები იმას, რაზეც მთელი გზაა ვფიქრობ. – არა, მოვიტყუე, – მამას სახეზე მზის ჩამავალი სხივები ეცემა. ეტყობა, მისთვის ადვილი არ ყოფილა ტყუილის თქმა და მერე ამის აღიარება. – მაგრამ ხანდახან ძალიან გვჭირდება ვიღაცას ვახსოვდეთ“. სიყმაწვილის მოგონებები და დაკარგული სიყვარული: „ღმერთო ჩემო, წლების წინ რომ ჩემთვის ასე პირდაპირ, დაჟინებით შემოეხედა და ეს სიტყვები ეთქვა, ალბათ, მოვკვდებოდი. მაგრამ ახლა ყველაფერს სხვა ელფერი დაჰკრავდა...“ მასწავლებლებსაც შეუძლიათ ტყუილი თქვან, რადგან მათ ცხოვრებაშიც არის უბედური დღეები: „– ლიკუნა, დილით ძალიან ცუდად ვიყავი და ეს სიცხის ბრალი არ ყოფილა, მაგრამ ნამდვილად არ შემეძლო მოსვლა“.

ბევრი ფიქრი გამიჩინა ამ წიგნმა. ყველა ამპლუაში დამანახა ჩემი თავი. მე, როგორც მკითხველს, მე, როგორც მასწავლებელს, მე, როგორც მოზარდის მშობელს, მე, როგორც უბრალოდ ადამიანს, რამდენი სიფრთხილე მმართებს. ადამიანები გადაჯაჭვულნი ვართ

ერთმანეთზე, და ეს უხილავი, მარადიული კავშირი მიგვაქროლებს, რაღაც უფრო დიდისკენ, რომელსაც ადამიანის გადარჩენა შეუძლია. აი, რაღაც ფანტასტიკურ ამბავსაც ჰგავს ეს წიგნი და აქ წარმოჩენილ საკითხებს სხვაგვარად რომ შევხედოთ სხვა მოცემულობასაც დავინახავთ, სხვა გზას ავირჩევთ: დედას რომ დრო დაეთმო და მოესმინა შიოსთვის; შიო რომ ბედნიერი და კმაყოფილი შესულიყო ქართულის გაკვეთილზე; მაკოს რომ შესძლებოდა ყველა მოსწავლეში აღმოეჩინა რაღაც, განსაკუთრებული უნარი; დამრიგებელს რომ შეექო შიო; მამას რომ შესძლებოდა შვილთან გულგახსნილი საუბარი; ყველა სიჩუმე საუბრად რომ ქცეულიყო; ეს წიგნი ალბათ არ დაიწერებოდა, მაგრამ რადგან დაიწერა, ცხადია, ჩვენ ვართ ამ პრობლემების პირისპირ და მე მიმაჩნია, რომ ჩუმად კი არ უნდა ვისხდეთ, რაც შეიძლება ბევრი უნდა ვისაუბროთ შვილებთან, შევძლოთ მათი პატარ-პატარა პრობლემების გულთან მიტანა, მათი თვალსაწიერით შეფასება, მივცეთ უფლება აკეთონ საყვარელი საქმეები, ითამაშონ კალათბურთი, უყვარდეთ ცხოველები. მამობა მხოლოდ ბავშვს სკოლაში მიაკითხო და წამოიყვანო, ჩაი დაუსხა და შენ რომ ძმაკაცებთან ერთად თევზაობა გიყვარს, მასაც ეს აიძულო, ეს არ არის.

მასწავლებლობაც არ ნიშნავს დაბალი ნიშნის დაწერით გულის მოჯერებას. მასწავლებლობა უფრო მოსწავლის ტკივილისა და სიხარულის გამზიარებლობა მგონია მე.

მადლობა ავტორს, რომ განმაცდევინა ყოველივე ის ემოცია, რომელიც ამ წიგნი კითხვას სდევს თან.

აი, როგორც შიო იტყოდა: „მამაჩემი ჩუმი კაცია. აი, დედაჩემი უფრო მხიარულია, ოთო – ხმაურიანი, ლიკუნა – მებრძოლი, ნია – საიდუმლოსავით საინტერესო, მაკო – უცნაური. მე ჩვეულებრივი ვარ“.

ჩვენ ჩვენი თითის ანაბეჭდებივით განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგრამ ვავსებთ ერთმანეთს, როგორც თითები ავსებენ ხელის მტევანს.

ვაჟა
არაშიძე

რაზომ არ უყვარს შოთა რუსთაველს ვაჭრები

„ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ შოთა რუსთაველი დიდი სიმპატიით არაა განწყობილი ვაჭრების მიმართ. ვაჭრებს ის უწოდებს „ჯაბანთ“, „ომის უმეცართ“: „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ ომისაცა უმეცარნი“ (1040). ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ფატმანიც, ქალი რომელიც მსუბუქი ყოფაქცევისაა, ვაჭართა უხუცესის, უსენის ცოლია. რატომაა შოთა რუსთაველი ვაჭართა მიმართ უარყოფითად განწყობილი?

ვფიქრობთ, აქ იმალება ისტორიული რეალობა. კერძოდ, ფაქტია, რომ XII საუკუნეში და კონკრეტულად თამარის დროინდელ „ოქროს ხანის“ საქართველოში ვაჭართა კლასი საკმაოდ დაწინაურებულია. ვაჭრები ხშირად დიპლომატთა ფუნქციასაც ითავსებენ და სამეფო კარზე მიღებულნი არიან. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შოთა რუსთაველი თამარ დედოფლის სამეფო კარზე დიდებული იყო, როგორც საფუძვლიანად ამტკიცებს პავლე ინგოროყვა, მას ახლო კავშირი ექნებოდა ვაჭართა წარმომადგენლებთან. როდესაც დადგა საკითხი თამარ მეფის გათხოვებისა, მრავალი აზრი იქნა მოსმენილი. „ამირა ქართლისა და ტფილისისა სახელითა აბულასან: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა, რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასი მთავარნი რუსთანი. და იგი მცირე დარჩომილი მამისაგან ექსორია ქმნით დევნილი გარდამოიხვეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისაგან და არს იგი ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა“ [„ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“]. როგორც ტექსტიდან ჩანს, თამარის საქმროდ იური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკის, ხალხში გიორგი რუსად წოდებულის, მოწვევის საკითხი დააყენა აბულასანმა – საქართველოს სამეფოს ერისთავთ ერისთავმა, ქართლის ამირამ.

სამეფო სავაზიროს მიერ სასიძოდ მოწონებული იური ბოგოლიუბსკის საქართველოში ჩამოყვანა დაევალა ზანქან ზორაბებელს. „მაშინ მოსმენართა მისთა უხმეს ერთი მკვიდრთაგანი დიდვაჭარი, სახელით ზანქან ზორაბებელი“ [„ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“]. სასიძოს მოწვევის ამბავი თამარის შეუტყობინებლად გადაწყდა. ზანქან ზორაბებელმა შეასრულა დავალება და მოიყვანა „მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთაგან საჩენი გუარის შვილად“ [„ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“].

როგორც ისტორიულად ცნობილია, თამარ მეფე წინააღმდეგია უცნობ უფლისწულზე დაქორწინებისა. „კაცნო ვითარ ღირს შეუტყუებელი ესე ქმნად?“ მაგრამ „თვინიერ ნებისა მისისა ქმნეს ქორწილი“ [ბასილი ეზოსმოძღვარი – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“]. ნესტან-დარეჯანიც ასევე წინააღმდეგია ხვარაზმსას შვილზე დაქორწინებისა:

„შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება...“ (525)

თამარისათვის, ისევე როგორც ნესტან-დარეჯანისათვის, სასიძოს ჩამოყვანა სავაზირო სათათბიროზე გადწყდა: „ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზოგად იღვაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისათვის, რომელი ყვესცა... კაცი ვინმე რუსთა...“ [ბასილი ეზოსმოძღვარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“]. იური ბოგოლუბსკი არის „შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა, რუსთ მთავრისა“, ასევე ნესტან-დარეჯანის საქმროდ შერჩეული არის „ხვარაზმსას შვილი“. არ გამოვრიცხავთ, რომ თამარისათვის სასიძოს შესარჩევად გამართულ სამეფო სავაზირო „კრებაზე“ შოთა რუსთაველიც მონაწილეობდა – „შენ ჯდომილხარ სავაზიროდ“.

სასიძოდ მოწვეული იური ბოგოლუბსკის – გიორგი რუსის შემოსვლა „ვეფხისტყაოსანში“ შემდეგნაირადაა აღწერილი:

„მოედანს დავდგით კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა,
შეიქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა“. (552)

როგორც პოემიდან ჩანს, შოთა რუსთაველისთვის თამარი არის იგავმიუწვდომელი, „მისთვის ხელობს, მისთვის მკვდარი“, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი“. შოთა რუსთაველი ვერ შეეგუებოდა თამარ მეფის უცხოტომელზე გათხოვებას. მისთვის მიუღებელია მეფედ რუსი გიორგის მოწვევა და მისი ჩამომყვანი დიდვაჭარი ზანქანი, რაც ასახა კიდევაც თავის უკვდავ პოემაში.

„ვეფხისტყაოსნის“ განხილული ეპიზოდი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ პოემა მთლიანად ქართული სინამდვილიდანაა აღებული, დოკუმენტურადაა ასახული საქართველოს იმდროინდელი სამეფო კარის ცხოვრების ეპიზოდები და ეს იცის ავტორმა, რადგან ის თვითონვეა ყველაფრის თვითმხილველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილი ეზოსმოძღვარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.
2. „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“.
3. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1992.

ეკატერინე ქიღიფთარი

„ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“

ეროვნული მწერლობის თვალსაჩინო ფიგურა, ჰიმნოგრაფიული სკოლის გამორჩეული სახეა იოანე ზოსიმე, რომელმაც დაადასტურა ქართულ ჰიმნოგრაფიაზე ჩამოყალიბებული აზრი, რომ ჰიმნი არა მხოლოდ საგალობელია, არამედ ისტორიაა, ეპოქალური პრობლემების იდუმალი გასაღებია, ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ეს სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა, სარწმუნეობა, რომლის კოდური ფორმულირება ილია ჭავჭავაძის სახელთანაა გაიგივებული. იოანე ზოსიმეს მოძღვრებით, ათასწლეულების მიღმა იშვა ქართველის ცნობიერებაში და ათასწლეულების შემდეგ კვლავ უნდა აღსდგეს მთელი თავისი დიდებულებით.

ეს პატარა თხზულება არის ჩვენი მშობლიური ენის ღვთაებრივი დანიშნულებისა და მისი, როგორც შეუცვლელი, მარადიული ფასეულობის რწმუნების საბუთი; ასე რომ:

ქართული ენა ღმერთების ენაა;

ქარტული ენა კაცობრიული ისტორიის სათავის ნაწილია;

ქართული ენა ბიბლიასთან ორგანული სიახლოვის გზაა;

ქართული ენა ქართველი ერის – როგორც გამორჩეული ფენომენის შეცნობისა და აღიარების უტყუარი საბუთია; ქართული ენა „იბერიის აღდგომის, სხვა დიდ ერებთან გათანაბრების სავიზიტო ბარათია“.

თუ ბაბილონის გოდოლის ისტორიას ბიბლიასთან მივყავართ, არსებობის სრული უფლება აქვს ვარაუდებსა თუ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ამ გოდოლის მშენებელთათვის უცხო არ იყო ქართული ენა. ამ საკითხის ირგვლივ საუკუნეთა განმავლობაში მრავალმა მეცნიერმა ჩაატარა კვლევა და გააკეთა განაცხადი, ამათგან მოვიხმობ ერთს – ზაალ ლომსიანიძეს, რომელმაც საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ჟურნალში „თბილისელები“ (2019 წ. №12), სათაურით „რა საიდუმლოს ინახავს ქართული ენა და იყო თუ არა ის ბაბილონის გოდოლის მშენებლობაზე ერთადერთი საკომუნიკაციო ენა“. დასახელებული სტატიიდან შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონარიდს.

1. „წმინდა წერილი არის ღმერთის სიტყვა, ანუ ძე ღმერთი“, წერილით მითითებულია, რომ ძე ღმერთი აღადგენს ლაზარეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წმინდა წერილში ჩადებულია ინფორმაციები ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ, მხოლოდ ამ ინფორმაციებს შეუძლია ქართული ენის, ანუ ქვეყნიერების საერთო ენის გაცოცხლება.

2. „ჩვენ, ქართველებს გვყოლია რა მეათე საუკუნეში მოღვაწე ბერი იოანე ზოსიმე, ნამდვილად გვქონია იმის ფუფუნება, გვცოდნოდა ეს საიდუმლო სახელი – ლაზარე. მან თავის ნაშრომში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, კონკრეტულად დაასახელა – საიდუმლო ენა ქართული ენაოო – თავისი ბიბლიური სახელით ლაზარე. „და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“; მწერალს მოჰყავს მონაკვეთი ბიბლიური წერილის ბოლო თავიდან, ახალი (დღევანდელი მსოფლიოსათვის არცთუ ისე საცოდნარი) ენის შესახებ. ეს მონაკვეთია: „და ვიხილე, და აჰა, კრავი იგი მდგომარე მთასა ზედა სიონსა და მისთანა რიცხვ ას ორმეოც და ოთხი ათასი, რომელსა აქუნდა სახელი მისი და სახელი მამისა მისისა, დაწერილი შუბლთა ზედა მათთა, (გამოცხადება, 14,1) და გალობდეს გალობასა ახალსა წინაშე საყდრისა და წინაშე ოთხთა მათ ცხოველთა და მღდელთასა და ვერვინ შემძლებელ იყო ცნობად გალობისა მისგარნა, ას ორმეოც და ოთხნი იგი ათასნი სყიდულნი ქვეყნისაგან. (გამოცხადება, 14,3).

3. გამოცხადების ამ ციტატიდან ჩანს, რომ 144000 გალობს ახალ საგალობელს; ეს ახალი საგალობელი სხვებისთვის რატომ არის გაუგებარი? კითხვაზე კარგ მითითებას გვაძლევს სახარება „ენათა ახალი ისტორიიდან“, (მარკოზი, 16-17), უნდა მივხვდეთ, რომ აქ მითითებაა ახალი ენის გამოჩენაზე, რომელი ენითაც უნდა წარიმართოს ახალი საგალობლის გალობა; თითქოს არ ჩანს რომელ ენაზეა გალობა, მაგრამ საიდუმლო ინფორმაცია ჩადებულია რიცხვში 144000.

ბიბლიის მეცნიერული კვლევის საზოგადოებისა და ჩვენი მკვლევარის ზაალ ლომსიანიძის დამსახურებით მივიღეთ იოანე ზოსიმეს მიერ მოცემული სახელის წარმომავლობა, მოვუსმინოთ თავად მეცნიერს: „ბიბლიური საზომი 144 შევუფარდე იოანე ზოსიმეს მიერ ნახსენებ სახელს, აქვე განვმარტავ, რომ ქართული ანბანით თითოეულ ასო-ნიშანს შეეფერება თავისი რიცხვითი მნიშვნელობა, ამ შესაბამისობის გათვალისწინებით მივიღეთ ასეთი ტოლობა:

ლ-ა-ზ-ა-რ-ე

30+1+7+5+100+5

ჯამი=144

დასკვნა: ბიბლიური ლაზარე და რიცხვითი საზომი 144 აღნიშნავს ქართულ ენას.

ჩემის მხრივ, დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ზაალს ასეთი თავდადებული შრომისთვის, დავამატებ იმას, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, სტუდენტობის დროს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, ჩვენი გენიალური მეცნიერებისა და აკადემიკოსებისაგან ამ ან მსგავს, ანალოგიურ თემებსა და საკითხებზე ხშირად მსმენია ფრაზა: „კვლევა მივიდა უკვე იმ უტყუარ დასკვნამდე“, რომ... მერე დიდი პაუზა და ფრაზა: „მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ძიება შეწყდა“... აქ ძნელი ამოსაცნობი სულაც არ არის ურწმუნო და ურელიგიო საბჭოთა ცენზურის შხამიანი ტორი, ასეთი დაუმთავრებელი ფრაზების თემატიკა დღემდე მტკივნეულად აქვს შემონახული მეხსიერებას. სწორედ ამიტომ მივუბრუნდი აღნიშნულ საკითხს.

ზაალ ლომსიანიძე წერს: „ბიბლია არის გზავნილი წინა მაღალგანვითარებული ცივილიზაციიდან. იმ ცივილიზაციას ჰქონდა ერთი საერთო ენა, ამ ენის ბიბლიური კოდია 144 და ასევე აქვს ალეგორიული სახელი „ლაზარე“.

ქართული ანბანი წარმოადგენს წმინდა წერილის გასაღებს, გახსნილი (ანუ ამოკითხული) წერილი აღადგენს ქართულ ენას, ეს ენა სჭირდება კაცობრიობას, რადგან არსთა სამყაროს მოწყობა, მთელი თავისი საიდუმლოებით, ქართულ ენაშია ჩადებული, სწორედ ამას გვწერს იოანე ზოსიმე მე-10 საუკუნიდან.

ნაწარმოების პირველი ფრაზა „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად“ არ ნიშნავს დაფლულს, არ ნიშნავს მიწამიყრილს, დასამარებულს, არ ნიშნავს

დროთა განმავლობაში დასავიწყებულად განწირულს, არამედ გულისხმობს შენახულს, იმ თაობებისაგან რუდუნებით გადმოცემულს, გადმობარებულს, რომელმა თაობებმაც თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება აქციეს ისეთ საზოგადო მაგალითად, რომლებიც ამასთანავე მსოფლიო ცივილიზაციის კლასიკურ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს.

ტექსტის დასაწყისი, საერთოდ, უფლის მეორედ მოვლინების ბიბლიურ წინასწარმეტყველებას ეფუძნება, როცა ყველასათვის საცნაური გახდება უფლის დიდი საიდუმლო: ძეხორციელი საკუთარი თვალით იხილავს მაცხოვარს და საკუთარი ყურით მოისმენს უფლის ხმას. ეს საცნაური იქნება ქრისტიანული სამყაროსთვის მთლიანად და ქრისტეს „მცნობი“ არაქრისტიანი ხალხებისთვის; და მათ ეს სასწაული ეუწყებათ ქართული ენით; ამ ფრაზასთან არის ფრაზა: „რაითა ღმერთმან ამხილოს ამ ენითა“, – აქ საყურადღებოა სიტყვა მხილება, რომელიც არ უნდა აიხსნას, როგორც გაკიცხვა, შეცდომებზე მითითება, არამედ ეს უნდა იყოს თვალის ახელა, გამოფხიზლება, გარკვეულობის შეტანა იმაში, თუ როგორ გავითავისოთ ცხოვრებისეული ავ-კარგი, როგორ მივუჩინოთ თავთავისი კუთვნილი ადგილი ამ წყვილეულს, როგორ დავარქვათ შესაფერისი სახელი.

ერთგან ვკითხულობთ: „ენა მძინარეა, ე. ი. უმოქმედოა, პასიურია, ეს კი ნიშნავს რომ, არ ხდება მისი გამდიდრება ეროვნული ლექსიკური მარაგით, ნაკლებ პატივცემულია წინამორბედთა „სიტყვიერების სალაროში შენახული ლექსიკური მარაგით, ასევე ცხოვრება არ ვითარდება ეროვნული ნიშნით იმ დონემდე, რომ ახალმა მიღწევებმა ახალი ქართული სიტყვა თქვას (შვას), და ეს სიტყვები ბუნებრივად დამკვიდრდეს ქართველის ცნობიერებაში, ცხოვრებაში, იმ ღირებულებებით, რომლებიც მას საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანს ისევე, როგორც ხდება ეს დღეს მეღვინეობის, ქართული გასტრონომიის, საფეიქრო წარმოების ზოგიერთი მიმართულების შემთხვევაში: ცალკე უნდა აღინიშნოს ქართული ქორეოგრაფიის, ქართული მრავალხმიანობის, საოპერო ხელოვნების, სპორტის ზოგიერთი სახეობის შემთხვევაში, პლიუს ინტელექტუალური აღმასვლა.

ძნელი არ არის იმის ამოცნობა, რომ იოანე ზოსიმეს თხზულებაში გათვლილია და წინასწარ ნაგრძნობია ჩვენი ენის, მაშასადამე, ქვეყნისა და სარწმუნოების საფრთხე. მის შემდგომ ათასწლეულში როცა ყოველი საუკუნე თავის წილ ავკარგს დაგვანახვებს ამ ერთადერთ ფრაზაში „ენა მძინარეა“, მისახვედრია, რომ მძინარეს გამომღვიძებელი სჭირდება, მაგრამ ვინ? სად? როდის? ამის პასუხი მოგვცა დიდმა რომანტიკოსმა პოეტმა – სისხლით და მოდგმით ბაგრატოვანთა შთამომავალმა, მუნდირით, ჩინ-მედლებით, საქმიანობითა და პოზიციით რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის მსახურმა, ოცნებებითა და ნატვრით ქართველმა პოეტმა – გრიგოლ ორბელიანმა – თავის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“; ჭეშმარიტად სრულყოფილი და საამაყოა მისი სავედრებელი, სათხოვარი მეფისადმი (რამეთუ ეს სათქმელი ახლოა იოანე ზოსიმეს სინანულთან):

„მოხედო ბედკრულს,
შენს სატრფოს – მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად;
შენი ივერი,

აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული,
ზნე-ამაღლებით,

ძლევის დიდებით
სამშობლო მიწის სიყვარულითა,
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმას,
სიტყვა ქართული რუსთაველისა, რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა“.

სწორედ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ჩვენთვის იმ უნიკალური მედლის ორი მხარეა, რომლის ანალოგი ალბათ ბუნებაში ვერ იქნება; ამ მედლის ზურგი, ფარი, ჯავშანი იოანე ზოსიმეა, თავისი იდუმალი ალგორითმით, ხოლო წინა ხედი და ფონი – ათასწლეულების იქით მზირალი შოთა რუსთაველი, რომელსაც ზუსტად მიესადაგება პოემაში ავთანდილის მიმართ ნათქვამი ეპითეტი:

„ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ხელის მხდელი“ (სტ. 710) კარგად იცის მკითხველმა, რომ ეს ყმა არაბულ, ინდურ, სპარსულ, თურქულ და კიდევ სხვა ენაზე მოსაუბრე ხალხთა სივრცეში გადაადგილდება, ამ მიმართებით ერთობ საყურადღებოა შემთხვევა, როცა უკიდურესი სასოწარკვეთისა და შეჭირვების ჟამს, უკაცრიელ ტყეში, ღრმა და მრავალმხრივი საფიქრალით დატვირთული ავთანდილი უცაბედად სიმღერას წამოიწყებს, საოცარია ეს სიმღერა: „მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა, ჰგვანდის ბუსა“, მართლაც „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად. მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან, ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან; იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“ (სტ. 967).

ერთობ უცნაურია ტყის ბინადართა ასეთი დაწყნარება და ერთმანეთში „მორიგება, ამ სასწაულს, ამ კეთილგანწყობილ აუდიტორიას“ ბევრი შეემატა.

ქართული, როგორც ენა, საკომუნიკაციო საშუალება, სამჯერ არის ნახსენები „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში; პირველად მაშინ, როცა შემოქმედი პოემის ფაბულაზე ამახვილებს ყურადღებას და გვიხსნის, რომ ნებისმიერი ამბავი, ისტორია, კარგი კალმოსნის ხელში, შეიძლება ისეთ ლექსად ჩამოყალიბდეს, „ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები“ – ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა იმ ენის წინაშე, რომელზედაც თარგმანი სრულდება.

მელექსეთა, სიტყვის დიდოსტატთა ვალდებულებაა „არ შეამოკლოს ქართული, არა ქნას სიტყვამცირობა“, რამეთუ „მოშაირე (მელექსე) არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. თუ ამ მოსაზრების პარალელურად, ავთანდილის ტკბილხმოვან სიმღერას და მის ფართო „აუდიტორიას“ გავიხსენებთ, საოცარი სურათის მომსწრენი გავხდებით:

„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი,
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი, და მისრეთით მეგვიპტელნი“.

რუსთაველის გათვლით, ეს ის მასშტაბებია, ის ქვეყნებია, რომელთა პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრების არეალში აუცილებლად იქნება მოაზრებული საქართველოს ფაქტორი, ქართული ენის ფენომენი, მისი მოქნილობა, მისი სიმდიდრე და ტკბილხმოვანება. ქართული სიტყვის ხიბლი რუსთაველის დონემდე არავის აუყვანია, არც ასეთი მასშტაბური რიცხვის ლექსიკური ერთეული შეგვხვდება თვით იმ ბუმბერაზი მწერლების სიტყვათა სალაროშიც, რომელთაც ხალხმა სამართლიანად უწოდა ქართული სიტყვის დიდოსტატები (მაგალითისთვის ერთი რი-

ცხვიც კმარა: მხოლოდ პროლოგში გვაქვს 750 სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა). რუსი მწერალი კონსტანტინე ბალმონტი წერს: „ჰომეროსი საბერძნეთია, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, რუსთაველი – საქართველო, – რუსთაველი ამათზე მაღალია“.

იოანე ზოსიმესთან გვაქვს ფრაზა „ენა მძინარეა“ რომელიც ათასი წელია, არ გამოდის იმ დიდი ქართველების საზრუნავ-საფიქრალიდან, რომლებიც გვაფრთხილებდნენ: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“; ეს გამოძახილია ხანგრძლივი და მოუშუშებელი ტკივილისა, როცა მამულის არსებობის საკითხს ფაქტიურად ენა რომ წყვეტდა. ამ მხრივ დიდ სამსახურს გამიწევდა ჰემატრი, ბიბლიის გაშიფრის მეთოდი, რიცხვითი სიმბოლიზმი, რომელთა გამოთვლითაც იქმნებოდა ლექსიკა, მაგრამ ჩემს ძალებს ბევრად აღემატება ეს ამაღლებული ცოდნა-შესაძლებლობები.

იოანე ზოსიმე თავისი თხზულების მეორე ნახევარში გვაცნობს ორ დას მარიამს და მართას, რომლებიც ქრისტეს თანამედროვენი და მისი დიდი პატივისმცემელნი არიან. ორივე მათგანი თავისებურად გამოხატავს უფლის მიმართ დიდ სიყვარულს, მოწიწებას, ერთი ფერხთით უჯდა, შესცქეროდა, შეჰხაროდა თავის მაცხოვარს და ძალას იმატებდა, მეორე კი, ფუსფუსებდა სტუმრის გასამასაპინძლებლად. უფალმა თანაბრად მიიღო ორივე დის სიყვარული. ამით ნაჩვენებია, რომ ღვთისა და ერის სამსახურის უნარი უფლის ერთგულებით გვენიჭება, შემდგომში მარიამი საეკლესიო პირთა, ღვთისმოსავთა საპატიო სახელად იქცა, მართას სახელი კი ხიდია არაეკლესიურსა და ეკლესიურს შორის, სწორედ აქედან იღებს სათავეს ის ტრადიცია, როცა ერთნი ღვთის სახლში, ღვთის წინაშე, ღვთისადმი ლოცვა-კურთხევითა და ვედრებით იხდიან ადამიანურ ვალს, მეორენი კი, ოჯახზე ზრუნვით, შვილების აღზრდით, მოკეთისადმი პატივისცემით და მტრისთვის პასუხის მიცემით ემსახურებიან მამულს, ენას, სარწმუნეობას; ესეც ქართული ენის მეშვეობით უნდა შევიმეცნოთ.

იოანე ზოსიმეს თხზულების ბოლო აბზაცში გვაქვს ეპითეტები: „შემკული“, „კურთხეული“, და „მდაბალი;“ ამათგან:

1. „შემკული“ ნიშნავს ამაღლებული განწყობით წარმოსათქმელ სიტყვას, ასევე აზრის სიღრმეს, მოქნილობას, საკომუნიკაციო ჟღერადობას, გარეგნულ ეფექტს.

2. „კურთხეული“ ანუ ბრძნული, ფილოსოფიური, ღვთიური, მოყვასის მიმზიდველი და შემომკრები.

3. „მდაბალი“ შეიძლება მიუთითებდეს პროცესზე, როცა მაღალი ღირსება მდაბალი შურისძიების მსხვერპლი გახდება. მწარედ დაისჯება, მაგრამ ვერ დაძლევენ, ვერ გატეხენ.

ოღონდ შეავიწროვებენ კი გაურკვეველ დრომდე, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „მშობელი შობილს არრას ეტყოდა“. მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს ეს სიტყვები, მაგრამ საპასუხო მაგალითებიც არ გვაქვს ცოტა, სამწუხაროდ: პირველსავე სიტყვას მივუბრუნდებით და კვლავ თეიმურაზ I-ს გავიხსენებთ ლექსით „სოფლის სამდურავი“:

„ვაჰ, სოფელო, სხვა არ დასწვი
ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,
გლახ, ლახვარი, სასიკვდილო,
ყველა მე მკარ დასადაგე,
დამიკარგე ძე, ასული,
ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი, მათებრ ტურფა
რა აშენე, ან სად აგე?“

ეს მსხვერპლი, რაც ამ ამონარიდში იკითხება, არათუ ერთი ადამიანის, არამედ მთელი ქვეყნის თავზე დატრიალებული უბედურებაა, რამეთუ მთავარი მიზეზი ამ ტრაგედიისა ქართველობა და ქრისტიანობაა, სამწუხაროდ, ასეთი საფრთხე ქართველთა მარადიული თანამდევია, საუკუნეთა მანძილზე, დღევანდელობის ჩათვლით.

იოანე ზოსიმეს ხელნაწერის დაბრუნებას ქართულ სივრცეში მოჰყვა საზოგადოების დიდი ნაწილის დაინტერესება ამ ავტორით, ამ პიროვნებით, რომლის სახელი ბევრს დღემდე არ სმენია. ამ ვითარებასთან მიმართებაში ვფიქრობ, რომ სწორედ დღეს უდგას ქვეყანას საფრთხე იმ შიშისმომგვრელი ძილისა, რომლის სიმპტომები მეტ-ნაკლებად შეინიშნება რუსთველის შემდგომი პერიოდის ყოველ საუკუნეში, ყოველ ეპოქაში და, რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ ვთქვით, არ ხდება ენის ჯეროვნად გამდიდრება ეროვნული ნიშნით, ისე რომ, სხვა ერებისათვის არათუ სასურველად, საჭიროდაც იქცეს ქართული ენის ცოდნა, იმ დონეზე მაინც, როგორც სამწუხაროდ დღეს ჩვენს ქვეყანაში უცხო ენის ბუმია (კონკრეტიზაციიდან თავს შევიკავებ). ალბათ ბევრმა არც იცის, ან არც სჭირდება იმის ცოდნა, რომ თამარის ეპოქიდან მონიჭებული სიმდიდრე – რუსთველური ქართული – მე-13 საუკუნეშივე აღმოჩნდა დიდი საფრთხის ქვეშ, დაუძინებელ მტერთა გაუთავებელი თარეშის, მათი ათასწლეულობით თუ ასწლეულობით ბატონობის გამოისობით. ქვეყნის მტრობაში მუდამ მოიაზრებოდა დაუძინებელი ომი ქართული ენის მისამართით, ღია თუ ფარული მეთოდებით, იმ დონემდე, რომ ძნელი მისაღებია, მაგრამ ფაქტია ისეთი შემთხვევები, როცა ლოგიკური ახსნაც არ მოეპოვება ისტორიულად დადასტურებულ ფაქტს, ნაწარმოების პათოსს. მთელი არსებით, სულით გულით ქართველებსაც კი უთქვამთ ერთი შეხედვით, უბრალოდ მოულოდნელი; მაგრამ ცოტა დაფიქრებითაც კი მტკივნეული და მუდამ ძნელად აღსათქმელია ფრაზა თვით პოეტისა, ერთი რომ, ლამის რუსთაველს უტოლებდა თავს და მეორეც ეს ადამიანი არის კაცთა შორის უმაგალითოდ დაჩაგრული, მონარქთა შორის ყველაზე წარუმატებელი, მშობელთა შორის ყოველმხრივ უძლური, შვილთა შორის სულითა და სხეულით უსასტიკესად გვემული და დამცირებული მეფე ქართლ-კახეთისა, რომელსაც სწორედ ღვთის რისხვა დაატეხა თავს შაჰ-აბასმა. ეს არის ქეთევან წამებულის ვაჟი, ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I, სწორედ მას ეკუთვნის სტრიქონი „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“; აქ ცალკე საკითხად არის გამოკვეთილი ის დიდი და მარად მოუშუშებელი იარა, რაც ამ პერიოდს უკავშირდება, ფერეიდნელი ქართველების ისტორიული ხვედრი და მათი ძალისხმევა ლამის ოთხი საუკუნის მანძილზე, ენის შესანარჩუნებლად.

მომდევნო საუკუნეებში როგორი იყო ქართული ენისადმი დამოკიდებულება და რა გზა გაიარა ერმა მის დასაცავად, ამის საბუთად უპრიანია 14 აპრილის დღესასწაულის ტრადიცია და მისი ისტორიული გზა.

საუკუნეთა მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კარგი ჟამი დღეს უნდა დაუდგეს ქართულ ენას, მის სავიზიტო ბარათს, იოანე ზოსიმეს და „ვეფხისტყაოსანს“, სხვა ხიბლით, სხვა პირობით, სხვა სულისკვეთებით. და ვნახავთ იმ ქართულ ხასიათს, სულსა და გულს, იმ წარმატებებებს, რომელიც რუსთაველთან ერთად დაიმარხა თამარის ეპოქის წიაღში და არც დღეს არის დამსახურებისამებრ პატივცემული; დღემდე და დღეის მერეც მარადის ხომ ის არის ყველაზე დიდი სიბრძნე და მასწავლებელი ჩვენთვის. კარგა ხანია, ქართულ ენას, სიტყვას, ლოგიკურ აზრს დიდი შიმშილობის პერიოდი უდგას, ისეთივე, როგორსაც თავის ეპოქაში ხედავდა იაკობ გოგებაშვილი, როცა წერდა: „თუ ქართველთა ცხოვრებას კარგად ჩავუკვირდებით, მეტად სავალალო სურათს გაითვალისწინებთ. ბევრს ჩემს მოძმეს ზურგი შეუქცევია ყოვლის ეროვნული საუნჯისთვის და გადაგვარების გზას დასდგომია თვითონაც და სხვებსაც ამ დამღუპველ გზაზე აყენებს. მეტადრე მოზარდს თაობასა“ (იაკობ გოგებაშვილი „რჩეული პედაგოგიური ნაწერები“).

პირადად მე მასწავლებელი ვარ, წიგნიერების მოძღვარი; ჩემი უპირველესი იარაღი სიტყვაა, საგანგებოდ შერჩეული, მოქნილი, ღრმა და ემოციური, ჩემი თითები ჩუქურთმას ვერ ძერწავს, არც ვაზის გაფურჩქვნა შეუძლია, ვერც ქანდაკებას აღმართავს; ჩემი გონება შორსაა ურთულესი ფიზიკური თუ ქიმიური ფორმულების არსისგან; მე არც ფერების შეზავება შემიძლია და არც მუსიკალური ჰანგების აჟღერება, თუმცა უზარმაზარი პატივისცემით ვარ გამსჭვალული ყოველგვარი ნიჭისა და უნარის მიმართ, თავად კი წლებია სხვა საფიქრალთან ერთად ერთი დიდი ტკივილით ვცხოვრობ, რომლითაც წერას ვამთავრებ:

თვალი, რომელიც ლამაზ სანახავს უნდა დაეძებდეს, თითქოს დაბრმავდა, გული, რომელმაც უნდა შეგვახსენოს „ამ სილამაზეს გადაშენება ემუქრებაო, მიყუჩდა, გაჩუმდა. იმ მარჯვენას, რომლის დედო ძარღვს რუდუნებით უნდა გამოჰყავდეს ვაზის ლერწებივით დახვეული, მშვილდის ლარივით მოზიდული, ღვედივით მოქნილი, ქართულ ჩუქურთმასავით შემკობილი და კრიმანჭულივით ჩახლართული ასოთა ბწკარები – ძაბუნი შეეპარა და თანდათან იშრიტებოდა, იშრიტებოდა, ბალახებში ძლივსღა მიიპარებოდა ყველასა და ყველაფერზე აღმატებული წყარო ჩვენი ისტორიული ფასეულობებისა – ქართული ანბანი; ღვთის ნებით იოანე ზოსიმეს დაბრუნებით ქართული ანბანისა და ერის ისტორიის ხელახალი ათვლის ჟამი დადგება, რამეთუ იგი ხომ „საქართველოს მთებში გააჩინა ზენამ“ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“, და ალბათ ვეღარ ჩაანაცვლებს ხელით დასაწერს კომპიუტერით ამობეჭდილი.

ეს იოანე ზოსიმეს მეორედ დაბრუნებაა, პირველი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ცაგარელის სახელს უკავშირდება დაახლოებით 1900 წლისთვის, შემდგომი თავგადასავლები „ქართული საგანძურის“ უცხოური ოდისეის ნაწილია.



მამია ფაღავა

სპერული ჩანაწერები[1]

2024 წელს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევართა ჯგუფმა (პროფესორები: მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე, რამაზ ხალვაში, თინა შიოშვილი, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ მგელაძე, პროფესორი მერაბ ხალვაში, ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე, ასოცირებული პროფესორი გულ მუქერემ ოზთურქი, – მოწვეული სპეციალისტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის რიზეს უნივერსიტეტიდან) დაიწყო მუშაობა მორიგ სამეცნიერო პროექტზე „სპერი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტის მიზანია ისტორიული ქართული ქვეყნის, – სპერის ერთიანი პორტრეტის შექმნა. გასული წლის 15-23 აგვისტოს მოეწყო პირველი კომპლექსური ექსპედიცია სპერში.

გთავაზობთ სამეცნიერო პროექტისა და ექსპედიციის ხელმძღვანელის ჩანაწერებს. ნარკვევი, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

სახელწოდება – „სპერული ჩანაწერები“ წინა სამი წიგნის ანალოგიით მოვიფიქრე (შდრ.: „შავშური ჩანაწერები“ (2011; 2013), „კლარჯული ჩანაწრები“ (2017), „ტაოური ჩანაწერები“ (2021), განცალკევებით დგას „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“ (2016), თუმცა ამავე ციკლში შემოდის. ბარემ ვიტყვი, რომ სათაური „შავშური ჩანაწერები“ ბატონმა შოთა ზოიძემ, – წიგნის რედაქტორმა შემომთავაზა, მეც მივიღე; უფრო მეტიც, მის მსგავსად შევქმენი სხვა წიგნთა სახელწოდებებიც...

კარგა ხანია, კოლეგებთან ერთად ვსწავლობ ჭოროხის აუზში გაშენებულ ისტორიულ ქართულ ქვეყნებს – შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს; ახლა ჯერი სპერზე, ჭოროხის კიდევ ერთ ისტორიულ ქართულ კუთხეზე, მიდგა. დამუშავდა სამეცნიერო პროექტი „სპერი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“, რომელმაც გაიმარ-

[1] ნაშრომი შესრულებულია სამეცნიერო პროექტის „სპერი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6916, დამფინანსებელი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.

ჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისათვის გამოცხადებულ კონკურსში და მოვიპოვეთ დაფინანსება... გადაწყვეტილი გვაქვს სპერის კომპლექსური შესწავლა – ისტორია, ეთნოლოგია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ონომასტიკა. როგორც ვხედავთ, პრობლემათა ჩამონათვალში არ ჩანს სპერელთა მეტყველება (სპერული დიალექტი) და ფოლკლორი, ორი მთავარი ნიშანი იდენტობისა, ეროვნული კუთვნილებისა. დასანანია, რომ სპერელებმა დაივიწყეს წინაპართა ენა. ვიტყვით, რომ დიდი დანაკლისია ქართული ლინგვისტური და ფოლკლორული მრავალფეროვნებისათვის ჩვენამდე ვერმოღწეული სპერული დიალექტი და სიტყვიერება. ვიმედოვნებთ, რომ წინაპართა ნაკვალევი ატყვია სპერის მიწას (სხვაგვარად, გადარჩენილია სპერის ტოპონიმიკის ძველი ფენა), ეთნოლოგიურ ყოფას, მატერიალური კულტურის ძეგლებს... ვფიქრობთ, სპერული ფოლკლორი დალექილია სპერელთა თურქულ სიტყვიერებაში. აქვე ვიტყვით, რომ სპერის ონომასტიკა შენახულია კუთხის ოსმალური აღწერის დავთრებშიც... მკვლევართა ჯგუფი რთული ამოცანის წინაშე დგას, კერძოდ, სპერელთა თანამედროვე ყოფაში გამოყოს ძველი ფენა და აღადგინოს ქვეყნის ისტორიული პორტრეტი.

ამოცანა რთულია, მაგრამ ღირს საცდელად.

რა ვიცით სპერის შესახებ?

– აღვნიშნეთ, სპერში აღარ ისმის ქართული ენა. ისტორიის კუთვნილება გამხდარა სპერული დიალექტი ისე, რომ მცირე ჩანაწერიც არ შემოგვენახა.

– სპერში ვერ მოვისმენთ სპერული ფოლკლორის ნიმუშებს ქართულ ენაზე.

ჩანართი: ***გულ მუქერემ ოზთურქი, ჩვენი პროექტის მკვლევარი რიზეს უნივერსიტეტიდან, იმედისმომცემ ცნობას გვაწვდის: რიზეს რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტში ერთი სპერელი მოღვაწეობსო. მისი ინფორმაციით, დღესაც იპოვებიანო სპერში ქართულის მცოდნენი.*** საყურადღებო ინფორმაციაა. სადღაც გულის სიღრმეში გაჩნდა იმედის ნაპერწკალი: ნუთუ მთლიანად არ დაკარგულა სპერული ქართული? ნაკლებად გვჯერა ამ ინფორმაციის, თუმცა საველე ექსპედიციების დროს მოვივლით სპერის ყველა სოფელს და გადავამოწმებთ. ნეტავი, რომელიმე სოფელში, თუნდაც სოფლის ერთ უბანში, მაინც გადარჩენილი იყოს სპერული ქართული... ვნახოთ!

– ვიცით, რომ სპერი ჭოროხის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ადრე გადავიდა ოსმალთა ხელში (1514 წელი), დამყარდა აქ ოსმალური მმართველობა და დაიწყო სპერის გამაჰმადიანებისა და ასიმილაციის ძნელი და დამთრგუნველი პროცესი. ჩანს, სპერელთა ნაწილი ოსმალთა ბატონობას განერიდა და საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლდა. აჭარასა და მაჭახელში ახლაც შეხვდებით ოჯახებს, რომელთა ძველი „გვარია“ **ისპიროღლი//ისპილოღლი**. **ისპირ-ოღლი** (Испир-оглы) ტოპონიმიცაა „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“[2]. გვარ-სახელს ფუძედ ისტორიული სამშობლოს სახელი უდევს. მსგავსი გვარები საქართველოში არაერთი გვხვდება: **ფანასკერტელი, თუხარელი, იშხნელი//იშხნელიძე**... სპერელთა ნაწილმა კიდევ სომხურ ეკლესიას შეაფარა თავი. ჩანს, ოსმალები არ დევნიდნენ სომხურ ქრისტიანულ თემს. მართლმადიდებელმა სპერელებმა გამაჰმადიანებას სომხურ გრიგოლიანურ ეკლესიას შეფარება არჩია. ასე „იქცა“ სპერელი ერმენად.

ქართულმა საისტორიო წყაროებმა, შესაბამისად ისტორიულმა მეცნიერებამაც, მწირი ცნობები შეინახა საქართველოს ამ განაპირა ქვეყნის შესახებ. ბარემ ვიტყვით, რომ სპერის შესახებ უფრო მეტი ცნობა დაუცავს უცხოურ წყაროებს – ისტორიკოსთა თუ გეოგრაფთა შრომებს, ასევე – მოგზაურთა ჩანაწერებს.

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის ოდინდელი მოსახლეობის ეროვნული ვინაობის გამოსარკვე-

[2] იხ. Д.Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края. издания Кавказскаго Военно-Типографическаго отдела, Тифлис, 1913.

ვად ერთ საუკეთესო საშუალებათაგანად უნდა გეოგრაფიული სახელების ანალიზი იყოს მიჩნეული“[3]. შდრ.: ტოპონიმიკა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, რა ენაზე საუბრობდნენ ამა თუ იმ ადგილის ბინადრები...[4]

მივყვეთ დიდი მეცნიერის რჩევას და განვიხილოთ სპერის გეოგრაფიული სახელები, რომელიც დაუცავს ისტორიულ წყაროებს და საისტორიო ლიტერატურას.

* * *

უპირველესად „ქართლის ცხოვრებას“ მივმართოთ.

ჯუანშერი: „აღიყარა ლაშქარი გარემოს ქალაქისა და ვლეს ხუთისა დღისა სავალი სამხრით კერძო და დადგეს **სპერით** კერძო“[5]. კიდევ რამდენჯერმე ახსენებს ჯუანშერი სპერს[6].

საყურადღებოდ გვეჩვენება მემატიანის ცნობა: „წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, **სპერი** და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“[7]. მოყვანილ ამონარიდში ყურადღებას იქცევს „ბოლო კლაჯეთისა ზღვის პირი“. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რომელ ტერიტორიებს გულისხმობს ჯუანშერი კლარჯეთის „ზღვის პირში?“

ძველი წყაროებით ჭოროხს „სპერის მდინარეც“ ეწოდება: „მდინარესა **სპერისასა**, რომელსა ჰქვიან ჭოროხი“[8], შავ ზღვას კიდევ – **„სპერის ზღვა“** ჰქვია[9]. ჭოროხს **სპერის მდინარე** რომ ჰქვია, სათავეებში მაინც, გასაგებია – ქართული ტრადიციის ასახვაა მდინარის სახელდებაში: მდინარეს ჰქვია იმ ქვეყნის, მთის, სოფლის სახელი, რომელსაც ჩამოუდის, ან – საიდანაც სათავეს იღებს. საკითხავია, იმავე მდინარეს რატომ დაერქვა ჭოროხი? შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი წყალუხვია. დიდი წყალი, თანამედროვე ტაოელის (და არა მარტო) გაგებით, ჭოროხია. ასევე ყურადღებას იქცევს „სპერის ზღვა“ – „შავი ზღვის“ სინონიმი; ჩანს, ძველად სპერის საზღვრები ზღვამდე აღწევდა.

„ჟამთააღმწერელთან“ გვხვდება **ქალაქი სპერი**: „მოიცვა ბექამან **ქალაქი სპერი**“[10].

მაშასადამე, ქართულ მატიანეებში ნახსენებია:

სპერი – ქვეყანა;

სპერი – ქალაქი, ახლა ისპირი<*ისპერი?

სპერის მდინარე, იგივე ჭოროხი;

სპერის ზღვა, იგივეა, რაც შავი ზღვა.

ვახუშტი ბატონიშვილმა პირველმა მოგვცა სპერელთა დახასიათება:

„კაცნი იუწყე მზგავსნი სამცხისანი და აწ მოჰმადიანნი სრულიად, **ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა**“[11]. ბატონიშვილი ახსენებს მცირე ქალაქს **ისპირა** (sic), შდრ.: სპერი, მოგვიანებით ისპირი.

საყურადღებოა მოყვანილი ცნობა:

ა. ჩანს, XVIII საუკუნეში სპერელები ქართულად საუბრობდნენ.

ბ. ამ დროისათვის დასრულებული ჩანს სპერის მიქცევა მაჰმადის სჯულზე.

გ. ქალაქის (ალბათ ქვეყნისაც) სახელი (სპერი) უკვე თურქულად ჟღერს – ისპირა.

* * *

მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ ქართულ საისტორიო ნაკვლევებში.

---

[3] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თხზ. 12 ტომად, ტ. XI, თბ., 1998, გვ. 42.

[4] დონალდ რეიფილდი, საქართველო – იმპერიათა გზაჯვარედინი. სამიათასწლოვანი ისტორია, გამ. „პალიტრა L“, თბ., 2019, გვ. 11.

[5] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 170:13-14.

[6] იქვე, გვ. 203:2; 226:4; 238:15; 344:16.

[7] იქვე, 226:4.

[8] იქვე, 17:20.

[9] იქვე, 8:11; 9:14; 19:9; 2015:17.

[10] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 315:8.

[11] ქართლის ცხოვრება, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 686.

ივანე ჯავახიშვილი მოიტანს ცნობას თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან, რომ „სულტანი რუქნადინი დაბანაკებული იყო ბასიანისა ადგილსა **ბოლოტკედ** (ქ~ცა – **ბოლოსტიკედ**) წოდებულსაო“. **ბოლოტკედ** მკვლევარს გადამწერთაგან დამახინჯებულ ფორმად მიაჩნია; პირველი ნაწილი არის „ბოლ“ ანუ „ბოლო“ და უდრის ბერძნულ „ბოლოს“, ხოლო სომხურს „ბოლბერდ“. სომხური სახელის მეორე ნაწილი ციხესა ჰნიშნავს. პროკოპი კესარიელიც მას ციხედა სთვლის. ამიტომ, შესაძლებელია, ამ ადგილის ქართული სახელის მეორე ნაწილი „ტიკე“ გადამწერთაგან დამახინჯებული „ციხე“ იყვეს. მაშინ თავდაპირველად იქნებოდა **„ბოლოსციხე“**[12].

* * *

პავლე ინგოროყვა სპერს ეტიმოლოგიურად უკავშირებს სატომო სახელს **იბერი**: **სპერი||*სბერი||ჰიბერი**[13]. გამოდის, **სპერი** სატომო სახელი იყო, შემდეგ კი ქვეყნის, მიწის სახელად ქცეულა.

ყურადღებას მივაქცევთ პ. ინგოროყვას კიდევ ერთ მსჯელობას: მკვლევარი **ფასიანების** ტომს ასახელებს არაქსის ხეობის ზემო ნაწილში, **ბასიანში** (ძვ. ფასიანიო)[14]. **ესპერიტებს** სჭერიათ... ფასიანების აღმოსავლეთით მდებარე სექტორი იმავე არაქსის ხეობაში (ახურიანის ხეობის ზონა). ესპერიტების ეს ტერიტორია, მოხსენებული ჰეროდოტეს მიერ, არის ნაწილი დიდი **სასპერეთის**ა... რომლის მიწა-წყალი არაქსის ხეობაში გადადიოდა[15].

შევნიშნავთ: **ესპერიტებ**'ში გამოიყოფა **სპერ**' სახელური ფუძე. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ საკუთარ სახელს **სასპერეთ**'ი[16], სა-ეთ კონფიქსით ნაწარმოებ ქვეყნის სახელს: სასპერეთი სპერების ქვეყანაა.

საინტერესოდ გვეჩვენება **ფასიანი** (//***ბასიანი**) სატომო სახელი. ფუძეში გამოიყოფა **-იან** სუფიქსი. **-იან** და მისი „ფონეტიკური ვარიანტები ტაოურში ჩვეულებრივ აწარმოებენ ე. წ. მეტსახელ გვარებს; იგივე სახელები, უმეტესად მრავლობითის ფორმები, აღნიშნავენ სოფელში ამ გვარის საცხოვრისს, უმეტესად სოფლის უბანს, მაჰალეს“[17]: **ოხშიანი, სალიანი, ჭელიანი**... ტოპონიმებია ტაოში. **ფასიანი//ბასიანი**'ც **-იან** სუფიქსიანი ტაოური სახელების გვერდით დადგება. პ. ინგოროყვა ადასტურებს მრ. ფორმასაც – **ბასიანნი**, რაც ამოსავალია დასახელებული ტოპონიმისათვის.

ბასიანი ორია – ზემო და ქვემო. ამ უკანასკნელში შედის **აბელიანის** თემიც.

ყურადღებას მივაქცევთ ტოპონიმს **აბელიანი** (აბელ-იან'ი), ისიც **-იან** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელია.

ფასი//ბასი, **აბელ**' ანთროპონიმებია.

ჩანს, **-იან** სუფიქსიანი ქოხის სახელები (მეტსახელი გვარები) ტაოს მოსაზღვრე სპერშიც გვხვდებოდა. ცნობა გეოგრაფიულ სახელებს დაუცავს.

პ. ინგოროყვა ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით იტყვის, რომ **ბასიანის** ძველი სახელწოდებაა **ფასიანი**, „ხოლო აქ მოსახლე ქართველ ტომს ეწოდებოდა **ფასიანნი** ანუ **ფასიანელნი**“[18]. იქვე მკვლევარი მიუთითებს, რომ არაქსს მდინარების ზემო ნაწილში **ფასისი** ერქვა[19], ამ სახელით ახსენებს არაქსს ქსენოფონტეო.

პ. ინგოროყვას აზრით ფასი წყალია:

---

[12] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ.,1983, გვ. 67.

[13] პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ.,1954, გვ. 90.

[14] იქვე, გვ. 480, სქ. 1.

[15] იქვე, გვ. 480.

[16] „კავკასიის ისტორიაში“ ნახმარია ტერმინი **სასპეირებ**'ი ეთნოსის აღსანიშნავად (იხ.: კავკასიის ისტორია, ტ. 1, 2023:160). **სასპეირები** აგებულებით გეოგრაფიული სახელი ჩანს და არა – სატომო. თავსართი **სა-** დანიშნულების მნიშვნელობას ანიჭებს სახელურ ფუძეს. იქნებ, **სასპეირეთი** (<*სასპერეთი) იყოს... შდრ.: შავში – შავშეთი, კლარჯი – კლარჯეთი, მესხი – მესხეთი... სპერი – სპერეთი.

[17] მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2024, გვ. 191.

[18] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 519. უთითებს ქსენეფონტეს ანაბანისს.

[19] იქვე, გვ. 519.

ფასისი – რიონი,

ფასისი – ჭოროხი,

ფასისი – არაქსის ზემო წელი.

მკვლევარი ასკვნის: „მხარის მთავარი მდინარის სახელწოდებასთან (ფასისი), ცხადია, დაკავშირებულია მხარის სახელწოდება „ფასიანნი“, „ფასიანელნი“[20].

ნაკლებსარწმუნოა, რომ **ბასიანი<ფასიანი** მხარის სახელწოდება უკავშირდებოდეს მდინარის სახელწოდებას. ვფიქრობთ, **ბასი//ფასი** ანთროპონიმია, მისი ჩამომავლები არიან **ბასიანები //ფასიანები.**

ბარემ აღვნიშნოთ, რომ ბასიანის მხარეში მოსახლე ტომის მეორე სახელწოდება ყოფილა **ბოლხარი** (**ბოლ-ხ**-არ'ი), **ბოლხი**, **ბოხაელნი**[21].

შევნიშნავთ, **ბოლი** – მიწის სახელი უნდა იყოს, **ბოლხი**, **ბოლხარი** – აქ მოსახლე ხალხისა. **ბოლხი** შემდეგ ტოპონიმად ქცეულა.

ტოპონიმ **ბოლხ**'ის მსგავსი სახელები გვხვდება ტაოშიც: შდრ.: **ბალხი, კალმახი**...

ბასიანის მხარის ცენტრს ერქვაო **ბოლი//ბოლო**[22].

ბოლი//**ბოლო** – ადგილის სახელია, აქაურ მკვიდრს – **ბოლხი** უნდა რქმეოდა.

ბოლ-ხ-არ'იც ამავე რიგის სახელია. შდრ.: **კოლა** და კოლას მკვიდრი – **კოლხი**, **ტაო** და ტაოს მკვიდრი – **ტაოხი**... „ბოლოკიდური **-ხი**' ეთნკური სახელების დაბოლოებაში სადაურობაზე მიუთითებს. იგი იმავე ფუქციას ასრულებს, რასაც დაბოლოებანი **-ელ**, **-არ**“[23].

ბოლხარი (ბოლ-ხ-არ') ორმაგი წარმოების გეოგრაფიული სახელი ჩანს.

-არ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელის პოვნიერება ამ მხარეში კოლხური კვალის დასტური ჩანს.

მართლად შენიშნავს პ. ინგოროყვა, ქართული წარმოშობისაა ბასიანის მხარის მთავარი ქალაქის სახელი – **კარი** (ახლა ყარსი)[24].

კარ'>**ყარ**'ს კ:ყ მონაცვლეობით. შდრ.: **კარი-სი>ყარ**ის**>ყარსი**.

შქვიდისი (შვიდი სოფელი) ეწოდება მთებს, რომელიც ჭოროხის ხეობას ჰყოფს ლაზეთისაგან[25].

შქვიდისი ლაზური სახელია იმ მთებისა, რომელთაც ტაოელი **პარხლის მთებს** ეძახის, ლაზები – **ლაზეთის მთებს.**

ერთ მთას სამი სახელი აქვს. თუმცა რატომ სამი, ახალ დროში მას **კაჩკარი** უწოდეს.

პავლე ინგოროყვას მიხედვით, სპერი სამად იყოფა:

ზემო სპერი – აქ შემოდის ჭოროხის სათავეები და ბაიბურთი.

შუა სპერი – ღართი.

ქვემო სპერი – აქ შემოდის სპერი (ქალაქი) პარხლის ჩათვლით[26]. ქვემოთ მკვლევარი პროკოფი კესარიელზე დაყრდნობით აზუსტებს შუა სპერის მდებარეობას: შუა სპერი, იგივე ჭანეთის სპერი მოიცავდა ღართის ველს და მის ზონას[27].

საინტერესოა გეოგრაფიული სახელი **ღართა** (ღარ-თა). იგი -თა' სუფიქსითაა ნაწარმოები. **ღართი,** სულხან-საბას განმარტებით, „საწუმარი ნაბადია“[28]. ვფიქრობთ, ნაკლებადაა სავარაუდებელი, მოყვანილი ფუძე ნაბადთან იყოს დაკავშირებული.

---

[20] იქვე, გვ. 519.

[21] იქვე, გვ. 519.

[22] იქვე, გვ. 519.

[23] მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 195. შდრ. აკაკი შანიძე, ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981, გვ. 32-36; მამია ფაღავა, ძველი წარმოების გეოგრაფიულ სახელთა ერთი ჯგუფი ტაოდან. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, II. თბ., 2018, გვ. 44-46.

[24] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 520.

[25] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 484.

[26] ვფიქრობთ, გამართლებული ვერ იქნება პარხლის სპერზე მიკუთვნება, რამდენადაც პარხალი ტაოს ნაწილია.

[27] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 513.

[28] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

ღარა აჭარულში წყლის სადინარია[29]. გურულსა და აჭარულში დასტურდება **ღარდა** (<*ღართა?), წყლისა და ღვარის მიერ გათხრილი ორმო (ი. ჭყონ.), **ღრამ ხრამი**, ან ძნელად ჩასასვლელი, ძნელად მისადგომი ადგილი (გ. შარაშ.), **ნაპრალი, ღარი, ხრამი**...[30]. დასახელებულ მნიშვნელობებს უნდა უკავშირდებოდეს სპერის **ღართა**.

ქართული წარმოებისა ჩანს ბასიანის მხარის უბნების (კანტონების) სახელები: **კარნიფორი (გაჩევანი)**, **კარი** (იგივე – **ვანანდი**), **ხორტევანი**, **ზარიშტიანი (წინუბანი)**[31].

კარნიფორი იგივე გაჩევანია.

კარ-ნ'ი+**ფორ'**ი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი მრავლობითშია, მეორე კომპონენტი, – **ფორი**' იგივეა, რაც „მეედანი"[32].

კარნიფორი კარის მოედანია.

გაჩევან' სახელურ ფუძეში გამოიყოფა **-ევან** სუფიქსი, რომელიც გამოხატავს მქონებლობას[33]. იგივე ფუძე (**გაჩ'**) გამოიყოფა ტოპონიმში **გაჩიანი**.

ხორტევან' სახელურ ფუძეში გამოიყოფა **-ევან** მაწარმოებელი. **ხორტ<*ხორდ**'ისაგან. **ხორდი**, სულხან-საბას დაკვირვებით იგივეა, რაც **ხორგი**, ეს უკანასკნელი კი ნიშნავს „წყალთ ყინული დიდი მონატეხი"[34]. აღვნიშნავთ, რომ **ხორდი** გვხვდება მთიულურში და ნიშნავს 1. დიდი სიცივე, რომლის დროსაც წყალი იყინება; 2. ძალიან ცივი წყალი"[35].

ხორტევანი ყინულიანს, ცივს უნდა ნიშნავდეს.

ზარიშტ-იან'ი – ფუძეში გამოვყოფთ **-იან** სუფიქსს, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ადამიანის საკუთარ სახელთაგან შტო-გვარის წარმოება; ეს უკანასკნელი კიდევ გამოხატავს ადგილსაც, სადაც ამ „გვარის" წარმომადგენლები სახლობენ[36]. **ზარიშტ**'ი ანთროპონიმი უნდა იყოს.

წინუბანი – მნიშვნელობა გამჭვირვალეა და მასზე აღარ შევჩერდებით.

ჭოროხის ხეობის მხარეებს შორის, – აჭარის, შავშეთის, კლარჯეთის, ნიგალის ხევის(?), ტაოს (ტაონი) გვერდით პ. ინგოროყვა ასახელებს **სპერს (=ვაშლოვანი)**[37].

ყურადღებას მივაქცევთ სპერის მეორე სახელწოდებას – **ვაშლოვანი** (ვაშლ-ოვან'ი), **-ოვან**' სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელს.

* * *

ექვთ. თაყაიშვილი ასახელებს **ისპირის ოთხთა ეკლესიას**[38], რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარიო, ამბობს მკვლევარი. „ქვემოთ"[39] საუბრობს ტაოს ოთხთა ეკლესიაზე, რომელიც მდებარეობს გზაზე იუსუფელიდან სპერისაკენ 11 კილომეტრში, ახლა – დორთ ქილისე. ამავე სახელს ატარებს სოფელი და ხევიც.

რატომაა ოთხთა ეკლესია ისპირის?

ოთხთა ეკლესია, – სინტაგმა ტოპონიმი ქართულია და მასზე საუბარს არ გავაგრძელებთ.

ექვთ. თაყაიშვილთან ნახსენებია **ქალდეა** (//ხალდეა) ქვეყნის სახელი და **ქალდელები** (ხალდელები) – სატომო სახელი.

ქალდეა||ხალდეა პარალელური ფორმებია, ქ:ხ თანხმოვანთმონაცვლეობა დაშვებულია სამხრულ კილოებში.

ყურადღებას მივაქცევთ ექვთიმე თაყაიშვილის ერთ მოსაზრებას: „ჭან-ლაზთა ტომს ეჭირა

---

[29] შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1071.
[30] ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
[31] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 528.
[32] სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.
[33] ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 136.
[34] სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.
[35] ალექსანდრე ღლონტი, დასახ. ნაშრ.
[36] მამია ფაღავა, ტაოური ჩანაწერები, თბ., 2021, გვ. 402-419; 420-428.
[37] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ.537.
[38] ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.1, თბ., 2013,გვ. 144. შდრ.: გვ. 36.
[39] იქვე, გვ. 379 და შემდეგ.

ზემო და შუა-წელი ჭოროხისა და ორივე მხარე პონტოს ქედისა, შავი ზღვიდან ჭოროხის მდინარემდე. შემდეგ მათი მოსახლეობა გავრცელებული იყო ისპირიდან ტრაპიზონამდე და მის არე-მარემდე და ეს დასავლეთის ადგილი იწოდებოდა ქალდეად და მცხოვრებნი ქალდელებად, ანუ ხალიბებად. ზოგჯერ ეს მხარე ცნობილი იყო ჭანეთად (ბერძნულად – ცანიკად) და მცხოვრებნი ჭანებად (ბერძნულად ცანებად). ხოლო ჭოროხის ქვემო წყლის მოსახლეობას შეადგენდა ლაზ-მეგრელთა ტომი“[40].

* * *

სპერის ონომასტიკის შესახებ ცნობებს ვხვდებით სიმონ ჯანაშიას შრომებშიც.

სპერში მკვლევარი ასახელებს საგეოგრაფიო სახელებს **ტირახთი**[41] და **კობლათი**[42].

კობლათი სეგმენტირდება: **კობლა-თ**'ი. **კობლა** (<*კობალა) ანთროპონიმი ჩანს. **კობლათი**' კობლას//კობალა'ს კუთვნილს უნდა ნიშნავდეს.

ყურადღებას იქცევს **ტირახთ**'ი, რომელიც დაიშლება: **ტირა-ხ-თ**'ი. აქ იგივე **ხ**' უნდა გვქონდეს, **კოლხ**'სა და **ტაოხ**'ში რომ გვხვდება; შესაბამისად, საკუთარი სახელიც ქართული უნდა იყოს.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ჭოროხი „მრავალსახელიანი მდინარეა“[43]:

ფაზისი – ჭოროხის ქვემო ნაწილი.

აკამფსისი – ქვემო ნაწილი, ეგრისელები ეძახიანო.

ბოასი – ზემო ნაწილი.

კაკამარი – ხალდები ეძახიანო.

ჲოჰი – სომხურიაო.

დასახელებულთ დაემატება ლეონტი მროველისეული **სპერის მდინარე**.

ამდენად, ჭოროხი ექვსი სახელით არის ცნობილი საისტორიო წყაროებში.

ისტორიული წყაროებიდან ს. ჯანაშია მოიყვანს **სპერის** აღმნიშვნელ პარალელურ ფორმებს:

სპერი აღნიშნავს ხალხს:

სასპეჲრ (ჰეროდოტე),

[ჰ]ესპერიტ (ქსენეფონტე),

საპეჲრ (აპოლონიოს როდოსელი, სტეფანე ბიზანტიელი),

სავეჲრ (სტეფანე ბიზანტიელი).

სპერი აღნიშნავს ტერიტორიას:

სჳსპირ-იტ (სტრაბონი),

სპერ-[ია] (ევსევი),

სპერ* (ქართული და სომხური ისტორიული წყაროები),

ისპირ (თურქული წყაროები)[44];

***სპერ**' ფორმის შესახებ ს. ჯანაშია სქოლიოში შენიშნავს: „ფორმა წარმოშობით ქართული არ უნდა იყოს. იგი, ალბათ, ძველი ბერძნული ტრადიციიდან მომდინარეობს და არაქართულსავე ენობრივ წრეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოცემული სახით“[45]. მკვლევრის მოსაზრება სარწმუნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი **იბერ**'ის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა.

ს. ჯანაშიას შრომებში სპერის ქვეყნის კიდევ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს ვხვდებით, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის:

ხართი (შდრ.:: ქართა – ს. ჯ.)[46].

ხარ-თ'ში ხომ არ დავინახოთ **ხარ**' სახელური ფუძე? შდრ.: ხართა საძოვარი, საწოლი...

ჩუმოვანი[47] – დასახელებული გეოგრაფიული სახელი სეგმენტირდება: **ჩუმ-ოვან**'ი. **ოვან**' ცნობილი მაწარმოებელია ქართულში, აღნიშნავს ნიშან-თვისებას, ზოგჯერ კრებითობის სემანტ-

---

[40] იქვე, გვ. 422.

[41] სიმონ ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის **-თა/თ** სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. თხზ. III, თბ., 1959, გვ. 144.

[42] იქვე, გვ. 145.

[43] სიმონ ჯანაშია, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, თხზ. ტ. VI, თბ., 1988, გვ. 263-265.

[44] სიმონ ჯანაშია, უახლოესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე. თხზ. ტ. II, თბ., 1952, გვ. 60-61.

[45] იქვე, გვ. 61, სქ.

[46] იქვე, გვ. 94.

[47] იქვე, გვ. 95.

იკის შემცველია[48]. საძიებელია **ჩუმ**' ფუძის მნიშვნელობა.

სულხან-საბა განმარტავს **ჩუმა**'ს – „უმი ერბო"[49].

ჩუმოვანი ქართული საგეოგრაფიო სახელია.

ორცორი[50] (შდრ.: ორწვერი).

ორცორი<*ორწPრი<ორწვერი'საგან. ჩანს, სპერული დიალექტისათვის უმლაუტი (P) იყო დამახასითებელი.

ნახიზირ – მთაა. მკვლევრის ვარაუდით, აღდგება **ნახი ძირი**(?). კომპოზიტია **ნახიზირ<*ნახი-ძირ**'ი. მეორე ფუძის მნიშვნელობა ნათელია, რას უნდა ნიშნავდეს **ნახი**? დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა არსებული მასალა ერთი ვარაუდის საშუალებას გვაძლევს: **ნახი**<*ნაღი'საგან (შდრ.: ნაღიძირი). **ნაღი**' დასტურდება ფშაურში და ნიშნავს ნაპრალი (ღლონტი, 1984).

თუ ჩვენი დაშვება სწორია, **ნახიძირი<*ნაღი-ძირი** ნაპრალის ძირს უნდა ნიშნავდეს.

ხორტიკი (დაბაარ, წერს ს. ჯანაშია), დასტურდება **ხორტიკ დაღი**'ც (ქედი).

რას უნდა ნიშნავდეს **ხორტიკი**?

ტოპონიმი ასე სეგმენტირდება: **ხორტ-იკ**'ი.

-იკ ქართულში კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსია[51]. **ხორტ**'ი დასტურდება მოხეურსა და მთიულურში, ნიშნავს „მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი"[52]. შესაძლებელია სხვა დაშვებაც: **ხორტი<*ხორდი**'საგან. სულხან-საბას განმარტებით, **ხორდი** იგივეა, რაც **ხორგი** და ნიშნავს „წყალთ ყინული დიდი მონატეხი"[53].

ხორტიკი „მთის ნაოჭებში ჩარჩენილ მცირე თოვლს" ან „ყინულის მცირე ნატეხს" უნდა ნიშნავდეს.

ორივე შემთხვევაში ტოპონიმი ქართული ჩანს.

ხუნტუსი(<***ხუნტუ-ის**-ი), -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები საკმაოდაა საქართველოში. რაც შეეხება **ხუნტ**' ფუძის მნიშვნელობას. შესაძლებელია ასეთი ვარაუდი: **ხუ-ნტუს**ი<***ხუნტუ-ის**-ი<**ღუნტუ-ის-ი<ღინტუ-ის-**ი (ი – უ>უ – უ'ს რეგრესული ასიმილაციით). **ღინ-ტუ** ანთროპონიმია კოლხურ სამყაროში.

ისპირთან, დასავლეთით **ყიზილ-იმარეთი**, სამხრეთ-აღმოსავლეთით **კობლათი** და **გობლადი** დასტურდება [54].

ყიზილ-იმარეთი ქართულ-თურქული ფუძეებით შედგენილი კომპოზიტია.

ყიზილ – თ. წითელს ნიშნავს.

იმარეთ'ში გამოვყოფთ **-ეთ** სუფიქსს. აღვნიშნავთ, რომ **-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მრავალია ქართულ ტოპონიმიაში ზოგადად, ბევრია – ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაშიც. მოყვანილი ტოპონიმი ქართული წარმოებისაა, მაგრამ ჩვენთვის უცნობია **იმარ**' სახელური ფუძის მნიშვნელობა. თუმცა ერთი დაშვების შესაძლებლობა გვაქვს: იქნებ ამოსავალია ყიზილი-მარეთი; თუ ასეა, მაშინ **მარ'ე-თ**'ისეული **მარ**' მნიშვნელობით დაუკავშირდება „მიწის ზვავს" (დასტურდება მთიულურში, გუდამაყრულში, თუშურში[55]).

ყიზილ-მარეთი „წითელი მიწის ზვავს" უნდა ნიშნავდეს.

კობლათის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

გობლადი<*გობლათი'საგან, რომელიც დაიშლება: **გობლ-ათ**'ი. ტოპონიმი ქართული წარმოებისაა, საძიებელია **გობლ**' ფუძის მნიშვნელობა.

---

[48] ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 348.

[49] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949. შდრ.: დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ.,1984; ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

[50] სიმონ ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 95.

[51] ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 231.

[52] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964. შდრ. ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

[53] სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.

[54] სიმონ ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 95.

[55] ალექსანდრე ღლონტი, დასახ. ნაშრ.

ს. ჯანაშია ყურადღებას მიაქცევს სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც:

მესოხორი,

ზაზანა,

სამერა.

სამერა'ს შესახებ მკვლევარი კითხულობს: „ხომ არ არის ეს სავერის ნაშთი? ან რა კავშირი აქვს მასთან სივრი დაღს?"[56].

სივრი დაღი თურქულია, ქართულად **ბუზის მთას** ნიშნავს.

მესოხორ'ი კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილია **ოხორი** (ლაზური ოხორი – სახლი[57]. შდრ.: მეგრული – **ოხორე**, – საცხოვრისი, დასახლება, სახლ-კარი, სასახლე, სამოსახლო[58]. **ოხორი** – სახლი[59]), საძიებელია, **მესოხორის** მნიშვნელობა.

მესოხორი<*მეს[ხ]ოხორი და ნიშნავს **მესხის სახლს,** მესხის საცხოვრისს?

მესოხორი აშკარად ლაზური (კოლხური) ტოპონიმია.

ზაზანა ზარმაცის მნიშვნელობით იხმარება ქიზიყურში[60]. **ზაზანა** ანთროპონიმი ან მეტსახელია, დაცულია გვარში **ზაზანაშვილი**[61].

კიდევ ერთ გეოგრაფიულ სახელზე მსჯელობს ს. ჯანაშია: **„ხოტენე,** იგივე **ხორძენეა** სტრაბონისეული ცნობისა, ძველი **საბერ-სასპერების** მიწა-წყლის ნაწილი, არტაშეცის მიერ მიტაცებული. უეჭველია, რომ აპიანეს მიერ მოხსენიებული **ხოტენელი იბერები** ძველთაგანვე მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ და პირდაპირი ხაზით ჩამომავლობდნენ სასპერ-საბერებისგან"[62].

ს. ჯანაშიას ნაშრომებით სპერის კიდევ რამდენიმე ტოპონიმით გამდიდრდა ჩვენი ცოდნა, რაც მნიშვნელოვანია.

და ბოლოს, მკვლევარი მოიხმობს „ქართლის მოქცევის" ავტორის აზრს, რომ „...ჯერ კიდევ მოსე ხორენელის ხანაში (IX ს.) ბაგრატიონების სამფლობელოში (იგულისხმება სპერი – ავტ.) არ ისმოდა სომხური მეტყველება"[63].

სპერი ლინგვისტურად და ეთნოლოგიურად ქართული ქვეყანა იყო.

მნიშვნელოვანია სპერის საზღვრების ს. ჯანაშიასეული მონახაზი: „სამხრეთით სასპეირ-საბერების მიწა-წყალი ვრცელდებოდა არაქსის ხეობასა, ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილზე და ევფრატის სათავეებზე"[64].

ჩანს, სპერი ისტორიულად ვრცელი ქვეყანა იყო.

მოყვანილი ტოპონიმიკური მასალა ნათელს ჰფენს ერთ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, **სპერის/იბერის** ძველი გეოგრაფიული სახელები აგრძელებს სიტყვაწარმოების იმ მოდელს, ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის, აჭარისა და ლაზეთის სინამდვილეში რომ დასტურდება.

სპერში დადასტურდა:

ა. **ტოპონიმთა სუფიქსური წარმოება:**

-იან: ბას-იან'ი//ფას-იან'ი, აბელ-იან'ი...

-ის: ფას-ის'ი, შქვიდ-ის'ი, აკამფს-ის'ი...

-ეთ: სასპერ-ეთ'ი.

-თ(ი): ხართ(ი), კობლა(თი), გობლა-თ(ი).

-ხ(ი): ბოლ-ხ(ი).

-არ: კაკამ-არ-ი.

-ოვან: ჩუმ-ოვან'ი.

-ა: ზაზან-ა, სამერ-ა.

-იკ: ხორტ-იკ'ი.

ბ. **უაფიქსო წარმოება:**

სპერი//ისპირი, იბერ'ი, ხოტენე//ხორძენე...

გ. **კომპოზიციით მიღებული ფუძეები**:

---

56 სიმონ ჯანაშია, იქვე.

57 ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013.

58 ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

59 ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

60 ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

61 ილია მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1990. შდრ.: ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

62 სიმონ ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 95.

63 იქვე, გვ. 96.

64 იქვე, გვ. 97.

ორცორი (<*ორწვერი), ნახიზირ (<*ნახიძირ'ი)...

ქართული/ქართველური ტრადიცია ჩანს ჰიდრონიმიაშიც – ერთ მდინარეს რამდენიმე სახელი აქვს: ჭოროხის სახელებია:

სპერის მდინარე,

ფაზისი – მდინარის ქვემო წელი (ეგრისელები ეძახიან),

ბოასი – ზემო ნაწილი,

კაკამარი – ხალდები (ს. ჯანაშია) ეძახიან,

ჲოჰი – სომხები ეძახიან.

ჭოროხი ზოგადი სახელია მდინარისა, დიდ წყალს ნიშნავს აქაურთა გაგებით.

მნიშვნელოვანია, რომ სიტყვაწარმოების მოდელი ქართულია/ქართველურია, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **სპერი//იბერი** ქართული ქვეყანაა.

ამ ცოდნით წავედით პირველ ექსპედიციაში.

* * *

2024 წლის 15 ივლისი იდგა. დილით საექპედიციო ფული ჩაგვერიცხა, შუადღის შემდეგ შეიძლება სპერისაკენ გზას დავადგეთ.

ექსპედიცია შუადღის 2 (14) საათზე უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბება.

კომპლექსური ექსპედიციის „სპერი 2024" შემადგენლობა ასეთია:

პროფესორი მამია ფაღავა (პროექტისა და ექსპედიციის ხელმძღვანელი),

პროფესორი რამაზ ხალვაში (პროექტის მენეჯერი),

პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე,

პროფესორი ზაზა შაშიკაძე,

პროფესორი თინა შიოშვილი,

პროფესორი ნუგზარ მგელძე,

პროფესორი მერაბ ხალვაში,

ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე,

ასოცირებული პროფესორი გულ მუქერემ ოზთურქი (რიზეს უნივერსიტეტი),

თურქოლოგი, ასოცირებული პროფესორი ლია ჭყონია.

პროფესორი მერაბ ხალვაში დღეს ვერ წამოვა ჩვენთან ერთად სპერში; 21 აგვისტოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი წყდება და საბჭოს სხდომას უნდა დაესწროს... ავტორიზაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. დიდი შრომა გასწია უნივერსიტეტმა ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად; ბარემ ვიტყვი, რომ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია, უნივერსიტეტმა შვიდწლიანი ავტორიზაცია მოიპოვა.

გულ მუქერემ ოზთურქი, ჩვენი უცხოელი კოლეგა და ექსპედიციის წევრი, რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხვალ, 16 ივლისს, სპერში შემოგვიერთდება.

მძღოლი მრავალნაცადი ტარიელ დიასამიძე იქნება. ტარიელმა კარგად იცის ჭოროხის ხეობა. ასე რომ, ექსპედიცია საიმედო ხელშია...

მე და რამაზ ხალვაში ერთმანეთს უნივერსიტეტის ეზოში შევხვდით, ქალაქში გავედით, ზოგიერთი საექსპედიციო ნივთი შევიძინეთ და მანქანაში ჩავალაგეთ.

ექსპედიცია უნივერსიტეტის ეზოში უნდა შეიკრიბოს. ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი თეონა ბერიძე მოვიდა გასაცილებლად. ექსპედიციის გასვლამდე ჯერ დროა.

– წამოდით, დეკანატში ავიდეთ, ყავით გაგიმასპინძლდებით, თან ვისაუბროთ ექსპედიციის გეგმებზეო, – ღიმილით შემოგვთავაზა დეკანმა.

შემოთავაზება მივიღეთ!

კარგა ხანს ვისაუბრეთ დეკანის კაბინეტში ფინჯან ყავაზე. ქალბატონმა თეონამ წარმატებული საქმიანობა გვისურვა სპერში.

მადლობა გადავუხადეთ დეკანს გულისხმიერებისა და გზის დალოცვისათვის...

გზა დაგვილოცეს, ასევე, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მერაბ დიასამიძემ.

14 საათზე უნივერსიტეტის ეზოდან დავიძარით.

გზად თინა შიოშვილი და ლია ჭყონია ჩავისვით მანქანაში და სარფისაკენ გავემართეთ.

სარფის საბაჟოს ქართული და თურქული მხარე ფეხით გადამსვლელებმა იოლად გავიარეთ,

მანქანას დაუგვიანდა გადმოსვლა, ორ საათზე მეტი ველოდებოდით სარფის ჯამესთან. ვიდექით ივლისის მწველი მზის ქვეშ და მოთმინებით ველოდებოდით ჩვენი მანქანის გამოჩენას.

იქინდის ლოცვაზე მოიხმო სარფელმა ხოჯამ მორწმუნე ლაზები.

ხოჯის დაძახებამ გვაგრძნობინა, რომ საკმაო დრო გასულა, რაც აქ ვდგავართ ტარიელის მოლოდინში.

როგორც იქნა, ჩვენი მანქანაც გამოჩნდა. თურქმა მესაზღვრეებმა დამაყოვნესო, ტარიელმა...

ჩავსხედით მანქანაში!

წინ დიდი გზა გვიდევს სპერამდე...

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, ბოლოს რომ ვიყავი ჭოროხის ხეობაში. ბევრი რამ შეიცვალა ამ მხარეში: ძველი იუსუფელი წყლის ქვეშ აღმოჩნდა, კაშხალთმშენებლობამ შეიწირა ტაოს კოპწია ქალაქი, პარხლისწყლისა და ჭოროხის ხერთვისში გაშენებული. იუსუფელის ბედი ჭოროხის ნაპირებზე გაშენებულმა არაერთმა დასახლებამ გაიზიარა. წყალქვეშ აღმოჩნდა მატერიალური კულტურის ძეგლებიც. კაშხალთმშენებლობას ემსხვერპლა იუსუფელს ზემოთ კავკასიძეების ციხე და ეკლესია. ციხე ჩვეულებრივი მოგზაურისათვის მიუვალი იყო, სპეციალური აღჭურვილობისა და მომზადების გარეშე შეუძლებელი იყო მასში შეღწევა. ახლა, სამწუხაროდ, წყალქვეშაა ციხის დიდი ნაწილი და ნავით შეიძლება მივიდეს კაცი კავკასიძეების ძველ სამფლობელოში...

აღარსადაა ძველი გზები. ადრე გამოცემულ წიგნებში ვსაუბრობდით შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს გზებზე, ბუნებაზე... გზები უმეტესად ჭოროხის ნაპირებს მიუყვებოდა. მოგზაურის წინ მშვენიერი ბუნება იშლებოდა, ქვემოდან უყურებდა კაცი დაყუდებულ მთებს... რაც უფრო მაღლა მივიწევდით ჭოროხის სათავეებისაკენ, იცვლებოდა რელიეფი, ფერს იცვლიდნენ შიშველი, მზით გადარუჯული ქანები. მგზავრის თვალს იტაცებდა ჭოროხის ბუნება...

დღეს, გავცდით რა ხოფას და ბორჩხისაკენ გადავუხვიეთ, ავტობანზე შევდექით, მალე გვირაბში შევედით და ფაქტიურად აღარც გამოვსულვართ, ალაგ-ალაგ თუ გამოვიხედავდით გვირაბიდან და მზის სინათლეს დავინახავდით. ახალი გზები კარგია, ეკონომიკურად მომგებიანი, მაგრამ მგზავრისათვის – დამთრგუნველი... წარმოიდგინეთ სარფიდან იუსუფელემდე 40-მდე გვირაბია, გრძელი გვირაბებია იუსუფელიდან სპერამდეც. ძველი გზები წყლითაა დაფარული. მთის კალთებზე ახალი სამანქანე გზები გაუჭრიათ, მთიდან-მთაზე გაუკიდიათ ხიდები, ალაგ-ალაგ მანქანა გვირაბიდან რომ გამოაღწევს, ხეობის სიღრმეში გამოჩნდება გუბედქცეული ჭოროხი...

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბათუმიდან სპერამდე მგზავრობა უფრო კომფორტულია, ახალი გზები კარგ პირობებს ქმნის მანქანისთვისაც და მგზავრისთვისაც, მე, როგორც მოგზაურს, უფრო ძველი გზები მერჩივნა, ჭოროხიც უფრო ძველი იზიდავდა მნახველის თვალს, ხან წყნარი იყო, დამშვიდებული, ხანაც – ატეხილი და გადარეული. ახლა ვრცელი მორევი თუ მორევები გაწოლილა დაუდეგარი ჭოროხის ნაცვლად ხევში...

დიახ, ახალი დროების მწარე სილა იწვნია ჭოროხმაც...

ჩვენი დროით ღამის 11 საათი იქნებოდა, ისპირში რომ ჩავედით და „ისპირ გრანდ ოტელში“ დავბინავდით.

სასტუმრო კარგია, სუფთა, მოვლილი... ხვალიდან საველე სამუშაოებს შევუდგებით. ვიმედოვნებთ, მოყვრად მიგვიღებს სპერი, გაგვიზიარებს თავისი წარსულისა და თანადროულობის შესახებ ცოდნას, რომელიც ასე გვჭირდება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რა ახსოვთ სპერელებს წარსულიდან, რამდენად გადარჩენილია ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი... თანამედროვე სპერიც გვაინტერესებს, მისი ყოველდღიურობა...

16 აგვისტო 2024 წლისა.

დილით ექსპედიციამ ადრე გაიღვიძა. სასტუმროს კაფეში ვისაუზმეთ და ველზე გასასვლელად გავემზადეთ. სპერი – იუსუფელის გზის მე-12 კილომეტრზე, ჭოროხს გაღმა, რამდენიმე

სოფელია: გადასახვევიდან რამდენიმე კილომეტრშია სოფელი **ჯედიგოზე**, ძველი – **ქარაფი**, 5 კილომეტრში – **ჯეშილჯურთი**, ძველი – **აქბირიქი**, სომხური სოფელიაო, გვითხრეს, აქვეა **სირაქონაქლარი**, ძველი – **ხოდუჩორი**.

სირაქონაქლარით, ძველი **ხოდუჩორით,** დავიწყეთ.

ძველი და ახალი შერწყმია სოფელში ერთმანეთს: ძველი სპერული სახლების გვერდით ახალიც უშენებიათ ახალსპერელებს. მნახველის ყურადღებას იქცევს ძველი ნაგებობები – მაღალი, ღია მანსარდით.

სოფელში მისულს თვალში გეცემათ თუთის ხეებზე გაბმული ბადეები, ჩამოცვენილ თუთის ნაყოფს აგროვებენ ასე, ასეთივე ბადეები ჩანს კაკლის ხეებზეც. ნაყოფის შესაგროვებლად ხეებზე გაბმულ ბადეებს პირველად შევეყარეთ ჭოროხის ხეობაში: ნაყოფის დანაკარგი მინიმუმამდეა დაყვანილი, არც შეგროვებაა ძნელი. კარგად მოუფიქრებიათ ჯედიგოზელებს თუ სხვა სოფლის მკვიდრთ. უმეტესი მათგანი ხომ სოფელში ზაფხულის არდადეგების გასატარებლად ჩამოდის. დასვენებასთან ერთად ხილსაც შეაგროვებს, თუთის ბეთმეზსაც დაამზადებს, ტყლაპსაც, აქაურები ფესტილს რომ ეძახიან და შემოდგომაზე ქალაქში წაიღებს...

შუადღის ნამაზის დროა. ხოჯა მოუხმობს მლოცველებს. სოფლელები გვპირდებიან, ლოცვის შემდეგ ვისაუბროთო. ველოდებით ლოცვის დასრულებას.

ვფიქრობ სოფლების ძველ სახელებზე: **ქარაფი, აქბირიქი, ხოდუჩორი<*ხოდუჩური?** (შდრ.: **ჩურ'** – წყალი).

ქარაფი, სოფლის ძველი სახელი ქართულია.

ქარაფი – „დიდი კლდე“ განმარტავს სულხან საბა[65];

„ფრიალო, ციცაბო“ – მოკლედ განუმარტავთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“[66].

ფრიალო ადგილის გამო უწოდეს, ალბათ, სოფელს **ქარაფი** სახელმდებლებმა.

კარგია, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ ახსოვთ სოფლის ძველი სახელები.

ნეტავი, ყველგან ახსოვდეთ!

ვათვალიერებთ სოფელს.

უპირველესად ადგილის სახელები გვაინტერესებს, ასევე – სოფლის უბნები, ძველი „გვარები“, ქოხის სახელები, ყველაფერი გვაინტერესებს აქ მოსულთ.

სოფლის ორღობეში დავდივართ. დამლაპარაკებელი არავინაა; მამაკაცები ჯამეში ლოცულობენ, ქალები კიდევ, უცხოებთან კონტაქტს ერიდებიან.

ლოცვა დასრულდა. ჯამის წინ ფანჩატურია მოწყობილი, ვუწოდოთ სალაყბო. სწორედ აქ დავსხედით; რამდენიმე მამაკაცი ჩვენთან ჩამოჯდა, მათ შორისაა სოფლის მუხტარი.

საუბარი დაწყებული არ გვქონდა, მუხტარმა გაგვიცხადა: თუ გაქვთ აქ ყოფნის ნებაო.

თავიდანვე უნდობლად მოგვეკიდა. კარგია, რომ გვაქვს საკონსულოდან ცნობა, ადგილობრივი ხელისუფლებისადმი თხოვნა, რომ დავეშვით სოფელში სამუშაოდ.

მუხტარმა, დაიჯერა რა „შემოპარულები“ რომ არ ვიყავით, ინება ჩვენთან საუბარი. თავიდან დაგვარიგა სტუმართმოყვარე მამასახლისმა: **მორიჯაილასაკენ** არის ადგილი **ჯედიგოლლარი,** საინტერესო ადგილია და ნახეთო.

ჩვენც დავპირდით, რომ ვნახავდით.

თანდათან საუბარი აგვეწყო.

რამდენი უბანიაო, სოფელში, ვიკითხეთ.

ექვსი-შვიდი უბანიაო, მამასახლისმა, სახელები არ ვიციო უბნების.

სახლი ვერტიკალური განლაგების ჩანს. სართულები როგორ ნაწილდებაო, კითხულობს ნუგზარი:

– პირველი სართული ცხოველების სადგომიაო, ახორი.

ახორში ცალ-ცალკეა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომი.

---

[65] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

[66] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

წვრილფეხა საქონლის სადგომს რას ეძახითო, ვკითხულობთ!

ვფიქრობთ, ეგებ ჰქონდესო ცალკე სახელი ახორში წვრილფეხა საქონლისათვის გამოყოფილ ადგილს. მეზობელ ტაოში მას **ქორს** ეძახიან.

ცალკე სახელი არ აქვსო წვრილფეხა საქონლის სადგომს, ახორიაო მისი სახელი.

– მეორე სართული საცხოვრებელია.

– მესამე სართული **ბედევრეა** (სომხურია), იგივეა, რაც ქართული – **საბძელი**.

სპერული სახლი აგებულებით ტაოურს მოგვაგონებს, რაც არცაა მოულოდნელი.

სოფლის ადგილების სახელები ჩაგვაწერინეთო, – ვთხოვთ მასპინძლებს.

მარქაფი, – მწვერვალზეაო, მაღლა.

მარქაფი გვხვდება სულხან-საბასთან, „ჯინიბი, მეორე ცხენიო“, განმარტავს ლექსიკოგრაფი[67].

ქეგლ'ის მიხედვით, **მარქაფა** სათადარიგო, შემცვლელია[68].

მარქაფი გვხვდება დიალექტებში, იგივეა, რაც საგდული, საგდოლი, – ურდული, ჩასაკეტი ჯოხი[69].

დასახელებულ მნიშვნელობათაგან ტოპონიმი **მარქაფი** შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც სათადარიგოს, ისე – ჩამკეტს, ურდულს. ყველა შემთხვევაში სახელი ქართულია.

ქორხანსი, – იქნებ ქორხანისი? **ქორხან**'ი, ჩანს, მეტსახელია კაცისა. **-ის** სუფიქსით ნაწარმოებია ერთი ჯგუფი ქართული გეოგრაფიული სახელებისა.

ქოფთორ'ი.

ჯაილააო მაღლა, **ჯორდენისი**.

ქართული უნდა იყოს ჯაილის სახელი, ფუძის აგებულება გვაფიქრებინებს ასე: **ჯორდენ-ის**'ი. **ჯორდენ//ჟორდენ** ანთროპონიმი ჩანს. შდრ.: ჯორდანია, ჟორდანია, ჯორდანიძე.

– მდინარის სახელი გვითხარით, სოფელს რომ ჩამოუდის!

– **თანასორი** ქვია მდინარეს, **მამაღასაც** ვეძახით. **მამაღა** და **თანასორი** ერთიაო.

თანასორი//თანაძორი ფუძეში გამოიყოფა **სორ//ძორ** მაწარმოებელი, სომხურია და ხევს აღნიშნავს.

თანასორი თანასხევია იგივე.

საძიებელია **მამაღა**'ს მნიშვნელობა. **მამაღა** მდინარის, ხევის საკუთარი სახელია.

სოფელში ბევრია თუთა და კაკალი, განსაკუთრებით პირველი. ოთხასწლიანი ხეებიც გვაქვსო, **სირაქონაქლარელებმა**.

– თუთის რაიმე ჯიშები არსებობს, თუ...?

– **„გურჯუ თუთა“** არის, დიდნაყოფიანია, წვნიანი. სხვა ერთია...

გურჯუ თუთა (შდრ.: ქართული თუთა) წარსულის ხსოვნის აღმნიშვნელია ამ კუთხეში.

აქაურ სოფლებში, ჭოროხის სხვა ქვეყნების სოფლებშიც, თუთისგან აკეთებენ ტყლაპს, ახმობენ ნაყოფს, ანდაც ამზადებენ ბაქმაზს, ბეთმეზს, როგორც აჭარაში ეძახიან.

– ვინ ცხოვრობს ამ სოფელში?

– წინათ ერმენები ყოფილან, ერმენები წასულან და ჩვენი ძველები მოვიდნენ.

– გურჯები არ ცხოვრობენ ამ კუთხეში?

– გურჯები ჩამლიქაჯაში ცხოვრობენო, მუხტარმა.

თანდათან გაშინაურდა მუხტარი, ერთი ამბავიც მოგვიყვა:

ძველები ამბობდნენ: აქ ორი მხრიდან უბერავს ქარიო: ერთი საქართველოდან (გურჯისტანიდან), მეორე – ბაიბურთიდან. საქართველოდან მობერილი ქარი უფრო თბილია, ბაიბურთიდან – ცივი.

– მთლიანად არ წაშლილა ქართველთა კვალი ამ სოფელში, ალბათ კუთხეშიც, რაღაც მაინც ჩანს... – გადავულაპარაკე ზაზას.

– ასეა! – დამიდასტურა ზაზამ.

– ლია, მოდი შეეკითხე ჩვენს ინფორმატორებს, რა გვარები ცხოვრობენ ამ სოფელში? –

[67] სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.

[68] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

[69] ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

ვთხოვე ლიას (ლიამ უთარგმნა მასპინძლებს კითხვა).

მუხტარმა, აიდინ ათაშმა, დაიწყო ჩამოთვლა, იქვე მჯდომი სელიმ სარი (ყადიოღლი) ეშველება:

ყადიოღლი,

ლაზოღლი,

ქოცანოღლუ,

ჩოჩოღლუ,

ფაზლილარ (შდრ.: ფაზლები),

მაჰმუდლარ (შდრ.: მაჰმუდები, უფრო აჭარული მაჰმუდისანი),

გუგულოღლილარ,

დემირჯიოღლულარ,

კოდალლარ ქაბილესი,

ბათმანაჲ.

40-45 გვარი ცხოვრობსო სოფელში (გაჩერდნენ ინფორმატორები, მეტი არ გვახსოვსო).

საინტერესოდ გვეჩვენება სპერში **ოღლი** მაწარმოებლიანი „გვარების“ პოვნიერება. იგი ანალოგს პოულობს ჭოროხის სხვა ქვეყნების მკვიდრთა „სახლის სახელების“, „ქოხის სახელების“ თუ „მეტსახელი გვარების“ წარმოებასთან. ასეთ გვარებს საფუძვლად მამაკაცის სახელი ან მეტსახელი უდევს, ზოგჯერ ეთნიკური სახელიც (ლაზოღლი). ზოგიერთი „გვარი“ ორმაგი სუფიქსითაა (ოღლი+ლარ) წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ასეთ „გვარებში“ -ლარ (შდრ.: -ებ) მხოლოდ სიმრავლის მაჩვენებელია. რომელიმე გუგულოღლილარ’ გუგულოღლ’ის სიმრავლის მაჩვენებელია. ასეთი „გვარები“ უფრო ტოპონიმებად გვხვდება და აღნიშნავს სოფლის უბანს.

სოფელში სახლის სახელია **ბათმანაჲ**.

ბათმანი – (თ. Batman) მარცვლეულის საწყაო, ჭურჭელი[70].

ბათმანაჲ მსხლის ჯიშიცაა აჭარაში[71].

კახეთშიც მსუქან ადამიანს მეტსახელად **ბათმანას** შეარქმევენ.

ბათმანაჲ მეტსახელია კაცისა, განძრევა რომ ეზარება, ისეთ კაცს დაუძახებენ. სწორედ მეტსახელი **ბათმანაჲ** ქცეულა „გვარად“ სირაქონაქლარში.

მოვიკითხე, ეს „გვარები“ სოფელში ერთად ხომ არ ცხოვრობენ-მეთქი.

არა, ერთად არ ცხოვრობენ, თუმცა ჩვენს სოფელში **ჩოჩოღლუ’ მაჰალე** არისო.

„ჩოჩოღლუ მაჰალე“ სოფლის დასახლების იმ წესის ნარჩენია, ტაოურ სოფელში რომ გვხვდება, – გადავულაპარაკე ნუგზარს...

ჩანს, სპერშიც ისტორიულად დამახასიათებელი იყო სოფლის უბნობრივი დასახლება, ერთ უბანს ერთი „გვარი“, განაყოფი ქმნიდა, რაც თავის მხრივ დიდი ოჯახის სეგმენტაციის შედეგი იყო.

წყაროს სახელებიც მოვიკითხეთ, ვეძებთ, იქნებ სადმე ქართული კვალი ვნახოთ:

თანასორი,

თაფსორი,

ხოდუჩურ,

სალაჩურ...

ეთმანეთის მიყოლებით ჩამოგვითვალეს წყაროების სახელები. **სორ//ძორ**’ის შესახებ ზემოთ ვთქვით, **ჩურ**’ ასევე წყლის აღმნიშვნელია.

კერძებიც ვიკითხეთ, ტრადიციული კერძები:

ფილავი,

ჲაჰნი,

ერიქ ჲაჰნი (შდრ.: ქლიავის ჲახნი),

თათარბურეჲ, იგივე **ზეროჲ**, იგივეა, რაც ჩვენებური **სინორი***.

* შოთა ნიჟარაძე სალექსიკონო ერთეულად გაიტანს **სირონი** (ასახელებს პარალელურ ფორმასაც **სინორი**) და განმარტავს: თურქულიაო, sirin, „ზემოაჭარული ნამცხვარი: პურის ცომის თხელთხელ ფენებს შეაზავებენ შაქრითა და ნადუღით (ან კარაქით) და შეწვავენ კეცზე ან საოჯახო ფურნეში...“[72].

კიდევ ჩამონათვალში გავიგონეთ: **ლობია**, **ლობუთა** (ჭარხალიაო იგივე), **ფესტილი** (ტყლაპი). **ლობუთა**’ ჭარხლის მნიშვნელობით პირველ-

[70] შოთა ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.
[71] იქვე.
[72] შოთა ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

ად გავიგონეთ. იქნებ ვცდებით, მაგრამ ტერმინი თურქული არ ჩანს. აღვნიშნავთ, რომ **ლობუტი** მეგრულში[73] და **ლობუთი** ლაზურში[74] ნიშნავს ბოთეს, უნიათოს, დონდლოს... (იმავე მნიშვნელობით იხმარება კახურშიც, გაგვიგონია აჭარულშიც). ა. თანდილავა **ლობუთ**'ს უკავშირებს თურქულ lobut'ს, რაც ნაკლებსარწმუნოა.

ლობუთა' მეტსახელიცაა კაცისა. დონდლო და მოუქნელ კაცს შეარქმევენ ხოლმე.

შემდეგ საუბარში ინფორმატორებმა ახსენეს **კაბაყურა//ყაბაყურა** – ტერმინი აშკარად ქართულია. ჩვენს თარჯიმანს, ლიას გადავულაპარაკე, ეს კი არის ქართული-მეთქი.

– მეც ასე გავიგე, საყმაწვილო დაავადებაზე საუბრობდა.

თუ ძალიან მოინდომებს, ცოტას, მაგრამ ქართულ ელემენტს აღმოაჩენს კაცი აქაურთა თურქულში. ჰოდა, უნდა ვეძიოთ და ეს ნარჩენები გამოვამზეუროთ...

სირაქონაქლარის ცენტრში, ჯამიკარზე, ასეთი სურათია:

ექსპედიციის ერთი ნაწილი სირაქონაქლარელებთან საუბრობს: თინა, მალხაზი, რამაზი და მე ვსვამთ კითხვებს, ლია ძლივს აუდის თარგმნას, აქვეა გულ-მუქერემიც, ისიც აქტიურადაა ჩაბმული საქმეში. რაიმე გაურკვეველი თუ იქნება, ზაზაც ჩაერევა, განმარტავს, დააზუსტებს ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას. დიდი ჯაფა ადგათ მთარგმნელებს: ერთის მხრივ იოლი არ იყო სპერული თურქულის, უფრო გამოთქმის, აღქმა და გაგება, მეორეს მხრივ, ჩვენი მკლევრების კითხვების თარგმნა... ვიტყვი, რომ ქალბატონები კარგად უმკლავდებოდნენ საქმეს.

ნუგზარი და თემური ამ დროს სოფლის ორღობეში დადიან, სიძველეებს იღებენ, განსაკუთრებით სპერული სახლის არქიტექტურამ მიიქცია ჩვენი ეთნოგრაფების ყურადღება. ნუგზარი ჩვენთან დაბრუნდა, თემური არ ჩანს, „დაიკარგა", არადა უკვე წამოსვლის დროა.

ველოდებით!

რომელიღაც სახლში შევიდაო თქვენი ამხანაგი, გვითხრეს სირაქონაქლარელებმა.

კარგა ხნის შემდეგ თემურიც მოვიდა, აქაური სახლის ინტერიერს ვიღებდიო, ნება დამრთეს და უარს როგორ ვიტყოდიო.

დავემშვიდობეთ სირაქონაქლარელებს და **მორჯაილაში** წავედით.

მორჯაილა მაღლაა გაშენებული, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მეტია. საერთოდ ვიტყვი, რომ სპერის ქვეყანა მთლიანად მაღლობზეა, თვით ქალაქი, თანამედროვე ისპირი, ზღვის დონიდან 1100 მეტრზეა.

მორჯაილა, ძველი **მადური,** ალპურ ზონაშია.

ყურადღება მიიქცია სოფლის ძველმა სახელმა **მადური**. ვფიქრობთ, სახელი ასე სეგმენტირდება: **მად-ურ**'ი (<***მადა-ურ**'ი).

-ურ სუფიქსი ადგილის სახელებისაგან აწარმოებს წარმომავლობის სახელებს[75]. ვფიქრობთ, გეოგრაფიულ სახელებში **-ურ//-ულ** კუთვნილებას უნდა გამოხატავდეს. შდრ.: **მახინჯაური** (მახუნჯა), **არსენაული** (არსენა), **ვარჯანაული** (ვარჯანა, შდრ.: ვარჯანისი), **თოდოგაური** (თოდოგა), **მახვილაური** (მახვილა)... ჩამოთვლილთა გვერდით დადგება **მადურ**'იც. **მადა**' ანთროპონიმადაც გვხვდება, დაცულია გვარში **მადაძე**<მადასძე[76].

კავკასიის თურქები ვართო, მადურის, იგივე მორჯაილას მცხოვრებლებმა, დიდი ხნის წინ მოვედითო აქ.

ვის გულისხმობენ „კავკასიის თურქებში", გაუგებარია, იქნებ ყივჩაღებს?

მადურის გვარები ვიკითხეთ.

ორჰან უსლუ, – 62 წლის მადურელი „კავკასიის თურქი" ჩამოგვითვლის რამდენიმეს:

---

[73] ალიო ქობალია, დასახ. ნაშრ. შდრ.: ოთარ ქაჯაია, დასახ. ნაშრ.

[74] ალი თანდილავა, დასახ. ნაშრ.

[75] იხ. ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 196-397; აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 127-128; არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. შრომები, VII, თბ., 2013, გვ. 137.

[76] შდრ.: ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ.,1986.

ძინდილოღლუ,

გუგულოღლუ (შდრ.: გუგულაძე),

ბიბეროღლუ (შდრ.: პირპილაძე. აღვნიშნავთ, რომ **პირპილაძე** დასტურდება მაჭახელშიც, რომლის ძველი გვარი ისპიროღლი ყოფილა),

ჩელიქ,

უსლუ,

ქაჲა...

უკანასკნელი სამი გვარი ახალია, სხვა არ იცის.

სოფელი ოდითგან მეცხოველეობასა და მემინდვრეობას მისდევდა.

ადრე სოფელში ხუთასი-ექვსასი სული საქონელი იქნებოდაო. ახლა ზამთრობით სოფელი იცლება, ერთი-ორი ოჯახი რჩება, სხვა ქალაქებში მიდის, ხუთასი(!) ოჯახი სტამბულშიაო, ვინ უნდა შეინახოს საქონელიო. არც ორჰანი რჩება ზამთარში მადურში, ამიტომაც არ იცის თანასოფლელთა გვარები...

ადრე, თურმე, მადურში ხორბალი ითესებოდა, სოფლის თონეებში პურს აცხობდნენ, თურმე მრგვალი პურიც ცხვებოდაო ყველით.

„მრგვალი პური ყველით“ – იქნებ, თონეში ხაჭაპურს აცხობდნენ მადურელები? ორჰანის ნაამბობში ხაჭაპურის სუნი იგრძნობა...

ადგილის სახელები ვიკითხე. ლია თარგმნის ჩემს კითხვას.

რამდენიმე ტოპონიმი დაასახელა:

ჰარმადორი (მთა),

გურუზლარ' შდრ.: გურუზები,

მინასორ' – ხევის სახელი უნდა იყოს.

ესაა სულ, მეტი არ იცის ორჰანმა.

სხვა სოფლების მსგავსად, მორჲაილაშიც ძველი და ახალი ერთმანეთში ირევა: სოფელში ახალი სახლებიც ჩანს და ძველი, სპერული ქოხებიც. ძველი სახლები შვიდასი-რვაასი(!) წლისაააო, – გვეუბნებიან. ვინ იცის, რამდენი წლისაა ეს სახლები, ასე გაუგონიათ, ასე გვითხრეს. ყოველ შემთხვევაში, სახლები ძველია, არახალი...

სოფელს ხევი ჩაუდის, **მორჲაილა ჩაჲ**, უწინ თურმე **მადური ჩაჲ** რქმევია.

მდინარის თუ ხევის სახელი ამ სოფელშიც იმეორებს ჰიდრონიმის სახელდების იმ ტრადიციას, ჭოროხის ხეობაში (არა მარტო) რომ გვხვდება...

ექსპედიცია ორადაა გაყოფილი: ერთნი ეზოში ვსაუბრობთ მორჲაილელებთან, სხვები – სოფლის მუზეუმში შევიდნენ.

მუზეუმში მრავალგვარი ნივთია გამოფენილი, ადრე რომ იხმარებოდა სოფელში; ახლა უმეტესი მათგანი ისტორიის კუთვნილებაა მხოლოდ. წარმოიდგინეთ ნუგზარის აღფრთოვანება, როცა ეს ნივთები დაინახა. ყველაფერი გადაიღეო, თხოვს თემურის, სახელები ჩაიწერეო, არაფერი აგერიოსო... თემურიც იღებს და სახელებსაც იწერს. გულ-მუქერემი ეხმარება მუზეუმის ხელმძღვანელთან კონტაქტის დამყარებაში. ნუგზარიც იღებს ცალკეულ ნივთებს...

ჩვენ გარეთ ვსაუბრობთ, აქ ლიაა ჩვენი მაშველი, კარგადაც გვშველის.

საუბარში ერთმა მადურელმა **სტაქანი//ისტიქანი** ახსენა.

– რუსული სიტყვა საიდან იცით? – გაკვირვებას ვერ ვმალავ.

– რუსებს დაპყრობილი ჰქონდათ ეს კუთხე, სტიქანიც მაშინდელიაო, მასპინძელმა.

– სტიქანმა შეინახა რუსების ხსოვნა მორჲაილაში, – ჩავილაპარაკე.

– სიმღერები, ძველი ცეკვები თუ იცოდნენ ამ სოფელში? – კითხულობს თინა!

– კავკასიური სიმღერები იცოდნენ აქ, ახლა არ იციან, ცეკვებიც იცოდნენ:

ხოშბილეზიქ',

ჲანქემიშ,

კარაბით,

ჰორომ'.

ჰორომი<*ხორომი, ალბათ, ჩვენებური **ხორომი//ხორუმი** იგულისხმება, – ვეუბნები თინას. კავკასიური სიმღერები თუ იცოდნენ, ხორუმიც არაა გასაკვირი; თუმცა თურქებს აქვთ ხალხური ცეკვა ჰორონი (თ. Horon)[77].

[77] თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბული, 2001.

– ტერმინი გარკვევით ისმის, – **ჰორომ//ხორომ**, რა იგულისხმება – გასარკვევია!

– გუდასტვირზე (თულუმზე) უკრავდნენ და მღეროდნენ, – განაგრძობს ორჰანი:

ჯერ ორი იტყოდა, შემდეგ – სხვა ორი.

მღეროდნენ მკაში, სხვა დროსაც! ჯგუფები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სიმღერაში და საქმეშიც.

ნუთუ ჩვენებური ნადურის ანალოგიური სიმღერა იცოდნენ მორჯაილაშიც? „კავკასიელი თურქების“ ხსოვნამ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი შეუნახა ისტორიას...

კარგი ინფორმაციაა ქართულ კვალზე დამდგარი მკვლევრისათვის!

ერთი წუთით თანამოსაუბრენი დავტოვე და მუზეუმში შევიხედე.

მოზრდილი ოთახი აქვს დათმობილი მუზეუმს. რამაზი თითოეული ექსპონანტის სახელს კითხულობს: **ჯილღა, საბანი, კალათი** (მოქსოვილი კარზინა), **ხეგბე** (გუდა)...

– ჩვენ ბევრი მიწა არ გვქონდა, ვთესავდით, მოსავალი ცოტა მოდიოდა, არ გვყოფნიდა, მშივრები ვიყავითო, – ყვება მოხუცი წარსულის ამბებს. თემური იღებს ყველაფერს, თვალი მაინც სამუზეუმო ექსპონანტებისაკენ უჭირავს, ნაკლებად აქცევს ყურადღებას მთხრობელის სენტიმენტალურ გადახვევებს. მე კიდევ ვიწერ, რვეულში ვინიშნავ, რატომაც არა, აქაურთა წარსული მაინტერესებს, თანადროულობაც.

წარსულის ეპიზოდები იციან მხოლოდ მორჯაილელებმა. გაბმული ისტორიის თხრობას ვერ ახერხებენ. სხვაგვარად არც ველოდით.

მოთხრობილი მცირე ამბები, ზოგიერთი სახელწოდება... გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მორჯაილას მცხოვრებლები ძველი სპერელები არიან. ჩანს, აქ მოსახლეობის ცვლა არ მომხდარა. მორჯაილელების კავშირი წარსულთან გვაფიქრებინებს ამას...

ჩვენი წამოსვლის დრო დგება.

მაღლა, მთაში, შვიდი ტბააო, გვეუბნებიან, გვირჩევენ, ვნახოთ.

უნდა ვნახოთ, თუ ასეთი გამორჩეული ადგილია, მეორეჯერ, იქნებ, ვერასოდეს მოვიდეთ აქ და არც შვიდი ტბის ნახვის შანსი მოგვეცეს.

გზას დავადექით. გზა კარგია, მაღლა და მაღლა მივიწევთ. ზღვის დონიდან 3000 მეტრამდე ავდივართ. უჭირს ჩვენს მანქანას, წყალი

– ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია სპერულში სხვა სამხრულ კილოებშიც პოვებს ანალოგს, – ვამბობ ხმამაღლა.

რამდენიმე ათეული ქართული სიტყვა დავადასტურეთ დღეს. არ არის ურიგო მონაპოვარი. ჩვენი საბოლოო მიზნისათვის ყოველ სიტყვას აქვს მნიშვნელობა, რომელიც ქართულ კვალზე მიგვანიშნებს სპერის მიწაზე.

17 აგვისტო, 2024 წლისა.

დილის 10 საათია. ექსპედიციის წევრებმა ვისაუზმეთ და ველზე გასასვლელად ვემზადებით. გადავწყვიტეთ, **ჲედი გოზეში**, ძველ **ქერაფში** (<*ქარაფში) წავიდეთ. გუშინ **ქარაფ'** სახელური ფუძის ეტიმოლოგიაზე ვსაუბრობდით, ქართულად მივიჩნიეთ, ვფიქრობთ, სოფელშიც წავაწყდებით რამე ქართულს...

ქერაფში ავედით, ოსმან ბულბული, 62 წლის ლაზი გავიცანით, პირველი ინფორმაციაც მისგან მივიღეთ.

ჲედი გოზე უწოდებიათ ახალ ნათლიებს ძველი ქარაფისათვის.

ჲედი გოზე – სიტყვასიტყვით **შვიდ თვალს** ნიშნავს (შდრ.: წყაროს თვალი, ორთვალი – შავშეთშია). შვიდი წყარო გამოდის, ჲედი გოზეც ამიტომ ვუწოდეთო, ოსმანმა. ვერ დაუწუნებ სახელმდებელს არჩევანს, მშვენიერი ნიშანი შეურჩევია, წარმატებულად რომ ახასიათებს სოფელს. რატომ „შვიდი თვალი" უწოდეს წყაროს, ქართული „წყაროს თვალის" ანალოგიით ხომ არა?

რვა უბანიაო სოფელში:

დაშდიბი//თაშდიბი (შდრ.: ქვის ძირი, ლოდიძირი),

დერე მაჰალესი (შდრ.: ხევის უბანი),

ჩოფბაში,

ქარში მაჰალე (<*კარში მაჰალე? შდრ.: კარის უბანი),

ჲაუფგილი მაჰალე,

ქუთუმაქგილ',

ჰარმან მაჰალესი (შდრ.: კალოუბანი),

ლულეჯიდ//ლულეგილ მაჰალე.

გვარები ვიკითხეთ სოფლის, რამდენიმე დაგვისახელა ინფორმატორმა:

ქუთუმოთოღლი,

ლულეჯი//ბილეჯი,

თაშთანლარ (<*ტაშტანლარ? შდრ.: **ტაშტანები**).

დაშდიბი//თაშდიბი და **დერე მაჰალესი** ქართული ლოდიძირისა და ხევისუბნის ანალოგიით შექმნილი უნდა იყოს. შევნიშნავ, რომ ადგილის ახალი სახელმდებლები ზოგჯერ ძველი სახელის თარგმანს მიმართავდნენ. აქაც ამ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე. ასევე **ქუთუმათგილ**'ი **ქუთუმოღლების** უბანი გვგონია.

ჲაუფგილი მაჰალე, **ქუთუმაქგილ'**, **ლულეჯიდ//ლულეგილ** მაჩვენებელია იმისა, რომ ძველი პატრიარქალური ოჯახების სეგმენტაციის შედეგია სოფლის უბანი, სადაც უმეტესად განაყოფები (და არა მეზობლები) სახლობენ.

სხვა არ იცის. არ იცის სოფლის ადგილის სახელებიც.

ეზოში ვსაუბრობთ, მამაკაცები ცალკე ვდგავართ. მოშორებით ბუხარია გამართული, უფრო ღია კერა, ქალბატონები ბაქმაზს ხარშავენ, თუთის ბაქმაზს, გვერდით მაგიდასთან ქალების ჯგუფს სუფრა გაუშლიათ და საუზმობენ. თინა, ლია და გულ-მუქერემი ქალბატონებთან მივიდნენ სასაუბროდ. ნუგზარმა და თემურმა საქმე იშოვეს: აქეთ ბაქმაზის ქვაბს იღებენ, შემდეგ ხილის საწური წნეხი ააწყობინეს, გადაიღეს... თემური კარგა ხანია, იკვლევს კერას, დღესაც მშვენიერი მასალა ნახა აჭარიდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში...

სოფელი, უფრო სოფლის უბანი, სადაც ვიმყოფებით, ერთ ტერასაზეა გაშენებული. რამდენიმე სახლია სულ უბანში.

ნაირგვარი ხეხილი არ ჩანს სოფელში, უფრო კაკალი და თუთაა, იშვიათად – ვაშლი...

მცენარეები ტერასებზეა გაშენებული.

აქაურები ტერასას ბარანს ეძახიან, მთელი სოფელი ბარანებზეა გაშენებული.

თქვენს სოფელში ეკლესია ხომ არააო, ვიკითხეთ.

ეკლესია მაღლააო, **ქერაბში** (<*ქერაფში), ჲედი გოზეში, – გვეუბნება ოსმანი.

ექსპედიციის წევრი ქალები კარგა ხანს საუბრობდნენ აქაურ ქალბატონებთან, კმაყოფილი ჩანდა თინა, ქართულის დანაშრევები ჩანსო აქაურ ფოლკლორში, შეიძლება მასზე მსჯელობის გაშლაო.

მნიშვნელოვანია ქართული ფოლკლორის კვალის შენიშვნა აქაურთა სიტყვიერებაში. თინას არ გამოეპარება, რაიმე ხელჩასაჭიდი თუ ნახა; ვფიქრობ, ნახავს კიდეც. შეუძლებელია, ყველაფერი წაშლილიყო...

ჯედი გუზეში წავედით, წყარო და ეკლესია უნდა ვნახოთ.

გზის პირას ახალგაზრდა ქერაფელი მანქანას უტრიალებდა. გამოველაპარაკეთ, აქაური აღმოჩნდა, ჯუნუს ათიკი.

– ქვემო უბანში გვითხრეს, ეკლესიაოო აქ, ვერ გვასწავლით?

– მე გაგყვებით ეკლესიასთან, იქვე წყაროა, წყაროსაც გაჩვენებთო, ჯუნუსმა.

მანქანა გზისპირას გავაჩერეთ და ბილიკებით ეკლესიისაკენ წავედით.

ჯუნუსმა არ იცის, ვისი აშენებულია ეკლესია, ქვემო უბანში ოსმან ბულბულმა გვითხრა – სომხურიაო...

ავედით ეკლესიასთან: ბაზილიკაა მცირე ზომის, ისეთივე მრავალი რომ გვხვდება ჭოროხის ხეობაში, შავშური ტიპის ბაზილიკას რომ უწოდებს ნიკო მარი. სამლოცველო დანგრევის პირასაა, ეტყობა საპერანგე ქვების ნაკვალევი...

გზა გავაგრძელეთ, ჯედიგოზზე მიგვიყვანა ჯუნუსმა.

წყარო კარგად არის მოწყობილი: შემოუღობავთ, საქონელი ვერ შეაღწევს წყაროს თვლამდე; პატარა ადგილას, 7-8 მეტრში შვიდი თვალი წყარო გამოდის ქვაში. წყალი ცივია და გემრიელი. მშვენიერი წყაროა, ამ სოფლის ყველაზე კარგი მახასიათებელი...

ჯუნუსმა მანქანამდე გამოგვაცილა, მადლობა გადავუხადეთ და გეზი მორიგი სოფლისაკენ, – **ბახჩელისაკენ** ავიღეთ.

ბახჩელი სოფლის ახალი სახელია, ძველად **ჩირქინი** (ასე გამოთქვამენ სპერელები) რქმევია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წერილები

შორენა მახაჭაძე

ჩემი ნახევარსაუკუნოვანი სიყვარულის ისტორია...

„ჩემო კედლებო, ისევ ჩემთან ხართ
და მიხარია ამით!“ –

არ ვიცი, ვინაა ამ სტრიქონების ავტორი, მაგრამ, როცა ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე, სწორედ მაშინ გამახსენდა გენიალური ქართველი მსახიობის, ვასო გოძიაშვილის მოხუცი მსახიობის მონოლოგიდან ეს ფრაგმენტი:

„მერე რაა, რომ წლები გავიდა,
თეთრი გამიჩნდა თმაში,
ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ,
როგორც მიყვარდით მაშინ“ –

დიახ, დღესაც ისევე მიყვარს ჩემი უნივერსიტეტის კედლები (ძველი, ისტორიული კორპუსი, რომელშიც ფუნქციონირებს ჩემი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ისეთივე ძვირფასია ჩემთვის, როგორც 50 წლის წინ, როცა 1974 წლის 1-ლ სექტემბერს, ბათუმურ წვიმიან დღეს, ფეხი შევდგი მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაში, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტმა. მას შემდეგ არცერთი დღით არ მოვშორებივარ ამ კედლებს, აქ შევიძინე პროფესია, მეგობრები, დიდი გამოცდილება, აქ შევიყვარე პირველად და შევქმენი ოჯახი – ჩემს თანაკურსელთან – ნოდარ ქედელიძესთან ერთად (ამჟამად უკვე ორი შვილისა და ექვსი არაჩვეულებრივი შვილიშვილის ბებია ვარ. მათგან ერთი – კობა ჟღენტი ბოსტონის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის, ხოლო მეორე – ლუკა – თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია, დანარჩენები – მოსწავლეები არიან).

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1978 წლის აგვისტოში აქვე დავიწყე მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ჯერ – ლაბორანტად, შემდეგ – მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად. ამჟამად ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის უკვე ემერიტუს-პროფესორი ვარ და 45 წელია, მაქვს ბედნიერება, ვასწავლო სტუდენტებს, მეც ბევრი რამ ვისწავლო მათგან, ვიმეგობრო მათთან და დავრჩე ახალგაზრდად.

ჩემთვის პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში გატარებული სტუდენტური წლები (1974-1978) უბედნიერესია. მასწავლიდნენ საუკეთესო ლექტორები – უმშვენიერესი და უგანათლებულესი ქალბატონები, პროფესორები:

ქალბატონი ნადია საბაშვილი – თოვლივით ქათქათა, მომხიბლავი, მუდამ მოწესრიგებული, უბრწყინვალესი პროფესიონალი, ზომიერად მკაცრიცა და საოცრად მეგობრულიც – ერთდროულად; ქართული ენის ამ უბადლო მცოდნემ და ამ ცოდნის გადმოცემის დიდებული უნარის მქონე ლექტორმა კიდევ უფრო შემაყვარა მშობლიური ენა, უფრო ღრმად ჩამახედა მის წიაღში და გრამატიკოსობაც კი გადამაწყვეტინა, თუმცა, მადლობა ღმერთს, ჩემთვის განკუთვნილი ლიმიტი განათლების სფეროში მოღვაწე მექრთამე ჩინოსანმა სარფიანად გაყიდა (ესეც ტიპური საბჭოთა რეალობა!) და მეც ლიტერატურაზე გადავერთე. ამას ჰქვია: „ზოგი ჭირი სასარგებლოაო“: ეგ კომუნისტი (დროის შეცვლის შემდგომ – „ეროვნული მოღვაწე“!) სოგრატი რომ არა, არ მექნებოდა ბედნიერება, ასე ინტენსიურად მესაუბრა და მეწერა ჩემი უსაყვარლესი მწერლების შესახებ.

ქალბატონი ნელი დუმბაძე – მეცხრამეტე საუკუნის თავადის ქალის გარეგნობით, მუდამ კოხტა, იდუმალი, მიმზიდველი, ვინც ლადო ასათიანის პოეზიის (და – არა მარტო) მადლს გვაზიარა, ვისაც შეეძლო ხმის აუწევლად გადმოეცა ყველაზე უფრო ბობოქარი ემოციებიც კი, ვინც სტუდენტობის პერიოდში პირველი კითხულობდა ჩემს ნაწერებს და მეუბნებოდა: იმას ხედავ ნაწარმოებში, რისი დანახვაც გინდაო. მაშინ – ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონეს, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით სავსეს – ეს შეფასება, ცოტა არ იყოს, მწყინდა კიდეც, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, მართალი იყო ჩვენი ბრძენი მოძღვარი: ჩვენ ყველას, არ აქვს მნიშვნელობა, პროფესიონალი ლიტმცოდნეა თუ ჩვეულებრივი მკითხველი, ჩვენი მოლოდინების ჰორიზონტი გვაქვს, ჩვენი გამოცდილებით, ჩვენი ცოდნით, გემოვნებით, ემოციებით, განწყობით მივდივართ ნებისმიერ ტექსტთან და ყველაფერ ამის ზემოქმედებით გვექმნება შთაბეჭდილება, ჩვენი თანაგანცდა და კვლავგანცდა ტექსტისა სწორედ ამ საბაზისო ფაქტორებზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, ჩემმა დიდებულმა ლექტორმაც ეს დაინახა მეოთხეკურსელის ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელით ნაწერში.

ქალბატონი მერი ცინცაძე – საოცრად მშობლიური, ძველი ქართულის ენის მშვენიერებაზე შეყვარებული, უდიდესი პროფესიონალი, მეცნიერი, სტუდენტების გულშემატკივარი, გვერდში მდგომი, ადამიანური ურთიერთობების განსაკუთრებული კულტურით დაჯილდოებული ქალბატონი და, ამასთან ერთად, შესანიშნავი ოჯახის დედა.

ქალბატონი ნაზი მიქელაძე – ულამაზესი ქალბატონი, აქტიური საზოგადო მოღვაწეცა და შესანიშნავი ლექტორიც – იმავდროულად.

ქალბატონი ეთერ ჯიჯეიშვილი – მუდამ კოხტად და მიმზიდველად გამოწყობილი, ენერგიული, ხალისიანი და დაუღალავი პიროვნება.

ქალბატონი მინიკო ჩიჯავაძე – ჩვენი კოხტა, ელეგანტური და გულიანი, ინგლისური ენის ბრწყინვალე სპეციალისტი.

ქალბატონი გუგული დიასამიძე – თბილი და ტკბილი ადამიანიცა და შესანიშნავი ლექტორიც.

ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე – მუდამ საქმიანი, ახალი იდეებით სავსე, ქართული დიალექტების უბადლო მცოდნე, ვინც ნიკო მარის შემდეგ პირველმა მოინახულა ტაო-კლარჯეთი, შეისწავლა ჩვენებურთა მეტყველება და მონუმენტური ნაშრომი: „ჩვენებურების ქართული“ შესძინა ქართულ მეცნიერებას, ვინც მკვიდრი საფუძველი დაუდო ჩვენს უნივერსიტეტში ტაოსა თუ სხვა უძველესი ქართული კუთხეების მცხოვრებთა ყოფის, მეტყველებისა და კულტურის შესწავლას.

მინდა გავიხსენო ასევე დიდებული მეცნიერები, თხემით ტერფამდე ინტელიგენტები, თავიანთი მჭევრმეტყველებით, ფართო განსწავლულობითა და პიროვნული თვისებებით გამორჩეულნი:

ბატონი შოთა ნიჟარაძე, ვინც თავისი ენერგიით, კოლორიტული აჭარული იუმორით მუდამ ხალისიანად წარმართავდა ლექციებს, არასოდეს მოგაწყენდა, სტუდენტების ნიჭის დამფასებელი და მათ გვერდში მდგომიც მუდამ.

ბატონი ალექსანდრე ჩავლეიშვილი – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“, განსაკუთრებით – ქართული ლიტერატურა, ლექციებსაც ლოცვასავით კითხულობდა და ჩვენგანაც ასეთ მიდგომას მოითხოვდა.

ბატონი პავლე ნაცვლიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე, ვისი დამსახურებაცაა, რომ მე რუსთველოლოგიას ვასწავლიდი. ბატონი პავლე კათედრის გამგე იყო, როცა ბათუმის პედინსტიტუტი უნივერსიტეტად გადაკეთდა, ბუნებრივია, სასწავლო გეგმას დაემატა საუნივერსიტეტო დისციპლინები, მათ შორის, – რუსთველოლოგია. ბატონმა პავლემ დამიბარა და შემომთავაზა ამ საგნის სწავლება. მე თან გამიკვირდა, თან შემეშინდა და, რა თქმა უნდა, მაშინვე უარი ვუთხარი: არც კი გაგვივლია ეგ საგანი და ამოდენა პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ-მეთქი. ბატონმა პავლემ არ მიიღო ჩემი უარი, სწორედ მაგიტომ, რომ გრძნობ პასუხისმგებლობას, შენ უნდა ასწავლო რუსთველოლოგიაო. მადლობა ამ პრინციპულობისა და დაჟინებისთვის ბატონი პავლეს ნათელ სულს.

მას შემდეგ კიდევ უფრო გავუმიჯნურდი „ვეფხისტყაოსანს“, ვკითხულობ, ვსწავლობ, ყოველ ახალ სასწავლო წელს რაღაც ახალს აღმოვაჩენ და ვცდილობ, ამ უსაზღვრო სიყვარულისა და აღფრთოვანების მცირე ნაწილი მაინც შევაგრძნობინო ახალგაზრდებს, რადგან მჯერა, მხოლოდ რუსთველისეული სიბრძნე (რომელიც, ვფიქრობ, ქართველ ხალხს უკვე გენეტიკურად აქვს კოდირებული – ისე დღემდე ვერაფრით მოვიდოდით!) გადაგვარჩენს მომავალ საუკუნეებშიც.

ბატონები პარმენ პატარაია და შოთა ჯაფარიძე ისე გვიკითხავდნენ, იმ დროშიც ჩვენთვის აბსტრაქტულ სასწავლო დისციპლინებს: პოლიტეკონომიასა და მეცნიერულ კომუნიზმს, რომ 100-კაციანი აუდიტორია (თან – სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები) გასუსული ინტერესით უსმენდა – ეს იყო ნამდვილი პროფესიონალიზმისა და ორატორული ხელოვნების მაგალითები.

ბატონი ალექსანდრე გობრონიძე კი – მუდამ ღიმილიანი და კეთილგანწყობილი – ისეთი გურული იუმორით შეკმაზულ ლექციებს გვთავაზობდა პედაგოგიკაში, რომ ძალაუნებურად მოგანდომებდათ მასწავლებლობას.

ბატონი ოთარ ფარეიშვილი ანტიკურ ლიტერატურას გვასწავლიდა, გარეგნობით თავადაც ზევსს წააგავდა, მაგრამ, რბილი და თბილი ბუნების მქონე, ოლიმპიელი ღმერთივით მეხთამტეხი ნამდვილად არ იყო.

ბატონები ჯემალ ჩხეიძე და აზიზ ახვლედიანი თავიანთი ზოგადი განათლებით, ინტელექტითა და იუმორის ორიგინალური გრძნობით გვხიბლავდნენ. არ დამავიწყდება ბატონი ჯემალის სიტყვები: ფილოლოგმა აი, ამ ფანქრის შესახებ (გვიჩვენა ჩვეულებრივი ფანქარი) – უნდა შეძლოს დაუსრულებლად საუბარი, ესეს შექმნაო (მერწმუნეთ, ბატონ ჯემალს ეს შეეძლო!). თავად „შუშანიკის წამებიდან“ ან ვაჟადან დაიწყებდა საუბარს და ხან – დასავლურ, ხან – სუფისტურ, ხან კიდევ – იაპონურ ლიტერატურაში ამოგვაყოფინებდა თავს.

ბატონები ნოდარ ჭყონია და ნოდარ ვარშანიძე რუსულს გვასწავლიდნენ, მათთან ხშირი კამათიც გვიწევდა რუსული მწერლობის ამა თუ იმ საკითხზე, დოსტოევსკისა და ტოლსტოის, პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედების პრობლემებზე. ჩვენი ლექტორების სასახელოდ ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ სტუდენტის მიერ გამოთქმულ საკამათო, არატრადიციულ, შესაძლოა, მცდარ მოსაზრებასაც კი, არავინ არ ახშობდა, ადეკვატურად აღიქვამდა და სათანადო პასუხსაც სცემდა. ასე რომ, სიტყვის თავისუფლების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდიდით ჩვენი ინსტიტუტის კედლებში.

ბატონი ლევან აბაშიძე – თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, უკეთილშობილესი პიროვნება, ჩვენი ფაკულტეტის დეკანი იყო, სტუდენტების გულშემატკივარი, ის ესთეტიკასაც გვიკითხავდა და მშვენიერისა და ამაღლებულის შესახებ საოცარი შთაგონებითა და გატაცებით გვესაუბრებოდა.

ბატონი ნური ვერძაძე პირველივე კურსიდან შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, ენათმეცნიერების შესავალს გვასწავლიდა. ეს უაღრესად ჭკვიანი, გამჭრიახი და პრაგმატული პიროვნება (როგორც მისმა შემდგომმა საუნივერსიტეტო კარიერამაც გვიჩვენა), ჩემს მეხსიერებაში იმავდროულად დარჩა რომანტიკული გრძნობებით სავსე ესთეტად, ვისაც შეეძლო სტუდენტებთან ერთად შეექმნა და განეხორციელებინა მშვენიერი ლიტერატურულ-მუსიკალური დადგმები, გატაცებით ეკამათა ხელოვნებაზე, გულითადად ესაუბრა ახალგაზრდებთან.

ჩემი სტუდენტობის პერიოდში ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდების დიდი გულშემატკივარი, პიროვნული ხიბლითა და სიბრძნით გამორჩეული, შესანიშნავი რექტორი – პროფესორი ოთარ ბაკურაძე. ის მე ნიკო კეცხოველს მაგონებდა, ნოდარ დუმბაძის „მზიან ღამეში“ რომ რექტორია, იმის პროტოტიპს.

ჩვენი ლექტორები არა მარტო თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ, არამედ ადამიანური ურთიერთობის განსაკუთრებული ხელოვნებითაც გამოირჩეოდნენ, გვასწავლიდნენ არა მხოლოდ კონკრეტულ სასწავლო დისციპლინას, არამედ დამოუკიდებელ აზროვნებას, გვაძლევდნენ რჩევებს ცხოვრებისეულ საკითხებზე, ჩვენს გვერდით იდგნენ კრიტიკულ მომენტებში (თუნდაც, 1978 წელს – ქართული ენის დაცვისთვის გამართული მიტინგის დროს).

ისტორიულ კორპუსში მოთავსებული პედინსტიტუტის კოლექტივი ერთ დიდ და მეგობრულ ოჯახად ცხოვრობდა, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან, ერთად ვატარებდით საინსტიტუტო ღონისძიებებს: ლიტერატურულ-მხატვრულ-მუსიკალურ დადგმებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ერთად დავდიოდით კინოში, თეატრში, ერთად განვიხილავდით სპექტაკლებს, ახალგამოსულ წიგნებს, ერთად ვილხენდით და დაბრკოლებების დაძლევაშიც ვეხმარებოდით ერთმანეთს.

ახლა ვკითხულობ ჩემს დაწერილს და ვხვდები, რომ მეტისმეტად იდეალური სურათი დავხატე, ეს არცაა გასაკვირი – ჩვენთვის ხომ განსაკუთრებით ძვირფასია სტუდენტობის წლები, როცა ყველაფერს ვარდისფერი სათვალით ვუყურებთ, სიყვარულისაგან ფრთები გვაქვს შესხმული, როცა ძალიან ბედნიერები ვართ, ყველა დღე მზიანია და გულსაც ემღერება – ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ჩვენი სტუდენტობის წლები – მშვიდი, თბილი, ხალისიანი, საინტერესო აქტივობებით სავსე, როცა ყველა დღეს რაღაც ახალი მოჰქონდა და ჩვენც მიგვიხაროდა ინსტიტუტისკენ. არც არდადეგებზე ვიყავით მარტონი და უსაქმოდ: ხან – მანდარინის საკრეფად მივყავდით და ხან – კარტოფილის ამოსაღებად; ასე რომ, თან ვშრომობდით და თან – ვერთობოდით, მოსაწყენად არ გვეცალა. მოკლედ, დღევანდელი ახალგაზრდების მსგავსად, არ ვიყავით ვირტუალურ სამყაროში ჩაძირულები, მესიჯებითა და სოციალური ქსელებით არ ვურთიერთობდით. ვფიქრობ, ეს იყო ყველაზე ფასეული ჩვენი დროის სტუდენტობისა: ცოცხალი, რეალური ადამიანური ურთიერთობები, ხვალინდელი დღის იმედით გაბრწყინებული ღიმილიანი, ხალისიანი სახეები.

თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან კარგად ვსწავლობდით, უფრო მეტი, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უკეთ წარმოაჩენდა თავს სემინარებზე, ბევრს ვპაექრობდით, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით გამორჩეულნი – ერთმანეთს არ ვეპუებოდით, თუმცა შეურაცხყოფას არასოდეს ვაყენებდით, კამათის კულტურაც გაგვაჩნდა. 20 სტუდენტიდან (ამდენნი ვიყავით კურსზე, მისაღებ კონკურსში კი 600-მდე აბიტურიენტი იღებდა მონაწილეობას!) თითქმის ყველას მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა. პედაგოგიურ თუ სხვა სარბიელზე თითქმის ყველამ მიაღწია გარკვეულ წარმატებას. ალ-

ბათ, საკმარისი იქნება გავიხსენო ჩემი კიდევ ერთი თანაკურსელი – მამია ფაღავა – პროფესორი, ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის დამაარსებელი, უამრავი მონოგრაფიის ავტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ვფიქრობ, ჩემი დროის სტუდენტური პერიოდის კიდევ ერთი დადებითი მხარე იყო სტუდენტების აკადემიური პასუხისმგებლობის მაღალი დონე, წიგნიერება, ინტერესი ხელოვნების, კულტურისადმი.

რა თქმა უნდა, დღეს – სამეცნიერო-კომუნიკაციური რევოლუციის, დიგიმოდერნისტულ ეპოქაში – სტუდენტებს მეტი ინფორმაცია, მეტი შესაძლებლობები აქვთ: ბსუ-ს გაცვლითი პროგრამები იძლევიან საშუალებას, რომ მიიღონ ახალი გამოცდილება, ისწავლონ ევროპისა თუ ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში; ამასთან ერთად, გაიზარდა, გამდიდრდა და განვითარდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური ბაზა, აღარაა იდეოლოგიზებული სასწავლო პროგრამები – ეს ყველაფერი კი დადებითად აისახება ახალი თაობის პროფესიულ დაოსტატებაზე.

რაც შეეხება – არჩევანს: ჩემი აბიტურიენტობის პერიოდში განსაკუთრებით დიდი არჩევანი ინსტიტუტებისა ნამდვილად არ იყო. გამოგიტყდებით, ძალიან მინდოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარება, თუმცა მშობლებმა, რომლებიც თავადაც ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი იყვნენ (დედა – აიშე ვერძაძე – ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მამა – ნიკოლოზ მახაჭაძე – მათემატიკას; ორივენი სახელმოხვეჭილი პედაგოგები იყვნენ), გადაწყვიტეს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობას ბათუმშიც შესანიშნავად დაეუფლებოდი. არც შემცდარან: უმაღლესი ქულებით მოვხვდი ინსტიტუტში, სწავლის პერიოდში კი დამენიშნა სახელობითი სტიპენდია. ვიყავი აქტიური სტუდენტი როგორც აუდიტორიაში, ისე – მის გარეთ.

1995 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მითი და რეალობა „დათა თუთაშხიაში“. ვარ რამდენიმე წიგნის (ბოლო წიგნი – „პირველად იყო სიტყვა“, A4 ფორმატის 470-გვერდი – დაიბეჭდა 2019 წელს) და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი. ათწლეულების მანძილზე ვასწავლიდი ისეთ სასწავლო დისციპლინებს, როგორებიცაა: რუსთველოლოგია, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, პოსტმოდერნიზმი, მეოცე საუკუნის რომანი, ინტერტექსტუალიზმი ქართულ მწერლობაში და ა. შ.

ხშირად ვამბობ: უნივერსიტეტი ჩემი მეორე ოჯახია-მეთქი და ეს არ არის ფიგურალური გამოთქმა, რადგან ჩემი ცხოვრების უდიდეს ნაწილს აქ ვატარებ, მასთანაა დაკავშირებული ჩემი პიროვნული და პროფესიული ზრდა. უამრავი სახალისო ისტორია მახსენდება ჩემი საინსტიტუტო (შემდგომ – საუნივერსიტეტო) ცხოვრებიდან. ყველაზე ფერადი მოგონებები დაკავშირებულია ჩვენი კუთხის გამორჩეული შვილის – დიდი ქართველი პოეტის – ზურაბ გორგილაძის სახელთან. დიდი შემოქმედი, იმავდროულად, საოცრად თავმდაბალი, ქეიფისა და ბოჰემის მოყვარულიც გახლდათ.

მაშინ სტუდენტებს საკმაოდ სოლიდური სტიპენდიები გვქონდა: ფრიადოსნებს ანუ წარჩინებულებს – 50 მანეთი, მე, როგორც სახელობითი სტიპენდიანტი, 100 მანეთს ვიღებდი. ჰოდა, სტიპენდიის აღების დღეს მთელი კურსი საქეიფოდ მივდიოდით რესტორან „სალხინოში“ (საოცრად ლამაზი, კოპწია, რაღაც ჰაეროვანჩუქურთმებიანი რესტორანი იყო – ინსტიტუტის წინ – ბულვარში, სამწუხაროდ, მოგვიანებით დაანგრიეს). ჩვენს სუფრას ხშირად უერთდებოდა და თამადობდა კიდეც მისებური ეშხით ბატონი ზურაბი. სუფრაზე მოვისმინეთ პირველად მის მიერ წაკითხული „ჰოიდა ნანა“ და „სულხან-საბა“... ეს სუფრები, მართლაც, ნამდვილი „აკადემია“ იყო ჩვენთვის. მას შემდეგ მთელ კურსს „შეგვეყარა“ ზურაბ გორგილაძის პოეზიის სიყვარული.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ჩვენი თაობის სტუდენტი იყო დღეისათვის საქვეყნოდ ცნობილი, გამორჩეული ხმის პოეტი და უებრო მამულიშვილი ვახტანგ ღლონტიც.

ჩვენი სტუდენტობის პერიოდში დავუმეგობრდით თელავის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტებს: მოვიწვიეთ ბათუმში, ვუმასპინძლეთ, ერთობლივი ლიტერატურული საღამო ჩავატარეთ, გემით გავასეირნეთ ზღვაზე (საკმარისია, ვთქვა, რომ ჩვენმა ბევრმა სტუმარმა მაშინ პირველად ნახა ზღვა). საპასუხო ვიზიტით ჩასულები კი მოვიხიბლეთ კახური მასპინძლობით, ბახტრიონის ციხით, ფანტასტიკური კახური პეიზაჟებით... ეს ურთიერთობა/მეგობრობა გაგრძელდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც.

არასოდეს დამავიწყდება სოხუმის პედინსტიტუტში სამეცნიერო კონფერენციაზე გატარებული დრო, ის შთაბეჭდილებები, რაც აფხაზეთის დედაქალაქმა, რიწის ტბამ, ახალი ათონის მღვიმემ მოახდინა ჩემზე. მახსენდება, ერთი უსიამოვნო შეგრძნებაც: საქმე ისაა, რომ მაშინ ძალიან გამაკვირვა ერთმა რამემ – ქუჩებში უმეტესად რუსული მეტყველება ისმოდა. საუბედუროდ, ადგილობრივი მოსახლეობა: ქართველები, აფხაზები, რატომღაც, საკომუნიკაციო ენად რუსულს იყენებდნენ. ესეც ოკუპანტი სახელმწიფოს ვერაგული პოლიტიკის შედეგი გახლდათ, თუმცა ქართველებმაც ვერ გამოვიჩინეთ სათანადო სიფხიზლე და ვერაფერი დავუპირისპირეთ „ბოროტების იმპერიის“ ბოროტ ზრახვებს. მას შემდეგ სოხუმში აღარ ვყოფილვარ...

მაშინ, რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რაც შემდგომ აფხაზეთში დატრიალდა, მაგრამ ის მწარე გამოცდილება არ უნდა დავივიწყოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველების იდენტობის უპირველესი განმსაზღვრელი ქართული ენაა და უნდა მოვუაროთ მას, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს ვალდებული სრულყოფილად ფლობდეს და იყენებდეს სახელმწიფო ენას.

ვფიქრობ, არ უნდა შეგვაშინოს სიტყვა იდეოლოგიამ და ბაღისა და სკოლის ასაკიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ჩვენს მომავალ თაობას ქართული/ეროვნული ღირებულებები (რაც, რუსთაველისა და ვაჟას სამშობლოში, ზოგადკაცობრიული, ზოგადადამიანიური ფასეულობების იდენტურია!) სწორედ ამას ვუსურვებ დღევანდელ სტუდენტებს: უყვარდეთ საქართველო, რადგან: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“

ისწავლონ, იშრომონ სტუდენტებმა თავდაუზოგავად, რადგან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არაფერია, თუ მას არ ფლობს პროფესიონალი, ნიჭიერი ადამიანი, ვისაც თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება შეუძლია.

წავიდნენ ჩვენი სტუდენტები უცხოეთში, მიიღონ ევროპული და ამერიკული განათლება, ოღონდ აუცილებლად დაბრუნდნენ საქართველოში და მიღებული ცოდნა ისევ საკუთარ ხალხსა და ქვეყანას მოახმარონ.

სწორედ დღევანდელმა თაობამ უნდა უპატრონოს ჩვენს ქვეყანას, ქართულ ენას, ქართულ ხელოვნებას, რომელიც არც არასოდეს მოწყვეტია ევროპულ კულტურას, თუმცა არ უნდა დაივიწყოს, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც ქართულმა ხელოვნებამ შექმნა, უპირველესად, ქართული ეროვნული ფესვებიდანაა ამოზრდილი, ამის გარეშე ის ვერ დაიპყრობდა მსოფლიო ხელოვნების მწვერვალებს.

ჩემი 50-წლიანი სიყვარულის ობიექტი, ჩემი ულამაზესი თეთრ-ცისფერი უნივერსიტეტი კი ისევ დგას სანაპიროზე. მინდა ვუსურვო, რომ მრავალი ასეული წელი დაემშვენებინოს ბათუმი, უამრავი თაობისათვის ცოდნის შუქით გაენათებინოს და დაელოცოს ცხოვრების გზა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტად ქცეულიყოს!

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო ბევრის მთქმელი და სასახელო, რომ აჭარაში მოღვაწე შემოქმედთა 90%-ს (თუ უფრო მეტს – არა) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უფროსი თაობის მწერლებს, ჩემსავით – პედინსტიტუტი – აქვთ დამთავრებული). შემთხვევითი არაა, რომ შესანიშნავმა პოეტმა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორ-

განიზაციის ღირსეულმა თავკაცმა, ბატონმა დავით თედორაძემ ბსუ-ს, აწ უკვე ჰიმნადქცეული, მშვენიერი სტრიქონები უძღვნა:

„რუსთაველის მადლი გამკობს,
რუსთაველის ხიბლით თბები,
შენი სუნთქვით ვიკვებები,
შენს ემბაზში ვინათლები,
მენატრება შენთან ყოფნის წუთები...“

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაარსების დღიდან ჩვენი ინსტიტუტის, ამჟამად – უნივერსიტეტის კედლები და აქ მოღვაწე მეცნიერები პატრონობდნენ და ჭირისუფლობდნენ უპირველესად აჭარაში გადარჩენილ ქართულ სიტყვას, პოეზიას, ლიტერატურას, ბსუ არასოდეს მდგარა ქართული მწერლობისაგან შორს. ისიც სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტი და აჭარის მწერალთა სახლი „მეზობლებიც“ არიან. მეცნიერების, სტუდენტებისა და მწერლების ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს მკვიდრი საფუძველი დაუდეს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა, ის გრძელდება დღესაც და, იმედია, გაგრძელდება მომავალშიც, რადგან ქართველი ხალხისთვის ქართული ენა ერის იდენტობის განმსაზღვრელი იყო ყველა ეპოქაში, ხოლო ქართული ლიტერატურა – მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლის შემქმნელი. ღრმად მწამს: სხვა ბევრ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთან ერთად, ამან გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე, ასე უნდა გაგრძელდეს მომავალ საუკუნეებშიც...

ჩემი ნახევარსაუკუნოვანი სიყვარულის ისტორია კი კვლავაც გაგრძელდება და ის ესტაფეტად გადაეცემა ყველაზე დიდი ქართველის სახელობის უნივერსიტეტის ახალ და ახალ თაობებს...

ჟურნალი 2

2025